


საქსენი

საქსენი



აპულეუსი - ოქროს ვირი
Apuleius - Asinus aureus

ქვეყნდება შპს iBooks-ის მიერ
ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ., მე-7 კ.
0186 თბილისი, საქართველო
[www. iBooks.ge](http://www.iBooks.ge)

ქართული თარგმანი ეკუთვნის თამარ ყიფიანს.

iBooks® 2018 ყველა უფლება დაცულია.

მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გავრცელებული ან გადაცემული ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: info@iBooks.ge

სარჩევი

წიგნი პირველი

წიგნი მეორე

წიგნი მესამე

წიგნი მეოთხე

წიგნი მეხუთე

წიგნი მეექვსე

წიგნი მეშვიდე

წიგნი მერვე

წიგნი მეცხრე

წიგნი მეათე

წიგნი მეთერთმეტე

კომენტარები

წიგნი პირველი

1. აი, მე მილეტურ ყაიდაზე დაგიწნავ სხვადასხვა არაკს და შენს კეთილგანწყობილ სმენას ვაამებ ტკბილი ტიტინით, თუ მოწყალე თვალით დახედავ ნილოსის ლერწმის წვერით დაწერილ ეგვიპტურ პაპირუსს, შენ გაგაოცებს ადაზიანთა ბედისა და სახეთა გარდაქმნა და იმავე გზით წინანდელ მდგომარეობაში მათი დაბრუნება. ვიწყებ - მაგრამ ვინ არის იგიო? - იკითხავ შენ. მოგახსენებ ორიოდ სიტყვით.

ატაკის ჰიმეტი, ეფირიის ყელი^[1] და სპარტის ტენარი, ეს ბედნიერი ქვეყნები, საუკუნოდ უკვდავყოფილი კიდეე უფრო ბედნიერი წიგნებით, - იყო ჩვენი მოდგმის ძველი აკვანი, აქ დავუფლეთ ატიკურ კილოკავს, ეს იყო ჩემი ბავშვობის პირველი მონაპოვარი. ამის შემდეგ მე, უმეცარი კაცი, ლაციუმის სატახტო ქალაქში ჩავედი და დიდი შრომით, უხელმძღვანელოდ დავძლიე კვირიტების^[2] მშობლიური ენა.

ამიტომ პატიებას ვითხოვ, თუ, ჩემს უხეშ ენაში შეგხვდებათ უცხო და მდაბიური გამოთქმები; მაგრამ თვით ეს კილოკავთა მონაცვლეობა ხომ ამ მოულოდნელი გარდაქმნების ხელოვნებას შეეფერება, რომლის აღწერაც მე დავაპირე.

ვიწყებთ ბერძნულ არაკს. ყური უგდე, მკითხველო, კმაყო ფილი დარჩები.

2. საქმეთა გამო თესალიაში მივდიოდი. დედაჩემი ხომ იქაურია და ჩვენი ოჯახი ამაყობს, რომ სახელგანთქმული პლუტარქეს შთამომავალნი ვართ - მისი ძმისწულის ფიბროსოფოს-სექსტეს მხრიდან. ციცაბო კლდეები, ფერდობები და დაღმართები, ცვარნამიანი ველ-მინდვრები და ნათესი ყანები გადმოვიარე იქაური თეთრი ცხენით; რადგან იგი დამეძანა და მეც ჯდომით დავიღალე, მუხლების გასამართავად ძირს ჩამოვხტი. გულმოდგინედ შუბლზე ცხენს ოფლი მოვწმინდე, ყურები წამოვუჭიმე, ლაგამი მოვუშვი და ნელა დავატარებდი, სანამ მისი დაღლილი კუჭი ბუნებრივი და ჩვეულებრივი გზით არ შემსუბუქდა. და, სანამ ის თავდახრილი გზადაგზა ველად საზრდოს ეძებდა, დავეწიე ჩემ წინ ახლოს მიმავალ ორ მგზავრს. მინდოდა გამეგო, თუ რაზე ლაპარაკობდნენ და სანამ ყურს ვუგდებდი მათ საუბარს, ერთმა მათგანმა გადაიხარხარა და მეორეს უთხრა: - დამეხსენ ემაგ სულელური და უაზრო არაკებით! - მე ახალი ამბების დიდი მოყვარული ვიყავი და, ეს რომ გავიგე, ვუთხარი: - პირიქით, განაგრძე, განაგრძე! ნება მიბოძეთ მეც ჩავერიო თქვენს საუბარში: ცნობისმოყვარე არა ვარ, მაგრამ მინდა თუ ყველაფერი არა, რაც შეიძლება მეტი მაინც ვიცოდე. ამასთანავე საამური და თავშესაქცევი ამბავი შეგვიმსუბუქებს ამ ციცაბო აღმართის ავლას-მეთქი.

3. საუბრის დამწყებმა ასე მიპასუხა:

- ეჰ, მთელი ეს ჩმახვა ისეთივე სიმართლეა, როგორც ისა, რომ ვინმემ დაგვიწყოს მტკიცება, თითქოს მაგიურ ჩურჩულს შეეძლოს გამოიწვიოს სწრაფი მდინარეების უკუდინება, ზღვის გარინდება, ქარის სუნთქვის შეწყვეტა, მზის შეჩერება, მთვარის ქაფით დაფარვა, ვარსკვლავების მოწყვეტა, დღის განდევნა და ღამის გაგრძელება.

მაშინ მე უფრო დაბეჯითებით ვუთხარი:

- გეთაყვა, შენ, რომელმაც დაიწყე თხრობა, განაგრძე, თუ არ გეზარება და არ მოგბეზრდა. - შემდეგ მეორეს მივმართე: - შენ კი, ყურები დაგიხმავს და გაჯიუტებული უარყოფ მას, რაც შეიძლება სრული ჭეშმარიტება იყოს.

ჰერკულესს გეფიციები, წარმოდგენაც კი არა გაქვს, რომ მხოლოდ წინასწარ შექმნილ აზრს შეუძლია სიყალბედ ჩაგვათვლევინოს ის, რაც სმენისათვის ახალია, ან მხედველობისათვის უჩვეულოა, ან რაც ჩვენს გაგებას აღემატება; უფრო ყურადღებით რომ დააკვირდე, დაინახავ, ყველაფერი ეს არათუ ადვილად წარმოსადგენია, არამედ იოლი შესასრულებელიც-მეთქი.

4. გუშინ საღამოს მე და ჩემი ამხანაგი ხაჭაპურის ჭამაში შევეჯიბრეთ ერთმანეთს. მე ჩვეულებრივზე უფრო დიდი ლუკმის გადაყლაპვა მოვინდომე. უცებ ერთი რბილი და წებოვანი ლუკმა ყელზე დამადგა, სუნთქვა ისე შემეკრა, კინაღამ დავიხრჩვი. ამას წინათ კი ათენში, ჭრელ სტოასთან^[3], ჩემი თვალით დავინახე, როგორ ყლაპავდა წვერით მხედრის უშველებელ ბასრ მახვილს ოინბაზი. შემდეგ მანვე რამდენიმე გროშისათვის შიგ ნაწლავებში გაიყარა მონადირის შუბის წვერი. და აი, ოინბაზის ყელიდან ამოჩრილი შებრუნებული შუბის რკინით შეჭედილ ტარზე შეხტა ერთი სანდომიანი ყმაწვილი და ყველა იქ დამსწრეთა გასაკვირვებლად კლაკნით აცეკვდა, თითქოს უძვლო და უძარღვო ყოფილიყოს, ასე გეგონებოდათ, ყველაფერი ეს მკურნალობის ღვთაების ნახევრად ტოტებწაჭრილი კორძებიანი კვერთხია, რომელსაც ნაყოფიერების გველი სატრფიალოდ გარს შემოტმასნიაო. მაგრამ კმარა! დამთავრე, გეთაყვა, დაწყებული ამბავი. მე ორივეს მაგივრად დაგიჯერებ და პირველსავე სასტუმროში საუზმით გაგიმასპინძლდები: აი, როგორი ჯილდო მოგელის.

5. მან კი მომიგო:

- დანაპირები სამართლიანია და კარგი, მაგრამ მე მომიხდება ჩემი ამბის თავიდან დაწყება. უწინარეს შემოგვიცავ მზეს, ამ ყოვლისმხილველ ღვთაებას, რომ ჩემი ნაამბობი სწორია და სარწმუნო. თქვენ კი ორივეს ყოველგვარი ეჭვი გაგევანტებათ, როგორც კი მიაღწევთ თესალიის უახლოეს ქალაქს: იქ ეს ამბავი ყველამ იცის, რადგან ის მთელი ხალხის თვალწინ მოხდა. მაგრამ ჯერ გაიგეთ, ვინა ვარ და სადაური. მე არისტომენე მქვია, წარმოშობით ეგინელი ვარ. ახლა ისიც მოისმინეთ, თუ როგორ ვშოულობ ლუკმაპურს. სხვადასხვა მიმართულებით მიმოვდივარ თესალიაში, ეტოლიასა და ბეოტიაში. თან დამაქვს თაფლი, ყველი ან სხვა რაიმე საჭონელი მიკიტნებისათვის. როგორც კი გავიგე, თესალიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ ჰიპატაში ჩინებული გემოს ჭყინტი ყველი ძალზე იაფად იყიდებოდაო, მაშინვე გავეშურე იქითკენ. ვაპირებდი, ბითუმად შემესყიდა იგი. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, მარცხიან ფეხზე გავემგზავრე და მოგების იმედი გამიცრუვდა. წინადღით მთლიანად შეესყიდა ბითუმად მოვაჭრე ლუპუსს. ტყუილუბრალოდ სირბილით დაქანცულმა საღამო ჟამს აბანოში წასვლა დავაპირე.

6. უცებ ჩემი ამხანაგი სოკრატე დავინახე! ზის მიწაზე და ძველთაძველი წამოსასხამი სხეულს ძლივსდა უფარავს; სულ გამოცვლილა. საცოდავად გამხდარა, გაფითრებულია და დამსგავსებია ბედისაგან დევნილებს, გზაჯვარედინზე მოწყალეებს რომ თხოულობენ. თუმცა მას კარგად ვიცნობდი და კარგი მეგობრებიც ვიყავით, მაგრამ მისმა გარეგნობამ დამაეჭვა, მივუახლოვდი.

- სოკრატე! - მივმართე მას. - რა დაგემართა? რას გავხარ? ასე რამ დაგასაწყლა? შინ კი დიდი ხანია გამოგიტირეს, როგორც გარდაცვლილი. შენს ბავშვებს პროვინციის უმაღლესი სასამართლოს ბრძანებით მეურვეები დაუნიშნეს, შენმა ცოლმა ღირსეულად გიგლოვა; საშინლად დაუშნოვდა გაუთავებელი დარდისა და მწუხარებისაგან, ცრემლმა კინაღამ თვალები

დაუესო და ახლა მშობლები აიძულებენ გაუბედურებული ოჯახი ახალი ქორწინებით გაამხიარულოს, შენ კი უცხად აქ გაჩნდი, ჩვენდა სამარცხვინოდ, საიქიოდან მოსული.

- არისტომენე! - მიპასუხა მან, - შენ არ იცნობ ბედის მზაკვრულ თამაშს, მის მერყევ წყალობას და უკუღმა ტრიალს;

ამ სიტყვებით მან სირცხვილისაგან ადრევე აღანძული სახე დაკონკილ-დაკერებული წამოსასხამით დაიფარა, ასე რომ, დანარჩენი სხეული ჭიპიდან მამაკაცობის ნიშნულობამდე გაუშიშვლდა. ვეღარ გავუძელი ამ საცოდავ სანახაობას, ხელი გავუწოდე და წამოვაყენე.

7. მაგრამ მან წინანდებურად სახედაფარულმა მითხრა: - ადროვე, ადროვე ბედს ბოლომდე დატკბეს ამ ნადავლით, რომელიც თვითონ მოიპოვა.

ვაიძულე ჩემთან წამოსულიყო. გავიხადე ერთი ტანსაცმელი (ორი მეცვა) და დაუყოვნებლივ ჩავაცვი, უფრო სწორად რომ ვთქვა, დავუფარე სიშიშვლე და აბანოში წავიყვანე. იქ ნელსაცხებელი და დასაზელი წამლები თვითონ გავუმზადე, სქლად დადებული ჭუჭყი გულმოდგინედ მოვაშორე, კარგად დავბანე და თვითონ დაღლილი დაქანცულს მხარში ამოვუდექი, ჩემთან წავიყვანე, ლოგინში გავათბე, საჭმლით ვაამე, სასმელით მოვაღონიერე და ამბებით შევიქციე.

უკვე ლაპარაკი და ხუმრობა მოიწადინა. უკვე გაისმა ჯერ კიდევ გაუბედავად მოსწრებული, ბილწი სიტყვები, მაგრამ უცებ გულის სიღრმიდან საშინელი ოხვრა აღმოხდა და მარჯვენა ხელი გამეტებით შუბლზე შემოიკრა:

- ვაი, უბედურო ჩემო თავო! - წამოიძახა მან, - როგორ განსაცდელში ჩავვარდი იმ სახელგანთქმული გლადიატორების სანახაობით გატაცებული! როგორც კარგად მოგეხსენება, მაკედონიაში სავაჭრო საქმისათვის ჩავედი, იქ ცხრა თვეს დავყავი და უკან კარგი მოგებით ვბრუნდებოდი, ლარისამდე მისვლას ცოტადა მიკლდა (გზადაგზა მინდოდა სანახაობებს დავსწრებოდი), როცა უკაცრიელ, ღრმა ხეობაში თავს დამესხნენ ბოროტი ავაზაკები. თუმცა სულით ხორცამდე გამცალეს, მაგრამ მაინც ცოცხალი გადავრჩი. ასე საშინლად გაღარიბებულმა შევუხვით ერთ მიკიტან ქალთან, მეროესთან; მართალია, ხნიერი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენოდა სინატიფე. ვუამბე, რისთვის ვმოგზაურობდი ასე დიდხანს, როგორი შიში და უბედურება დამატყდა თავს დაბრუნებისას და როგორ შეუბრალებლად გამმარცვეს. მან მეტისმეტი გულუხვობა გამოიჩინა, მუქთად გამიმასპინძლდა მშვენიერი ვახშმით და მალე ავხორცობით აღზენებულმა თავის სარეცელზე მიმიპატიჟა. ეს იქცა ჩემი უბედურების სათავედ, რადგან მასთან მხოლოდ ერთი ღამის გათევის გამო უკვე აღარ შემიძლია ამ სენს თავი დავადწიო. ყველაფერი მას ჩავაყარე: მონძებიც, რომელიც კეთილმა ავაზაკებმა მხრებზე დამიტოვეს, გროშებიც, რომელსაც, სანამ ძალ-ღონე შემწევდა, ტვირთის ზიდვით ვშოულობდი, ვიდრე ამ კეთილმა ქალმა და ავმა ბედმა არ მიმიყვანეს ასეთ მდგომარეობამდე, რომელშიაც შენ მხედავ.

8. - ჰოდა, - ვეუბნები მას, - შენ ეს სავსებით დაგიმსახურებია, კიდევ მეტის ღირსიცა ხარ, რადგან ავხორცული ალერსი და ნათრევი მეძავი შენს შვილებსა და კერას ამჯობინე.

მაგრამ მან საშინელებისაგან თავზარდაცემულმა საჩვენებელი თითი პირთან მიიტანა და მითხრა:

- გაჩუმდი, გაჩუმდი! - მიმოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო, - ერიდე, - მეუბნება, - გრძნეულ ქალს, ენაჭარტლობამ ფათერაკი რამ არ შეგამთხვიოს.

- კიდეც რას იტყვი, - ვეუბნები, - მაინც რა ქალია ეს მზრანეხელი და სამიკიტნოს დედოფალი?

- გრძნეული და ჯადოქარი, - მითხრა მან. - შეუძლია ცა დაამხოს, დედამიწა ზე ჩამოჰკიდოს, მდინარეები გააქვას, მთები დაადნოს, მიცვალებულები საფლავიდან ამოიყვანოს, ღმერთები ძირს ჩამოიყვანოს, ვარსკვლავები ჩააქროს, თვით ჯოჯოხეთის უკუნი გაანათოს!

- გეყოფა ერთი შენც, - ვეუბნები მას. - ჩამოუშვი ტრაგიკული ფარდა და დაკეცე თეატრალური თეჯირი, ილაპარაკე უბრალოდ.

- გინდა გაიგო მისი ერთი, ორი ან უთვალავი ოინი? - მეკითხება ის. - მას შეუძლია თავისი თავი შეაყვაროს არათუ ამ ქვეყნის, არამედ ინდოეთისა და ორივე ეთიოპიის მცხოვრებლებს და თვით ანტიქტონებსაც^[4] კი. ეს მისთვის სულ იოლი საქმეა, ზავშეური სათამაშოა, მაგრამ მოისმინე, რა ჩაიდინა მან მრავალთა თვალწინ.

9. თავისი საყვარელი, რომელმაც გაბედა სხვა ქალის შეყვარება, მან ერთადერთი სიტყვის წარმოთქმით თახვად აქცია, რადგან ეს ნადირი ტყვედ ჩავარდნის საშიშროების დროს სასქესო ორგანოებს მოიცილებს და ასე აღწევს თავს მდეგრებს; ქალს იმედი ჰქონდა, რომ მის მოღალატესაც ამის მსგავსი რამ დაემართებოდა. ერთი მეზობელი მიკიტანი, მაშასადამე, თავისი კონკურენტი, ზაყყად აქცია და ახლა ეს მოხუცი, ღვინის კასრში მცურავი, ჩახლექილი, თავაზიანი ყიყინით მთხლედან ეპატივება ძველ მუშტრებს. ერთი მოსამართლე, რომელმაც ამ ქალის საწინააღმდეგოდ ხმა აიმაღლა, ცხვრად აქცია და ახლა ცხვრისებრ არჩევს საქმეებს. კიდეც: მისი ერთ-ერთი საყვარლის ცოლმა, რომელიც ორსულად იყო, იგი ცუდად მოიხსენია. ქალმა მას მუდმივი ორსულობა მიუსაჯა, საშო დაუხშო და ნაყოფი შეუჩერა. უკვე რვა წელია, რაც ეს საცოდავი ისეა მუცლით დამპიმებული, თითქოს სპილო უნდა შობოს.

10. ამ უკანასკნელმა ბოროტებამ და იმ სიავემ, რომელიც მან ბევრს მიაყენა, ბოლოს საერთო აღშფოთება გამოიწვია. ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტეს, სასტიკად ეძიათ შური და ქვით ჩაექოლათ იგი, მაგრამ ეს განსაცდელი მან ჯადოქრობით თავიდან აიცილა. როგორც ავადხსენებულმა მედეამ გამოსთხოვა კრეონტს ერთი დღის ვადა და მთელი მისი ოჯახი, მისი ასული, თვით მოხუციც დაწვა გვირგვინიდან ამოსული ცეცხლის ალით, აგრეთვე ამ ქალმაც ორმოს თავზე შეასრულა დაკრძალვის წესები (როგორც თვითონ მიაზნო ამას წინათ სიმთვრალეში) და ღმერთებზე საიდუმლო ძალდატანების საშუალებით ყველა მცხოვრები თავიანთ საკუთარ სახლებში ჩაკეტა, ისე რომ ორი დღის განმავლობაში ვერ შეძლეს ვერც საკეტების მოხსნა, ვერც კარის ჩამტვრევა, ვერც თვით კედლების გამოზურღვა, ვიდრე ბოლოს არ მოილაპარაკეს და ერთხმად არ შეღადადეს, წმინდათა წმინდად არ შეჰფიცეს ამ ქალს, რომ არათუ ხელს გამოიღებდნენ მის მიმართ, არამედ დაეხმარებოდნენ კიდეც, თუკი ვინმე მის საწინააღმდეგოს განიზრახავდა. ამ აღთქმაზე მოიღო მოწყალება და მთელი ქალაქი გაანთავისუფლა. რაც შეეხება მთელი ამ გეგმის მეთაურს, ქალმა იგი უკუნეთ ღამეში, როგორც იყო ჩაკეტილი მთელი თავისი სახლით, ესე იგი, კედლებით, მთელი სამირკვლით, გადაიტანა ასი ვერსის მანძილზე უწყლო, ციცაბო მთის მწვერვალზე მდგარ ქალაქში. და რადგან მჭიდროდ ჩამწკრივებული სახლების გამო ახლად ჩამოსულისათვის ადგილი აღარ იყო, ქალაქის კარიბჭის წინ დააგდო ჯადოქარმა ეს სახლი და იქაურობას გაეცალა.

11. - საოცარსა და საშინელ ამბებს მიყვები, ჩემო სოკრატე, - ვუთხარი მე. - ბოლოს და ბოლოს ძალზე შემაშფოთე, შემაშინე კიდეც. ახლა დაეჭვებას კი აღარ განვიცდი, არამედ თითქოს დანის ჩაცემას; ვაითუ იმ ბებრუხანამ რომელიმე ღვთაების დახმარებით ჩვენი ლაპარაკი გაიგონოს, საჩქაროდ დავწვეთ და დავიძინოთ, დავისვენოთ და, სანამ ინათებდეს აქედან შორს გადავიკარგოთ!

ასე ველაპარაკებოდი და ვამშვიდებდი. ამასობაში ჩემ კეთილ სოკრატეს ჩაემინა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხვრინავდა. იგი დაღლილიყო, ამასთანავე, მოჰკიდებოდა ღვინოც, რომელსაც უკვე გადასჩვეოდა. მე ჩავკეტე ოთახი, მოვსინჯე ურდულები, ლოგინი მჭიდროდ მივადგი კარს, რათა ჩამეხერგა, და ზედ დავწექი. ჯერ შიშით დიდხანს არ დამეძინა, მერე, შუადამისას, თვალები ცოტა მივლულე.

ის იყო ჩამეძინა, რომ საშინელი ხმაურით (ვერც კი იფიქრებდით, ავაზაკები ხმაურობენო) კარი გაიღო, უფრო სწორად - შემოიმტვრა და ანჯამებიდან ჩამოვარდა. მოკლე და კოჭლოფეხიანი დამპალი საწოლი ასეთი ძლიერი მოწოლით წაიქცა, მე იატაკზე გადმოვგორდი და საწოლქვეშ მოვეყევი.

12. მივხვდი, რომ ზოგიერთ შთაბეჭდილებას ბუნებრივად მოჰყვება ხოლმე საწინააღმდეგო შედეგები. როგორც ხშირად სიხარულისაგან ცრემლი გვდის ხოლმე, აგრეთვე მე, არისტომენედან კუდგადაქცეულმა, ასეთ გაჭირვებაში სიცილისაგან თავი ვედარ შევიკავე. სანამ სიბინძურეში ვგორავდი და ლოგინს ამოფარებული ჩუმად ვუთვალთვალებდი, რა მოხდებოდა, დავინახე ორი ხანში შესული ქალი. ერთს ანთებული ლამპარი მოჰქონდა, მეორეს - ღრუბელი და შიშველი მახვილი. ისინი დადგნენ ტკბილად მძინარე სოკრატე ახლოს. მახვილიანმა დაიწყო:

- აი, დაო პანთია, ეს არის ჩემი ძვირფასი ენდიმიონი^[5], აი ჩემი კატუნი, ჩემი ახალგაზრდობის დღეებითა და ღამეებით რომ სტკებოდა. აი ის, ვისაც ჩემი სიყვარული სძაგდა და არა მარტო ცილისწამებით მცხებდა ჩირქს, არამედ გაქცევაც კი განიზრახა. მე კი, მამასადამე, როგორც ცბიერი ულიქსეს^[6] მიერ მიტოვებულმა კალიფსომ, საუკუნო სიმარტოვე უნდა ვიგლოვო.

შემდეგ მარჯვენა ხელი გაიშვირა და თავის პანთიას ჩემზე მოუთითა და განაგრძო:

- ხოლო ეს მისი კეთილი მრჩეველი არისტომენეა, გაქცევის მეთაური, ახლა რომ ცოცხალ-მკვდარი იატაკზე აგდია ლოგინქვეშ, უყურებს ყველაფერს და ფიქრობს, ჩემთვის მოყენებული შეურაცხყოფისათვის დაუსჯელი დარჩება! მაგრამ ამისთვის მე ვიზრუნებ. სულ მალე, არა? ახლავე და თითქმის ამავე წუთს დაისჯება იგი გუშინდელი ყბედობისა და დღევანდელი ცნობისმოყვარეობისათვის!

13. გავიგონე თუ არა ეს, მე უბედურს ცივმა ოფლმა დამასხა და მთელი შიგნეულობა ისე შემერყა, რომ თვით ლოგინიც კი ასეთი ძლიერი ბიძგებისაგან ჩემს ზურგზე კანკალით აცეკვდა. კეთილი პანთია კი ამბობს:

- დაო, მოდი ჯერ დავფლითოთ ესენი, როგორც ბაკკელმა ქალებმა იციან, ან შევბორკოთ და დავასაჭურისოთ.

ამაზე მეროემ (მე გამოვიცანი მისი სახელი, რადგანაც სწორედ სოკრატეს აღწერილს ჰგავდა) უპასუხა:

- არა, ეს ცოცხალი დავტოვოთ, რათა ამ საცოდავის ცხედარს ერთი მუჭა მიწის მიმყრელი ვინმე დარჩეს.

მან მარჯვნივ მოაბრუნა სოკრატეს თავი, ყელის მარცხენო მხარეს მახვილი ვადამდე ჩასცა და გადმონთხეული სისხლი ისე გულმოდგინედ ჩაასხა ჭრილობასთან მიტანილ პატარა ტიკში, რომ არც ერთი წვეთიც არსად გამოჩენილიყო. ეს ჩემი თვალთ დავინახე. ამასთანავე (მსხვერპლის შეწირვისთვის რომ არაფერი დაეკლოთ) კეთილმა მეროემ ღრმად ჩაუყო მარჯვენა ხელი შიგნეულობამდე ზემოაღნიშნულ ჭრილობაში, იფათურა იქ და ჩემი უბედური ამხანაგის გული ამოიღო. მისი ყელი მახვილმა გააპო, რაღაც ბგერა, ან უკეთ რომ ვთქვათ, გაურკვეველი ხროტინი აღმოხდა და სული განუტევა. პანთიამ ამ გახსნილი ჭრილობის განიერ ადგილას ღრუბელი ჩასტენა და წარმოთქვა:

- აბა, შენ, ზღვაში დაბადებულ ღრუბელო, გემინოდეს მდინარეზე გადასვლისა!

ამის შემდეგ გამოსწიეს ლოგინი, სახეზე გადმომეფაფრნენ და მანამდე შარდეს, სანამ სულ არ გამწუწეს მყრალი შარდით.

14. გავიდნენ თუ არა ოთახიდან, კარმა კვლავ წინანდელი მდგომარეობა მიიღო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ანჯამები ძველებურად ჩაჯდა, ურდულებმა და საკეტებმა თავიანთი ადგილი დაიჭირეს. მე კი, როგორც ვიყავი, იმგვარად დავრჩი იატაკზე გაშლართული, სუნთქვაშეკრული, შიშველი, გაყინული, შარდით გაწუწული, თითქოს დედის მუცლიდან ახლად შობილი, ან, უკეთ რომ ვთქვა, ნახევრად მკვდარი, რომელმაც თავისი თავი მოინელა, როგორც ნაბოლარამ, ან იმ ბოროტმოქმედს ვგავდი, რომლისთვისაც უკვე მზადაა სახრჩობელა.

- ნეტავი რა მომელის, როცა დილით ამ დაკლულს ნახავენ? - წარმოვთქვი მე. - კი ვიტყვი სიმართლეს, მაგრამ ჩემს სიტყვებს ვინ დაიჯერებს? ასე მეტყვიან: საშველად მაინც უნდა დაგეძახა, თუ ჯან-ღონით სავეს მამაკაცს დედაკაცის გამკლავება არ შეგეძლოო. შენ თვალწინ კაცს კლავენ და შენ კი სდუმხარ! რატომ შენც არ დაიღუპე ასეთი თავდასხმის დროს? მძვინვარე სისასტიკემ რად შეიბრალა ბოროტმოქმედების მოწმე და მახეზდარი? თუმცა შენ სიკვდილს დაუძვერი, მაგრამ ახლა ამხანაგს შეუერთდებიო, - თავში სულ ასეთი აზრი მიტრიალებდა. განთიადი კი თანდათან ახლოვდებოდა. ვამჯობინე, გათენებამდე ჩუმად გავპარულიყავი და როგორმე გზა გამეკვლია. ავიღე ჩემი ხალთა, გასაღები ჭუჭრუტანაში მოვარგე, ვცდილობდი ურდულის გადაწევას, მაგრამ ამ კეთილმა და ერთგულმა კარმა, ღამით რომ თავისით იღებოდა, მხოლოდ გასაღებით დიდი წვალებისა და დავიდარაბის შემდეგ გამიხსნა გზა.

15. დავიყვირე:

- ეი, მანდ რომელი ხარ? გამიღე ეზოს კარი: მინდა გათენებამდე გავიდე.

მეკარე, ამ ეზოს ჭიშკრის უკან მიწაზე რომ ეძინა, ძილმღვიძარე მეუბნება:

- ნუთუ არ იცი, რომ გზაზე სიარული ავაზაკების გამო სახიფათოა? როგორ ბედავ ამ ღამით მგზავრობას? თუ იმგვარი ცოდვა გაწევს, რომ სიკვდილი გწადია, ჩვენ თავების ნაცვლად გოგრა როდი გვაბია, რომ შენი გულისთვის დავიხოცოთ!

ვეუბნები:

- დიდი ხანი არ არის გათენებამდე. მერედა რა შეუძლიათ წაართვან ავაზაკებმა ამგვარ ღატაკ მგზავრს? შე ბრიყვო, განა არ იცი, რომ შიშველის გახდას ათი ვაჟკაციც ვერ შეძლებს?

ამაზე იგი, ძილად მიგდებული, მხარს იცვლის და ლულულად მეუბნება:

- მე რა ვიცი, შეიძლება დაკალი შენი ამხანაგი, რომელთანაც ერთად გუშინ ღამის გასათევად მოხვედი, და გაქცევით გინდა თავს უშველო? ამ სიტყვებზე (დღესაც მახსოვს) მომეჩვენა, თითქოს დედამიწამ პირი მიყო და მშიერი ქოფაკი ცერბერი ჩემს გასაგლეჯად მოემზადა. მაშინ მივხვდი, რომ კეთილმა მეროემ სიბრალულის გამო კი არ შემიწყალა და დამტოვა დაუკლავი, არამედ მისმა სიმკაცრემ ჯვარზე საცმელად შეანახვინა ჩემი თავი.

16. ისევ ოთახში დავბრუნდი და ვფიქრობდი, რით უნდა მომეკლა თავი. ვინაიდან ბედმა სხვა არავითარი სასიკვდილო საშუალება არ მარგუნა, გარდა ჩემი ერთადერთი პატარა საწოლისა, დავიწყე:

- ჩემო პაწაწა, პაწაწა, საყვარელო ლოგინო, შენ ჩემთან ერთად ამდენი უბედურება გადაგიტანია, შენ ნამდვილად იცი, რა მოხდა წუხელ, ჩემი უდანაშაულობის მოწმედ შემიძლია სასამართლოში მხოლოდ შენ დაგასახელო. ქვესკნელისაკენ მიმავალს გზა შემიმსუბუქე! - ვთქვი ეს და შემოვგლიჯე მასზე გადაჭიმული თოკი, ავისროლე და მივამაგრე იგი ფანჯრის თავთან წამოწეულ დირეს, თოკს მეორე ბოლოში მაგარი მარყუჟი გავუკეთე, საწოლზე ავედი, წამოვიწიე და თავი შიგ გავეყავი. მაგრამ, როცა საყრდენ წერტილს ფეხი გავკარი, რათა ტანის სიმძიმით მარყუჟი თვით შემომჭეროდა კისერზე და ჩემი სუნთქვა მოესპო, ისედაც დამპალი და ძველი თოკი უეცრად გაწყდა, ზევიდან დავეშვი, ჩემს ახლო მწოლარე სოკრატეს თავზე დავეცი და მასთან ერთად მიწაზე გავვორდი.

17. სწორედ ამ დროს მეკარე შემოვარდა და რაც შეეძლო შემომეყვინა:

- აბა, სადა ხარ? შუადამისას აიხირე წასვლა, ახლა კი გახვეულხარ და ხვრინავ?

მაშინ ჩვენი დაცემისა თუ საშინელი ყვირილისგან გამოღვიძებული სოკრატე ჩემზე უმაღ წამოხტა და წარმოთქვა:

- ტყუილად კი არ ეჯავრებათ მდგმურებს ეს მიკიტნები. ეს არამზადა, ალბათ, საქურდლად შემოძვრა აქ და ღრმად ჩაძინებული თავისი ღრიალით გამომაღვიძა.

მოულოდნელი ბედნიერებისგან გახარებული ხალისიანად და ფხიზლად წამოვხტი.

- აი, ერთგულო მეკარევ, ჩემი ამხანაგი, ჩემი მამა და მმა. შენ კი სიმთვრალეში ლაყობდი, თითქოს ღამით მოვკალი!

ამ სიტყვებით სოკრატეს გადავეხვიე და კოცნა დავუწყე, მაგრამ როგორც კი იგრძნო საზიზღარი სუნი სითხისა, რომლითაც იმ ჯადოქრებმა გამწუწეს, ძალით მომიშორა.

- იქით მომშორდი, - მითხრა მან, - ფეხისადგილის სუნი გიდის!

და დაყვავებით დამიწყო ამ სუნის მიზეზის გამოკითხვა. მე უბედური სახელდახელოდ მოგონილი ოხუნჯობით ვცდილობდი მისი ყურადღება სხვა საგნებზე გადამეტანა, ხელი მოვხვიე და ვუთხარი:

- აბა, წავიდეთ! ჯობს გზას ამ დილის სიგრილეში დავადგეთ.

მერე ავიღე ჩემი ხალთა, მიკიტანს ღამის გასათევი ფული გადავუხადეთ და წავედით.

18. კარგა ხანს ვიარეთ, ამომავალმა მზემ უკვე ყველაფერი გაანათა. ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით ვაკვირდები ჩემი ამხანაგის კისერს იმ ადგილას, სადაც, როგორც დავინახე, მახვილი ჩასცეს. ვიფიქრე,

გამოჩერებული, ისე როგორ დაითვერი, რომ ასეთი რამ მოგელანდა? აი, სოკრატე მთელია, ცოცხალი და უვნებელი. სად არის ჭრილობა? სად არის ღრუბლის ნაჭერი? ბოლოს სად არის ის ღრმა და ახალი ნაჭრილობები? შემდეგ მას მივმართე:

- ტყუილად კი არ მიაწერენ გამოცდილი ექიმები მძიმე და საშინელ სიზმრებს ღორმუცელობასა და ლოთობას. აი, გუშინ ვცლიდი სასმისს სასმისზე, ამიტომაც საშინელი ღამე გავატარე და შემაზრზენი სიზმრები ვნახე, ისე რომ, აქამდე მგონია, თითქოს წაბილწული და გაწუწული ვარ ადამიანის სისხლით-მეთქი.

ამაზე მან ღიმილით დასძინა:

- სისხლით კი არა, შარდით. სხვათა შორის, მეც დამესიზმრა, თითქოს დამკლეს, ყელიც მტკიოდა, ასე მეგონა, გულსაც მაგლეჯდნენ. ახლა კი სული მეხუთება, მუხლთ მეკვეთება და მინდა რაიმე შევჭამო მოსალონიერებლად.

- აი, ესეც, - ვუუბნები, - შენი საუზმე.

ამ სიტყვებით მოვიხსენი ზურგიდან ხალთა და სასწრაფოდ მივაწოდე მას პური და ყველი.

დავსხედით ამ ჭადრის ძირას.

19. დავსხედით და ჭამას შევუდექით. ვუყურებდი, როგორ ხარბად შეექცეოდა იგი და უცებ შევამჩნიე, რომ ყველა მისი ნაკვთი წაიწვეტა, თვითონ მკვდარივით გაფითრდა, გრძნობა დაკარგა, სახე ისე დაეღრიჯა, რომ მომეჩვენა, თითქოს ისევ გვიახლოვდებოდნენ ღამის ალქაჯები, და ჩაკებრილი პურის ლუკმა, მიუხედავად იმისა, რომ პატარა იყო, ყელზე დამადგა: არც ზევით ამოდიოდა და არც ქვევით ჩადიოდა. გამვლელ-გამომვლელებმა იკლეს და ამის გამო შიში კიდევ უფრო მემატებოდა. ვინ დაიჯერებს, რომ ორ მგზავრში ერთის მკვლელობა მეორეს არ ჩაუდენია? ამასობაში კი უზომოდ დანაყრებულ სოკრატეს აუტანელი წყურვილისაგან გული ელეოდა. მან ხომ ნახევარი წველა საუკეთესო ყველი ჩახეთქა. ჭადრის ახლოს დამდგარი ჭაობის მსგავსად ფერთა და ბრწყინვალეობით ვერცხლისა თუ მინის მსგავსი მდორე მდინარე მიედინებოდა.

- აი, - ვუთხარი სოკრატეს, - ანკარა წყალით მოიკალი წყურვილი!

იგი წამოდგა, სწრაფად გამონახა ნაპირზე მოხერხებული ადგილი, დაიჩოქა და წყალს ხარბად დაეწავა. მაგრამ, როგორც კი ტუჩით წყალს შეეხო, იმწამსვე მის კისერზე ჭრილობა ფართოდ გაიხსნა, იქიდან უცრად გადმოვარდა ღრუბელი და რამდენიმე წვეთი სისხლი. მკვდარი სხეული წყალში ჩავარდებოდა, რომ ფეხში ხელი არ წამევლო და გაჭირვებით არ ამომეთრია ნაპირზე, სადაც სასწრაფოდ გამოტირებულ უბედურ თანამგზავრს სამუდამოდ წავაყარე ქვიშიანი მიწა. თვითონ კი თავზარდაცემული და ათრთოლებული ხიფათის თავიდან ასაცილებლად მიხვეულ-მოხვეული და უდაბური გზებით გავრბოდი, თითქოს ეს მკვლელობა მე ჩამედინოს. უარვყავი სამშობლო და მშობლიური კერა, ჩემი თავი თვითონვე განვდევენე, ახლა ხელმეორედ მოვეკიდე ცოლ-შვილს და ეტოლიაში ვცხოვრობ.

20. აი რა მიაშზო არისტომენემ.

მაგრამ მისმა თანამგზავრმა, თავიდანვე რომ არ სჯეროდა ეს ამბავი და მოსმენაც არ ისურვა, წარმოთქვა:

- არაფერია ამ ამბავზე უფრო საარაკო და ამ ჩმახვაზე უფრო სულელური! - შემდეგ მე მომმართა: - ნუთუ შენც, გარეგნობითა და ქცევით განათლებულ კაცს, ასეთი არაკებისა გჯერა?

მე ვუპასუხე:

- ყოველ შემთხვევაში შეუძლებლად არაფერი მიმაჩნია და ჩემი აზრით, მომავლადვი ბედს ვერ გაექცევა. მეც, შენც და ყველას ხშირად შეგვემთხვევა უცნაური და თითქმის არაჩვეულებრივი ამბავი, რომელსაც გამოუცდელი ადამიანი არც კი დაიჯერებს, რომ მოუყვე, მაგრამ, ჰერკულესს გეფიცები, მე ამ კაცისა მჯერა და დიდი მადლობელიც ვარ, რომ გვასიამოვნა, საინტერესო ამბით შეგვიქცია. იოლად და მოუწყენლად გამოვიარე ძნელი, გრძელი გზა. მგონი, ჩემი ცხენიც კი გახარებულია ამგვარი ქველმოქმედებით: მის შეუწუხებლად ქალაქის კარიბჭემდისაც კი მივედი უფრო ჩემი ყურებით, ვიდრე მისი ზურგით.

21. აქ დადგა ჩვენი გზისა და ამბის დასასრულიც, რადგან ჩემმა თანამგზავრებმა მარცხნივ მახლობელი უბნისაკენ შეუხვიეს. მეც ქალაქის კარიბჭიდან მივედი პირველსავე შემხვედრ სასტუმროსთან და შევეკითხე ხანში შესულ დიასახლისს:

- ჰიპატა არ არის ეს ქალაქი?

დამიდასტურა.

- ხომ არ იცნობ მილონს, ერთ პირველ აქაურ კაცთაგანს?

გაიცინა.

- დიახ, მართლაც, ასეა, - მეუბნება იგი, - მილონი პირველ მოქალაქედ ითვლება აქ; მისი სახლი ხომ ქალაქის გალავნის გადაღმა პირველი დგას.

- ხუმრობა გაშვებით, მითხარი, დეიდა, რა კაცია იგი და სად ცხოვრობს?

- ხომ ხედავ, - მითხრა მან, - უკანასკნელ ფანჯრებს, ქალაქისკენ რომ გამოდის, და მეორე მხრივ მოსახვევში შესასვლელს? აი, სწორედ იქ ცხოვრობს მილონი. ფულითაა გატენილი და უზომოდ მდიდარია, მაგრამ წარმოუდგენლად ძუნწი. მას ყველა იცნობს, როგორც უფლიდეს და უბინძურეს ადამიანს. უმთავრესად მევახშეობას ეწევა, ოქროსა და ვერცხლის დაგირავებით დიდ სარგებელს იღებს. მხოლოდ მოგებით არის გატაცებული. სულ გარეთ გამოუსვლელად ცხოვრობს ერთ პატარა სახლში თავის ცოლთან ერთად, რომელიც ქმრის ბედუკუდმართი საქმიანობის თანამონაწილეა. მხოლოდ ერთი მოსამსახურე გოგო ჰყავთ და თვითონ მილონი ყოველთვის მათხოვარივით დადის. ამაზე გამეცინა და ვიფიქრე: - აი როგორი ჩინებული და სახეირო რეკომენდაცია მომცა საგზაოდ ჩემმა დემეასმა. გამგზავნა ისეთ კაცთან, რომლის სტუმართმოყვარე სახლში ადამიანს არ შეაწუხებს არც შემხუთველი კვამლი და არც სამზარეულოს სუნი.

22. სახლი იქვე იდგა. მივუახლოვდი შესასვლელს და მაგრად დაკეტილ კარს ძახილით დავურახუნე. ბოლოს გამოვიდა ვიღაც გოგო.

- ეი, შენ, - მითხრა, - კარს რას ურახუნებ? რა მოიტანე დასაგირავებლად? ნუთუ არ იცი, რომ ვერცხლისა და ოქროს გარდა ჩვენთან არაფერს ღებულობენ?

- დასაგირავებელი? ოჰ, არა, უმჯობესია, უკეთესი რამ მისურვო, - მივუგე მე, - და ჩქარა მითხარი, შინ არის თუ არა შენი ბატონი?

- რა თქმა უნდა შინ არის, - მიპასუხა მან, - რად გჭირდება იგი?

მას კორინთელი დემეასის გამოგზავნილი ბარათი მოვუტანე.

- ახლავე მოვახსენებ, აქ დამიცადეთ, - მიპასუხა. ამ სიტყვებით ისევ ჩაკეტა კარი და შიგნით შევიდა. რამდენიმე წუთში დაბრუნდა, გააღო კარი და მითხრა:

- მობრძანდით, გთხოვენ!

შევედი. ვხედავ, სახლის პატრონი პატარა ტახტზე წამოწოლილა და სადილობას აპირებს. ფეხთან ცოლი უზის. მიმითითა ცარიელ მაგიდაზე და მითხრა:

- გთხოვთ მობრძანდეთ!

- გმადლობთ, - ვუთხარი და დემეასის ბარათი გადავეცი. გადაიკითხა და მომმართა:

- მადლობა ჩემს დემეასს, ასეთი სტუმრის გამოგზავნისათვის!

23. ამ სიტყვებთან ერთად უბრძანა ცოლს, ჩემთვის ადგილი დაეთმო. როდესაც თავმდაბლად უარი ვუთხარი, მან კალთაში ხელი ჩამავლო და მითხრა:

- დაჯექ, აქ სკამები არ არის. ქურდების შიშით არც სხვა ავეჯი შეგვიძლია საჭირო რაოდენობით ვიქონიოთ.

მისი სურვილი შევასრულე. შემდეგ მეუბნება:

- არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ შენ მოხდენილი ქცევის, თავდაჭერილობისა და თითქმის ქალწულებრივი კდემამოსილების მიხედვით კეთილშობილი შთამომავლობისა უნდა იყო. ჩემი დემეასიც თავის წერილში ამასვე იუწყება. გთხოვ, ნუ დაგვძრახავ ჩვენი ქოხმახის სიღარიბისათვის. აი, ეს გვერდის ოთახი შენთვის შესაფერი ბინა იქნება. დიდ პატივს დაგვდებ, თუ ჩვენსა გაჩერდები. ეს შენი პატივისცემა აამაღლებს ჩემს ოჯახს და შენც საშუალება მოგეცემა, მიბაძო კარგ მაგალითს: ღარიბული თავშესაფრით დაკმაყოფილებული სათნოებით დაედარები თეზეოსს, მამაშენის სახელგანთქმულ სეხნიას, რომელმაც არ ითაკილა მოხუცებული ჰეკალეს ხელმოკლე სტუმართმოყვარეობა. შემდეგ დაუძახა მოსამსახურე გოგოს და უთხრა:

- ფოტიდა, ჩაიბარე სტუმრის ნივთები, ფრთხილად დაალაგე იმ ოთახში, შემდეგ საკუჭნაოდან მოიტანე ნელსაცხებელი, პირსახოცი და ყველაფერი, რაც საჭიროა, ჩვენი სტუმარი მიაცილე უახლოეს აბანომდე, - იგი დადლილია ასეთი შორეული და ძნელი მგზავრობისაგან.

24. ამ განკარგულების მოსმენისას, მილონის ხასიათი და სიძუნწე მომაგონდა და მისი გულის მოგების მიზნით ვუთხარი:

- მე ყველაფერი მაქვს, რაც მგზავრს ესაჭიროება, აბანოსაც მშვენივრად მივაგნებ. უფრო მნიშვნელოვანია მშიერი არ დარჩეს ჩემი ცხენი, აგრე ბეჯითად რომ მემსახურებოდა. აი, ფოტიდა, წაიღე ეს ფული და თივა და ქერი უყიდე!

ამის შემდეგ, როცა ნივთები ჩემს ოთახში შეიტანეს, აბანოში წავედი. მაგრამ საკვებისათვის უნდა მეზრუნა და სურსათისათვის ბაზარში შევიარე. დავინახე, რომ დიდძალი თევზი იყო გამოტანილი. შევეკითხე, რა ღირს-მეთქი. ასი ნუმი დამიფასეს. რომ არ დავეთანხმე, მერე ოც დინარად დამითმეს. უკვე წასვლას ვაპირებდი, რომ შევხვდი ჩემს ამხანაგ პითიასს, რომელთანაც ერთად ატიკის ათენში ვსწავლობდი. ჯერ დიდხანს ვერ მიცნო, მერე მომვარდა, გადამეხვია და დამკოცნა.

- ჩემო ლუციუს! - მითხრა მან, - რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, სწორედ იმ დროიდან რაც ჩვენს მასწავლებელ კლიტიუსს დავშორდით. აქ რა გინდა?

- ხვალ გაიგებ, - მივუგე, - მაგრამ ეს რა არის? შეიძლება მოგილოცო? აი, ლიქტორები, წკეპლები და მთელი სამოხელეო მოწყობილობანი!..

- სურსათის საქმე მაბარია, - მიპასუხა, - და ედილის მოვალეობას ვასრულებ. თუ რისამე ყიდვა გსურს, შემიძლია დაგეხმარო.

მე უარი ვუთხარი, რადგან ვახშმისათვის უკვე საკმაოდ მოვიმარაგე თევზი. მიუხედავად ამისა, პითიასი კალათის დანახვისას თევზების გადმოყრას შეუდგა მათ უკეთ დასათვალიერებლად და მკითხა:

- ნეტავი რა მიეცი?

- ძლივს დავიყოლიე მეთევზე და ოც დინარად დამითმო.

25. გაიგონა თუ არა ეს, იმწამსვე ჩამავლო ხელი მარჯვენა მკლავში და ხელახლა მიმიყვანა ბაზარში.

- ვისგან იყიდე ეს ნარჩიელა?

კუთხეში მჯდომ ერთ მოხუცზე მივუთითე. მაშინ პითიასი მივარდა მას და დაუწყო უდიერი სიტყვებით ედილურად გინება.

- აი ასე ეპყრობით თქვენ ჩვენს მეგობრებს, და, საერთოდ, ყველა ჩამოსულს! სამაგელ თევზს ასე ძვირად ყიდით! თქვენ ამ ქალაქს, თესალიის მხარის მშვენებას, სანოვავის სიძვირით უდაბნოსა და კლდეს დაამსგავსებთ! მაგრამ ეს ასე უბრალოდ არ ჩაივლის! შენ გაიგებ, ჩემი უფროსობის დროს როგორ ეპყრობიან ვერაგებს!

კალათიდან თევზები მიწაზე გადმოყარა, უბრძანა თავის თანაშემწეს ფეხით შემდგარიყო და გაეთელა იგი. ამგვარი სისასტიკით დაკმაყოფილებულმა პითიასმა წასვლის ნება დამართო და მითხრა:

- ჩემო ლუციუს, მე მგონია, მოხუცისათვის ასეთი შერცხვენა საკმარისი სასჯელია!

ამ ამბით გაოცებული და გაცბუნებული აბანოებისაკენ წავედი. ჩემი ჭკუითსავსე ამბანაგის გონებამახვილური გამოგონების წყალობით უვახშმოდ და უფულოდ დავრჩი. ტანდაბანილი დავბრუნდი მილონის სახლში და პირდაპირ ჩემს ოთახს მივაშურე.

26. ამ დროს მოსამსახურე ფოტიდამ მითხრა, მასპინძელი გთხოვსო. მილონის სიძუნწის ამბავი რომ ვიცოდი, ზრდილობიანად მოვიბოდიშე, ნამგზავრზე დაღლა უფრო ძილს მოითხოვს, ვიდრე საჭმელს-მეთქი. ასეთი პასუხი რომ მიიღო, მილონი თვით მოვიდა, ხელი მომხვია და ნელ-ნელა წამიყვანა. ხან უარს ვეუბნებოდი, ხან თავმდაბლად ვჯიუტობდი. უშენოდ არ გავალო, მითხრა და თავისი სიტყვები ფიცით დაამოწმა. უხალისოდ დავემორჩილე მის სიჯიუტეს. ხელახლა თავის ტახტისკენ წამიყვანა. დამსვა თუ არა დაიწყო:

- აბა, როგორ ცხოვრობს ჩემი დემეასი? როგორაა მისი ცოლი, შვილები, შინაურები?

სათითაოდ ყველას ამბავი ვუთხარი. შემდეგ მოისურვა, დაწვრილებით გაეგო ჩემი მოგზაურობის მიზანიც. მეც დალაგებით მოვახსენე. ზუსტად გამოძკითხა ჩემი სამშობლო ქალაქის, მისი წარჩინებული მოქალაქეებისა და თვით ქალაქის უფროსის ამბავი. ბოლოს შეამჩნია, რომ მგზავრობით დაღლილმა და ლაპარაკით დაქანცულმა შუა წინადადებაზე ჩავიძინე და სიტყვების ნაცვლად რაღაც გაურკვეველს ვბუტბუტებდი. მან საწოლ ოთახში გამისტუმრა. ასე გავთავისუფლდი სამაგელი მოხუცის ლყბობისაგან, არა საჭმელით, არამედ ძილით დამძიმებული და მარტო არაკებით ნავახშმები. ოთახში დაბრუნებულმა სასურველ მოსვენებას მივეცი თავი.

წიგნი მეორე

1. როგორც კი ღამე გაიბნა და მზემ ახალი დღე აღმოაცენა, ერთბაშად თავი მივანებე ძილსა და ქვეშაგებს. მე, საერთოდ, მოუსვენარი ადამიანი ვარ, ყოველივე იშვიათისა და მშვენიერის მიმართ უზომოდ დახარბებული. ახლა ის რომ წარმოვიდგინე, შუაგულ თესალიაში, მთელ მსოფლიოში მაგზური ხელოვნების სამშობლოდ საყოველთაოდ ცნობილ ამ მხარეში ვიმყოფები-მეთქი და, რადგან ისიც მახსოვს, გულკეთილი თანამგზავრის არისტომენეს ნაამბობი ამ ქალაქის მოხსენიებით რომ იწყებოდა, მოუთმენელი სურვილით აღვზნებული ირგვლივ ყველაფერს ვაკვირდებოდი. ქალაქში ყოველი ნივთის გარეგნობა ჩემში ექვს ბადებდა და არც ერთ მათგანს არ ვთვლიდი იმად, რაც იყო. დამღუპველი შელოცვების წყალობით, ყველაფერი სახეშეცვლილად მეჩვენებოდა. ისე რომ, ქვაც, რომელზედაც ფეხს ვაბიჯებდი, გაქვავებული ადამიანები მეგონა; ფრინველები, რომელთაც ვუსმენდი, - ასეთივე ბუმბულით შემოსილი ადამიანები, ხოლო ქალაქის კედელთა გარშემო აღმართული ხეები - შეფოთილი ადამიანები: ისე მეგონა, თითქოს წყაროს წყალიც კი ადამიანის სხეულიდან ჩქეფდა. უკვე მოველოდი, რომ ქანდაკებები და სურათები სიარულს დაიწყებდნენ, კედლები ამეტყველებოდნენ, ხარები და სხვა საქონელი მისნობას მიჰყოფდნენ ხელს, თვით ზეციდან და დღის მნათობიდან უეცრად წინასწარმეტყველება მოგვესმებოდა.

2. გაოცებული ვაკვირდებოდი ყველაფერს და მტანჯველი ცნობისმოყვარეობის გამო თითქმის გონება მეკარგებოდა, მაგრამ ჩემი მოლოდინის მაღიად განხორციელების არავითარი ნიშანწყალი არ ჩანდა. ბედოვლათივით კარიკარ დავხეტილობდი და ჩემდა უნებურად ბაზარში აღმოვჩნდი. ნაბიჯს ავუჩქარე და აუარებელი მხლებლებით გარშემორტყმულ ვიდაც ქალს დავეწიე. მოოქროვილი სამკაულები და ოქრომკედით ნაკერი ტანსაცმელი მის წარჩინებულებას ამჟღავნებდა. მას გვერდით მიჰყვებოდა საკმაოდ მოხუცებული მამაკაცი, რომელმაც ჩემი დანახვისთანავე წამოიძახა:

- ჰერკულესს გეფიცებით, ეს ლუციუსია! - მაკოცა და მაშინვე ქალს ყურში ჩასჩურჩულა რაღაც, არ ვიცი კი რა. მერე მე მომიბრუნდა:

- რად არ მიუახლოვდები შენს ნათესავ ქალს და არ მიესალმები?

მე ვუთხარი:

- ვერ გავხედავ უცნობი ქალების მისალმებას-მეთქი. - სახელანძღვლმა მაშინვე თავი დავხარე და უკუვდექი. მაგრამ ქალი დამაკვირდა და ასე დაიწყო:

- აი, მართლაც, გამოყოლია დედამისის, სათნო სილვიას, კეთილშობილური თავმდაბლობა, მაგრამ სხვა მხრივაც საოცრად ზუსტად ჰგავს მას: შესაფერისი სიმაღლე, მოხდენილი, არცთუ გამხდარი ტანი, ზომიერი კანის ფერი, ქერა და ბუნებრივად ხუჭუჭი თმა, ცისფერი, მაგრამ არწივისებურად ცოცხალი და მბრწყინავი თვალები, სახე - საიდანაც არ უნდა შეხედო - ახალგაზრდობის ყვავილნარია. რა მომჯადოებელი და თავისუფალი მიმოხვრა აქვს.

3. - მე, ჩემო ლუციუს, - განაგრძო მან, - აი ამ ხელებით გზრდიდი. აბა, ისე როგორ იქნებოდა? მე არათუ დედაშენის ნათესავი ვარ, არამედ ერთი ძუძუც გვიწოვია. ჩვენ ორივე პლუტარქეს^[7] შთამომავალნი ვართ, ერთი ძიძა გვყავდა და დებივით გავიზარდენით; განსხვავება მხოლოდ მდგომარეობაშია: იგი გაჰყვა წარჩინებულ კაცს, მე კი - მდაბიოს. მე ის ბირენა ვარ, რომლის სახელიც

ხშირად გაგეგონება შენი აღმზრდელებისაგან და უთუოდ გემახსოვრება კიდეც. ენდე ჩემს სტუმართმოყვარეობას, ან უფრო სწორად, ჩემი სახლი შენად იგულე.

ამ ლაპარაკის დროს სიწითლემ გადამიარა და ვუპასუხე:

- დეიდა, როდი ივარგებს უმიზეზოდ უარყო მილონის სტუმართმოყვარეობა, მაგრამ თუ მოვიცალე, ხშირად გინახულებ. სხვა დროს კი, რამდენჯერაც უნდა ჩამოვიდე აქ, შენს გარდა არავისთან გავჩერდები-მეთქი. - ასეთი ლაპარაკ-ლაპარაკით რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ბირენას სახლთან გავჩნდით.

4. უმშვენიერესი ატრიუმის^[8] ყოველ კუთხეში იდგა პალმის რტოებიანი ქალღმერთის საუცხოო ქანდაკებებით შემკული სვეტები. ფრთაგაშლილი ქალღმერთები უძრავად იდგნენ: ასე გეგონებოდათ, ისინი ნაზი ტერფებით ოდნავ ეხებოდნენ მერყევ დასაყრდენს - მგორავ ბურთს - მხოლოდ ერთი წუთით შეჩერებულიყვნენ ზედ და უკვე მზად იყვნენ კვლავ ჰაერში ასაფრენად. ოთახის შუაგული ეკავა პაროსის^[9] ქვისაგან გამოკვეთილ დიანას^[10]. იგი საუცხოო ნამუშევარი იყო: მისი სამოსის კალთები ისე ფრიალებდა, თითქოს სწრაფი მოძრაობით ეგებებოდა შემოსულთ და თავისი ღვთაებოვრი სიდიადით მხილველს მოკრძალებას უნერგავდა. ორივე გვერდით ქვისავე ძაღლები ახლდნენ; ისინი საშინლად აბრიალებდნენ თვალებს, ყურები დაეცქვიტათ, ნესტოები დაებერათ და კბილები დაღრჭენილი ჰქონდათ. თუ ახლომახლო ყეფა გაისმოდა, გეგონებოდათ, ეს ყეფა ქვის ხახებიდან ამოდისო. ამ საუცხოო მოქანდაკის ხელოვნება ყველაზე უფრო ის იყო, რომ ძაღლების წინა თათები მკერდიანად ჰაერში იყო აწვდილი და თითქოს ძაღლები გარბოდნენ, ამავე დროს მათი უკანა თათები კი მიწას ეყრდნობოდნენ. ქალღმერთის ზურგს უკან აღმართული იყო გამოქვაბულის მსგავსი კლდე - ხავსით, ბალახით, რტოებით, ზოგან - ვაზით, სხვაგან კი ქვაზე ამოსული ბუჩქებით შემკული. გამოქვაბულში ქანდაკებისგან გართხმულ ჩრდილს მარმარილოს ბრწყინვალეობა ფანტავდა; კლდის ქიმეზე ეკიდა ჩინებულიად გაკეთებული ვაშლი და ყურძენი, რომელთა ცოცხლად გამოსახვით ხელოვნება მეტოქეობას უწევდა ბუნებას. ასე იფიქრებდი: მათი მოწყვეტა შეიძლება, როცა რთველის დროს მათ შემოდგომა სიმწიფისფრად შეაყვითლებსო, თუ დაიხრებოდი ნაკადულთან - ქალღმერთის ფეხთქვეშებიდან რომ მოჩუხჩუხებდა და წკრიალა ჭავლებად იფრქვეოდა, დარწმუნდებოდი, რომ ამ მტევნებს სხვა ზუსტი მსგავსების გარდა მოძრაობის მთრთოლვარე სიცოცხლე ჰქონდათ მინიჭებული, თითქოს ისინი ნამდვილ ვაზეზზე ყოფილიყვნენ ჩამოკიდებულნი. ტოტებს შორის უკვე ნახევრად ირმად ქცეული აქტეონი იყო - ქვისაგან გამოქანდაკებული, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა ქალღმერთს, ელოდა თუ როდის დაიწყებდა დიანა ბანაობას და მისი ანარეკლი გამოქვაბულის მარმარილოშიაც ჩანდა და აუზშიაც.

5. სანამ ყოველივე ამას თვალს ვერ ვაშორებდი და დიდ განცხრომაში ვიყავი, ბირენამ მითხრა:

- რასაც ხედავ, ყველაფერი შენია, - ჩემთან ცალკე მოლაპარაკება მოისურვა და ყველანი დაითხოვა. როდესაც მარტონი დავრჩით, მომმართა: - ეს ქალღმერთია თავდები, ძვირფასო ლუციუს, თუ როგორ ვძრწი და ვშიშობ შენთვის, როგორ მინდა, ღვიძლი შვილივით ხიფათისაგან გიხსნა. უფრთხილდი, ოი, უფრთხილდი შენი მასპინძლის, მილონის ცოლის, პამფილეს ავხელობას და ბოროტმოქმედურ ჯადოს. პირველ კუდიანად და სულების შემლოცველ-გამომძახებლად ის ითვლება. შეულოცავს ჯოხს, კენჭს ან სხვა რაიმე უბრალო საგანს და მთელ ვარსკვლავებიან კამარას ჯოჯოხეთში ჩამხოხს,

სამყაროს საშინელ ქაოსში გარეგნულად. როგორც კი ლამაზი ყმაწვილს დაინახავს, მაშინვე მისი მშვენიერებით იხიბლება, თვალს თვალში გაუყრის, მიიჯაჭვავს, აცთუნებს, გონებას უბნელებს და სამუდამოდ გაუმადლარი სიყვარულით ბოჭავს; თუკი ვინმე წინააღმდეგობას გაუწევს და არად ჩააგდებს, მას მაშინვე გადააქცევს ქვად, პირუტყვად, რომელიმე მხეცად, ან და სრულიად ანადგურებს. აი, რატომ ვკანკალებ შიშით და გირჩევ, ერიდო მას. ავხორცობისათვის მუდამ გული ელევა, შენ კი ასაკითა და სილამაზით მისი შესაფერი ხარ. - ასე აღელვებული მესაუბრებოდა ბირენა.

6. მე კი ისედაც ცნობისმოყვარეობით აღვსილმა როგორც კი გავიგონე დიდი ხნის ნანატრი სიტყვა „მაგიური ხელოვნება“, იმის ნაცვლად, რომ პამფილეს ცბიერებას მოვრიდებოდი, მზად ვიყავი უფსკრულში ჩასავარდნად და მთელი სულითა და გულით ვისწრაფოდი, რაღაც უნდა დამჯდომოდა, მისი მოწაფე გაემხდარიყავი. მოთმინებიდან გამოსულმა თავი დავაღწიე ბირენას ხელებს, როგორც ბორკილებს და საჩქაროდ ვუთხარი, მშვიდობით-მეთქი და მილონის სახლისაკენ მოვკურცხლე. ნაბიჯს ავუჩქარე, როგორც გიჟი ჩემს თავს ვეუბნებოდი: ლუციუს, იმოქმედე, ფხიზლად იყავი, გამაგრდი! აი, მოგეცა სასურველი შემთხვევა: ახლა შეგიძლია გული იჯერო დიდი ხნიდან ნანატრი შესანიშნავი ზღაპრებით! უკუაგდე ბავშვური შიში, საჭიროა გაბედულად იმოქმედო, მაგრამ თავი შეიკავე შენი დიასახლისის ალერსისაგან და წმინდათა წმინდად მიიჩნე პატიოსანი მილონის სარეცელი! მოსამსახურე ქალის - ფოტიდას მიმართ კი განსაკუთრებული ყურადღებით იყავი. იგი ხომ სახითაც მშვენიერია, ყოფაქცევითაც მკვირცხლი და ძალზე ენამახვილიც. გუშინ სადამოს, როცა შენ ძილი მოგერია, როგორი მზრუნველობით შეგიყვანა საწოლ ოთახში, ლოგინში ალერსიანად ჩაგაწვინა, სიყვარულით დაგხურა საბანი, შუბლზე გაკოცა და მთელი მისი გამომეტყველებით დაგანახა, თუ როგორ უხალისოდ გმორდებოდა, ბოლოს რამდენიმე შემობრუნებისა და შემოხედვის შემდეგ წავიდა! რა გაეწყობა, ასე იყოს, დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია, ბედს ფოტიდასთან ვცდი-მეთქი!

7. ასე ვმსჯელობდი და მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე. ამასობაში მილონის კარსაც მივაღწიე. მაგრამ შინ არ დამხვდა არც მილონი და არც მისი მეუღლე. იყო მხოლოდ ჩემი ძვირფასი ფოტიდა. იგი ბატონებს დაკვიპილი ხორციტ გატენილ ძეხვს უმზადებდა და ხორცს პატარა ნაჭრებად... შორიდანვე მეცა ამ კერძის უგემრიელესი სუნი. ფოტიდას ჩაეცვა ტილოს სუფთა ტუნიკა, მკერდის ცოტა ქვემოთ წითლად მოხასხასე ქამარი შემოერთყა. ლამაზი ხელებით ქოთანში შეჭამანდს ურევდა და თან ნაზად ირხეოდა. ეს მისი ნარნარი მოძრაობა ყველა ნაკვთს ედებოდა. თემოები ძლივს შესამჩნევად ირხეოდა, მოქნილი ზურგი ოდნავ იზნიქებოდა და მომხიბვლელად თრთოდა. ამ სანახაობით გაცეცხლილი გავირინდე და გაკვირვებული ვიდექი; აფორიაქდნენ აქამდე მშვიდად მყოფი ჩემი ასოებიც. ბოლოს მივმართე:

- რა მშვენიერად, რა მომხიბვლელად არხევ მაგ ქოთანსა და დუნდულეებს, ჩემო ფოტიდავ! რა თაფლივით საჭმელს ამზადებ! ბედნიერია და სამგზის ნეტარი ის, ვისაც ნებას დართავ, თითოთ მაინც შეეხოს მას!

მაშინ თამამმა და ტურფა გოგონამ მიპასუხა:

- შორს, შორს, საბრალოვ, ჩემი ცეცხლისაგან! ჩემმა მცირედმა ნაპერწკალმაც რომ აგანთოს, სულ დაიფერფლები. მაშინ ჩემს მეტი მაგ შენს ცეცხლს ველარავინ ჩააქრობს. მე ხომ არა მარტო ქოთნების, არამედ სარეცელის ტკბილი რხევაც ვიცი!

8. ეს მითხრა, შემომხედა და გაიცინა. მანამ არ წავედი, სანამ იგი თავიდან ფეხამდე არ შევათვალიერე. თუმცა სხვა რამეებზე რა ვილაპარაკო, როცა ჩემი საზრუნავი მხოლოდ ერთი იყო - სახე და თმა: მათ შევცქეროდი გატაცებით ჯერ ადამიანებთან ყოფნისას და იმით ვტკბებოდი, შემდეგ - ჩემს ოთახში. ჩემი ასეთი არჩევანის მიზეზი ცხადია და გასაგები. სხეულის ეს ნაწილები ხომ ყოველთვის სააშკარაოზეა და ჩვენს მხედველობას პირველად წარუდგება. როგორც დანარჩენ სხეულს მხიარული სახეებით აფერადებული ტანსაცმელი ამშვენებს, ისე თავისათვის თმა - ბუნებრივი სამკაულია. ბოლოს ბევრი ქალი თავისი მშვენიერი აღნაგობის დასამტკიცებლად მთელ ტანსაცმელს იძრობს, ან კაბას მაღლა აიწევს, შიშველი სხეულის სილამაზეს აჩენს და ტანსაცმლის ოქროსებრ ბრწყინვალეობას ვარდისფერ კანს ამჯობინებს. მაგრამ (ეს საშინელი მოსაზრებაა, ღმერთმა დაგვიფაროს მისი განხორციელებისაგან) ყველაზე ულამაზეს ქალებს თავიდან თმა რომ მოვაცილოთ და სახეს ბუნებრივი სიტურფე დაეუკარგოთ, თუნდაც ზეციდან ჩამოსული იყოს, ზღვის ქაფისაგან ნაშობი, ტალღებისაგან ნაზარდი, ასე ვიტყვი, დაე, იყოს იგი თვით ვენერა გრაციათა^[11] გუნდითა და კუპიდონებით გარშემოხვეული, კინამონით^[12] ასურნელებული, ბალზამის მფრქვეველი, მაგრამ თუკი ქაჩალი იქნება, თავის ვულკანსაც^[13] ვერ მოაწონებს თავს.

9. აბა, რაღა უნდა თქვა, როცა თმას საამო ფერი აქვს და ბზინავს ელვარედ გადატყეცილი, თან მზის სხივებზე აფრქვევს ძლიერ ანარეკლს, ან წყნარად ლივლივებს და სახეს იცვლის ნაირფეროვანი მომხიზვლელობით: ხან ოქროსავით აპრიალეებული ნაზ, თაფლისფერ ჩრდილში ინთქმება, ხან ყორნისებური სიშავით მეტოქეობას უწევს მუქი ლაჟვარდისფრად შებუმბულილ მტრედების ყელს? ანდა რას იტყვი, როცა ეს თმა, არაბული ფისით გაჟღენთილი, სავარცხლის თხელი წვეტიანი კბილებით წვრილ კულულებად დაყოფილი და უკან შეკრული, საყვარლის თვალს იზიდავს და სარკის მსგავსად, კიდეც უფრო საამოდ, მისი სახის ანარეკლს იძლევა? რას იტყვი, როცა რამდენიმე ნაწნავად დაწული კეფაზე ზვინივით დგას, ან ფართო ტალღებად გადაშლილი, ზურგს უკან ეცემა? ერთი სიტყვით, თმას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ რაც უნდა ოქროთი და ძვირფასეულობით შემკული კაბა ჩაიცვას ქალმა, რითაც უნდა მოიკაზმოს, თუ თმა ლამაზად დავარცხნილი არა აქვს, მორთულად არ ჩაითვლება.

მაგრამ ჩემი ფოტიდას სიტურფეს ამშვენებდა არა საგანგებოდ დავარცხნილი და ხვეული თმა, არამედ მისი ბუნებრივი უწესრიგობა. მისი უმშვენიერესი, მსუბუქად დაშლილი და დაკიდებული კულულები ორივე მხარეს ბუნებრივი ტალღისმაგვარი ფოჩების მსგავსად ეწყო და, ბოლოებში ოდნავ დახვეული, კეფაზე იყო გამონასკვული.

10. მეტ ხანს ველარ შევძელი ასეთი მწვავე გულისთქმის სატანჯველთა ატანა, ჩავეკონე მას და ის ადგილი, საიდანაც კეფაზე თმა ჰქონდა გადავარცხნილი, უტკბილესი კოცნით აღვუბეჭდე. მაშინ ცოტა განმერიდა, აღმაცერად და ცბიერად შემომხედა და მითხრა:

- ეი, შენ, ძუძუმწოვარავ, მომყავო-ტკბილ კერძს ეტანები! უფრთხილდი, თაფლით გამაძღარმა, ნაღველის სიმწარე დიდი ხნით არ იგემო!

- მერე რა ვუყოთ, - მივუგე, - ჩემო სიხარულო, როცა იქამდე მივედი, რომ შენი ერთი პატარა მაცოცხლებელი კოცნისათვის მზადა ვარ ამ ცეცხლზე გავწვე და დავიფერფლო!

ამ სიტყვებით კიდევ უფრო მაგრად ჩავიკარი და კოცნა დავუწყე. აი, იგი უკვე ვნებით აღზნებული მეჯიბრება და თანაბარი ტრფობით ჩემთან არის შეუღლებული. მისი ღია პირიდან კეთილსურნელოვანი სუნთქვა ამოდის; ენა ენას მიმაკრა ნექტარივით ტკბილი ტრფიალით და უკვე მზად იყო დამორჩილებოდა მოზღვავებულ ვნებას. მე წამოვიძახე:

- ვიღუპები და კიდევაც დავიღუპე, თუ შენ არ შემიბრალე!

მან ისევ მაკოცა და მითხრა:

- დამშვიდდი. მე შენმა სურვილმა ტყვედ მაქცია და ჩვენი ვნების დაგვირგვინებასაც ბევრი აღარ დააყოვნდება. შებინდებისთანავე შენს საწოლ ოთახში მოვალ, ახლა წადი და ძალ-ღონე მოიკრიბე. მე ხომ მთელი ღამის განმავლობაში შენთან სულითა და გულით ვიომეზ.

11. დიდხანს ვსაუბრობდით ასე და ბოლოს ერთიმეორეს დავშორდით. სწორედ შუადღის მოახლოებისას ბირენამ ძღვნად გამომიგზავნა მსუქანი ბურვაკი, ხუთიოდე ქათამი და დიდი დოქით მშვენიერი ძველი ღვინო. დავუძახე ფოტიდას და ვუთხარი:

- აი, ამასთანავე ვენერას საჭურველთმზიდველი და შთამაგონებელი ლიბერიც^[14] მოგვმატა. დღესვე სულ შევსვით ეს ღვინო, რათა მისი მეოხებით გაქრეს შემარცხენელი უძლურება და ჩვენს ვნებას მხიარული ძალა მიეცეს. ვენერას ხომალდზე ხომ მხოლოდ ასეთი საგზალია საჭირო, რათა უძილო ღამისთვის საკმაოდ იყოს ლამპარში ზეთი, ხოლო თასში - ღვინო.

ღღის დანარჩენი დრო აბანოსა და, ბოლოს, ვახშამს მოვანდომე. კეთილმა მილონმა მიმიპატიჟა, მასთან ვივახშმე. ვიგონებდი ბირენას დარიგებას და ვცდილობდი, რაც შეიძლება, იშვიათად მოვხვედროდი თვალში მის მეუღლეს. მის სახეს ისე ვარიდებდი თვალს, როგორც ავერნის^[15] ჯოჯოხეთურ ტბას. მოსამსახურე ფოტიდას კი სულ თვალიყურს ვადევნებდი, ის იყო, ცოტათი გავმხნევდი კიდევ, რომ პამფილემ უცებ ანთებულ ლამპარს შეხედა და წარმოთქვა:

- როგორი კოკისპირული წვიმა იქნება ხვალ!

ქმრის შეკითხვაზე, თუ საიდან იცოდა ეს, უპასუხა, ლამპარმა მიწინასწარმეტყველაო. ამ სიტყვებზე მილონმა ხარხარით თქვა:

- ამ ლამპარში ჩვენ დიდი სიბილა^[16] გვყავს და თავის საყრდენზე შემდგარი თვალიყურს ადევნებს ყველა ზეციურ საქმეს, თვით მზესაც.

12. ლაპარაკში ჩავერიე და ვთქვი:

- სწორედ ესაა წინათგრძნობის პირველი ნიშანი და არაფერია გასაოცარი, რომ ადამიანის ხელით ანთებულ უბრალო სანთელს ახსოვს ის დიდი ზეციური მნათობი, როგორც თავისი მშობელი; ღვთაებრივი წინათგრძნობით აღჭურვილმა თვითონაც იცის და ჩვენც გვაუწყებს, თუ რის მოხდენას აპირებს ეს დიდი ცეცხლი. აი, ახლაც ჩვენში, კორინთოში, სტუმრად იმყოფება ვინმე ქალდეველი და თავისი საოცარი პასუხებით მთელ ქალაქს აგიჟებს. ვინც გასამრჯელოს გადაუხდის, ბედის იდუმალეზას უმჟღავნებს: რა დღეს უფრო საიმედოა ჯვრისწერა, რა დღეს უკეთესია შენობის მტკიცე საძირკვლის ჩაყრა, რა დღეა ვაჭრობისათვის ხელსაყრელი, რომელი დღეა ხმელეთით მოგზაურობისათვის უფრო მოსახერხებელი და რომელი - ცურვისათვის კეთილსასურველი. აი, მეც, როცა ვკითხე, თუ რით დამთავრდებოდა ჩემი მოგზაურობა, მან ბევრი ძალზე საოცარი და ნაირ-ნაირი ამბავი ჩამომითვალა. მითხრა, რომ ბრწყინვალე სახელს მოიხვეჭ, საოცარი და არაჩვეულებრივი რამ გადაგხდება თავს, რაც წიგნებშიც ჩაიწერებაო.

13. ამაზე მილონს გაეცინა და მითხრა:

- როგორია შესახედავად ეს ქალდეველი და რა ჰქვია მას?

- ახმახია და მოშავო, - ვუპასუხე მე, - სახელად დიოფანე ჰქვია.

- ის არის! - წამოიძახა მან, - სწორედ ის! მან ჩვენშიც მრავალს მოზრდილი თანხა გამოართვა და უწინასწარმეტყველა ბევრი რამ, მაგრამ გამდიდრებული უცებ გაუბედურდა, გაღარიბდა და, შეიძლება ითქვას, სრულიადაც განადგურდა.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა უამრავი ხალხით გარშემორტყმული წრეში მდგომთ უწინასწარმეტყველებდა, მასთან მივიდა ერთი ვაჭარი - სახელად კერდონი; მას სურდა გაეგო, თუ რომელი დღე აჯობებდა ხომალდით გასამგზავრებლად. დიოფანემ უკვე დაუსახელა დღე, უკვე ამოიღეს საფულე, ამოყარეს ფული, წინასწარმეტყველებისათვის დათქმული თანხა ასი დინარი - უკვე გადათვალეს, რომ უცებ ხალხში უკანიდან შემოდვრა წარჩინებული ყმაწვილი კაცი, დიოფანეს კალთაში ხელი ჩაჰკიდა, როცა იგი მოზრუნდა, გულში ჩაიკრა და კოცნა დაუწყო. ქალდეველმაც კოცნითვე უპასუხა, მოისვა გვერდით და მოულოდნელი შეხვედრით დარეტიანებულმა დაივიწყა საქმე, რომელსაც აკეთებდა და უთხრა:

- როდის ჩამოხვედი, ჩემო სანატრელო?

მან კი უპასუხა:

- როგორც კი მოსადამოვდა. ახლა კი, ძმობილო, უმჯობესია მიაბმო, როგორ იმოგზაურე ზღვითა და ხმელეთით მას შემდეგ, რაც სასწრაფოდ წამოხვედი კუნძულ ევბეიდან^[17]!?

14. ამაზე დიოფანემ, ამ შესანიშნავმა ქალდეველმა, რომელიც გაოცებისაგან ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, უპასუხა:

- ყველა ჩვენს მტერსა და დუშმანს ვუსურვებდი ასეთ საშინელ, ჭეშმარიტად ულისესებურ^[18] მგზავრობას! ჩვენი ხომალდი, რომლითაც მოვემგზავრებოდით, ქარიშხალმა და გრიგალმა დაფლითა, საუბედუროდ, ორივე საჭე დაგვეკარგა, მოპირდაპირე ნაპირის კლდეს დავეჯახეთ და სწრაფად დავეშვით ფსკერისაკენ. ასე რომ ყველაფერი დავკარგეთ და ძლივს გადავრჩით. რაც შემონახული გვქონდა, უცნობთა ნაჩუქარი, თუ მეგობრების ნაწყალობევი, ყველაფერი ავაზაკების ხელში ჩაცვივდა. ხოლო ჩემს ერთადერთ ძმას, საბრალო არიგნოტეს, ამ თავხედებმა წინააღმდეგობის განზრახვისათვის ჩემ თვალწინ ყელი გამოსჭრეს.

სანამ დიოფანე ამ სამწუხარო ამბავს ყვებოდა, ვაჭარმა კერდონმა წინასწარმეტყველებისათვის გადათვლილი თანხა აკრიფა და სასწრაფოდ გაიქცა. დიოფანე მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს და მიხვდა, თუ როგორი შეცდომა ჩაიდინა თავისი უგუნურობით, როცა დაინახა, რომ ჩვენ ყველამ, გარშემომყოფებმა, ხმამაღალი ხარხარი ავტყებთ.

- მაგრამ, რასაკვირველია, ბატონო ლუციუს, ამ ქალდეველმა მხოლოდ შენ ერთს გითხრა მართალი. ბედნიერი იყავ და შენი გზა მშვიდობიანად წარიმართოს!

15. სანამ მილონი ასე გაუთავებლად ლაყობდა, მე გული გამიწვრილდა, ვბრაზობდი, რომ ჩემი მიზეზით, უადგილოდ გაჭიანურებული უაზრო ლაპარაკით, სადამოს საკმაო დროს და მის საუკეთესო ნაყოფს ვკარგავდი. ბოლოს მორიდებულობა დავძლიე და მილონს ვუთხარი:

- დიოფანე თავის ბედს მივანდოთ, დაე, ისევ აძროს ხალხს ტყავი ზღვასა თუ ხმელეთზე, სადაც სურდეს: მე კი, მართალი რომ ვთქვა, გუშინდელი დადლილობა ჯერაც არ გამქარვებია, ასე რომ ნება მიბოძე ადრიანად დავწვე.

თქმა და შესრულება ერთი იყო. მივალწიე ჩემს ოთახს, იქ ყველაფერი გამზადებული დამხვდა პატარა საამური ლხინისათვის. მსახურებიც, რაც შეიძლება, კარის ზღურბლიდან მოშორებით დაეწვინათ, რათა, როგორც ვფიქრობ, ჩვენი აურზაურის მოწმენი არ გამხდარიყვნენ. ჩემს ლოგინთან მოდგმული იყო ვახშმის საუკეთესო ნარჩენებით გაწყობილი მომცრო მაგიდა და უკვე ღვინით ნახევრად სავსე დიდი თასები ელოდნენ, რომ წყალით შეევსოთ. გვერდით იდგა ღვინის ამოსაღებად მოსახერხებელი ფართოყელიანი ბოთლი, ერთი სიტყვით, სატრფიალო შეტაკებისათვის მოსამზადებელი საუზმე მზად იყო.

16. ჩემმა ფოტიდამ უკვე წაიყვანა თავისი ქალბატონი მოსასვენებლად და ლოგინში ჩაწეწი თუ არა, მხიარულად მომიახლოვდა. თან კალთით ვარდის გვირგვინები და აუარება ვარდი შემოიტანა. მაგრად ჩამოკვნა, პატარა გვირგვინებით დამფარა და ყვავილები დამაყარა; თასს ხელი წამოავლო, ჩაუმატა თბილი წყალი და დასალევად გამომიწოდა, მაგრამ, სანამ სულ დავცლიდი, ნაზად უკანვე წაიღო, ჩემთვის თვალის მოუშორებლად ტუჩებით ნელ-ნელა წრუპავდა და ყლუპ-ყლუპად ტკბილად დაცალა. ამ სასმისს მეორე და მესამე მოჰყვა, თასი ხელიდან ხელში გადადიოდა. ღვინითა და მღელვარებით აღზნებული ავხორცობისათვის გამზადებულ სხეულშიაც კი წვასა და ნდომას ვგრძნობდი. ბოლოს გადავიხსენი ტანსაცმელი, რათა მეჩვენებინა ჩემი ფოტიდასათვის, თუ როგორ მწყუროდა სიყვარული, და ვუთხარი:

- შემიბრალე, მალე მომეშველე! ხომ ხედავ, რა ფიცხლად მოვემზადე გაუფრთხილებელი ბრძოლისათვის. როგორც კი შიგ გულში მომხვდა კუპიდონის ისარი, ჩემი მშვილდიც ისე მაგრად მოვზიდე, რომ მეშინია მეტისმეტი დაჭიმვისაგან ლამზი არ გაწყდეს. მაგრამ თუ გინდა მამო, ეგ დალალები დაიშალე და ტკბილი ალერსი შენი თმის ლივლივს ტალღების საბურველქვეშ მაგემე.

17. დაუყოვნებლივ, სწრაფად მიაღაგა ჭურჭელი, ტანსაცმელი სულ გაიძრო, თმა დაიშალა, მეტად მიმზიდველი გახდა, ზღვის ტალღებში შემავალ ვენერას დაემსგავსა და სუფთად გაპარსულ საქალო ადგილზე პაწაწა ხელი დაიფარა, იმ ადგილის მორცხვად დასაფარავად კი არა, არამედ უფრო იმიტომ, რომ საგანგებოდ გამოეჩინა იგი და მომმართა:

- აბა, დავიწყეთ ბრძოლა! სასტიკი ბრძოლა! მე შენ როდი გაგექცევი და ზურგს გიჩვენებ! თუ ვაჟკაცი ხარ, მეკვეთე, ფიცხლად შემები და მზად იყავი სიკვდილისათვის. დღევანდელი ბრძოლა უმოწყალო იქნება!..

ამგვარ და ამის მსგავს შეტევებში გავატარეთ მთელი ღამე. ძალ-ღონეს დროგამოშვებით ღვინით ვიკრებდით. ვალვიძებდით ნდომა-სურვილს და ხელახლა ვეძლეოდით ავხორცობას. ამ მაგალითს მივუმატეთ კიდევ სხვა მსგავსი, მრავალი.

18. როგორღაც მოხდა, რომ ბირენამ დაჟინებით მთხოვა მასთან მცირე მეგობრულ ვახშამზე მივსულიყავი. დიდხანს უარზე ვიყავი. მაგრამ არაფერი გამივიდა. მაშასადამე, უნდა მიმემართა ფოტიდასათვის და მისთვის, როგორც ქურუმისათვის, რჩევა მეკითხა. თუმცა მისთვის ძნელი ასატანი იყო, თუნდაც

ერთი ნაბიჯით მოვშორებოდი, მაგრამ მაინც თავაზიანად ინება ზავის ჩამოგდება ტრფიალების საბრძოლო მოქმედებაში. თანაც დამარიგა:

- ეცადე ადრიანად წამოხვიდე ვახშმიდან. ჩვენში დადის უწარჩინებულეს ყმაწვილკაცთაგან შემდგარი თავზეხელაღებულ ავაზაკთა ბრბო, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ მყუდროებას. ხშირად შუაგულ ქუჩაში მოკლულთა გვამები ყრია. მთავრობის ჯარი კი შორს არის და არ შეუძლია იხსნას ქალაქი ასეთი უბედურებისაგან. ბედს უხვად დაუჯილდოებიხარ თავისი წყალობით; როგორც უცხო ადამიანს, თავაზიანობას არ დაგიწყებენ და უთუოდ ხაფანგში გაეხმები.

- დამშვიდდი, ჩემო ფოტიდა, - ვუპასუხე მე, - გარდა იმისა, რომ ჩვენი განცხრომა ჩემთვის სხვის ვახშამზე უფრო ძვირფასია, მე მაინც შენ დასამშვიდებლად ადრიანად დავბრუნდები. ნაცად მახვილს შემოვირტყამ და ჩემი უშიშროების თავდებს თან წავიღებ.

ამგვარად აღჭურვილი წავედი ვახშამზე.

19. იქ დამხდურთა უმრავლესობა, როგორც წარჩინებულ ქალს შეეფერება, ქალაქის რჩეული საზოგადოება იყო. ბრწყინავდნენ თუიის^[19] ხისა და სპილოს ძვლის საუცხოო მაგიდები. საწოლები ოქროს ქსოვილებით იყო დაფენილი; იქვე იდგა მოყვანილობითა და სილამაზით ნაირ-ნაირი, თუმცა ყველა ერთნაირად ძვირფასი დიდრონი თასები. აქ ოსტატურად თლილი მინა, იქ წმინდა ბროლი, ერთ ადგილას ელვარე ვერცხლი, მეორე ადგილას ბრწყინვალე ოქრო, საუცხოოდ გამოხვეწილი ქარვა და სასმისებად მოსახერხებელი ძვირფასი ქვები; რა გინდა, სულო და გულო, აქ რომ არ იყო - არარსებულიც კი, მდიდრულად მორთულ მრავალრიცხოვან მეტაბლებს სწრაფად შემოჰქონდათ პირთამდე აღვსილი სინები, ხოლო ლამაზ ხალათებში მორთულ თმახუჭუჭა ბიჭებს თვალ-მარგალიტით მოჭედილი თასებით ძველისძველი ღვინოები. აი, უკვე გამოიტანეს სანათურები, სუფრაზე საუბარი გამოცოცხლდა, უკვე გაისმა სიცილიც და აქა-იქ სალაღობო სიტყვები და ხუმრობანი.

ბირენამ მომმართა:

- ხომ კარგად გრძნობ თავს ჩვენს მშობლიურ მხარეში? რამდენადაც ვიცი, ტაძრებით, აბანოებითა და სხვა შენობებით ბევრად ვჯობნით სხვა ქალაქებს; გარდა ამისა, არ განვიცდით აუცილებელი საგნების ნაკლოვანებას. ვინც არ უნდა ჩამოვიდეს ჩვენში, უსაქმური თუ საქმიანი, ყველა იპოვის, რასაც ეძებს არა ნაკლებად, ვიდრე რომში. თავმდაბალი სტუმარი კი სოფლურ მყუდროებას მოიპოვებს. ერთი სიტყვით, ჩვენ ვართ თავშესაფარი პროვინციის ყველა სიამოვნების მამიებლისათვის.

20. მე ასე ვუპასუხე:

- მართალსა ბრძანებ, არც ერთ სხვა ქვეყანაში ისე თავისუფლად არ მიგრძენია თავი, როგორც აქ. მაგრამ თქვენს ქალაქში მეშინია მაგიური მეცნიერების საიდუმლო ბუნაგისა, რომელსაც ვერ ასცდება კაცი. ამბობენ, თვით საფლავებშიც კი მიცვალებულებსაც არ ტოვებენ ხელუხლებლად და კოცონებიდან და აკლდამებიდან მცხოვრებთა დასაღუპავად ცხედრის ნაშთებს იღებენო. ბებერი ჯადოქრები თვით დამარხვის წესის შესრულების დროსაც კი მტაცებელი ფრინველის სისწრაფით ასწრებენ წინასწარ იმის განჭკრეტას, თუ სადაა მოსალოდნელი ახალი დასაფლავება.

საუბარში ერთი დამსწრეთაგანი ჩაერთა:

- აქ ცოცხლებსაც აღარ ინდობენ. არის ერთი კაცი, რომელსაც მსგავსი რამ შეემთხვა და მთელი სახე ისე საშინლად დაუმახინჯეს, რომ ვეღარც კი იცნობთ.

აქ მთელ საზოგადოებას თავშეუკავებელი ხარხარი აუვარდა. ყველამ კუთხეში წამოწოლილი კაცისკენ მოიხედა. სტუმარმა რომ შენიშნა უტიფრად მისჩერებოდნენ და აკვირდებოდნენ, აღშფოთდა, ზიზღით რაღაც წაილულლულა და წამოდგომა დააპირა. ბირენამ უთხრა:

- კარგი, ჩემო ტელეფრონ, დარჩი ცოტა ხანს. კეთილი ინებე და მოგვიყევი შენი ამბავი, რათა ჩემი ვაჟი, აი ეს ლუციუსი, შენი ტკბილმოუბრობით დატკბეს.

მან უპასუხა:

- შენ, ქალბატონო, როგორც ყოველთვის გულკეთილობას იჩენ, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა თავხედობა აუტანელია!

ასე აღშფოთდა იგი. მაგრამ ბირენამ თავი დააფიცა, ჯიუტობით მიზანს მიაღწია, ძალა დაატანა და აამბობინა.

21. მაშინ ტელეფრონმა საბნებით ადგილი აამალლა, საწოლზე წამოიწია, ნიდაყვს დაეყრდნო, მარჯვენა ხელი გაშალა, ორატორივით მოკაკვა ნეკი და არათითი, სხვა ორი თითი წინ გაიშვირა, თითქოს ვინმეს ემუქრებოდა, ისე დასწია ძირს ცერი და არხეინად დაიწყო:

- ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ვიყავი, როცა მილეტიდან ოლიმპიურ ასპარეზობაზე გავემგზავრე, რადგან სახელგანთქმული პროვინციის ეს ადგილებიც მინდოდა მენახა. მთელი თრავია გავიარე და ლარისაში^[20] უბედურ ფეხზე ჩავედი, სამგზავრო ფული შემომეხარჯა, ქალაქში ვხეტიალობდი და ვფიქრობდი, თუ როგორ დამეღწია თავი სილატაკისათვის. უცებ შუა მოედანზე ერთი მაღალ-მაღალი მოხუცი დავინახე. იგი ქვაზე იდგა და ხმამაღლა მოუწოდებდა მიცვალებულისათვის ყარაულობის მსურველთ ფასზე მორიგებოდნენ. ერთ გამვლელს შევეკითხე:

- ეს რა მესმის? ნუთუ აქ მიცვალებულებს ჩვეულებადა აქვთ გაქცევა?

მან მიპასუხა:

- გაჩუმდი, შენ ძლიერ ახალგაზრდა ხარ, თან უცხო კაციც, და გასაგებია, რატომ არ გესმის, რომ იმყოფები თესალიაში, სადაც კუდიანი ქალები ხშირად ღრღნიან მიცვალებულთა სახის ნაკვთებს, რადგან ის შეადგენს აუცილებელ მასალას მათი ხელობისათვის.

22. - ღვთის გულისათვის, - განვაგრძე მე. - მითხარი, რა ევალება მიცვალებულის ყარაულს?

მიპასუხა:

- უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მთელ ღამეს ფხიზლად იყო, გვერდზე არ მიიხედო, მიცვალებულსაც თვალი არ მოაშორო. ეს სამაგელი კუდიანები სახეს იცვლიან, სხვადასხვა ცხოველს ემსგავსებიან და ცდილობენ ფარულად შინ შეძრომას; ასე რომ თვით მზესაც, თვით სამართლიანობის თვალსაც ადვილად მოატყუებენ; ისინი ხან ფრინველებად, ხან ძაღლებად, ხან თავგვებად და ხან ბუზადაც კი იქცევიან ხოლმე. ბოროტი შელოცვებისაგან ყარაულებს ძილი მოერევათ. ჩამოთვლაც კი არავის შეუძლია, რა ხერხებს მიმართავენ ეს უბოროტესი ქალები თავისი ავხორცობისათვის. ასეთი საშიში და ძნელი სამუშაოსათვის გასამრჯელო ჩვეულებრივად ოთხ-ექვს ოქროს არ აღემატება. და აი, კიდევ რა, კინაღამ დამავიწყდა. თუ დილით სხეული მთელად ჭირისუფალს არ ჩაბარდა, ყველა ის ნაკვთი, რომელიც მთლიანად ან

ნაწილობრივ დააკლდება მიცვალებულს, ყარაული ვალდებულია საკუთარი სახიდან მოიჭრას და შეუვსოს.

23. გავიგე თუ არა ეს, ძალ-ღონე მოვიკრიბე, მივედი მოქადაგესთან და ვუთხარი:

- გეყოფა ქაქანი! ყარაულიც აქა ვარ. ვნახოთ, რას მომცემ!

- ათასი ნუმი^[21] გერგება, - მიპასუხა, - მაგრამ გამიგონე, ყმაწვილო, ესაა ერთი წარჩინებული. მოქალაქის ვაჟის სხეული და ბოროტი ჰარპიებისაგან^[22] ღირსეულად უნდა დაიცვა.

- არაფერია, - მივუგე მე, - ხომ სულ უბრალო რამეს და წმინდა სისულელეს მიმარტავ. შენ წინ დგას რკინის კაცი, რომელიც უფრო ფხიზელია, ვიდრე ლინკევის^[23] ან არგუსის^[24]. ერთი სიტყვით, ცარიელი თვალებია-მეთქი.

ამის დამთავრებაც ვერ მოვასწარი, რომ მან ერთ სახლთან მიმიყვანა. კარი დაკეტილი იყო და რომელიღაც პატარა შესასვლელით შემიყვანა. შეაღო კარი ერთ ბნელ, ფანჯრებდახურულ ოთახში, მიჩვენა დამწუხრებული მატრონა, მივიდა მასთან და უთხრა:

- აი, მოვიდა კაცი, რომელსაც არ შეეშინდა შენ ქმარს ყარაულად დაქირავებოდა.

ქალმა ორსავე მხარეს ჩამოცვენილი თმა უკან გადაიყარა, მშვენიერი სახე გამოუჩნდა, თვალებში შემომხედა და მითხრა:

- გთხოვ, ეცადო, რაც შეიძლება ფხიზელად შეასრულო შენი მოვალეობა!

- ფიქრი ნუ გაქვს, - ვუპასუხე, - შენ მხოლოდ შესაფერისი გასამრჯელო მოამზადე-მეთქი.

24. ჩემი პასუხი მოეწონა, ადგა და მეორე ოთახში გამიყვანა. იქ შემოიყვანა ვიღაც შვიდი მოწმე, მიცვალებულის გვამს ხელით ახადა ბრწყინვალე საფარველი, დიდხანს იტირა, მოუწოდა დამსწრეებს სინდისიერნი ყოფილიყვნენ და გულმოდგინედ ნაწილ-ნაწილ დაიწყო სხეულის ნაკვთების ჩამოთვლა. ვიღაცას მისი სიტყვები საგულდაგულოდ დაფაზე გადაჰქონდა. ქალი ამბობდა:

- აი, ცხვირი მთელია, თვალები ხელუხლებელი, ყურები მთელი, ტუჩები შეუხებელი, ნიკაპი კარგად შენახული. თქვენ, პატიოსანო კვირიტებო^[25], ყველანი ამის მოწამენი ხართ. ამ სიტყვების შემდეგ დაფაზე ბეჭედი დაასვეს და გასასვლელისაკენ გაემართნენ.

მე ვუთხარი:

- უბრძანე, ქალბატონო, ყველაფერი დამიმზადონ, რაც ჩემი საქმისთვის საჭიროა.

- სახელდობრ რა? - შემეკითხა ის.

- ლამპარი, - მივუგე, - რაც შეიძლება მეტი ზეთით, რათა სინათლე გათენებამდე მეყოს, თბილი წყალი, ერთი დოქი ღვინო, სასმისი და ლანგარი ვახშმის ნარჩენით.

მან თავი გააქნია და მიპასუხა:

- ხომ არ გაგიჟებულხარ?! სახლში, სადაც გლოვაა, ვახშმის ნარჩენებს ეძებ, როცა ჩვენს სამზარეულოში ცეცხლიც კი არ დანთებულია! შენ გგონია აქ საქეიფოდ ხარ მოსული? გერჩია საერთო მწუხარება და ცრემლი გაგეზიარებინა!

- თქვა ეს, მიუბრუნდა მსახურ ქალს და უთხრა: - მირინა, ახლავე მოიტანე ლამპარი და ზეთი, შემდეგ ჩაკეტე ყარაული საწოლ ოთახში და დაუყოვნებლივ უკანვე გაბრუნდი.

25. ამგვარად, გვამთან მიტოვებული, ძილის გასაფრთხოვად თვალებს ვისრესდი, გასამხნეველად ვლილინებდი. ამასობაში ბინდი ჩამოწვა, ღამდებოდა, ბოლოს სულ დაბნელდა; მე კი შიში მემატებოდა. უცებ, ერთბაშად, შემოდგრა სინდიოფალა, დამიცუცქდა წინ და ისე შეუპოვრად მიყურებდა, რომ შემაშფოთა ამ პატარა მხეცის უტიფრობამ. დავუყვირე:

- დაიკარგე აქედან, საზიზღარო ქმნილება! წაეთრიე თავგებთან, ისინი არიან შენი ტოლები! აქედან დაიკარგე-მეთქი!

გაბრუნდა და იმ წუთშივე ოთახიდან გაქრა, მაგრამ ღრმა ძილმა მაშინვე ისე ჩამძირა უფსკრულის ფსკერზე, რომ თვით დელფელი ღმერთიც^[26] ძლივს გაარჩევდა იქ მდებარე ორი სხეულიდან რომელი ჩვეთაგანი იყო უსულო. იმდენად აღარაფერს ვგრძნობდი, თვით მე მჭირდებოდა ყარაული, თითქოს, ცოცხლებში არ ვერეო და იმ ოთახში არც კი ვიყავი.

26. მამლების გუნდის გამაყრუებელმა ყივილმა მაუწყა, რომ ღამე მიწურულიყო. ძლივს გამოვიღვიძე, მივირბინე გვამთან, ღამპარი მივიტანე, საფარველი ავწიე და ვაკვირდებოდი მის ყოველ ნაკვთს - ყველაფერი წინანდებურად ადგილზე ჰქონდა. აი, საბრალო, თვალცრემლიანი მეუღლეც, გუშინდელი მოწმეების თანხლებით შემოვიდა და უმაღლეს ქმრის სხეულს მივარდა. დიდხანს კოცნა, შემდეგ დაანათა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. შემობრუნდა, დაუმახა თავის მოურავს ფილოდესპოტს და უბრძანა, რათა ერთგული ყარაულისათვის დაუყოვნებლივ გასამრჯელო მიეცათ. ფული მაშინვე მოიტანეს და ქალმა დაურთო:

- შენი დიდი მადლობელი ვართ, ყმაწვილო, და ჰერკულესს გეფიცები, ასეთი კეთილი სამსახურისათვის ამ წუთიდან ჩვენი ოჯახის წევრად ჩაგთვლით.

ამაზე მე, მოულოდნელი შეძენით გახარებულმა და გაგიჟებულმა მბრწყინავი ოქროებით, რომელთაც ხელში ვაჩხრიალებდი, ვუთხარი:

- უფრო მეტიც, ქალბატონო! შენ მოსამსახურედ მიგულვე და, რამდენჯერაც დაგჭირდეს ჩემი სამსახური, თამამად მიბრძანე.

ვთქვი თუ არა ეს, მაშინვე, ასეთი ავის მომასწავებელი წინადადებით აღშფოთებული შინაყმები წამომესივნენ და მცემდნენ როგორც შეეძლოთ: ვინ კბილებში მითავაზა მუშტი, ვინ ნიდაყვებით მხრები დამიბეგვა, ვინ გვერდებში მუჯლუგუნი წამკრა, ქუსლებით მთელეს, თმით მათრიეს, ტანსაცმელი შემომავლიჯეს. დახეული და დაფლეთილი აონიელი ამაყი ყმაწვილისა თუ გრძნეული პიპლელი მომღერალივით^[27] სახლიდან გამომავდეს.

27. მახლობელ ქუჩაზე გონს მოვედი, გვიან მივხვდი წინდაუხედაობასა და ჩემი სიტყვების უკეთურ აზრს. ვადიარებ, კანონით მეტი ცემა-ტყეპის ღირსი ვიყავი. უკვე მიცვალებული დაიტირეს და, ვინაიდან არისტოკრატს ასაფლავებდნენ, უძველესი წესების მიხედვით, საზოგადოებრივი ხარჯით მოწყობილმა სამგლოვიარო პროცესიამ ფორუმზე გაიარა. იქ მოირბინა ერთმა თალხებიანმა, თვალცრემლიანმა მოხუცმა კაცმა; ხშირ ჭადარას იგლეჯდა, ორივე ხელით კუბოს შემოეხვია და მწარე მოთქმით იძახოდა:

- პატიოსნებას გაფიცებთ და ყველაფერს, რაც თქვენთვის ძვირფასია, კვირიტებო, გამოექომაგეთ მოკლულ მოქალაქეს. ამ ავ, უწმინდურ დედაკაცს საშინელი ბოროტებისათვის მკაცრად მიუზღუდეთ სამაგიერო. სხვამ კი არა, სწორედ ამან მოწამლა საბრალო ყმაწვილი, ჩემი დისწული, რათა საყვარლის გული მოეგო და მთელი სიმდიდრე ავაზაკურად ხელში ჩაეგდო.

ასე შესჩიოდა მოხუცი ხან ერთს, ხან მეორეს და გულსაკლავად მოთქვამდა. ხალხში ჩოჩქოლი ატყდა და წამოყენებული ბრალდება დაიჯერეს. გაისმოდა ხმები: დაწვით იგიო! ვინ ქვას ავლებდა ხელს, ვინ ძაღლს უსევდა ქალს დასაგლეჯად. იგი კი, თვალის ასახვევად ფარისველურ ცრემლს ღვრიდა, ცის ყველა ბინადარს მოწმედ უხმობდა და ბრალდებას უარყოფდა.

28. ბოლოს მოხუცმა წარმოთქვა:

- ღვთაებრივ განგებას მივანდოთ და მან გადაწყვიტოს, სად არის სიმართლე. აქ იმყოფება ეგვიპტის ერთი საუკეთესო წინასწარმეტყველთაგანი - ზაქთალასი, რომელსაც დიდი ხანია მოზრდილი თანხით შევუთანხმდი, რათა დროებით გამოიძახოს სული ქვესკნელიდან და სხეულს სიცოცხლე დაუბრუნოს. - ეს თქვა და ვიღაც სელის ტანსაცმელიანი, პალმის ფოსტლებიანი, თავგადახოტრილი ჭაბუკი გამოიყვანა. დიდხანს ეამბორა ხელებზე, მუხლებზეც კი ემთხვია და უთხრა: - შეგვიბრალე, ღვთის მსახურო, შეგვიწყალე ციურ მნათობთა გულისათვის, ქვესკნელთა ღმერთთათვის, ბუნების სტიქიონთათვის, ღამის მყუდროებისათვის, კოპტური ტაძრებისა, ნილოსის წყალდიდობისა, მემფისის^[28] საიდუმლოებათა და ფაროსულ^[29] საკრავთა გულისათვის! მიეცი საშუალება ცოტა ხნით ისარგებლოს მზის ბრწყინვალეობით და საუკუნოდ დახუჭულ თვალებში ცოტა სინათლე ჩაუდგის! არ ვეცილებით, არ ვედავებით მიწას მისი კუთვნილების წასართმევად, მაგრამ შურისძიებით რომ გული ვიჯეროთ, გთხოვთ მცირე ხნით მაინც სიცოცხლე დაუბრუნო.

ასეთი ვედრებით გულაჩუყებულმა წინასწარმეტყველმა მიცვალებულს რაღაც ერთი ბალახი ბაგეზე დაადო და მეორე - გულზე. შემდეგ აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი, ჩუმად დაუწყო ვედრება ჰორიზონტიდან ამომავალ ღვთაებრივ მზეს; ამ სცენის დროს მთელი თავისი შესახედაობით უღრმესი მოკრძალების ღირსი გახდა და დამსწრეთა ყურადღება სასწაულისათვის შესანიშნავად მოამზადა.

29. მე ხალხში გავერიე, კუბოს უკან მაღალ ქვაზე შევდექი და ყველაფერს ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი. აი, უკვე მაღლა აიწია მიცვალებულის მკერდი, ვენებმა შვებით იწყეს ფეთქვა, სხეულს უკვე სული ჩაედგა; მიცვალებული წამოდგა და ყმაწვილმა დაილაპარაკა:

- მითხარით, რისთვის მაბრუნებთ წუთისოფლისაკენ, მე, რომელმაც უკვე ლეთეს^[30] ფიალა ვიგემე და სტიქსის^[31] ჭაობებში მივცურავდი? დამანებე თავი, გევედრები, დამანებე და ჩემი სამშვიდობო გზით გამიშვი!

აი, რა თქვა სხეულიდან ამოსულმა ხმამ, მაგრამ წინასწარმეტყველმა კიდევ უფრო მხურვალედ მიმართა:

- რად არ უამბობ ხალხს ყველაფერს დაწვრილებით, რად არ ამჟღავნებ შენი სიკვდილის საიდუმლოებას? განა არ იცი, რომ გრძნეულებით შემიდლია ალქაჯები გამოვიძახო და შენი დაღლილი სხეული სატანჯველად მივუგდო?

მან ეს მოისმინა და ხალხს ასე აუწყა:

- ახალგაზრდა ცოლის ჯადოქრობამ გამამწარა, შხამი მასვა და ჯერ კიდევ გაუცივებელი საქორწინო სარეცელი მრუშს დავუთმე.

მაშინ ეს ძვირფასი ცოლი აშკარად გათავხედდა, ბილწი განზრახვით ქმრის ნათქვამის უარყოფა დაიწყო, ხალხში ალიაქოთი ატყდა და აზრები გაიყო: ერთნი მოითხოვდნენ, რომ ეს მუხანათი დედაკაცი თავის ქმართან ერთად ამ წუთშივე ცოცხლად დაემარხათ, მეორენი ამბობდნენ, ცხედრის ცრუ სიტყვას არ დაეჯერებო.

30. ყმას უფრო ღრმა ოხვრა აღმოხდა და კამათი შეწყვეტილ იქნა მისი შემდეგი სიტყვებით:

- გიჩვენებთ, გიჩვენებთ ნამდვილ მოწმეს: დაგანახვებთ სინამდვილეს, რომელიც ჩემ გარდა არავინ იცის. - და მე მომათითა. - ეს ფხიზელი ყარაული ჩემს სხეულთან მტკიცედ იდგა სადარაჯოზე; ჩემი გახრწნილი ხორცის კანზე მონადირე ბებერმა კუდიანებმა, სახეს რომ სხვადასხვანაირად იცვლიდნენ, ოსტატური ეშმაკობით ამის მოტყუება ვერ შეძლეს, ბოლოს ძილის ბურუსში ღრმად გახვიეს, ჩააძინეს და მანამდე არ შეუწყვეტიათ ჩემი გამოძახება, სახელით, სანამ გაყინულმა ძარღვებმა და გაცივებული სხეულის ნაწილებმა არ მოინდომეს ნელი მოძრაობით ეპასუხნათ მაგიური ხელოვნების ბრძანებაზე. ეს კაცი, ნამდვილად ცოცხალი და მკვდარივით ჩაძინებული, თავის სახელის გაგონებაზე წამოდგა, რადგან ჩვენ ორივეს ერთი სახელი გვქვია, და ნებაყოფლობით უსიცოცხლო აჩრდილივით წინ წავიდა; თუმცა ოთახის კარი მაგრად იყო ჩაკეტილი, მაგრამ მაინც გამოინახა ჭუჭრუტანა, რომლიდანაც ჯერ ცხვირი მოჭრეს, მერე ორივე ყური. ასე რომ, ჩემ მაგიერ იგი დასახიჩრდა. თავისი ნამოქმედარის დასამალავად მატყუარებმა სანთლისაგან გაკეთებული, სწორედ მისი საკუთარი მოჭრილის მსგავსი, ყურები და ცხვირი მიადგეს. აი, თქვენს წინაშეა ეს უბედური, რომელმაც გასამრჯელო მიიღო არა თავისი შრომისათვის, არამედ დასახიჩრებისათვის.

ამ სიტყვებმა შემაშინა და ჩემი ნაკვთების მოსინჯვა დავიწყე. მოვავლე ცხვირს ხელი - მომძვრა, ყურებზე გადავისვი - ხელში შემრჩა. როცა ყოველმა დამსწრემ ჩემზე თითოთი ჩვენება, თავის ქნევა და სიცილი დაიწყო, ცივმა ოფლმა დამასხა, ჩემ გარშემო მყოფთ ფეხებში გავუძვერი, თავს ვუშველე. მაგრამ ასეთი დამახინჯებისა და სასაცილოდ აგდების შემდეგ ვეღარ შევძელი ჩემს სახლს დავბრუნებოდი. ჩამოვუშვი ორსავე მხარეს თმა, ამით მოჭრილი ყურების დადი დავფარე, ცხვირის სამარცხვინო ნაკლოვანება ზრდილობისათვის ცვდილობ ამ ტილოს ცხვირსახოცით დავმალო, რომელსაც ყოველთვის მაგრად ვიკრავ ხოლმე სახეზე.

31. როცა ტელეფრონმა ეს ამბავი დაამთავრა, ღვინით შეხურებულმა მძაკაცებმა კვლავ ხარხარი ატეხეს და მოითხოვეს სიცილის ღვთაების პატივსაცემად სადღეგრძელოს შესმა. ამ დროს ბირენამ მითხრა:

- ხვალინდელი დღე - ჩვენი ქალაქის დაარსებიდანვე საზეიმოდაა მიჩნეული. მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ჩვენ ვცემთ პატივს სიმხიარულით უწმინდეს ღვთაებას - სიცილს. შენი აქ ყოფნით ეს დღესასწაული კიდევ უფრო საამო იქნება ჩვენთვის. რა კარგი იქნებოდა, შენ რაიმე გონებამახვილი საღალბო გამოგეგონებინა, რომ უფრო მოწიწებით გვეცა თაყვანი ამ დიდი ღვთაებისათვის.

- კეთილი-მეთქი, - მივუგე, - თქვენ ნაბრძანებს შევასრულებ. ჰერკულესს გეფიცებით, მსურს მოვიგონო ისეთი რამ, რაც უფრო ღირსეული და დამაკმაყოფილებელი იქნება ამ დიდი ღვთაებისა.

ამის შემდეგ მსახურმა მომახსენა, რომ ღამდებოდა; მეც უკვე ღვინით საკმაოდ შემთვრალი ვიყავი, სასწრაფოდ ავდექი, ვუსურვე ბირენას ყოველივე კარგი და ბარბაცით გზას გავუდექი.

32. როგორც კი ქუჩაში გამოვედით, ჩირაღდანს, რომელიც გზას გვინათებდა, უეცრად ქარმა ჩაგვიქრო, უსინათლოდ დავრჩით, სიბნელეში ფეხებს ქვაზე ვიმტვრევდით და სახლამდე ძლივს მივადწიეთ. როცა ხელიხელჩაკიდებულნი სახლს მივუახლოვდით, დავინახეთ: ვიღაც სამი ზორბა

და ღონიერი ადამიანი ჩვენს კარს მთელი ძალით აწევბოდა. ჩვენმა მისვლამ არათუ შეაკრთო ისინი, პირიქით, უფრო მეტად მოუხშირეს ჯახუნს, ისე რომ ჩვენ, განსაკუთრებით მე, ტყუილად არ მოგვჩვენებია ისინი ყველაზე უფრო ბოროტი მოდგმის ავაზაკებად.

წამსვე ვიშიშვლე ხმალი, წამოსასხამქვეშ რომ დამქონდა ასეთი შემთხვევებისათვის, სწრაფად ვეცი ავაზაკებს და, რომელიც ხელში მხვდებოდა, ღრმად ვასობდი მას, სანამ უთვალავი ჭრილობით განგმირულებმა ჩემს ფეხებთან სული არ დალიეს, ბრძოლა დავამთავრე. ხმაურმა ფოტიდაც გააღვიძა. ოფლში გაწუწული ძლივს ვსუნთქავდი. შევვარდი ღია კარში და, დაღლილი, თითქოს სამ ავაზაკთან ბრძოლის მაგიერ გერიონის^[32] მკვლელობა ჩამედინოს, დავეცი ლოგინზე და მაშინვე ჩამეძინა.

წიგნი მესამე

1. როგორც კი ავრორა^[33] ვარდისფერი ხელის ქნევით ალისფერი მოსართავიანი ცხენებით ზეცას შეუდგა, ღამემ ტკბილი მოსვენების წიადიდან მომწყვიტა და დღეს გადამცა. გუშინდელი ბოროტმოქმედების მოგონებაზე გულს საშინელი მოუსვენრობა შემომაწვა. ფეხები გადავიჯვარედინე, მუხლებზე გადაჭდობილი თითები შემოვიხვიე, მოკრუნჩხული ვიჯექი ლოგინზე და მწარედ ვტიროდი, თან წარმოვიდგინე: ქალაქის მოედანი, სასამართლო, განაჩენი და თვით ჯალათიც. ნუთუ შეიძლება ისეთი ღმობიერი და კეთილი მოსამართლე შემხვდეს, რომ მე, სამთა მკვლელობით წაბილწული, ამდენი მოქალაქის სისხლში გასვრილი, უდანაშაულოდ მცნოს? მაშ, ეს ის დიდებული მოგზაურობაა, ქალდეველმა დიოფანემ ისე დაბეჯითებით რომ მიწინასწარმეტყველა?

ამ ფიქრს თავიდან ვედარ ვიშორებდი და ჩემს ბედს დავტყუროდი. ამასობაში კარის ბრაზუნი მომესმა და შემოსასვლელთან ყვირილი ატყდა.

2. ძლიერი მოწოლისაგან კარი ფართოდ გაიღო, სახლში დიდი ხმაურით შემოვიდნენ მოხელეები, მათი მსახურები და სხვადასხვა ჯურის ხალხმა იქაურობა აავსო, ორმა ლიქტორმა^[34] მოხელეების ბრძანებით ხელი ჩამავლო. ცხადია, მე წინააღმდეგობა არ გამიწევია და წამიყვანეს. შევდგით თუ არა ფეხი მახლობელ მოსახვევში, მთელი მცხოვრებლები ქუჩაში გამოცვივდნენ და შეჯგუფულნი ჩვენს კვალს მოჰყვნენ. თუმცა დანადვლიანებული და თავდახრილი მივდიოდი, მერჩია მიწა გამსკდომოდა, მაგრამ მაინც ჩუმად მივიხედ-მოვიხედე: ჩვენს ირგვლივ მყოფ ამდენ ათასეულ ადამიანში არ იყო არც ერთი კაცი, რომელიც სიცილით არ კვდებოდა: ყველა ქუჩა და ქუჩაბანდი ისე შემომატარეს, როგორც ღვთიური ნიშნულობით ნაწინასწარმეტყველები რაიმე საშიშროების მოლოდინის დროს ცოდვის გამოსასყიდლად შესაწირავ ცხოველს შემოატარებენ ხოლმე. ბოლოს ფორუმზე ტრიბუნალის^[35] წინ წარვდექი. ამაღლებულ ადგილზე უკვე ისხდნენ მოსამართლეები, საზოგადოებრივი მაცნე ხალხს სიჩუმისაკენ მოუწოდებდა. უცებ ყველამ მოითხოვა, რათა დიდძალი ხალხის შეკრების გამო, რასაც საშინელი ჭყლეტა შეეძლო გამოეწვია, ამდენად ყურადსაღები საქმის გარჩევა თეატრში გადაეტანათ. წუთსაც არ გაუვლია, რომ უწესრიგოდ შეყრილმა ხალხმა საოცარი სისწრაფით აავსო მთელი შენობა. ყველა შესასვლელი და თვით სახურავიც კი ხალხით გაიჭედა. ბევრი ბოძებს შემოეხვია, ზოგნი ქანდაკებებზე ჩამოეკიდნენ, ზოგიერთმა წელამდე გადმოყო თავი ფანჯრებიდან და ჭერში მოთავსებულ

საჭაერო სარკმლებიდან. ასე რომ, სეირის ნახვის არაჩვეულებრივ სურვილს ვერ კლავდა სიცოცხლის გამოსაღმების საფრთხე. მცველმა მსხვერპლივით გამატარა პროსცენიუმზე^[36] და ორხესტრის^[37] შუაგულში დამაყენა.

3. აი, ხელახლა გაისმა ბრალმდებლის გამომძახებელი მაცნეს ომახიანი ხმა. ვიღაც მოხუცი წამოდგა და, როცა სიტყვის ხანგრძლივობის გამოსაანგარიშებლად რაღაც ხელოვნურად გახვერტილ, ძაბრისმაგვარ ჭურჭელში წყალი ჩაასხეს, რაც იქიდან წვეთ-წვეთად გამოდიოდა, მან ასეთი სიტყვებით მიმართა ხალხს:

- დიდად პატივცემულო კვირიტებო, ეს პატარა საქმე როდი გახლავთ, უშუალოდ მთელი ქალაქის მყუდროებას ეხება, და ეს ამბავი შეიძლება მომავალში მისაბაძი მაგალითი გახდეს. მით უმეტეს თითოეულს და ყველას ერთად ჯეროვანი ზრუნვა გმართებთ, რათა დაუსჯელი არ დარჩეს ბოროტი მკვლელი და მრავალი მოქალაქის დამღუპველი ასე უღვთოდ სასაკლავოს მოწყობისათვის. არ იფიქროთ, პირადი მტრობითა და სისასტიკით ვიჩენდე ასეთ სიმკაცრეს. მე ღამის დარაჯთა მეთაური ვარ და, მგონია, დღემდე ვერავინ დამწამებს ორგულობას. დაწვრილებით მოგახსენებთ საქმის ვითარებას, რაც მოხდა წუხელ. როცა მესამე დარაჯობის^[38] დროს ყოველ სახლს ფხიზლად ვათვალიერებდი და ქალაქს ირგვლივ ვუვლიდი, შევამჩნიე ეს უღმრთო უღმრთოებელი ყმაწვილი; შიშველი ხმლით ირგვლივ სიკვდილს თესავდა და მისი მძვინვარების სამი მსხვერპლი მის ფეხებთან თრთოლვით სულს ღაფავდა. თვითონ კი ასეთი მკვლელობის შეგნებით სამართლიანად შემფოთებულმა ისარგებლა სიბნელით, გაიქცა, რომელიღაც სახლს შეაფარა თავი და მთელ ღამეს იქ იმალებოდა. მაგრამ ღვთაებრივი განგების წყალობით არც ერთი ბოროტება დაუსჯელი არ დარჩება; დილამდე დავუცადე და სანამ ფარული გზებით გაპარვას მოასწრებდა, ყველაფერი ვიღონე, რათა იგი თქვენს უპატივცემულეს სამსჯავროში წარმომედგინა. ამგვარად, თქვენს წინაშე ამდენი მკვლელობით შებილწული ადამიანი, ბოროტმოქმედებაზე წასწრებული, უცხოელი ბრალდებული. ასეთი ავკაცობის ჩამდენ გადამთიელს შეუბრალებლად გამოუტანეთ განაჩენი იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომლისთვისაც თქვენს თანამოქალაქესაც კი ღირსეულად დასჯიდით.

4. ამ სიტყვების შემდეგ მიწყდა ჩემი მკაცრი ბრალმდებლის საშინელი ხმა. მაცნემ მაშინვე მომმართა, ლაპარაკი დამეწყო, თუ მსურდა საბრალმდებლო სიტყვისათვის მეპასუხა. ჰერკულესს გეფიცებით, სასტიკი სიტყვისაგან ისე არ ვიყავი შეწუხებული, როგორც ჩემი სინდისისაგან, და იმ წუთში მხოლოდ ტირილი შემედლო. ბოლოს ზეცით სიმხნევე მომევიღინა და ასე დავიწყე:

- ჩემთვის ცხადია, თუ რა ძნელია იმ ადამიანისათვის, რომელსაც მკვლელობას აბრალევენ, ამ სამი მოქალაქის გვამთან მდგარმა ამდენი ხალხის წინაშე თავის უდანაშაულობა დაამტკიცოს, თუნდაც იგი მართალს ამბობდეს ან ნებაყოფლობით თავის თავს დამნაშავედ აღიარებდეს. მაგრამ თუკი თქვენ მოწყალებას მოიღებთ და ოდნავ მომაქცევთ ყურადღებას, ადვილად დაგიმტკიცებთ, რომ ჩემი საკუთარი დანაშაულით კი არ გამიმეტებია თავი, არამედ სრულიად გასაგებმა და შემთხვევით მომხდარმა რისხვამ თავს დამატება საშინელი ზიზღი ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც არ ჩამიდენია.

5. როცა მოგვიანებით ვახშმიდან მთვრალი ვბრუნდებოდი, - და სწორედ ეს არის ჩემი დანაშაული, რისთვისაც თავს არ ვიმართლებ, - იმ სახლის კართან, სადაც სტუმრად ვარ თქვენს პატივცემულ თანამოქალაქე მილონთან, დავინახე ორი ავაზაკი, რომლებიც ცდილობდნენ მოშლილი ანჯამებიდან კარის

ჩამოგდებას, საგულდაგულოდ დადებული ურდულების გამოძრობას და თან ერთიმეორეს უთანხმდებოდნენ, თუ როგორ ამოეჭლიტათ ამ სახლის მცხოვრებნი. ერთი მათგანი მეტად მარდი და ბრგე ასეთი სიტყვებით აგულიანებდა სხვებს.

- აბა, ბიჭებო! როგორც ვაჟკაცებს შეეფერებათ სწრაფად და მარჯვედ თავს დავესხათ მძინარით. შორს ჩვენგან ყოყმანი და უნიათობა! იშიშვლეთ ხმლები და დაე, მთელ სახლში სიკვდილი გამეფდეს! ძილით შეპყრობილი - დაიღუპოს; ვინც წინააღმდეგობას გაბედავს - მოკლული იქნას! უვნებლად წავალთ, თუ შიგ, სახლში, უვნებელს არავის დავტოვებთ.

- მართალი რომ ვთქვა, კვირიტნო, ამგვარ თავზე ხელადებულ ავაზაკთა დანახვაზე ვიგრძენი ჩემი, როგორც პატიოსანი მოქალაქის, მოვალეობა. თანაც შიშმა ამიტანა, რადგან ჩემს მასპინძლებს და მეც დაღუპვა მოგველოდა. ამიტომ, შეიარაღებულმა პატარა მახვილით, რომელსაც მუდამ თან ვატარებ ასეთი და მსგავსი შემთხვევებისათვის, გადავწყვიტე მათი შეშინება, რათა იქაურობას გაცლოდნენ, მაგრამ ამ პირწავარდნილმა ავაზაკებმა, ნამდვილმა ბარბაროსებმა, გაქცევა არც კი იფიქრეს. პირიქით! მიუხედავად იმისა, რომ ხელში იარაღი დამინახეს, უფრო შეუპოვრად დაიწყეს წინააღმდეგობა.

6. დაიწყო ნამდვილი ბრძოლა. უეცრად მეცა ბრბოს მეთაური და წინამძღოლი, ორივე ხელი თმაში ჩამჭიდა, თავი უკან გადამიწია და მისი ქვით გაპოზა დამიპირა. სანამ იგი ყვიროდა, რომ ქვა მიეწოდებინათ, მე მოხერხებულად ჩემი უტყუარი ხელით გავგმირე და იქვე პირქვე ჩაემხო. მალე მეორეც, რომელიც ფეხებზე შემოხვეული მკბენდა, ბეჭებშუა დამიზნებული მახვილით გავათავე, და მესამესაც, სწრაფად რომ მემგერა, მკერდი შუაზე გავუპე. ამგვარად, მშვიდობიანობა დავამყარე, ჩემი მასპინძლების სახლი და თავი დავიცავი, თავს არათუ დამნაშავედ ვთვლიდი რაიმეში, პირიქით, მეგონა მოქალაქეთაგან ქება-დიდება დავიმსახურე-მეთქი, მით უმეტეს, რომ არასოდეს ბოროტმოქმედების ჩრდილიც კი არ შემხებია და ჩემს სამშობლოში იმ პატიოსან ადამიანად ვითვლებოდი, რომელიც წმინდა სინდისს ყოველგვარ ანგარებაზე მაღლა აყენებს. ვერ გამიგია, თუ სამართლიანმა მოქმედებამ უღმომებლ ავაზაკთა მიმართ რად წამომიყენა ეს ბრალდება, როცა არავის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ჩვენ შორის მანამდე პირადი მტრობა ყოფილიყო, ან საერთოდ ნაცნობები ყოფილიყვნენ. იმაზეც ზედმეტია ლაპარაკი, რომ რაიმეს გამორჩენის მიზნით აიხსნას ასეთი ავკაცობა.

7. ეს ვთქვი, ხელახლა ცრემლად დავიღვარე, ვედრებით გაწვდილი ხელებით შევთხოვდი მოწყალებას ხან ერთსა და ხან მეორეს. ასე მომეჩვენა, თითქოს ყველას გულში სიბრალულმა გაიღვიძა და უნუგემო ცრემლის დანახვაზე ყველა შეწუხდა; უკვე მზად ვიყავ მოწმედ მომეხმო ყოვლისმხილველი მზისა და სამართლიანობის თვალი, მსურდა საქმის მსვლელობა ღვთიური განგებისათვის მიმენდო, რომ თავი ცოტა ავწიე და უცებ დავინახე, მთელი ხალხი სიცილით კვდებოდა, ჩემი ნათესავი და მასპინძელი, კეთილი მილონიც კი, მთელი ძალ-ღონით ხარხარებდა. მაშინ გავიფიქრე: აი, ერთგულება! აი, სინდისი! მასპინძლის გადარჩენისათვის მკვლელი გავხდი, სიკვდილით დასჯა მომელის, იგი კი აქ არის და არათუ რითიმე მამშვიდებს, პირიქით, ჩემს უბედურებაზე კიდევ ხარხარებს-მეთქი!

8, ამ დროს თეატრში ერთმა შავებიანმა, მწარედ ატირებულმა ქალმა შემოირბინა, რომელსაც მკერდზე ჩვილი ბავშვი ჰყავდა მიკრული. მას უკან მოსდევდა ძონძებით მოსილი დედაბერი, ასეთივე დამწუხრებული და

თვალცრემლიანი; ორივენი მწვანე ზეთისხილის ტოტებს^[39] მოაქნევდნენ, შემოესვივნენ განსვენებულთა ცხედრებს და საშინელი ხმით მოთქვამდნენ:

- გაფიცებთ საზოგადოებრივ გულმოწყალებას და ყველასთვის საერთო თანაგრძნობის უფლებას, - გოდებდნენ ისინი, - შეიწყალეთ სამარცხვინოდ დაკლული ჭაბუკები, ჩვენი ქვრივობა და მარტოობა შურისძიებით ანუგეშეთ. ამ უსუსურ ბავშვს მაინც მოხედეთ, პატარაობიდანვე გაუბედურებულს; დაე, ამ ავაზაკის სისხლი თქვენი საზოგადოებრივი კანონებისა და საზოგადოებრივი ზნეობის გამოსასყიდი მსხვერპლი იყოს!

ამის შემდეგ ადგა უხუცესი მოსამართლე და ასე მიმართა ხალხს:

- ამ მძიმე სასჯელის ღირსი ავაზაკობის უარყოფა თვით მასაც კი არ შეუძლია, ვინც ეს ჩაიდინა; მაგრამ დაგვრჩა კიდევ ერთი მეორეხარისხოვანი საზრუნავი - ამ სასტიკი მკვლელობის დანარჩენ მონაწილეთა მოძებნა. ხომ ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მარტო ერთადერთი ადამიანი შეძლებდა გასწორებოდა სამ ასეთ ღონიერ ახალგაზრდას? ამისათვის მას წამებით უნდა ამოვგლიჯოთ პირიდან ჭეშმარიტება. მისი თანმხლები მსახური მიიმაღლა და საქმე ისე წავიდა, რომ მხოლოდ ამის დაკითხვალა შეგვიძლია დანარჩენ მონაწილეთა აღმოსაჩენად, რათა ძირფესვიანად გავანადგუროთ ეს სისხლისმსმელი ბრბო.

9. არ გასულა ერთი წუთიც, რომ ბერძნული ჩვეულების თანახმად მოიტანეს ცეცხლი, ბორბალი და სხვადასხვაგვარი მათრახი. ყოველივე ამან მომიმატა, უფრო სწორად, გამოიორკეცა სევდა: უწამებლად სიკვდილიც კი აღარ მეღირსებოდა. იმ ბებრუხანამ, რომელმაც თავის ტირილით ყველას გული გაუწვრილა, თქვა:

- კეთილო მოქალაქენო, სანამ ჩემი უბედური შვილების დამღუპველ ამ ავაზაკს ჯვარს გააკრავდეთ, ნება მიბოძეთ, მიცვალებულთა ცხედრებს გადავხადო საფარველი, რათა მათი სილამაზისა და ახალგაზრდობის თვალთ დანახვამ უფრო მეტად გააღვიძოს სამართლიანი გულისწყრომა, რომელსაც ეს მხეცობა იმსახურებს.

ამ სიტყვებს ტაშისცემით შეხვდნენ და მოსამართლემ მაშინვე მიბრძანა, ჩემი ხელით გადამეხადა საფარველი საკაცებზე მოთავსებული გვამებისათვის. დიდხანს ვუარობდი და ვანიშნებდი, რომ არ მსურდა მიცვალებულების ხელახლა დანახვით მეხსიერებაში გუშინდელი ამბავი აღმედგინა. სასამართლოს ბრძანებით უმაღლეს მედგრად მომადგნენ ლიქტორები, ბოლოს და ბოლოს ძალით მომაცილებინეს ხელი ჩემი გვერდიდან და გასამწარებლად ძალითვე გამაწვინეს იგი გვამებისაკენ. ბოლოს იძულებული გავხდი დავმორჩილებოდი, რასაკვირველია, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, საფარველი ავწიე და გვამებს გადავხედე. კეთილო ღმერთო, რა სანახაობა იყო! რა სასწაული! ჩემი ბედის რა უეცარი ცვლილება! როცა ჩემს თავს უკვე ვთვლიდი პროზერპინას^[40] ქვეშევრდომად და ორკეს^[41] ხელქვეითთა კრებულში ჩარიცხულად, მდგომარეობათა უეცარი ცვლილების გამო გაოცებული გავშეშდი, ვერ შევძელი გამომენახა შესაფერი სიტყვები მოულოდნელი სანახაობის გამოსათქმელად, - მოკლულ ადამიანთა გვამები აღმოჩნდა სამი გაბერილი რუმბი, რომლებსაც ყველა მიმართულებით ჭუჭრუტანები ჰქონდა და პირდაღებული იყო სწორედ იმ ადგილებზე, სადაც, რამდენადაც გუშინდელი ჩემი ბრძოლა მახსოვს, ამ ავაზაკებს ჭრილობები მივაყენე.

10. მაშინ ამ ცბიერი ხუმრობის მონაწილენი, ამდენ ხანს რომ სიცილს იკავებდნენ, სრულიად გაბედულად ახარხარდნენ, ზოგი სიხარულისგან

გაგიჟებული სხვებს ულოცავდა, ზოგიერთები სიცილისაგან ატკივებულ მუცლებზე ხელებს იჭერდნენ, და ყველანი მე მიყურებდნენ. სიამოვნებით გულნაჯერები გადიოდნენ თეატრიდან. მე კი, როგორც ავიღე ხელში საფარველი, ისე ქვასავით გაშეშებული ვიდექი და არაფრით განვსხვავდებოდი რომელიმე სვეტისა ან ქანდაკებისაგან. მხოლოდ მაშინ აღვსდები მკვდრებით, როცა ჩემი მასპინძელი მილონი მოვიდა ჩემთან და ხელი მომკიდა. მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, ხელახლა წამომსკდარი ცრემლისა და გულამომჯდარი ტირილისა, მეგობრული ძალდატანებით თან გამიყვლია; უფრო ცარიელი ქუჩები ამოარჩია და შორიდან მოვლით შინ მიმიყვანა. ცდილობდა ლაპარაკით გაეფანტა ჩემი სევდა და დავეწყნარებინე, რადგან ჯერ ისევ ვკანკალებდი. მაგრამ მან ჩემს გულში ღრმად გამჯდარი შეურაცხყოფით გამოწვეული აღშფოთების შენელება მაინც ვერაფრით ვერ შეძლო.

11. მაშინვე მოვიდნენ ჩვენსას თვით მოსამართლენი წარჩინების ნიშნებით და ცდილობდნენ შემდეგი სიტყვებით დავემშვიდებინე:

- ჩვენთვის ცნობილი იყო შენი პირადი ღირსებანი, შენი ძველი შთამომავლობა, ბატონო ლუციუს, რადგან მთელ პროვინციაშია გავრცელებული თქვენი შესანიშნავი ოჯახის სახელი და დიდება. ის, რაც შენ გადაგხდა და რაც ახლა ასე გაწუხებს, შენი შეურაცხყოფის მიზნით არ გაგვიკეთებია. ამიტომ ნუ სწუხარ და სული სევდისაგან გაინთავისუფლე. ეს თამაშობა, რომელსაც ჩვენ ყოველწლიურად ყოვლისშემწყალე სიცილის ღვთაების პატივსაცემად საჯაროდ ვმართავთ, მარად და მარად ახალი გამოგონებებით მშვენიდება. ეს ღვთაება კეთილგანწყობილია მის პატივსაცემად მიძღვნილი სანახაობის ავტორისა და შემსრულებლისადმიც. შენ იგი მარად სიყვარულით გიწინამძღვრებს, და არასოდეს რაიმე სამწუხაროს არ შეგამთხვევს, შენი შუბლი კი მუდმივ უმფოთველი მშვენიებით იხარებს. ამ დამსახურებისათვის მთელმა ქალაქმა ჩინებული ჯილდო მოგიძღვნა: შენ ჩაწერილი ხარ მის პატრონთა რიცხვში და გადაწყვეტილია ბრინჯაოსაგან გაკეთდეს და აღიმართოს შენი ქანდაკება.

ამ სიტყვებზე ვუპასუხე:

- არასოდეს არ დაგივიწყებ, უბრწყინვალესო და უშესანიშნავესო თესალიის ქალაქო, თუ როგორ გულუხვად მომაგე ამდენად დიდი პატივი, მაგრამ გირჩევთ, ქანდაკებანი და გამოსახულებანი ჩემზე უფრო ღირსეულ და ცნობილ ადამიანთათვის შეინახოთ.

12. ამ თავმდაბალი პასუხის შემდეგ ცოტა გავიღიმე, ვცადე, რაც შეიძლება მეტი მხიარული გამომეტყველება მიმელო და თავაზიანად გამოვეთხოვე მიმავალ მოსამართლეთ. მაგრამ, აი, შემოირბინა ერთმა მსახურმა და მომახსენა:

- შენი ნათესავი ქალი ბირენა გეძახის და მოგაგონებს, უკვე იმ ზეიმის დრო ახლოვდება, რომელზედაც შენ გუშინ მოსვლას დამპირდიო.

შევკრთი, მისი სახელის გაგონებაზე თავზარი დამეცა და ასე ვუპასუხე:

- სიხარულით შევასრულებდი შენ სურვილს, დეიდა, სხვისთვის სიტყვა რომ არ მექონდეს მიცემული. ჩემმა მასპინძელმა მილონმა ახლახან ნაღდესასწაულები ღვთაება დამაფიცა და დამითანხმა, რომ მასთან ვისადილო. არც თვითონ წავა დღეს სადმე და არც მე გამიშვებს. ასე რომ, ნადიმზე ეს მოწვევა სხვა დღისათვის უნდა გადავდოთ-მეთქი.

დავამთავრე თუ არა ეს სიტყვები, მილონმა ჩამავლო თავის მზრუნველი ხელი და მახლობელ აბანოში წამიყვანა. ბრძანება გასცა მოეტანათ ყველაფერი,

რაც აუცილებელი იყო ბანაობისათვის. მე მას მივეკარი და ისე მივევებოდი, რომ არავის შევემჩნიე: გავურბოდი ყველას მზერას და მეშინოდა შემხედომთა დაცინვისა, რომლის გამომწვევი მიზეზი თვით მე ვიყავი. სირცხვილისაგან აღარ მახსოვს, როგორ დავიზილე ტანი, როგორ ვიბანავე და შინ როგორ დავბრუნდი, იმდენად ვიზნეოდი და ვშემდებოდი, როცა ყველანი თვალით, თავის ქნევითა და თითითაც კი ანიშნებდნენ ხოლმე ჩემზე ერთიმეორეს.

13. ბოლოს, სასწრაფოდ ჩავყლაპე მილონის ღარიბული ვახშამი, მოვიმიზეზე თავის ტკივილი, რომელიც განუწყვეტელმა ტირილმა დამმართა, და დასაძინებლად წავედი, რაზედაც ნება ადვილად მომეცა. მივეგდე ჩემს ლოგინზე დასევდიანებული და დაწვრილებით ვიგონებდი ყველაფერს, რაც მოხდა, სანამ თავის ქალბატონის მოსვენების შემდეგ ჩემი სახემეცვლილი ფოტიდა არ შემოვიდა. მას აღარც მხიარული სახე ჰქონდა, აღარც გაბედული სიტყვა, მოღუშულიყო და შუბლი ღრმად დანაოჭებოდა. ბოლოს მორცხვად წარმოთქვა:

- გამოგიტყდები, რომ სწორედ მე ვიყავი მიზეზი შენი უსიამოვნებისა.

ამ სიტყვებით გამოიღო უბიდან რაღაც ღვედი, გამომიწოდა და განაგრძო:

- გევედრები, გამომართვი ეს და შური იძიე მოღალატე დედაკაცზე, უფრო მეტიც, ისეთი მკაცრი სასჯელი მომიზღე, როგორსაც უფრო საჭიროდ დაინახავ. მაგრამ არ იფიქრო, რომ ასეთი უსიამოვნება ჩემი სურვილით მომეყენებოდა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ შენ ჩემი მიზეზით მცირეოდენი საწყენიც შეგხვდეს! რომ რაიმე ხიფათი მოგელოდეს, საკუთარი სისხლის ფასად აგაცილებდი გასაჭირს! მაგრამ ჩემი უკუღმართი ბედის წყალობით, რაც სხვისი ბრძანებით გავაკეთე, შენთვის მავნებელი გამოდგა.

14. მე აღმემრა თანდაყოლილი ცნობისმოყვარეობა, მინდოდა გამეგო მომხდარი ამბის ფარული მიზეზი და ამიტომ ასე დავიწყე:

- ეს ღვედი, შენგან შენ გასაშოლტავად დანიშნული, ყველა ღვედთა შორის უფრო უპატიური და სამაგელია. უმაღლესი და ნაკუწ-ნაკუწ ვაქცევ მას, სანამ ამით შენს ღინღლივით ნახსა და რძესავით თეთრ კანს შევეხებოდე. მაგრამ გულახდილად მიაბზე, ბედის ცვალებადობამ რომელი შენი მოქმედება გახადა ჩემთვის დამღუპველი? ვფიცავ ჩემთვის ძვირფას შენს თავს, არასგზით არ შემიძლია დავიჯერო, კიდევაც რომ მიმტკიცო, რომ შენ ჩემდა სავნებლად რაიმეს მოიფიქრებდი. ამასთანავე უღვთო შემთხვევას, თუნდაც ის საბედისწეროდ იქცეს, არ შეუძლია უდანაშაულო განზრახვას დანაშაული მიაწეროს.

ვთქვი თუ არა ეს, ხარბი და ვნებიანი კოცნით ამოვუშრე ფოტიდას ცრემლით დანამული, მოხამხამე, მოახლოებული ვნების გამო მიბნედილი და ნახევრად დასახუჭად გამზადებული თვალები.

15. მაშინ მან, სიხარულით გამხნევებულმა, დაიწყო:

- გთხოვ, ნება დამართო, ჯერ მაგრად ჩავკეტო კარი, რათა მეტი სიავე არ ჩავიდინო, თუ სწრაფი ლაყბობისას რომელიმე სიტყვა აქაურობას გასცდება.

ამ სიტყვებით მან კარს ურდულები დაადო, გადარაზა, შემდეგ ჩემთან მობრუნდა, ორივე ხელი ყელზე შემომაჭდო და წყნარი, ოდნავ გასაგონი ხმით დაიწყო:

- ძალიან მეშინია ამ სახლის და ჩემი ქალბატონის საიდუმლოების გამჟღავნებისა. მაგრამ იმედი მაქვს შენი განათლებულობისა და მწამს, რომ არა მარტო შენი წარჩინებულებით და მაღალი გონებით ხარ ღირსეული ადამიანი,

არამედ მრავალ საიდუმლოებათა მოზიარეც და დუმილის წმინდა აღთქმის სრულყოფილი დაცვა შეგიძლია. ამგვარად, რასაც შენს ღვთისმომშიმარ გულის სიღრმეს ვანდობ, საუკუნოდ მასში ჩამარხე, გაუფრთხილდი და ჩემი გულწრფელი აღთქმისათვის მტკიცე დუმილით დამაჯილდოვე. რადგან სიყვარული, რომელსაც შენდამი განვიცდი, მაიძულებს გაიმბო ის, რაც ჩემს მეტმა ქვეყანაზე არავინ იცის. ახლა გაიგებ ყველაფერს, ჩვენს სახლში მომხდარ ჩემი ქალბატონის საოცარ საიდუმლოებებს, რომელთა მეოხებით იგი გარდაცვლილთა სულებს იმორჩილებს, მნათობთა მოძრაობას ცვლის, ძალაუწივრად მის წინაშე ქედს იხრიან ღმერთები, ემონებიან სტიქიონები. მაგრამ არასდროს ისე დიდი მონდომებით არ მიმართავს ამ ხელოვნებას, როგორც მაშინ, თუ რომელიმე მოხდენილი ახალგაზრდა ვაჟი მოეწონება, რაც მას ხშირად მოსდის ხოლმე.

16. აი, ახლაც გონებადაკარგულია შესანიშნავი ლამაზი ბეოტიელი ყმაწვილის სიყვარულით, მთელი სულითა და გულით მიმართავს ყველა საშუალებას, ყველა ხრიკს. საღამოს გავიგონე, - განაგრძო მან, - ჩემი ყურით გავიგონე, თუ როგორ უქადდა თვით მზეს ღრუბლების სიბნელესა და მარადიულ წყვდიადში ჩამწყვდევას, რადგან, მისი აზრით, იგი ნელა დაეშვა ზეციდან და არ ჩქარობდა ადგილი ღმრთისათვის დაეთმო მაგიური წესების შესასრულებლად. გუმინ, აბანოდან დაბრუნებისას, შემთხვევით დაინახა, რომ ის ყმაწვილი სადალაქოში იჯდა. მიბრძანა ჩუმად წამომელო მისი თმა, რომელიც გაკრეჭის შემდეგ იატაკზე ეყარა. სანამ ფარულად თმის აკრეფას ვჩქარობდი, დალაქმა ხელი მტაცა, დამიჭირა, რადგან ჩვენ შესახებ ცუდი ხმა დადის, თითქოს, ბოროტ ჯადოქრობას ვეწევით, სასტიკად დამიყვია: - შე საძაგელო, არ მიატოვებ წესიერი ახალგაზრდების თმების თრევას? თუ ამ საზიზღრობას ახლავე არ დაანებებ თავს, უსიტყვოდ ხელისუფლებასთან გაგზავნი. - ამ სიტყვას საქმევ მოჰყვა. ჩამიყო ხელი უბეში, მოძებნა იქ შენახული თმა და გაბრაზებულმა ამოათრია. ამით დიდად შეწუხებულმა გაქცევა განვიზრახე, რადგან ვიცოდი ჩემი ქალბატონის ამბავი, რომელიც მსგავსი მარცხის დროს საშინლად ღელავს და ხშირად მცემს ხოლმე, მაგრამ შენზე ფიქრმა უმაღლვე ხელი ამაღებინა ამ მოსაზრებაზე.

17. როცა უკან დადარდიანებული ვბრუნდებოდი და ვფიქრობდი რა მეღონა, რომ ხელცარიელი შინ არ მივსულიყავი, შევამჩნიე ვიღაც კაცი, რომელიც თხიერ ტიკებზე პატარა მაკრატლით მატყლს კრეჭდა. დავინახე, რომ მან ისინი გაბერა, მაგრად შეკრა, გაკიდა. მე თან წავილე კაიდალი ზაცმოწითალო თხის ბალანი, რომელიც მიწაზე ეყარა და ფერით ძალიან ჰგავდა იმ ბეოტიელი ვაჟის თმას. მართალი არ ვთქვი და ჩემი მოძიებული ქალბატონს შევატყუე. დადამებისთანავე, სანამ შენ ვახშმიდან დაბრუნდებოდი, მოთმინებიდან გამოსული ჩემი პამფილე სახლის მეორე მხარეს ჩარდახზე ავიდა. ეს ჩარდახი ყველა მხრივ აღმოსავლეთისა და სხვა მხარეებით ქარისაგან დაუცავი, ღია შენობაა. პამფილე მას ყველაზე უფრო აფასებს, როგორც მეტად მოსახერხებელ ადგილს მისი ჯადოსნური მოქმედებისათვის და ხშირად იქ აიპარება ხოლმე. უწინარეს ყოვლისა, მას წესრიგში მოჰყავს თავისი გრძნეული საქმის მთელი მოწყობილობანი: ყოველგვარი სურნელება, გაურკვეველი წარწერებიანი დაფები, დაღუპული გემის ნარჩენი ნამსხვრევები, დიდი რაოდენობა გამოტირებული და დასაფლავებული გვამთა ნაწილებისა; აქ ნესტოები და თითები უყრია, იქ - ჯვრის ლურსმნები მიკრული ხორცი, ზოგ ადგილას

მკვლელობის შემდეგ შენახული სისხლი და ველური მხეცების ხახიდან გამოგლეჯილი, დამსხვრეული თავის ქალები.

18. ჯერ ისევ მორთოლვარე შიგნეულობაზე შელოცვით დაასხა სხვადასხვა სითხე: ხან წყაროს წყალი, ხან ძროხის რძე, ხან მთის თაფლი, ხან თაფლიანი ღვინოც კი. შემდეგ ეს თემები ერთიმეორეზე გადანასკვა და მრავალსურნელება დაყრილ ნაკვერჩხლებზე დასდო, მაშინვე უძლეველი მაგიური ხელოვნებისა და მოხმობილ ღვთაებათა იდუმალი ძალის მემწეობით გაცოცხლდნენ ის სხეულები, რომელთა თემები ცეცხლზე ტკაცუნით იტრუსებოდა, დროებით ადამიანური სული ჩაედგათ, კიდევაც გრძნობდნენ, მოძრაობდნენ და კიდევაც ესმოდათ. ისინი თავიანთი გარუჯული ნაშთების სუნმა მოიზიდა, ბეოტიელი ყრმის მაგიერ მოვიდნენ და შინ შემოსვლის სურვილით კარს ამტვრევდნენ. უცებ შენ მოხვედი, მთლად ღვინის სუნი აგდიოდა და მოულოდნელი სიბნელის გამო აზრზე ვერ მოხვედი. გაშმაგებული აიაქსის^[42] მსგავსად, მხნედ იშიშვლე მახვილი, მხოლოდ აიაქსი თავს დაესხა ცოცხალ პირუტყვებს და მთელი ფარა გაწყვიტა, შენ კი გაცილებით უფრო გულადი აღმოჩნდი - შენი ხმლის ქვეშ სული დალია სამმა გაბერილმა ტიკმა, ასე რომ, ახლა მკერდში ჩაკრული მყავს მტერთან უსისხლოდ ნომარი, არა კაცისმკვლელი, არამედ რუმბისმკვლელი.

19. ფოტიდას საამო საუბარმა გამამხნევა და ხუმრობით მივუღე:

- მაშასადამე, ეს ჩემი მხნეობის პირველი საბუთი, რომელმაც დიდებით შემმოსა, შემიძლია ჩავთვალო ჰერკულესის ერთ-ერთ თორმეტ გამირობათაგანად და განადგურებული ტიკების რიცხვის მიხედვით ჩემი გამარჯვება შემიძლია შევადარო მის გამარჯვებას სამტანიან გერიონზე^[43], ან სამთავიან ცერბერზე^[44]! - სწორედ ამდენია დაღუპულ ტიკთა რიცხვი! მაგრამ სრულიად რომ მოგიტევეო დანაშაული, რომელმაც ამდენი უსიამოვნება მომაყენა, შემისრულე სანუკვარი სურვილი და დამანახე თუნდაც ცალი თვალით, როგორ ეწევა შენი ქალბატონი ამ ღვთაებრივ ხელოვნებას, როგორ მოუხმობს ღმერთებს, მაინც როგორ ამზადებს ყველაფერს. მოწადინებული ვარ ვიცოდე ყველაფერი, რაც კი მაგიას შეეხება. სხვათა შორის, შენც ამ საქმეებში გამოცდილ ადამიანს ჰგავხარ. ეს ვიცი და შესანიშნავადაც ვგრძნობ, მე ხომ წინათ ყოველთვის გავურბოდი ქალის ალერსს, შენ კი ამ მოციმციმე თვალებით, წითელი ლოყებით, მოლივლივე კულულებით, ვნებიანი კოცნით და სურნელოვანი მკერდით დამიმონე, სანატრელ ტყვეობაში ჩამაგდე. უკვე შინისაკენ გული აღარ მიმიწევს, გასამგზავრებლად აღარ ვემზადები და ასეთ ტკბილ ღამეს არაფერზე არ გავცვლი.

20. - როგორ მინდა, ლუციუს, შევასრულო შენი სურვილი, მაგრამ მის უჟმურ ხასიათზე რომ არაფერი ვთქვა, ამგვარ ფარულ საქმეებს ის ისე განმარტოებულად აკეთებს, რომ კაცის თვალი ვერ დაინახავს. შენი თხოვნა ჩემთვის საკუთარ თავზე უფრო ძვირფასია და პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ვეცდები შეგისრულო; მხოლოდ როგორც თავიდანვე გითხარი, საიდუმლოდ უნდა შეინახო ასეთი დიდი საქმე.

სანამ ასე ვტიტინებდით, ორივეს სულსა და სხეულში სურვილმა გაიღვიძა. გავიმძვრეთ ტანთ, სულ გავშიშვლდით და ვენერას შმაგობას მივეცით თავი; მე, უკვე მოქანცულს, ფოტიდამ საკუთარი გულუხვობის გამო ბიჭური საჩუქარი მომიძღვნა. ჩვენი თვალები უძილობისგან მიიბნა და თავდავიწყებამ გათენებამდე შეგვიყოლია.

21. სულ რამდენიმე ასეთი საამო ღამე გავატარეთ. ერთ მშვენიერ დღეს მოირბინა ჩემთან აკანკალებულმა, ათრთოლებულმა ფოტიდამ და მომახსენა, ჩემი ქალბატონი, რომელსაც აქამდე ვერავითარმა ჯადომ დახმარება ვერ აღმოუჩინა სიყვარულის საქმეში, ამაღამ ფრინველად იქცევა და თავის საყვარელთან გაფრინდება. ასე რომ, სათანადოდ უნდა მოვმზადებულიყავი ასეთი იშვიათი საქმის საყურებლად. ფოტიდამ ღამის პირველი დარაჯობისას მართლაც, ფეხაკრეფით, ჩუმიდ მიმიყვანა იმ ჩარდახთან, და მიბრძანა კარის რომელიღაც ჭუჭრუტანიდან მეჭვრიტა. საქმე კი ასე ხდებოდა: უპირველეს ყოვლისა, პამფილე სულ გაშიშვლდა, რომელიღაც ყუთი გააღო და იქიდან მრავალრიცხოვანი კოლოფი ამოალაგა; მოხსნა ერთ მათგანს თავი, ამოიღო მალამო, ჯერ ხელისგულებით დაზილა, შემდეგ კი თავიდან ფეხებამდე წაისვა. დიდხანს ჩასჩურჩულებდა სანათურს და მთელი სხეულით ძლიერ აკანკალდა. მისი ნაკვთები ნელი თრთოლვის დროს მსუბუქმა ღინღმა დაფარა, გამოება მაგარი ფრთებიც, ცხვირი მოეხარა და გაუმაგრდა, გაუჩნდა მოკაუჭებული ბრჭყალები. პამფილე ბუდ იქცა. პირიდან საცოდავი კივილი აღმოხდა, აი, უკვე თავის ძალა გამოსცადა, მიწაზე მსუბუქად ხტომა დაიწყო, ზევით აეშვა, მალე ორივე ფილა გაშალა და გაფრინდა.

22. მან თავისი მაგიური ხელოვნების ძალით, სურვილისამებრ, სახე იცვალა, თუმცა არც ერთი გრძნეულებით მოჯადოებული არ ვიყავი, მაგრამ მომხდარი ამბით გაოცებული გავშეშდი და ჩემი თავი ყველაფრად მეჩვენებოდა, გარდა ლუციუსისა. სიზმრის ცხადად ხილვამ გრძნობა დამაკარგვინა, გაგიჟებამდე მიმიყვანა და დიდხანს ვისრესდი თვალებს, რათა დავრწმუნებულიყავი მეძინა თუ მეღვიძა. ბოლოს გონს მოვედი და სინამდვილეში გავერკვიე. ვტაცე ფოტიდას ხელს ხელი, მივიტანე ჩემს თვალებთან და-ვუთხარი:

- უარს ნუ მეტყვი, გვედრები, სანამ შემთხვევა ხელს გვიწყობს, შენი ჩემდამი განსაკუთრებული კეთილი განწყობა დამიმტკიცე და ეს მალამო ცოტა მიწილადე. გაფიცებ შენს ძუძუებს, ჩემო თაფლივით ტკბილო, ამ აუნაზღაურებელი სიკეთით მონად გამიხადე და ისე მოაწყე საქმე, რომ შენთან, ჩემ ვენერასთან, ფრთოსან კუპიდონად ვიქცე.

- ერთი ამას დამიხედეთ, როგორი ეშმაკია ჩემი საყვარელი, - წარმოთქვა მან, - ის ტოტი უნდა მოვჭრა, რომელზედაც ვზივარ! მე შენ, უმწეოს, ისედაც ძლივს გიცავ თესალიელ კუდიან ქალთაგან და ფრინველად ქცეული სადღა გეძებო?

23. - ზეცის მკვიდრებმა მიხსნან ასეთი ბოროტებისაგან, - ვუთხარი მე, - არწივიც რომ ვიყო და მაღლა ფრენით მთელი ზეცა მოვიარო, როგორც გამოცდილმა მოამბემ ან მაღალი იუპიტერის საჭურველთმზიდველმა, თუ მაინც არ მოვფრინდე ჩემს ბუდეში ასეთი ფრთოსანი პატივის ღირსად გახდომის შემდეგ. ვფიცავ ამ შენი თმის საამო კულულების ხვეულებს, რომლითაც გონება შემიბოჭე, არავინ არის ქვეყანაზე ისეთი, ჩემ ფოტიდას რომ ვამჯობინო. აი, კიდეც რა მოვიფიქრე, რადგან ამ მალამოთი ფრინველად ვიქცევი, საცხოვრებელი სახლების ახლო ფრენას უნდა ვერიდო. რა სიამოვნებას ნახავენ ქალები ისეთი მხიარული ლამაზი საყვარლისაგან, როგორიც ბუა? განა არ ვიცით, ამ ღამის ფრინველებს, თუ ისინი სხვის სახლში შეფრინდებიან, იჭერენ და კარზე აკედებენ, რათა ოჯახისათვის უბედურების მომასწავებელი ფრენა თავიანთი ტანჯვით გამოისყიდონ? მაგრამ სულ დამავიწყდა მეკითხა: რა

უნდა ვთქვა, ან რა უნდა ვქნა, ბუმბული რომ დავყარო და ისევ ლუციუსად ვიქცე?

- ამას ნუ სწუხარ, - მომიგო ფოტიდამ, - ჩემმა ქალბატონმა ყოველგვარი საშუალება მაჩვენა, რომელსაც შეუძლია ასეთი ცხოველის ადამიანად გადაქცევა. არ გეგონოს, რომ ეს ჩემი სიყვარულით მოიმოქმედა, არა, სურდა, შინ დაბრუნებულისთვის აუცილებელი დახმარების გაწევა შემძლებოდა. ბოლოს და ბოლოს შეხედე, როგორი უბრალო ბალახ-ბულახით შეიძლება ასეთი დიდი საქმის მიღწევა. ცოტა კამას, დაფნის ფოთოლს წყაროს წყალში დებენ და ხმარობენ როგორც პირის დასაბანად, ისე სასმელადაც.

24. ეს დარიგება რამდენჯერმე გამიმეორა, შევარდა ოთახში მთლად აკანკალებული და ამოიღო ყუთიდან კოლოფი. ხელი ვსტაცე ამ კოლოფს, მოვეფერე, შევღაღადე, რათა ჩემთვის კეთილი ფრენა ებოძებინა. სასწრაფოდ გავიძვრე ტანთ, ხარბად ჩავყავი შიგ ხელი, კაიძალი მალამო ამოვიღე და მთელი სხეული დავიზილე. ხან ერთი, ხან მეორე ხელის ქნევით ფრინველის მოძრაობას ვბაძავდი, მაგრამ მცირედი ღინღლიც კი არ გამოჩნდა, მხოლოდ ჩემი ბალანი მატყლივით გაუხეშდა, კიდურებზე ყველა თითებმა განცალკევების უნარი დაკარგა, შეერთდა ერთ ჩლიქად და კუდუსუნი უშველებელ კუდად მექცა, სახე უზარმაზარი გამიხდა, პირი ყურებამდე მივიდა, ყურები უზომოდ წამიგრძელდა და ბალნით დაიფარა.

ასეთ უკუღმართ გარდაქმნაში ვერაფერ საიმედოს ვერ ვხედავდი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მამაკაცური ორგანო გამეზარდა, თუმცა ფოტიდას დაუფლების საშუალებას უკვე მოკლებული ვიყავი.

25. გადარჩენის ყოველი იმედი დამეკარგა. ვაკვირდებოდი ჩემი სხეულის ყველა ნაწილს და ვხედავდი არა ფრინველად, არამედ ვირად ქცეულ ლუციუსს, მომხდარი ამბავი მინდოდა ფოტიდასათვის შემეჩვილა, მაგრამ ადამიანურ მოძრაობასა და მეტყველებას მოკლებულმა მოვიმოქმედე ერთადერთი, რაც შემეძლო: გამოვიშვირე დრუნჩი, ჯერ კიდევ ადამიანურად დანაშული თვალებით ცერად გადავხედე და ჩუმად მოვუხმე. მან დამინახა თუ არა ასეთ დღეში, შეუბრალებლად იტკიცა ლოყებზე ხელები და წამოიძახა:

- ვაი, დავიღუპე, მე უბედური. ჩემმა მღელვარებამ და აჩქარებამ შემაცდინა და კოლოფების მსგავსებამ გზა ამი-რია. კიდევ კარგი, რომ ასეთი გარდაქმნის საწინააღმდეგო საშუალება იოლი საშოვარია. საჭიროა მხოლოდ ვარდები დაღეჭო - მოიშორებ ვირის სახეს და ისევ ლუციუსად იქცევი. ოჰ! ნეტავი, ჩვეულებისამებრ ჩვენთვის საღამოსვე ამომეტანა რამდენიმე გვირგვინი! ერთი ღამის ლოდინიც კი არ დაგჭირდებოდა. მაგრამ ინათლებს თუ არა, წამალი ხელთ გექნება.

26. ფოტიდა ასე დარდობდა. მე კი, თუმცა პირწავარდნილ ვირად ვიქეცი და ლუციუსისაგან საკიდარ ცხოველად გავხდი, მაინც ადამიანური მოსაზრება შევინარჩუნე. დიდხანს ვფიქრობდი, თუ რა მექნა: დამეკბინა და დამეწიხლა ეს საძაგელი, ცბიერი დედაკაცი თუ არა. ამ უგუნური განზრახვისაგან თავი შევიკავე და საღად დავიწყე მსჯელობა: თუ ფოტიდას სასიკვდილოდ გავწირავდი, თავს გადარჩენის საშუალებას მოვუსპობდი. დაბლა დახრილი თავი გავიქნიე, დროებით შეურაცხყოფას ჩუმად შევურიგდი, დავემორჩილე სასტიკ უბედობას და წავედი თავლაში ჩემს ერთგულ მსახურ ცხენთან. იქ კიდევ ერთი ვირი დამხვდა, ყოფილი მასპინძლის მილონის საკუთრება. მეგონა, თუ პირუტყვთა შორის რაიმე ფარული და ბუნებრივი პატივისცემა არსებობდა, მაშინ ჩემს ცხენს, ნაცნობობითა და თანაგრძნობით,

სტუმართმოყვარეობა უნდა გამოეჩინა და ისე მივედღე, როგორც წარჩინებული უცხოელი. მაგრამ, ოჰ, უცხოთშემწყნარებელი იუპიტერო, და შენც, ერთგულების იდუმალ ღვთაებავ! სანაქებო ცხენმა და ვირმა დაინახეს თუ არა ზაგას ვუახლოვდებოდი, რა თქმა უნდა, საკვების წართმევის შიშით, ერთიმეორეს ჩიჩვირები მიაშვირეს იმ განზრახვით, რათა ჩემ დასაღუპავად შეთანხმებულიყვნენ, ბრაზისაგან ყურებდაცქვეტილებმა ტლინკები დამაყარეს და შორს გამაგდეს იმ ქერიდან, რომელიც გუშინ საკუთარი ხელით ჩავუყარე ამ მსახურთა შორის უერთგულესს.

27. ამგვარად, შეურაცხყოფილი და გაგდებული თავლის კუთხეში მივდექი. სანამ ჩემი ამხანაგების თავხედობას ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი, რომ ხვალ ვარდების წყალობით ისევ ლუციუსად ქცეული, ჩემს ორგულ ცხენზე ჯავრს ვიყრიდი, უცებ დავინახე შუა ბოძზე, თავლის კოჭებს რომ ამაგრებდა, თითქმის შუაგულში, ღმერთქალ ეპონას გამოსახულება. იგი ნიშში იყო მოთავსებული და მორთული იყო ცოცხალი ვარდების ყვავილწუნულებით. რადგან მივაგენი ხსნის საშუალებას, იმედით ფრთები შემესხა, რამდენადაც შემძლო წინა ფეხებწამოწეული უკანას მაგრად დავეყრდენი, თავალერილმა რაც შეიძლებოდა ჩიჩვირი წავიშვირე და ყოველ ღონეს ვხმარობდი გვირგვინების მისაწვდომად. მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ჩემმა მსახურმა, ცხენის მოვლა-პატრონობა რომ ჰქონდა დავალებული, შეამჩნია ეს, წამოხტა აღელვებული და თქვა:

- კიდევ დიდხანს უნდა ვითმინოთ ეს ჯაგლაგი? ახლახან პირუტყვებს ქერს ართმევდა, შემდეგ კი ღვთაების ქანდაკებას მიადგა. შენ ისეთ დღეს დაგაყენებ, მკრეხელო, რომ ფეხებს მოგამტვრევ და დაგასახიჩრებ!

ეს თქვა და სახრის ძებნას შეუდგა. ხელში მოხვდა, შემთხვევით იქ მდებარე შეშის კონა, ამოარჩია მოზრდილი, შეფოთილი სახრე და დამიწყო მე უბედურს ცემა, კიდევ დიდხანს მცემდა, საშინელი ხმაური რომ არ ატეხილიყო. კარს ბრაზუნი დაუწყეს, მეზობლად გაისმა შეშინებული ყვიფილი: „არიქა, ავაზაკები!“ და მსახური დაფეთებული გაიქცა.

28. წუთსაც არ გაუვლია, ყაჩაღთა ბრბომ ჰიშკარი შემოამტვრია, ყველგან შეცვივდნენ და ყოველ შენობას გარშემოერტყნენ შეიარაღებული ადამიანები. სხვადასხვა მხრიდან საშველად მოსულნი ყოველ ნაბიჯზე მტერს აწყდებოდნენ. ყველას ხელში ღამის სიბნელის გამფანტველი ჩირაღდნები და ხმლები ეჭირა; ალი და იარაღი ამომავალ მზესავით ბრწყინავდა. იქ მილონის განმეულობით სავსე, სახლის შუაგულში მოწყობილი, მაგარი საკეტებით ჩაკეტილი საწყობი ნაჯახის ძლიერი დაკვრით ჩატეხეს, სხვადასხვა მხრიდან შეცვივდნენ შიგ. საჩქაროდ გამოათრიეს მთელი სიმდიდრე, შეკრეს ფუთებად და ინაწილებდნენ, მაგრამ ტვირთის რაოდენობა ავაზაკთა რაოდენობას აღემატებოდა. მაშინ უთვალავი სიმდიდრის გამო გაჭირვებაში ჩავარდნილებმა გამოგვიყვანეს თავლიდან ორი ვირი და ჩემი ცხენი, აგვიდეს რაც შეიძლება მძიმე ფუთები და ჯოხით გამოგვრევს უკვე სრულიად გამარცხული სახლიდან. იქ ერთი თავისი ამხანაგი მეთვალყურედ დატოვეს, რათა ეცნობებინა მათი ავაზაკობის გამოკვლევის ამბავი, ჩვენ კი მთებში გაუვალი გზებით გაგვრევს.

29. ასეთი მძიმე ტვირთით, მაღალი მთის ფერდობებით და გრძელი გზით დატანჯული უფრო მკვდარს ვგავდი, ვიდრე ცოცხალს. მაშინ, თუმცა გვიან, მაგრამ სერიოზულად მოვიფიქრე მიმემართა სამოქალაქო ხელისუფლებისათვის, მესარგებლა პატივცემული იმპერატორის სახელით და ამდენი უბედურებისაგან განვთავისუფლებულიყავი. ბოლოს როცა მზით

გაშუქებულ ერთ პატარა სოფელში გავიარეთ, სადაც ბაზრობის გამო უამრავი ხალხი შეგროვილიყო, შეჯგუფებულ ადამიანებში მოვინდომე ბერძნების მშობლიურ ენაზე ღვთაებრივი კეისარი მომეხმო, მაგრამ წამოვიყოყინე გარკვევით და ხმამაღლა მხოლოდ „ო“, კეისრის სახელის სხვა ბგერების გამოთქმა კი ვერ შევძელი. ავაზაკებს ჩემი ველური ყროყინი არ მოეწონათ და ისე დაცხრილეს ჩემი ტყავი, რომ საცრადაც კი აღარ გამოდგებოდა. მიუხედავად ამისა, იუპიტერმა მოულოდნელი ხსნა მომივლინა: როცა გზადაგზა მრავალ პატარა და დიდ სამოსახლოს გვერდით ჩავუარეთ, შევამჩნიე ერთი ლამაზი, პატარა ბაღი, სადაც საამო მცენარეთა შორის დილის ცვრით დანამული კოკობი ვარდები ყვოდა. გადარჩენის იმედით ფრთებშესხმულმა პირი ხარბად დავადე, ახლოს მივედი და ათრთოლებული ჩიჩვირით მისკენ წავიწიე, მაგრამ შემაჩერა უფრო საღმა მოსაზრებამ: მე რომ ახლა ვირიდან ლუციუსად ვიქცე, ავაზაკების ხელით ჩემი დაღუპვა აუცილებელია, რადგან კუდიანად ჩამთვლიან ან მათი დაბეზლების განზრახვას დამაბრალებენ-მეთქი. ამგვარად, მხოლოდ აუცილებლობის ძალით, ჯერჯერობით ვარდებისგან თავი შევიკავე, საქმის ვითარებას შევურიგდი და როგორც ვირს შეეფერებოდა, ხმელი ბალახი მოვწიწენე.

წიგნი მეოთხე

1. შუადღე ახლოვდებოდა და მზე სასტიკად აცხუნებდა, როცა ჩვენ ერთ სოფელში ვიღაც მოხუც ადამიანებთან შევუხვით, რომელთაც ავაზაკებთან ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონოდათ. მართალია, ვირი ვიყავი, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ ისინიც ასეთები იყვნენ; ეს ჩემთვის ნათელი გახდა მათი შეხვედრით, გაუთავებელი ლაპარაკითა და ურთიერთ ამბორით. მართლაც, ზურგიდან ზოგიერთი ტვირთი ჩამომხსნეს, აჩუქეს და საიდუმლო ჩურჩულით, ალბათ, აუხსნეს, რომ ეს მათი წილი იყო ავაზაკური ნადავლიდან. მალე ყველა ტომრისგან გაგვათავისუფლეს და მეზობელ კორდზე სამოვრად წაგვასხეს; მაგრამ ერთ ჯოგში ვირთან და ცხენთან სამოვრის განაწილებას ჯერ კიდევ არ შეეძლო მოვეხიბლე და, ამასთანავე თივის საუზმეს მიუჩვეველი ვიყავი. მაგრამ შიმშილისაგან სულზე მიმდგარი, სიხარულით წავედი ბოსლის უკან შემჩნეულ ბაღაში. იქ ნედლი ბოსტნეულით ამოვიყორე სტომაქი, ყველა ღმერთს ხსნას შევთხოვდი, ყურადღებით ვაკვირდებოდი მიდამოს და ვიხედებოდი აქეთ-იქით, იქნებ სადმე მეზობელ ბაღში ვარდის ბუჩქი შევამჩნიო-მეთქი.

თვით განცალკევებულმა ადგილმა კეთილი რწმენა შთამინერგა, რომ მე, განმარტოებული და ბუჩქნარით დაფარული, წამლის მიღების შემდეგ ოთხფეხი საკიდარი ცხოველის მდგომარეობიდან სხვების შეუმჩნევლად ხელახლა ადამიანად გასწორებული აღვდგებოდი.

2. სანამ ასეთ მოსაზრებათა ზღვაში ვცურავდი, მოშორებით დავინახე ხშირი ტევრით დაფარული ვიწრო დაბლობი, სადაც სხვადასხვა მცენარეთა და ხასხასა მწვანეში გამოირჩეოდა მბრწყინავი ვარდების ალისფერი. ჯერ კიდევ გაუმხეცებელ გულში ვიფიქრე, ეს ტევრი, რომლის იდუმალ ჩრდილქვეშ საზეიმო ყვავილის მეფური ბრწყინვალება ლივლივებს, ალბათ, მიმდვნილი აქვთ ვენერას და გრაციებს-მეთქი^[45], მოვუხმე სასიხარულო, სასიამო გამარჯვების ღვთაებას^[46] და ნამდვილი ნავარდით მოვკურცხლე, ისე რომ, ჰერკულესს გეფიცვით, ჩემი შეუდარებელი სისწრაფის გამო ვირად კი აღარ ვგრძნობდი თავს, არამედ არაჩვეულებრივ მკვირცხლ დოდის ცხენად. მაგრამ

გაბედულმა და რიხიანმა ცდამ ვერ აჯობა ჩემი ბედის სიმკაცრეს. იმ ადგილს რომ მივუახლოვდი, ვერც ის ნაზი, საამური ცვრითა და ნექტარით დანამული, ღვთაებრივი ეკლიანი ბუჩქების შობილი ვარდები დავინახე და ვერც დაბლობი; ჩანდა მხოლოდ ხშირი ხეებით დაფარული მდინარის ნაპირი. ეს, ფოთლებით დაყურსული ხეები, დაფნის მსგავსად ისხამენ ზომიერი ალისფერი თასის მაგვარ მოგრძო, სრულიად უსუნო ყვავილებს, რომელთაც უბრალო გლეხები თავისებურად დაფნის ვარდებს უწოდებენ და რომელთა შეჭმა ყოველი ცხოველისათვის მომაკვდინებელია.

3. ამგვარი წარუმატებლობით დატანჯულმა გადარჩენის ყოველი იმედი დავკარგე, მაინც ცვდილობდი მივწვდომოდი და მეგემა შხამიანი ვარდები. ვიდრე აუჩქარებლად მათ მოსაწყვეტად ვემზადებოდი, ვიღაც ჭაბუკმა, ჩემი აზრით - მეზაღემ, რომლის ბოსტანი ახლახან გადავჭამე, დიდი კომბლით მოირბინა, და ისეთი ცემა დამიწყო, სიკვდილზე მიმაყენებდა, რომ თავს თვითონ არ მივშველებოდი. გავა ზევით ავწიე, უკანა ფეხებით იმგვარად დავეუწყე წიხლვა, რომ ძლიერი ტლინკებით ფერდობზე დავაგორე და მოვკურცხლე. ვიღაც ქალმა, ალბათ, მისმა ცოლმა, როგორც კი გორაკიდან დაინახა მიწაზე გაშხლართული ცოცხალ-მკვდარი ქმარი, წამსვე ღრიალი მორთო, რათა მცხოვრებთა თანაგრძნობა გამოეწვია და მე დაველუპე. მართლაც, მის ღრიანცელზე გამოცვენილმა სოფლის მცხოვრებლებმა ძაღლები მომისიეს, წააქეზეს, გახელებულნი დამსეოდნენ და ნაკუწ-ნაკუწ დავეგლიჯე. დავინახე თუ არა ჩემზე მოსეული უზარმაზარი ძაღლების ხროვა, რომელთა საშუალებით ჩემზე კი არა, დათვებსა და ლომებზეც ნადირობა შეიძლებოდა, დავრწმუნდი, რომ სიკვდილი მიახლოვდებოდა. ასეთ გარემოებათა გამო გადავწყვიტე გაქცევის აზრი უკუმეგდო და სწრაფი ჭენებით დავბრუნდი თავლაში, სადაც მოთავსებული ვიყავი. აქ ძლივძლივობით შეაკავეს ძაღლები, დამიჭირეს, მაგარი ღვედით მიმაბეს ერთ რაღაც რგოლზე და ხელახლა სიკვდილის პირას მიმაყენებდნენ, ჩემი ნედლეულით ამოვსებულ სტომაქს რომ არ დავეხსენი: მტკივნეული ცემისგან შევიწროებულმა, იმ უხეში ბოსტნეულით გავსებულმა, სწრაფად გამოსახა განავლის მთელი ნაკადი; ერთნი საზიზღარი სითხით გაწუწა, მეორენი დამპლის საშინელი სუნით ააყროლა და ასე განდევნა ისინი ისედაც დატანჯული ჩემი ფერდებიდან.

4. ცოტა ხნის შემდეგ, როცა მზე ნაშუადღევს დასავლეთისაკენ გადაიხარა, ჩვენმა ავაზაკებმა მძიმედ დაგვტვირთეს, განსაკუთრებით მე და თავიდან გამოგვიყვანეს. უკვე კარგა მოზრდილი მანძილი გავიარეთ, სახრის ცემისაგან დაღლილმა, გრძელი გზით ქანცმილეულმა, ტვირთისაგან ღონემიხდილმა, ფლოქვებდამძვრალმა, კოჭლობითა და ბარბაცით, ერთ დაკლაკნილ მდინარეს რომ მივაღწიე, უცებ თავში ბედნიერი აზრი მომივიდა: მესარგებლა შემთხვევით, ფრთხილად მომეკეცა მუხლები, დავვარდნილიყავი მიწაზე ჯიუტი განზრახვით, არ ავმდგარიყავი და არ გამედგა ნაბიჯი, უფრო მეტიც - მზად ვიყავი არათუ სახრის ქვეშ ამომხდომოდა სული, არამედ თუნდაც დანის ქვეშაც კი. ასე მეგონა, ცოცხალ-მკვდარსა და დასუსტებულს, დამსახურების თანახმად, როგორც ინვალიდს, გადამაყენებდნენ და ავაზაკები, ჯერ ერთი, - იმიტომ, რომ არ დაყოვნებულიყვნენ და, მეორეც, - იმიტომ, რომ გაქცევა დაეჩქარებინათ, ჩემ საპალნეს ორ სხვა საკიდარ ცხოველს გაუნაწილებდნენ, მე კი დიდი სასჯელის სახით მგლებისა და ძერების ანაბარად დამტოვებდნენ.

5. ამ მშვენიერ გეგმას წინ აღუდგა უკუღმართი ზედი. მეორე ვირმა წინასწარ გამოიცნო ჩემი აზრი, მოიგონა დადლილობა, მთელი მონაგართი მიწაზე გაიშლართა და მკვდარივით იწვა. რამდენი არ ურტყეს ჯოხები, სახრეები, რამდენი არ ათრიეს ყოველმხრივ კუდიტ, ყურებით, ფეხებით, მაგრამ წამოყენება ვერაფრით ვერ შესძლეს. მაშინ იმედდაკარგულებმა ერთიმეორეს დაუწყეს ლაპარაკი: აღარ ღირს მკვდარივით გაქცევებული ვირის დავიდარაბით დავკარგოთ გაქცევისათვის აუცილებელი დროო და მისი ტომრები მე და ჩემ ცხენს გაგვინაწილეს. მას კი შიშველი მახვილიტ ყველა მარღვი გადაუჭრეს, გზიდან ცოტა გადაათრიეს და ჯერ კიდევ მსუნთქავი მაღალი ნაპრალიდან მახლობელ ბარში გადაუშვეს. ბედკრული ამხანაგის მწარე ხვედრმა ჩამაფიქრა, გადაწყვიტე, ყოველგვარი ეშმაკობისა და მოტყუებისათვის თავი დამენებებინა და პატრონებისათვის სამსახური გამეწია, როგორც კეთილზნიან ვირს, მით უმეტეს - მათი ლაპარაკიდან გავიგე - მალე გავჩერდებოდიტ და მთელ გზას მშვიდობიანი დასასრული ექნებოდა, რადგან იქ, ახლოს, მათი მუდმივი ბინა იმყოფებოდა. პატარა აღმართი ავიარეთ, დანიშნულ ადგილს მივაღწიეთ. იქ საპალნე ჩამოგვხსნეს და მღვიმეში შეიტანეს. მე კი ტვირთისგან გავთავისუფლდი და დადლილობის მოსახდელად ბანაობის მაგიერ, მტვერში ავგორდი.

შესაფერი დრო და გარემოება მაიმულებს აღწერო მღვიმე, სადაც ყაჩაღები ბინადრობდნენ. ამასთანავე ვეცდები მოვახერხო და ნათლად გაგრძნობინოთ, ვიყავი თუ არა გონებითა და გრძნობებით ვირი. ჩვენ წინ ხშირი ტყით დაბურული ერთ-ერთი მაღალი და საშინელი მთა იყო აღმართული. მისი მიხრილ-მოხრილი კალთები გარშემოვლებული იყო ციცაბო და მიუწვდომელი კლდეებით. კალთები ბუნებრივი სიმაგრის მსგავსად გარს ეხვეოდა ერთიანად ბუჩქნარით დაფარულ ღრმა, დასერილ ხეობებს. მთის მწვერვალიდან გადმოქუხდა მშფოთვარე, ქაფიანი მდინარე; იგი კლდეებზე ჩამორბოდა და ვერცხლისფერ ტალღებს მოაქროლებდა; მრავალრიცხოვან ღელეებად დაყოფილი რწყავდა ამ ხეობებს დაჭაობებული წყლიტ და ხელახლა ერთდებოდა შემონაპირებული ზღვისა თუ მდორე მდინარის მსგავსად. მღვიმის თავზე, სადაც მთებს შუა პატარა თავისუფალი ადგილი მოჩანდა, უზარმაზარი კოშკი იყო აღმართული. იგი ორივე მხარეს გარშემოვლებული იყო მჭიდრო მესერის წნულიტ და ნავარაუდები იყო ცხვრის შესარეკად. შესავლის პირდაპირ კედლები მჭიდროდ ებჯინებოდნენ ერთიმეორეს და ვიწრო გასავალს ქმნიდნენ. სანაძლეოს ვდებ, რომ იტყოდი - ეს ნამდვილი ავაზაკური ატრიუმიო. გარშემო არავითარი საცხოვრებელი სახლები არ იყო, გარდა ლერწმით ოდნავ დახურული ქოხისა, სადაც, როგორც შემდეგ გავიგე, რამდენიმე ავაზაკი, კენჭისყრით არჩეული მზვერავები, ღამდამობით ყარაულობდნენ.

7. ამ გასავალში მოკრუნჩხვით გაძვრნენ ავაზაკები, ჩვენ კართან მაგარი საბლიტ მიგვაბეს, გინებით მივარდნენ ერთ, წელთა სიმრავლისაგან მოკრუნჩხულ, მოხრილ დედაკაცს, რომელსაც ჩანდა, მარტოს აწვა კისრად მთელი ამ ხროვის მოვლა.

- აბა, შე დაუმარხავო მკვდარო, მიწა რომ არც გატარებს და არც გლებულობს. ასე გვაამებ შინ უსაქმოდ დაგდებული? დიდი შრომისა და დავიდარაბის შემდეგ, ასე გვიან ვერ მოგვასვენებ ხეირიანად? შენი საქმე მხოლოდ ის არის, რომ დლიტა და ღამით შესნ გაუმადლარ მუცელში ხარბად ისხა წყალშეურევი ღვინო^[47].

შიშისაგან აკანკალებულმა დედაბერმა უსიამო წრიპინით ასე უპასუხა მათ:

- თქვენთვის, ჩემო ერთგულო ვაჟკაცებო, ჩემო ახალგაზრდა მარჩენალნო, დამზადებულია ყოველგვარი საჭმელი, ყველაფერი გაკეთებულია: პური, რამდენიც გნებავთ, გაკრიალებული თასები პირთამდე სავსეა და ახლა, როგორც ყოველთვის, წყალიც საბანაოდ სახელდახელოდ გაგიცხელეთ.

უმაღვე ტანთ გაიმგრეს, დიდი ცეცხლის პირას შეოფლიანდნენ, ცხელ წყალში იბანავეს, ნელსაცხებით სხეული დაიზილეს და გარს შემოუსხდნენ განცხრომისათვის გამზადებულ სუფრას.

8. ის-ის იყო დალაგდნენ, რომ უცებ მრავალრიცხოვანი ჯეელების მეორე ჯგუფი მოვიდა; არავითარი ეჭვი არ შეგეპარებოდათ, რომ ისინიც ისეთივე ავაზაკები იყვნენ. ამათაც ნადავლი მოზიდეს: ოქროსა და ვერცხლის ფული, ჭურჭელი და ოქრომკედით მოქსოვილი აბრეშუმის ტანსაცმელი. ესენიც ბანაობით გამოცოცხლდნენ, ამხანაგებთან დასხდნენ და მაგიდაზე მომსახურება კენჭისყრით გაინაწილეს. ჰამდნენ, სვამდნენ ყოვლად უთავბოლოდ: შეჭამანდს - მთელი ნაჭრებით, პურს - ყუებიანად, ღვინოს - კოკებით, ეს გართობა კი არა, ნამდვილი ღრიანცელი იყო, სიმღერის მაგიერ - ღრიალი, ოხუნჯობის ნაცვლად - ბილწმოუბრობა და, საერთოდ, ყველანი ნახევრად ველურ მოქეიფე ლაპითებსა და კენტავრებს^[48] ჰგავდნენ. ერთი მათგანი, სიჭარმაგით სხვებისგან გამორჩეული წამოდგა და თქვა:

- ჩინებულად გავძარცვეთ ჰიპატელი მილონის სახლი. ჩვენი სიყოჩადით არა მარტო სიმდიდრე შევიძინეთ, არცთუ ვინმე ჩვენთაგანი გამოგვკლებია, ოთხი წყვილი ფეხი კიდევ მოგვემატა და ასე დავბრუნდით შინ. თქვენ კი, ბეოტიის ქალაქებში საშოვარზე რომ დახეტიალობდით, დაკარგეთ თქვენი მეთაური, უმამაცესი ლამაქე^[49], რომლის სიცოცხლისათვის თქვენგან მოთრეულ ტომრებს არ დავიშურებდი, და დაზარალებულნი დაბრუნდით. ასე თუ ისე, იგი თავის სიმამაცემ დალუპა: ასეთი ვაჟკაცი დიდ მეფეებსა და მხედართმთავრებშიც კი გაითქვამს სახელს. თქვენ კი, საშინაო წვრილმანების ქურდ-ბაცაცებო, შიშით უნდა იფათუროთ მხოლოდ აბანოებსა და დედაბრების საკუჭნაოებში, როგორც მეძონძეებმა.

9. ერთმა, გვიან მოსულთაგანმა თქვა:

- განა არ იცი, რაც უფრო მდიდარია სახლი მით უფრო ადვილი გასაძარცვავია? მართალია, დიდ სახლებში ბევრი შინაყმა იმყოფება, მაგრამ ყველა თავის გადარჩენაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე პატრონის სიმდიდრის დაცვაზე. მომჭირნე და მარტოხელა ადამიანები თავის მცირესა და ხან დიდ ქონებასაც ისე მალავენ, უფროთხილდებიან, რომ სიცოცხლესაც არ ზოგავენ მის დასაცავად. ჩემი სიტყვები მაგალითით შემიდლია დავადასტურო. ჩავედით თუ არა შვიდჭიშკრიან თებეში, როგორც ჩვენს ხელობას შეეფერება, მაშინვე დავიწყეთ გამოკითხვა, ვინ იყო უფრო მდიდარი იქაურ მცხოვრებთაგან. არ გამოგვეპარა ერთი დიდი შეძლებული ზარაფი, ქრისეროსი, რომელიც გადასახადებისა და საზოგადოებრივი ბეგარის ასაცდენად დიდი მოხერხებით მალავდა თავის ურიცხვ სიმდიდრეს. ერთი სიტყვით, თავის პატარა, მაგრამ ურდულებით მაგრად ჩაკეტილ სახლში, ჩამომონძილი და ჭუჭყიანი, ოქროთი სავსე ტომრებზე იჯდა. პირველად მასზე თავდასხმა გადავწყვიტეთ, რადგან ერთი კაცის წინააღმდეგობას არაფრად ვავდებდით და ვფიქრობდით, მთელ მის ქონებას უდავიდარაბოდ და იოლად დავუფლებოდით.

10. დადამდა თუ არა, მის კართან ყარაულობა დავიწყეთ; ანჯამებიანად მოხსნა, შენძრევა ან ჩამტვრევა ხელსაყრელი არ იყო, რადგან კარს საგდულები ჰქონდა და ხმაურობა, ჩვენდა საუბედუროდ, ყველა მეზობელს გააღვიძებდა. ჩვენი შეუდარებელი მეთაური ლამაქე თავის ნაცად მარჯვენას დაენდო, ფრთხილად შეყო ხელი ხვრელში, სადაც გასაღებს დებენ და ცდილობდა ურდულის გადაწევას. მაგრამ ორფეხთა შორის უსაძაგლეს ქრისეროსს უკვე დიდი ხნიდან არ სძინებია და რაც ხდებოდა, თურმე ყველაფერი ესმოდა. ხმამოუღებლად, ჩუმი ნაბიჯით მოიპარა, ჩვენი მეთაურის ხელს მოულოდნელად დიდი ლურსმანი ჩაარჭო და მაგრად მიაჭედა კარის ფიცარზე. ისე დატოვა მილურსმული, როგორც სამარცხვინო ბომზე გაკრული. თვითონ კი თავისი ქოხმახის სახურავზე აძვრა, იქიდან მეზობლებს მოსაშველებლად ყველას თავ-თავისი სახელით ეძახოდა, მათ საერთო ხიფათისაგან თავის დასაცავად მოუწოდებდა; ხმა გავრცელდა, თითქოს მის სახლს უეცრად ცეცხლი წაჰკიდებოდეს და თითოეული მათგანი მოსალოდნელი ხიფათით შემინებული სასწრაფოდ დასახმარებლად გამოიქცა.

11. ჩვენ ორმაგ საშიშროებაში მოვექცით: ან ყველანი უნდა დავლუპულიყავით, ან ამხანაგი უნდა მიგვეტოვებინა. მისივე თანხმობით მდგომარეობით გამოწვეულ გადამწყვეტ საშუალებას მივმართეთ: მარჯვედ დავკარით მეთაურს შუა ძარღვებზე ხმალი, მარჯვენა ხელი სრულიად მოკვეთეთ იმ ადგილას, სადაც იგი მხარს უერთდება და ჭრილობა დაკუწული ჩვრებით დავუცავით, რათა სისხლის წვეთებს ჩვენი კვალი არ დაეტოვებინა, მონაკვეთი ხელი იმავე ადგილას დავტოვეთ, ლამაქეს დანარჩენი სხეული სასწრაფოდ გავიტაცეთ, სანამ ირგვლივ ყველაფერი ზანზარებდა, ძლიერი ხმაურობისა და მოსალოდნელი ხიფათისა გვეშინოდა. სულითა და ვაჟკაცობით შეუდარებელი ლამაქე ხედავდა, რომ ვერც გაქცევაში მოგვეცებოდა და მისთვის დარჩენაც სახიფათო იყო. გვარწმუნებდა, ვაჟკაცური სიტყვით გვევედრებოდა, მარსის მარჯვენას გვაფიცებდა, ტანჯვისა და ტყვეობისაგან იარაღით განგვეთავისუფლებინა. ანდა როგორ შეუძლია კარგ ვაჟკაცს უხელოდ ცხოვრება? განა ერთი ხელი კიდევაც ჰკვეთს და კიდევაც მარცვავს? იგი ბედნიერებადაც კი ჩასთვლიდა ამხანაგის ხელით ნებაყოფლობით სიკვდილს. ვერც ერთ ჩვენგანს ვერ ჩააგონა მამისძველელობა. საღი ხელით იშიშვლა თავისი მახვილი, დიდხანს კოცნა მას და შუაგულში მაგრად ჩაიცა. ჩვენი სულგრძელი გმირის ვაჟკაცობას პატივი ვეცით, მისი ცხედარი ტილოს სუდარაში გულმოდგინედ გავხვიეთ და დასაფარავად ზღვას მივეცით. ამჟამად ჩვენი ლამაქე განისვენებს მთელი სტიქიით დამარხული.

12. ამგვარად მოიპოვა მან თავისი ვაჟკაცური სიცოცხლის ღირსეული აღსასრული.

მაგრამ ალკიმემ^[50] მიუხედავად მოხერხებულობისა თავისი უკუღმართი ბედისწერის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო: გატეხა რომელიღაც ქოხმახის კარი, აძვრა ზედა სართულის საწოლ ოთახში ერთ ბებრუხანასთან და მის მაგიერ, რომ, უპირველეს ყოვლისა, მისთვის კისერი მოეგრინა, მოეკლა, ფართო ფანჯრიდან მისი მონაგარი ნივთების ერთიმეორეზე მიყოლებით გადმოყრა დაიწყო, რათა ჩვენ აგვეკრიფა. ყოველი ნივთი მარდად გადმოაგდო, აღარც ბებრუხანას ქვეშაგების ხელიდან გაშვება მოინდომა. გადმოათრია იგი ლოგინიდან, გამოაძრო ზეწრები და იმავე გზით აპირებდა გამოგზავნას. ამ დროს მუხანათი ბებრუხანა ფეხებზე მოვხვია და შეჰღაღადა:

- შვილო, გემუდარები, საწყალი დედაბრის ჩერებსა და ძონძებს რისთვის უყრი მდიდარ მეზობლებს, რომელთა ეზოშიც ეს ფანჯარა გადის?

ემმაკური და ცბიერი სიტყვით მოტყუებულმა ალკიმემ ნათქვამს დაუჯერა. შეეშინდა, ვაითუ ჩემს მიერ გადაყრილი ნივთები და ისიც, რის გადაგდებასაც ვაპირებ, სხვის ხელში ჩავარდეს და არა ჩემი ამხანაგებისო, შეცდომის ასაცილებლად ფანჯრიდან თავი გადმოყო და იქაურობას გულმოდგინედ ათვალიერებდა. განსაკუთრებით სურდა გამოერკვია, მართლა ისეთი მდიდარი იყო თუ არა ის მეზობელი, როგორც დედაბერი ამბობდა. სანამ გულმოდგინედ, მაგრამ საკმაოდ გაუფრთხილებლად, ათვალიერებდა ყველაფერს, ამ ბოროტმა დედაბერმა, მიუხედავად იმისა, რომ დასუსტებული იყო, სწრაფი და მოულოდნელი მუჯლუგუნით თვალიერებაში გართული ალკიმე, რომელმაც წონასწორობა ვერ დაიცვა, თავქვე დაუშვა. გარდა იმისა, რომ დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდა, იქვე უზარმაზარი ქვა დახვდა, ნეკნები სულ ჩაემტვრა, სისხლის წყაროს ამონთხევით გვიამბო, რაც მოხდა და მცირე ტანჯვის შემდეგ სული განუტევა. ისიც დავასაფლავეთ და ლამაქეს კვალს გავაყოლეთ ერთგულ თანამგზავრად.

13. ამ ორი უბედური შემთხვევით დაობლებულებმა უარი ვთქვით ჩვენი ბედის ცდაზე თებეში და მეზობელ ქალაქ პლატეისაკენ^[51] გავემგზავრეთ. იქ ბევრი რამ გავიგონეთ ვიღაც დემოქარეზე^[52], რომელიც გლადიატორთა ბრძოლის მოწყობას აპირებდა. იგი იყო წარჩინებული წარმოშობისა. ძალიან მდიდარი და ქველობით შეუდარებელი; ცდილობდა, სახალხო გასართობი ბრწყინვალეობით მისი სიმდიდრის შესაფერი ყოფილიყო. ვინ იქნება იმდენად გამჭრიახობის ნიჭით დაჯილდოებული, გამომგონებელი და მჭევრმეტყველი, რომ შესაფერი გამოთქმებით აღწეროს სამზადისის მრავალფეროვნება? აი, მკლავლონიერი გლადიატორები, დახელოვებული მონადირენი, იქ კი - ბოროტმოქმედნი, სიკვდილმისჯილნი და ველურ მხეცთა გამოსაკვებად გამზადებულნი; ხისგან გაკეთებული მანქანები, მოძრავი სახლის მსგავსად ფიცრებისაგან შეკრული და ნათელი ფერებით მოხატული კომპეები - დიდებულ ადგილს წარმოადგენდა ნადირობის მონაწილეთათვის. ამასთანავე რამდენი და რა ნაირ-ნაირი მხეცები არ იყო იქ! დემოქარემ შორიდან მოიყვანა ეს მოსიარულე ჯიშიანი აკლდამები მსჯავრდადებულ ბოროტმოქმედთათვის. მდიდრული სანახაობის დანარჩენ სამზადისთა შორის ყველაზე მეტად განსაცვიფრებელი იყო უზარმაზარი დათვების არაჩვეულებრივი რაოდენობა, რომელთა შესაძენად მას ფული არ დაუზოგავს. იმის გარდა, რაც მან დიდ ფასად შეიძინა, ხანგამოშვებით კიდევ მეგობრები სთავაზობდნენ სხვადასხვაფერ დათვებს. ყველას მშვენივრად კვებავდა და მათ შესანახად დიდ თანხას ხარჯავდა.

14. მაგრამ საზოგადოებრივი გასართობის ამდენად დიდებული და ბრწყინვალე სამზადისი არ გამოპარვია შურისძიების ავ თვალს. დიდი ხნის მწყვდევისა და ზაფხულის სიცხისაგან დახუთული, ხანგრძლივი უმოძრაობისაგან მისუსტებული, მოულოდნელად გაჩენილი გადამდები სენით დაავადებული დათვები ერთიმეორეზე იხოცებოდნენ და ცოცხალი ერთიც აღარ გადარჩა. მრავალ მოედანზე შეიძლებოდა გენახათ, როგორ ეყარა ამ მხეცთა განადგურების კვალი - ცოცხალ-მკვდარი ლეშები. მდაბიო ხალხი, რომელსაც შავზნელი სიღარიბე აიძულებს ეძიოს მუქთი კერძი, თუნდაც ის მძორი იყოს, ოღონდ კი თავისი გამხმარი კუჭი ამოივსოს, ყოველი მხრიდან მიემურებოდა დაყრილი სანოვავისაკენ. ასეთ გარემოებათა გამო მე და ჩემს ძვირფასს ევბულეს^[53] ასეთი მოხდენილი გეგმა დაგვებადა: ვითომდა შეჭამანდის

მოსამზადებლად ერთი დიდი მხეცის ლეში წავატორიეთ სადგომში. ტყავი ხორცს ფაქიზად მოვაშორეთ, ბრჭყალები ოსტატურად შევუნარჩუნეთ და, თვით მხეცის თავი კისრის დასაწყისამდე ხელუხლებლად დავტოვეთ, მთელი ტყავი გათხელების მიზნით პირწმინდად გამოვფხიკეთ, წმინდა ნაცარი გამოვაყარეთ და გასაშრობად მზეზე გავატორიეთ. სანამ ტყავი ზეციური მნათობის ალით მოიქნებოდა, ამასობაში ხორციტ მაგრად გამოვძეხით და მომავალი საქმისათვის დავალებები ასე გავინაწილეთ: ერთი ჩვენგანი, აგებულებით მაგარი და გამბედაობით კიდევ უფრო ძლიერი, ნებაყოფლობით ტყავში შემალული ძუ დათვს უნდა დამსგავსებოდა და ჩვენ მიერ დემარქეს სახლში შეყვანილს ღამის ხელსაყრელი მყუდროებით ესარგებლა, სახლის კარი გაეღო, რათა იქ თავისუფლად შეესულიყავით.

15. ჩვენს მამაც ჯგუფში გამოჩნდა ბევრი გამბედავი, რომელიც ამ მოხერხებული წამოწყების შესრულებამ მიიზიდა, მაგრამ ხმის უმრავლესობით უპირატესობა თრასილეონს^[54] მიენიჭა; მას წილად ხვდა ეს სახიფათო დავალება. იგი დარბილებულ და მოქნილ ტყავში მხიარულად შეძვრა. წვრილი მკედით ნაპირები ამოვუკერეთ, ნაკერავი რომ არ გამოჩენილიყო, თუმცა ისედაც ძლივს ეტყობოდა, ყოველმხრივ სქელი ბეწვი წავაფარეთ. კისერთან, სადაც მხეცის თავი იყო გადაჭრილი, ძლივს გავაძვრინეთ ყელამდე თრასილეონის თავი. ნესტოებისა და თვალების პირდაპირ ნახვრეტები გავუკეთეთ და ადრევე იაფად ნაყიდ გალიაში ნამდვილ მხეცად ქცეული ჩვენი უმამაცესი ამხანაგი ჩავსვით. იგი სრულიად მშვიდად და სწრაფად შეხტა გალიაში. ამრიგად, დავამთავრეთ მოსამზადებელი სამუშაო და სხვა ეშმაკურ საქმეებს შევუდექით.

16. გამოვქექეთ რომელიღაც თრაკიელი ნიკანორის სახელი, რომელიც დემოქარეს მეგობარი იყო; შევთხზეთ მისი სახელით წერილი, თითქოს ეს ერთგული მეგობარი, თავის პირველ ნანადირევს ზეიმის დასამშვენებლად უგზავნიდეს. დაღამებამდე დავიცადეთ, სიბნელეში დემოქარეს მივუტანეთ. გალია თრასილეონით და ჩვენი ყალბი წერილით. მხეცის სიდიდით გაოცებულმა და მეგობრის გულუხვობით გახარებულმა, რომელმაც სწორედ სულზე მოუსწრო, უწინარეს ყოვლისა, ბრძანება გასცა, ჩვენთვის ამდენად სასიამო ამბის შუამავალთათვის, მისი ხაზინიდან ათი ოქრო გადმოეთვალათ. რადგან ადამიანს ყოველივე ახალი ნახვის სურვილს აღუძრავს, ცნობისმოყვარეთა დიდი რაოდენობა მოცვივდა მხეცის საჭვრეტად. მაგრამ ჩვენმა თრასილეონმა თავისი მოხერხებული მოძრაობით და ხტომით ადამიანები ახლოს არ გაიკარა. ხალხი ერთხმად აქებდა და ადიდებდა დემოქარეს ბედსა და წარმატებას, რომ ამდენ ცხოველთა განადგურების შემდეგ, ამ ახალი შენაძენით, მას მაინც შეეძლო ასე თუ ისე წინააღდგომოდა ბედს.

ბოლოს მან ბრძანება გასცა, მხეცი დიდი სიფრთხილით ახლავე გაეგზავნათ მინდორში, ნასვენ მიწაზე. აქ მე ჩავერიე:

17. - ბატონო, ფრთხილად! - მივმართე მე, - დათვი მოქანცულია. ერიდეთ მხეცთა ჯოგში მზის პაპანაქებისა და შორეული გზისაგან მოღლილი ცხოველის შერევას. მით უმეტეს, როგორც ყური მოვკარი, დასნეულებული ყოფილან ისინი. განა არ ჯობს აქ, სახლის ახლო, მოინახოს ფართო ადგილი, სადაც ბევრი ჰაერია და უკეთესია, თუ მეზობლად გრილი გუბეც იქნება. ხომ იცით, რომ ეს ჯიში ყოველთვის ხშირი ტყეების, ნესტიანი მღვიმეებისა და საამო წყაროების ახლო ცხოვრობს?

ასეთმა დასაბუთებამ შეაშინა დემოქარე, მოიგონა, თუ როგორ დაზარალდა, და იოლად დამეთანხმა იქ დაგვედგა გალია, სადაც მოვისურვებდი.

- და ჩვენც, - განვაგრძე მე, - მზადა ვართ ღამდამოებით ამ გალიასთან ვიძინოთ, რათა პაპანაქებისა და რყევისაგან დაღლილ ცხოველს სასმელ-საჭმელი, ჩვეულებისამებრ, დროზე მივაწოდოთ.

- ამისათვის თქვენ სრულებით არა ხართ საჭირო, - გვიპასუხა მან, - თითქმის მთელი ჩემი მსახურები ადრევე არიან მიჩვეული დათვების მოვლას.

18. ჩვენ გამოვეთხოვეთ და წამოვედით. გადმოვიარეთ თუ არა ქალაქის კარიბჭე, გზიდან მოშორებით, კაცის თვალმიუწვდომელ ადგილას, აკლდამა დავინახეთ. იქ ნადავლის შესანახავად გავხსენით დროისა და სიძველისაგან ნახევრად დანგრეული სარკოფაგი, სადაც უკვე გახრწნილი და მტვრად ქცეული მიცვალებულთა გვამები განისვენებდა; შემდეგ. ჩვენი ჯგუფის მიერ დაწესებული ჩვეულებისამებრ დავუცადეთ უმთვარო ღამეს; როცა პირველი ძილი მაგრად ერევა და ეუფლება მოკვდავებს, მახვილებით შეიარაღებულნი, თითქოს უწყებით ვყოფილიყავით გამოწვეულნი, გასამარცხავად, დემოქარეს ჭიშკართან დავირაზმენით. თავის მხრივ, თრასილეონმაც შეარჩია ქურდობისათვის ხელსაყრელი საათი, ღამით გალიიდან გამოძვრა და ახლომყოფი მძინარე ყარაულები მახვილით დახოცა. ბოლოს მოკლა მეკარეც, წაართვა გასაღები და ფართოდ გააღო ჭიშკარი. უცებ შეეცვლინა სახლში. მან გვიჩვენა საწყობი, რაც ადრევე შეემჩნია, რომ იქ ბევრი ფული იყო შენახული. როგორც კი საერთო ძალით იგი სასწრაფოდ გავტეხეთ, გავეცი განკარგულება, ყოველ ამხანაგს წაეღო ოქრო და ვერცხლი რამდენიც შეეძლო, უმაღვე შეენახა ჩვენი ერთგული მიცვალებულების ბინაზე და დიდი სიჩქარით შემდეგი ულუფისათვის გამობრუნებულიყო, მე კი საერთო კეთილდღეობისათვის მარტო უნდა დავრჩენილიყავი შესასვლელთან და ყველაფრისთვის თვალყური მედევნებინა, სანამ ისინი დაბრუნდებოდნენ. შენობებს შორის მოძუნძულე ძუ დათვის მარტო დანახვასაც კი შეეძლო შიშის მოგვრა, რომ რომელიმე შინაყმათაგანს არ სძინებოდა. მართლაც, ყოველი ადამიანი, რაგინდ მამაცი და გამბედავი იყოს, ასეთი უზარმაზარი მხეცის დანახვაზე განსაკუთრებით ღამით მაშინვე გაიპარება და შიშითა და კანკალით თავის საკუჭნაოში ურდულებით ჩაიკეტება.

19. მაგრამ ამ საღი გონების ყველა სწორ ვარაუდს წინააღუდგა მკაცრი უბედობა. სანამ ჩემი ამხანაგების დაბრუნებას მოუთმენლად ვუცდიდი, ერთი გაძვალტყავებული მონათაგანი, ხმაურობის თუ შთაგონების ძალით გაღვიძებული, ფრთხილად გამოძვრა ეზოში, დაინახა მხეცი მთელ შენობაში თავისუფლად რომ დასეირნობდა წინ და უკან, ხმის ამოუღებლად გაბრუნდა უკან და შინ ყველას უამბო, რაც იხილა. სახლი მაშინვე ურიცხვი ჯალაბობით აივსო. ჩირადნებით, ლამპრებით, თაფლის და ქონის სანთლებით სიბნელე გაიფანტა. ეს ბრბო ცარიელი ხელებით არ იყო გამოსული; ყველას ის დაეჭირა ხელში, ვისაც რა მოხვედროდა: მარგილები, შუბები და ბოლოს გაშიშვლებული მახვილებით დადგნენ შემოსავლის დასაცავად. მხეცის დასაჭერად არ დაავიწყდათ გრძელყურა, გაბურძგვნილი მონადირე ძაღლების ხროვის მისევაც.

20. ხმაურობა თანდათან ძლიერდებოდა და უკვე ვფიქრობდი უკანვე გავქცეულიყავი, მაგრამ კარს ამოფარებული ვუყურებდი, თუ როგორ შესანიშნავად იგერიებდა თრასილეონი ძაღლებს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მისულმა არ დაივიწყა არც თავისი თავი, არც ჩვენ და არც თავისი

ძველი სიმაძავე თვით ცერბერის დაღებულ ხახაშიაც კი. ნებაყოფლობით აღებული ვაჟკაცური როლი არ მიატოვა, ხან გაქცევითა და მხარშეცვლით იცავდა თავს და ბოლოს სახლიდანაც გამკრა. თუმცა ისიც სხვასავით თავისუფალი იყო, მაგრამ გაქცევით თავს ვერ უშველა, რადგან მახლობელი მოსახვევიდან გამოვარდნენ ავი ძაღლები, მაშინვე შეუერთდნენ სახლიდან გამოცვენილ მონადირე ძაღლების ზროვას და დათეს კვალდაკვალ გამოუდგნენ. რა სავალალო და საშინელი სანახაობა წარმოიშვა თვალწინ! ჩვენი თრასილეონი, მძვინვარე ძაღლებით გარშემორტყმული, შეპყრობილი, დაკბენილი და დაფლეთილი იყო. ასეთი მწუხარების ატანა ვეღარ შევძელი, გავერიე ახმაურებულ ბრბოში და მოვიმოქმედე ერთადერთი, რითაც ჩემი თავის გაუცემლად შემეძლო დავხმარებოდი კარგ ამხანაგს, - დამჭერთა მეთაურებს ჩიჩინი დავუწყე: დიდ და მძიმე ბოროტმოქმედებას ჩავიდენტ, თუ ასეთ უზარმაზარ და ნამდვილად ძვირფას მხეცს დავკარგავთ-მეთქი.

21. მაგრამ უბედურ ყრმას ჩემმა ეშმაკობამ ვერა არგო რა. გამოვარდა სახლიდან ერთი ახმახი კაცი და გული მახვილით გაუგმირა. მას მოჰყვა მეორე კაციც და ბოლოს მრავალი. შიშმა ცოტა გადაუარათ, ახლოს მივიდნენ და ხანგამოშვებით ასობდნენ მახვილს. ამგვარად, თრასილეონმა, ჯგუფის სინდისმა და სამკაულმა, უკვდავების ღირსმა, თავისი სიცოცხლე დაკარგა, მაგრამ მოთმინებიდან არ გამოსულა და თავი ღრიალით არ გაუცია, უკვე კბილებით დაფლეთილი, იარაღით განგმირული, კეთილშობილური სიმტკიცით გადატანილ უბედურებას მხოლოდ ყრუ ღმუილით უპასუხებდა; სული ბედისწერას ჩააბარა და სიკვდილის შემდეგ უკვდავი სახელი დატოვა. ისეთი შიშის ზარი დასცა მთელ ამ შეკრებულებას, რომ გათენებამდე და თითქმის შუადღემდეც კი, არ გამოჩენილა ისეთი გულადი, რომელიც თითოთ მაინც შეხებოდა დაცემულ მხეცს. ბოლოს ნელა და მოკრძალებით მიუახლოვდა ერთი, ცოტა შეგულიანებული ყასაბი, გამოლადრა მხეცს მუცელი და შიგ მამაცი ავაზაკი აღმოაჩინა. ასე დაიკარგა ჩვენთვის თრასილეონი, მაგრამ არ დაკარგულა ქება-დიდებათვის.

ჩვენ კი დაუყოვნებლივ შევკარით ნადავლი, ერთგულმა მიცვალებულებმა რომ შეგვინახეს და ჩქარი ნაბიჯით დავტოვეთ პლატის^[55] ფარგლები. არა ერთხელ მოგვსვლია თავში ასეთი აზრი: გასაკვირი არ არის, ამ ცხოვრებაში ვერავითარ ერთგულებას რომ ვერ ვპოულობთ, რადგან იგი ჩვენ მიერ შებღალულ მიცვალებულთა და განსვენებულთა სულებთან გადაბარგდა, აი, დავკარგეთ სამი ამხანაგი, მძიმე ტვირთითა და გრძელი გზით დავიტანჯეთ და მოვიტანეთ ეს ნადავლი, რომელსაც ხედავთ.

22. ამ სიტყვების შემდეგ გარდაცვლილ თანამებრძოლთა სულის მოსახსენებლად ოქროს თასებიდან წყალშეურველი ღვინო გადმოღვარეს. მარსის^[56] პატივსაცემად რამდენიმე სიმღერით დატკბნენ და ოდნავ მიწყნარდნენ. ჩვენ კი იმ ჩვენმა ნაცნობმა, ზემოხსენებულმა დედაბერმა, დაუნანებლად ზომაზე მეტი ნედლი ქერი ჩამოგვიყარა, ისე რომ ჩემს კეთილ ცხენს მხოლოდ მის სასარგებლოდ მიღებული დიდი ულუფის გამო შეეძლო თავისი თავი სალიების^[57] ნადიმზე წარმოედგინა. მე კი, ამდენ ხანს რომ მხოლოდ წმინდად დაღერდილ და კარგად მოხარშულ ქერს მივირთმევდი, დავიწყე კუთხეებში ფოთიალი, სადაც ყაჩაღების ნასუფრალი პურის ყუათა მთელი გროვა ეყარა და გადავუშვი საყლაპავში, რომელიც დიდი ხნის შიმშილობისაგან უკვე გამომხმარი იყო და ობი ედებოდა. ნაშუადამევს ავაზაკებმა გაიღვიძეს, ადგნენ და სამოსი სხვადასხვაგვარად გადაიცეს. ვინ

მახვილით შეიარაღდა, ვინ მოჩვენებას დაემსგავსა, და ჩქარი ნაბიჯით სახლიდან გავიდნენ. მე ხარბად განვაგრძობდი ჭამას, ისე რომ, მორეულმა ძილმაც კი ვერ მომაშორა საკვებს. წინათ, როცა ჯერ კიდევ ლუციუსი ვიყავი, ერთი თუ ორი პურით დაკმაყოფილებული მაგიდიდან მამლარი ვდგებოდი, ახლა კი ასეთი ღრმა სტომაქის გამო მესამე კალათ პურს ვღებდი. ჩემდა გასაოცრად ამ ყოფაში შუადღე წამომადგა.

23. ბოლოს, ვიხელმძღვანელებ ვირული მორცხვობით, ჩემს საქმეს ძლივს მოვშორდი და წყურვილი ახლობელ მდინარეში მოვიკალი. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდნენ არაჩვეულებრივად შემფოთებული და შეწუხებული ავაზაკები, თან არ მოჰქონდათ არავითარი ბოხჩა, არავითარი თუნდაც უბრალო ხარახურა, არამედ მთელი ბრბო საერთო ძალ-ღონით, ამდენი მახვილითა და საქმისათვის მზა ხელებით მხოლოდ ერთ კეთილშობილ ქალწულს მოათრევდა, რომელსაც სახის ნაკვთებისა და მორთულობის მიხედვით ეტყობოდა, მაღალი წოდებისა უნდა ყოფილიყო. ამ ქალწულს, ჰერკულესს გეფიცებით, ისეთ ვირშიაც კი, როგორიც მე ვიყავი, შეეძლო ისეთი მწვავე სურვილი აღედგრა, რომ თმა და ტანსაცმელი შემომეგლიჯა. შემოიყვანეს თუ არა მღვიმეში, ძალიან რომ არ ედარდა, დასაწყენარებლად ასე მიმართეს:

- შენს სიცოცხლესა და ნამუსს არას ვავენებთ, ცოტა მოითმინე, მოგვეცი საშუალება ხიერი ვნახოთ. სიღარიბე გვაიძულებს ამის ჩადენას. შენი მშობლები, თუმცა თავისი სიმდიდრის მოყვარულნი არიან, მაგრამ თავიანთი შვილის გამოსასყიდ თანხას დაუყოვნებლივ მოგვცემენ.

24. მაგრამ ამაოდ ცდილობდნენ, მსგავსი მოჩმახული სიტყვებით შეენელებინათ ქალწულის მწუხარება. რა ბრძანებაა! მუხლებში თავჩარგული განუწყვეტელი ტიროდა. დაუძახეს დედაბერს, მიანდევს გვერდით მიჯდომოდა ქალს და ალერსიანი სიტყვებით როგორმე დაეწყნარებინა, თვითონ კი თავიანთ საქმეზე გაეშურნენ. დედაბრის რჩევა-დარიგებაზე ქალმა არათუ შესწყვიტა ტირილი, არამედ უფრო ხმამაღალი მოთქმა დაიწყო. განუწყვეტელი ქვითინისაგან სხეული ისე უთრთოდა, რომ მეც კი ცრემლი მადვრევინა. ამბობდა:

- ოი, მე უბედური, ისეთი სახლიდან, ისეთი ოჯახიდან, იმდენ ჩინებულ მსახურთაგან, იმდენად ძვირფას მშობლებდაკარგული, ტყვედქმნილი, ბოროტ მმარცველთა ნადავლი შევიქენი! ამ ქვის საპყრობილეში ჩამწყვდეული ყველა სიხარულს, რომელშიაც დაბადებული და აღზრდილი ვიყავი, მომაშორეს, სასიკვდილოდ მღვიმეში, ცხოვრებაში ურწმუნო მკაცრ ავაზაკთა ბრბოში, საშინელ-თავზეხელაღებულთა შორის მყოფს როგორ შემიძლია შევწყვიტო ტირილი და როგორ შემიძლია ვიცოცხლო?

ამ წუწუნის შემდეგ სულიერი ტანჯვით, ყელის დაჭიმვითა და სხეულის მოღლილობით ქანცმილეულმა მიზნედილი თვალები მილულა და მიიძინა.

25. მაგრამ დიდი ხნით როდი მოუხუჭავს თვალი; საშინელ სევდამოწოლილს მოულოდნელად გაედვიძა, კიდევ უფრო მეტად დაიწყო მოთქმა და აღშფოთებული ხელებს მკერდსა და მშვენიერ სახეზე იცემდა. როცა დედაბერმა დაჟინებით დაუწყო გამოკითხვა, თუ ხელახლა რად იკლავ თავსო, ღრმად ამოიოხრა და უპასუხა:

- ოჰ, ოჰ, ახლა კი უეჭველად დავიღუპე, ხსნის ყოველგვარი იმედი დავკარგე. აუცილებელია უნდა მოვძებნო მარყუქი, მახვილი ან, ბოლოს, უფსკრული.

ამაზე დედაბერი გაჯავრდა და მრისხანე სახით მოითხოვა აეხსნა (ეშმაკმა წაიღოს მისი თავი!), რატომ და რისთვის ტირის? თითქოს დამშვიდებული იყო და ხელახლა განუწყვეტელ წუწუნს რად შეუდგა.

- როგორც ჰგავს, - უთხრა მან, - შენ გადაგიწყვეტია, ჩემს ყმაწვილებს გამოსასყიდი თანხა ხელიდან გამოაცალო. თუ კვლავ ასე განაგრძობ, არ მივხედავ შენს ცრემლს, რომელიც ასე იაფად უზით ავაზაკებს და შევძლებ ცოცხლად შეგწვა.

26. ამ სიტყვებით შეშინებულმა ქალწულმა მას ხელები დაუკოცნა და უთხრა:

- შემიბრალე, კეთილო, მოიგონე ადამიანური სიბრალული და ამ საშინელ გაჭირვებაში ცოტა დამეხმარე. ვფიქრობ, ხანგრძლივი სიცოცხლით წმინდა ჭადარამდე მიღწეულს მთლად არ დაგხშვია სიბრალულის გრძნობა. ბოლოს და ბოლოს შემოხედე ჩემი უბედურების სურათს: არის ერთი, თავის ტოლებში გამორჩეული, იშვიათი სილამაზის ჭაბუკი, რომელიც მთელმა ქალაქმა ერთსულოვნად იშვილა; მე კი ბიძაშვილად მერგება და მხოლოდ სამი წლითაა ჩემზე უფროსი; პატარაობიდანვე ერთად ვიზრდებოდით, ჩვენს სახლში ოთახიც კი საერთო გვქონდა და საწოლის წმინდა სიყვარულით შეკავშირებულნი ვართ და დიდი ხანია საქორწინოდ ვართ დანიშნულნი; მშობელთა თანხმობით წიგნებშიც კია ჩაწერილი, როგორც ჩემი ქმარი. იგი უკვე წინა-საქორწინო მსხვერპლს სწირავდა ნაცნობებსა და მახლობელთ შორის, ტაძრებსა და საზოგადოებრივ ადგილებში; მთელი სახლი დაფნის რტოებით იყო მორთული, ჩირაღდნებით ბრწყინავდა. საბრალო დედაჩემმა გულში ჩამიკრა და საქორწინო ტანსაცმელით მომკაზმა, როგორც საჭირო იყო, და მრავალჯერ მაკოცა ტკბილად. აღზნებული ფიქრით მომავალ თაობას ეალერსებოდა, რომ უეცრად მოხდა ომივით საშინელი ავაზაკთა თავდასხმა. ავის მომასწავებლად ელვარებდნენ შიშველი მახვილები; მაგრამ ისინი არ ფიქრობდნენ არც ძარცვას და არც მკვლელობას, მხოლოდ ჩემს საწოლ ოთახს მოაშურეს. არც ერთ ჩვენ შინაურთაგანს წინააღმდეგობა არ გაუწევია, თავდაცვაც ვერ გაბედეს, მე, უბედური, შიშისაგან გრძნობადაკარგული, დედის კალთას მომაგლიჯეს და მომიტაცეს. ასე დაიშალა და დაირღვა ქორწინება, როგორც ატისისა^[58] ან პროტეზილასი^[59].

27. სასტიკმა ძილმა განაახლა და კიდევ უფრო გააღრმავა ჩემი უბედურება; მესიზმრა, თითქოს სახლიდან, სანთიობოდან, თვით სარეცელიდანაც კი, უხეშად მოტაცებულს გაუვალ უდაბნოებში მიმათრევდნენ, ჩემს უბედურ მეუღლეს ვეძახდი. იგი კი, ჩემს ალერსამდე დაქვრივებული, გვირგვინით თავზე სხვებთან გაქცეულს და მოტაცებულს მომდევდა. სანამ იგი საშინელი ხმით მოთქვამდა მშვენიერი მეუღლის მოტაცებას და ხალხს შველას შესთხოვდა, შეუპოვარი დადევნებით აღშფოთებული ერთ-ერთი ავაზაკი დასწვდა უზარმაზარ ქვას და ჩემი უბედური, ახალგაზრდა ქმარი სიკვდილზე მიაყენა. ასეთი საშინელების დანახვამ შემაშინა და ავისმომასწავებელი სიზმრისაგან აღშფოთებულს გამომეღვიძა.

მის ცრემლს დედაბერმა ამოოხვრით უპასუხა და ასე დაიწყო:

- ნუ სწუხარ, ჩემო პატარა ქალბატონო, სიზმრის სულებური მოჩვენებისა ნუ გეშინია. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ დღის სიზმარი სიცრუედ ითვლება, ხშირად ღამის ზმანებაც კი საწინააღმდეგოს ნიშნავს. ბოლოს და ბოლოს ცრემლი, ხოცვა-ჟლეტა, ხანდახან სიკვდილიც კი, კარგსა და ხელსაყრელ შედეგს მოასწავებს, სიცილი, კარგი საქმელებით კუჭის ავსება, ან

სიყვარულის ვნებით დატკობა კი, პირიქით, სულიერი ნაღველის, სხეულის სისუსტისა და მომავალში სხვა უსიამოვნებათა მაუწყებელია. მოდი, უმჯობესია კარგი ზღაპრითა და დედაბრული არაკებით დაგაწყნარო, - და ასე დაიწყო:

ამურისა და ფსიქეას ამბავი

28. - ერთ სასელმწიფოში ცხოვრობდა მეფე-დედოფალი. მათ ჰყავდათ სამი ულამაზესი ქალიშვილი. მართალია, უფროსები მეტად მშვენიერები იყვნენ, მაგრამ მაინც შეიძლებოდა იმის დაჯერება, რომ ადამიანები მათ საკმაოდ შექებას შეძლებდნენ. უმცროსი კი ისეთი წარმტაცი და აუწერელი სილამაზისა იყო, რომ ადამიანურ ენაზე მის სადიდებლად საკმაო სიტყვებიც კი არ მოიძებნებოდა. ბევრი ადგილობრივი მოქალაქე და მრავალი უცხოელი, რომელთაც უხვად იზიდავდა არაჩვეულებრივი სანახაობის შორს გავარდნილი სახელი, მიუწვდომელი მშვენიერებით აღტაცებულნი და განცვიფრებულნი მარჯვენა ხელს პირზე იფარებდნენ ისე, რომ საჩვენებელი თითი გაჭიმულ ცერზე ჰქონდათ მიდებული, თითქოს მოწიწებით თავყანს სცემდნენ თვით ქალღმერთ ვენერას. მახლობელ ქალაქებსა და მეზობელ ქვეყნებში ხმაც კი გავრცელდა, ზღვის ცისფერი სიღრმით შობილმა და აქაფებული ტალღების ნამით აღზრდილმა ქალღმერთმა განსაკუთრებული ღვთაებრივი მოწყალება მოიღო და ადამიანთა შორის ტრიალებსო; ან კიდევ - ზეციურ მნათობთა ახალი თესლისაგან, ქალწულებრივი იერით დაჯილდოებული მეორე ვენერა ხელახლა წარმოშვა არა ზღვამ, არამედ დედამიწამო.

29. ეს აზრი დღითი დღე უსაზღვროდ იდგამდა ფესვებს, ქება-დიდება ყოველმხრივ ვრცელდებოდა მახლობელ კუნძულებზე, ხმელეთსა და მრავალ პროვინციაში. ბევრი ადამიანი არ უდრკებოდა გზის სიმორეს, ზღვის სიღრმეს და მოეშურებოდა სახელგანთქმული სასწაულისაკენ. პაფოსში, კნიდოსში და თვით კითერაზეც^[60] კი აღარავინ მიდიოდა ვენერას საჭვრეტად; მსხვერპლის შეწირვა იშვიათი გახდა, ტაძრები დაცარიელდა, წმინდა ბალიშები გაიფანტა, საღმრთო წესები მიივიწყეს, ღვთაებათა ქანდაკებებს გვირგვინებით აღარ რთავდნენ და დაცარიელებული სამსხვერპლოები ცივი ნაცრით დაიფარა. ქალწულს მიმართავდნენ ვედრებით და მოკვდავ ნაკვთთა სახით თავყანს ცემდნენ დიად ქალღმერთს; როცა დილაობით ქალწული გამოდიოდა, მისთვის ძღვენი და შესაწირავი მიჰქონდათ უხილავი ვენერას სახელზე. ხოლო, როდესაც ის მოედნებზე გაივლიდა, ბრბო მას ხშირად ვარდებითა და გვირგვინებით უფენდა გზას.

მოკვდავი ქალწულისათვის ღვთაებრივი პატივის უხვად მიგება მღიერ აღანთო ჭეშმარიტი ვენერა; აუტანელი ბოღმით სავსე, თავის ქნევითა და აღელვებული ასე ეუბნებოდა თავის თავს:

30. მე, ბუნების უპირველესი დედა, სტიქიონთა დასაბამი და მთელი ქვეყნის მშობელი, ვენერა, როგორ ვითმენ ისეთ მოპყრობას, რომ მოკვდავი ქალწული ინაწილებს ჩემს მეფურ დიდებას და ზეცაში განმტკიცებული სახელი მიწიერი უწმინდურობით იბილწება? განა შევურიგდები იმას, რომ უზენაესი უფლებები მოადგილეს გავუნაწილო, ჩემი სახელით მოსანანიებელ მსხვერპლს რომ იწირავს, და მოკვდავი ქალწული ჩემს სახეს ატარებდეს? განა სახელგანთქმულმა მწყემსმა^[61], რომლის მსჯავრი და სამართალი დიდმა იუპიტერმა დაამტკიცა, ტყუილად მომანიჭა უპირატესობა, შეუდარებელი სილამაზის გამო იმ დიად ქალღმერთთა წინაშე? მაგრამ იმ ცრუ სახელის

მიმღებს, ვინც არ უნდა იყოს იგი, თავის სასიკეთოდ არ მიუთვისებია ეს პატივი. საქმეს ისე მოვაწყობ, რომ თვით ინანოს თავისი ნებადაურთველი სილამაზე.

მაშინვე მოუხმო თავის ფრთოსან ვაჟს^[62], საშინელ თავხედ ბიჭს, რომელიც თავისი ავი ჩვევებით საზოგადოებრივ წესიერებას აზუჩად იგდებდა, ისრებითა და ჩირაღდნებით შეიარაღებული დამდამობით სხვის სახლებში დარბოდა, ცოლ-ქმარს ერთმანეთს აშორებდა და ასეთი ბოროტმოქმედებისათვის დაუსჯელი რჩებოდა, ერთი სიტყვით, ყოველ ავს ჩადიოდა. ბუნებით წამხდარი, გათავხედებული ბიჭი ვენერამ კიდევ უფრო წააქეზა, წაიყვანა იმ ქალაქში და დაანახა ფსიქეა - ასეთი იყო იმ ქალწულის სახელი - მოუთხორო სილამაზეში შეჯიბრების ამბავი და აღშფოთებისაგან აკანკალებულიმა უთხრა:

31. - გაფიცებ მშობლიურ სიყვარულს, გაფიცებ შენი ისრების ტკბილ ჭრილობებს და შენი ჩირაღდნის თაფლიან ცეცხლს, შური იძიე მშობლისათვის. სამაგიერო სრულად მიუზღე და სასტიკად დასაჯე თავხედი სილამაზე. გააკეთე ის ერთადერთი, რაც ყველაფერზე მეტად მწყურია: დაე, ამ ქალწულს უზომოდ შეუყვარდეს სულ უკანასკნელი ადამიანი, ისეთი, რომელიც წარმოშობითაც, ქონებითაც და თვით თავდაცვის უნარითაც კი დაჩაგრა ბედმა, ისეთი გლახაკი, რომ მთელ ქვეყანაზე უფრო მეტად საცოდავი აღარ მოიპოვებოდა.

ასე უთხრა, ნახევრად გაპოხილი ბავით დიდხანს მაგრად კოცნა თავისი შვილი და ზღვით გარშემომდინარე სანაპიროს მახლობელ მხარეს მიაშურა. ის იყო დაადგა მოშრიალე ტალღათა ზედაპირს ვარდისფერი ფეხისგულები, რომ, აი, უკვე განისვენებდა ღრმა ზღვის მოკრიალებულ, წყნარ ზედაპირზე, და მოისურვა თუ არა, წამსვე გამოჩნდა თითქოს წინასწარ მომზადებული ზღვის ამაღა: აქ იყო ნერევის^[63] ქალიშვილთა მომღერალი გუნდიც, პორტუნეც^[64] გაბურძენილი ლურჯი წვერით, სალაციაც^[65], რომლის კალთა თევზებითაა სავსე და დელფინების პატარა მეეტლე პალემონიც^[66]. აი, ზღვაზე ტრიტონთა^[67] ჯგუფი ნავარდობს: ერთი - ტკბილხმიან ნიჟარაზე ნაზად ცემს ნაღარას, მეორე - მზის პაპანაქებისაგან დასაფარავად აბრეშუმის ლეჩაქს შლის, მესამეს - ქალბატონის თვალეზთან სარკე მიაქვს, სხვები - ორუღლიანი ეტლებით დაცურავენ. ასეთი ამაღა ახლდა ვენერას, რომელიც ოკეანისაკენ^[68] მიემშრებოდა.

32. ფსიქეას კი, შეუდარებელი სილამაზის პატრონს, არავითარი სარგებლობა არ ჰქონდა თავისი მშვენიერი გარეგნობისაგან. ყველა ტკბებოდა, ყველა ადიდებდა, მაგრამ არავინ - არც მეფე, არც უფლისწული, არც თუნდაც უბრალო ხალხიდან მოდიოდა ვინმე მის სათხოვნელად. გაცეებით უყურებდნენ მას, როგორც ღვთაებას, მაგრამ ყველას აკვირვებდა ის, როგორც ოსტატურად ჩამოსხმული ქანდაკება. უფროსმა დებმა, რომელთა ზომიერ სილამაზეს ხალხში არავითარი სახელი არ გაუთქვამს, უკვე დიდი ხანია, რაც იშოვეს სამეფო გვარის საქმროები და ბედნიერად იქორწინეს. ფსიქეა კი, ქალწულთა შორის ქერივი, სხეულით დასუსტებული, დანადგლიანებული იჯდა შინ და დასტიროდა თავის მარტოობას. თუმცა იგი ყველას ხიბლავდა, მაგრამ მას თვითონ სძაგდა თავისი სილამაზე. მაშინ უსაწყლესი ქალწულის გაუბედურებულმა მამამ იფიქრა, ჩანს, ეს ზეციური უმოწყალობის ნიშანიაო და ღმერთების რისხვით შემინებულმა მიმართა უძველეს სამისნოს - მილეტის ღვთაებას^[69] - ვედრებითა და მსხვერპლის შეწირვით შესთხოვდა უდიდეს სალოცავს დაჩაგრული ქალწულისათვის ქმარსა და ქორწინებას. აპოლონმა, თუმცა ის ბერძენი იყო და თითქმის იონიელიც, მილეტური მოთხოვნის

შემთხვევის პატივსაცემად პასუხი მაინც ლათინურ ენაზე უწინასწარმეტყველა:

33. მეფევ, კლდის პირს დააყენე განწირული შენი ქალი,
იგი საქორწინოდ მორთე დასამარხავ სამოსელში;
მოკვდავ სიძეს ნუ მოელი, უბედურო მშობლის თვალო;
ის იქნება ველური და შმაგი, ვით ბოროტი გველი,
ეთერს ფრთებით ჭრის და სერავს, ყველას მწარედ ღლის და ქანცავს,
თავის ისრით ყველასა ჩხვლეტს, ასუსტებს და ცეცხლითა წვავს.
იუპიტერს აცახცახებს, სხვა ღმერთებიც შიშით თრთიან,
მდინარენიც შიშს მოუცავს, საიქიოს სტიქსის წყალიც.

ასეთი პასუხი მოისმინა უწმინდესი მისნისაგან ოდესღაც ბედნიერმა მეფემ და უკმაყოფილო, დანაღვლიანებული დაბრუნდა შინ და დედოფალს აუწყა მწარე ბედის ეს განაჩენი. მუდამდღე დარდობდნენ, ტიროდნენ, თავს იკლავდნენ, მაგრამ ვერაფერს ვერ იზამ, შავბნელი ბედის ბრძანება უნდა აღსრულდეს. უკვე შეუდგნენ ბედკრული ქალწულის დამსამარებელი ქორწინების სამზადისს. ძლივსა ბჟუტავდა და ნაცრისაგან ჩაქრა შავად შეჭვარტლული ჩირაღდნების შუქი, საქორწინო ფლეიტის ხმა გულსაკლავ ლიდიურ ჰანგზე ჟღერდა, მხიარული საქორწინო სიმღერა სამგლოვიარო მოთქმით თავდებოდა და პატარძალი ცრემლს იწმენდდა თავისი ჯვარსაწერი ლეჩაქით. მთელი ქალაქი თანაუგრძნობდა გაუბედურებული ოჯახის სავალალო ბედს და ხალხის თანხმობით მაშინვე საყოველთაო გლოვის განკარგულება გამოიცა.

34. ზეციურ მითითებათა დამორჩილების აუცილებლობა კი საბრალო ფსიქეას გამზადებული სატანჯველისაკენ მოუწოდებდა. როცა ყველაფერი მზად იყო დასასაფლავებელი შეუღლების ზეიმისათვის, მთელი ხალხის თანხლებით გაუდგა გზას სამგლოვიარო პროცესია უმიცვალეზლოდ და მტირალი ფსიქეაც მიჰყავდათ არა როგორც ჯვარსაწერად, არამედ როგორც საკუთარი თავის დაკრძალვაზე. როდესაც ასეთი უბედობით შეწუხებული მშობლები უღვთო ბოროტმოქმედების ჩადენას აგვიანებდნენ, თვით ქალი ასეთი სიტყვების ამხნევებდა მათ:

- თქვენს უბედურ მოხუცებულობას რად იმწარებთ გაუთავებელი ტირილით? თქვენს სუნთქვას, რომელიც უმალ მე მეკუთვნის, რად ქანცავთ ხშირი ოხვრით? რად იუშნოებთ უნაყოფო ცრემლით ჩემთვის ეგზომ სათაყვანებელ სახეებს? რად აბნელებთ თქვენს თვალებში ჩემს ნათელს? რად იგლეჯთ ჭაღარას? ამ წმინდა ძუძუებსა და მკერდში რად იცემთ ხელს? აი, თქვენ ღირსეული ჯილდო ჩემი არაჩვეულებრივი სილამაზისათვის! გვიან მოდით გონს უღვთო შურის თავზარდაცემისაგან განადგურებულნი. როცა ხალხი და ქვეყნები ღვთიური პატივით მადიდებდნენ, როცა ერთხმად ახალ ვენერად მნათლავდნენ, მაშინ იყო საჭირო გლოვა, ცრემლის ღვრა და ჩემი გამოტირება, ვითარცა გარდაცვლილისა. ვგრძნობ, ვხედავ, მხოლოდ იმან დამღუპა, ვენერას სახელს რომ მიწოდებდნენ. წამიყვანეთ და დამტოვეთ იმ კლდეზე, ბედისწერამ რომ მომისაჯა. ვისწრაფი ამ ბედნიერი შეუღლებისაკენ, ვისწრაფი ჩემი კეთილშობილი მეუღლის ხილვას. რად უნდა დავაგვიანო და გადავდო მისი მოსვლა, ვინც მთელი ქვეყნის დასალუპადაა გაჩენილი?

35. ეს თქვა ქალწულმა, დადუმდა და უკვე მტკიცე ნაბიჯით შეუერთდა მის გამცილებელ ხალხს. მიდიან ციკაბო მთის დანიშნული ფლატესაკენ; დააყენეს მთის მწვერვალზე ქალწული, დაუტოვეს საქორწინო ჩირაღდნები, რომელიც მას გზას უნათებდა და რომელიც ცრემლთა წყარომ იქვე ჩააქრო, და თავდახრილნი თავთავიანთ სახლებში გაბრუნდნენ. მისი უბედური მშობლები კი, ასეთი ხვედრით განადგურებულნი, შინ ჩაიკეტნენ სიბნელეში და სამუდამო წყვდიადს მისცეს თავი. შეშინებულ, აცახცახებულ ფსიქეს კი, რომელიც კლდის წვერზე იდგა აცრემლებული, წყნარი ზეფირის ნაზმა რხევამ ჯერ აქა-იქ შეურხია კალთები, ტანსაცმელი გაუბერა, ფრთხილად ასწია, ნელი ქროლვით მაღალი მთის კალთებიდან ყვავილებით დაფარულ დაბლობის წიაღში სათუთად ძირს დაუშვა და იქ დააწვინა.

წიგნი მეხუთე

1. გრძნობათა ასეთი სწრაფი ცვალებადობის შემდეგ დასვენებულ ფსიქეს ტკბილად ჩაეძინა ნაზი და ამწვანებული კორდის ცვრიანი ბალახის სარეცელზე. ძილით საკმაოდ მოღონიერებული მხნედ წამოდგა. ხედავს დიდი, მაღალი ხეებით დაფარულ ტევრს, ხედავს ბროლივით გამჭვირვალე მდინარის წყალს. სწორედ ტევრის შუაგულში, მსრბოლავი მდინარის გვერდით, დგას არა ადამიანის ხელით, არამედ ღვთაებრივი ხელოვნებით შექმნილი სასახლე. გადადგამ თუ არა იქით ნაბიჯს, შენს წინაშე რომელიღაც ღვთაების ნათელი და ტურფა სავანეა. თუიის ხისა და სპილოს ძვლისაგან საგულდაგულოდ ნაჭერ-ნაჭერ გამოკვეთილი ჭერი ოქროს ბომებს ეყრდნობა, კედლები ნაჭედი ვერცხლითაა ამოშენებული, ზედ ველური მხეცები და სხვა ცხოველები ისე ცოცხლადაა გამოსახული, თითქოს, სასახლეში შემსვლელთა შესახვედრად ემზადებიანო. ოჰ, ჭეშმარიტად საკვირველი ყოფილა ის ადამიანი, რა თქმა უნდა, ნახევარღმერთი ან, უკეთ, ნამდვილი ღმერთი, რომელმაც დიდი მხატვრული ხელოვნებით ამდენი ოქრო მხეცებად აქცია! ძვირფასი ქვების ნატეხებიდან დაგებული იატაკიც კი მრავალგვარ სურათს წარმოსახავდა. ჭეშმარიტად მრავალგზის ნეტარ არიან ისინი, ვისაც ამ თვალ-მარგალიტზე ფეხის დადგმა ხვდებათ წილად! განზე და სიგრძეზე გაშლილი სასახლის სხვა ნაწილებიც აუწერელი სიმდიდრისა იყო. კედლები ისე იყო გადამზეული ოქროს ზოდებით და ისე ბრწყინავდნენ, რომ მზესაც რომ უარი ეთქვა სხივების მოცემაზე - ისინი თვით გაანათებდნენ ბნელ სასახლეს დღის სინათლით. ყველა ოთახი, ყოველი დერეფანი, ყოველი კარის თვით ურდულიც კი ელვარებდა. დანარჩენი მოწყობილობა სასახლის სიდიადეს ისე შეეფერებოდა, რომ ჭეშმარიტად იფიქრებდი, მაღალმა იუპიტერმა შეჰქმნა ეს ციური სასახლე მოკვდავებთან დასახლოებლადო.

2. ამ ადგილის მშვენიერებით მოხიბლული ფსიქეა ახლო მიდის სასახლესთან, გამხნეებული აბიჯებს ზღურბლს ფეხს და მალე აღტაცებული ყურადღებით ათვალიერებს უმშვენიერესი სანახაობის ყველა წვრილმანს, აკვირდება სასახლის მეორე მხარეზე უდიდესი ხელოვნებით აგებულ საგანძურს, სადაც აურაცხელი სიმდიდრეა მოგროვილი. ქვეყანაზე არაფერი მოიპოვება ისეთი, იქ რომ არ იყოს. მაგრამ გარდა ამ საკვირველი სიმდიდრისა ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ამ მთელი ქვეყნის საგანძურს არავითარი ჯაჭვები, არავითარი საკეტი, არავითარი ყარაულები არ იცავდა, სანამ იგი

უდიდესი განცხრომით ათვალიერებდა ყველაფერ ამას, მოესმა რაღაც ხმა ხორცშეუსხმელი არსებისა:

- რაო, ქალბატონო, გოცებს განა ასეთი სიმდიდრე? ყველაფერი ეს შენ გეკუთვნის. შედი საწოლ ოთახში, დაღლილი ხარ და სარეცელზე მოისვენე. როცა ბანაობას მოისურვებ - ბრძანე. ჩვენ, ვისი ხმებიც შენ გესმის, შენი მხევლები ვართ, შენი ერთგული სამსახურისათვის მიჩენილნი. როგორც კი მოირთვები, მდიდრული სუფრა დაუყოვნებლივ გაჩნდება.

3. ღვთაერივი კალთის ქვეშ მყოფმა ფსიქეამ ნეტარება იგრძნო, იდუმალი ხმის რჩევა დაიჯერა, ჯერ ძილით და შემდეგ აბანოთი განიშორა დაღლილობა; დაინახა თუ არა სასაუზმოდ გაშლილი ნახევრადმრგვალი მაგიდა, სიხარულით მიუჯდა მას. მაშინვე მიირთვა, თითქოს ქარისაგან მოტანილი, ნექტარის მსგავსი ღვინოები და ნაირ-ნაირი კერძები, მსახურები კი არ ჩანდნენ, ვერავის დანახვა ვერ მოახერხა, მხოლოდ სიტყვები ესმოდა და მსახურებად მხოლოდ ხმები ჰყავდა. მდიდრული სუფრის შემდეგ ვიღაც უხილავი გამოვიდა და სიმღერა დაიწყო, მეორემ კითარაზე დაუკრა, ვერც იგი დაინახა. მის სმენამდე აღწევდა მრავალ მომღერალთა ხმები, თუმცა ადამიანთაგან არავინ სჩვენებია, მაგრამ ცხადი იყო, რომ გუნდი მღეროდა.

4. გასართობები დამთავრდა, ამასობაში კიდევაც დადამდა და ფსიქეამ დაიძინა. შუალამისას მის ყურებამდე რაღაც მსუბუქი ხმაური მიფრინდა. მარტო მყოფ ფსიქეას უბიწოების დაკარგვის შეეშინდა, თავზარი დაეცა, შეკრთა, ერიდება რაიმე ხიფათს, მით უმეტეს, რომ იგი მისთვის უცნობია. მაგრამ უკვე შემოვიდა იდუმალი მეუღლე, ავიდა მასთან სარეცელზე, ფსიქეა თავის ცოლად გაიხადა და მზის ამოსვლამდე სასწრაფოდ გაქრა. მაშინვე საწოლ ოთახში მომლოდინე ხმები მზრუნველობით თავს შემოევლნენ უბიწოებადაკარგულ პატარძალს. ასე გრძელდებოდა დიდხანს. ბუნებრივ კანონთა ძალით, ახალი საქმე ხშირი მიჩვევისაგან სასიამოვნო გახდა და უცნობი ხმის ჰანგი განმარტოებულ ფსიქეას სიმშვიდეს ანიჭებდა.

ამასობაში მისი მშობლები გაუნელებელ დარდსა და მწუხარებაში ბერდებოდნენ; შორს გავრცელებულმა ხმებმა კი მის უფროს დებამდე მიაღწია, ყველაფერი გაიგეს, საჩქაროდ მიატოვეს თავიანთი სამკვიდრებელი, დამწუხრებულნი და დასევდიანებულნი გაემშრნენ მშობლების სანახავად, მათთან მოსალაპარაკებლად.

5. იმავე ღამეს ფსიქეას ასე უთხრა მისმა მეუღლემ, იგი ხომ მხოლოდ მხედველობისათვის იყო მიუწვდომელი და არა შეხებისა და სმენისათვის:

- ფსიქეა, ჩემო ძვირფასო და უტკბესო მეუღლე, ულმობელი ბედი დალუპვას გიქადის, რასაც, ჩემი აზრით, განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ. შენი დები, შენი სიკვდილის ხმებით შეშინებულნი და შენი კვალის მამებარნი, მალე იმ კლდეზე ამოვლენ. თუ შემთხვევით მათი ხმამაღალი ჩივილი გაიგონო, ნუ უპასუხებ, მათ დანახვასაც ნუ ეცდები, თორემ საშინლად დამანადვლიანებ და შენ კი უთუოდ დაიღუპები.

მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და დაჰპირდა, რომ შენი დარიგებისამებრ მოვიქცევო, მაგრამ როგორც კი ღამის მიწურულში ქმარი გაქრა, საბრალომ მთელი დღე ცრემლსა და ოხვრაში გაატარა და იმეორებდა, რომ ახლა კი ნამდვილად დაიღუპებოდა სანეტარო საპყრობილეში ჩაკეტილი, ადამიანთა ურთიერთობას, ლაპარაკს მოკლებული, მის მგლოვიარე დებს ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევდა, მათთან მცირე პაემანსაც კი ვერ

ელისებოდა. უარი თქვა აბანოზე, საჭმელზე, სხვა მომლონიერებელ საშუალებებზე და მწარე ქვითინით ჩაიძინა.

6. წუთსაც არ გაუვლია, რომ სარეცელში ჩაუწვა ჩვეულებრივზე ადრე მოსული მეუღლე, გულში ჩაიკრა მტირალი ფსიქეა და ასე უთხრა:

- განა ამას დამპირდი, ჩემო ფსიქეა? რას უნდა მოველოდე შენგან შენი მეუღლე, რისი იმედი უნდა მქონდეს? დღისითა და ღამით, თვით ცოლქმრული ალერსის დროსაც კი, შენ ტანჯვას ბოლო არ უჩანს. მაშ, ჰქენი, რაც გინდა, დაუთმე დაღუპვის მოსურნე სულიერ მოთხოვნილებას. ხოლო როცა დაგვიანებით სინანული გეწვევა, ჩემი ეს დარბაისლური რჩევა-დარიგება მოიგონე.

მაშინ ფსიქეამ, თხოვნითა და მუდარით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოკვდებოდა, ქმრისაგან თავისი დების ნახვის თანხმობა მიიღო, რათა შეენელებინა მათი მწუხარება და დალაპარაკებოდა. ასე დაუთმო ქმარმა თავის ახალგაზრდა ცოლს, კიდევ მეტიც, ნება დართო მიეცა მათთვის საჩუქრად, რასაც მოისურვებდა ოქროულობიდან თუ ძვირფასი ქვებიდან, ამასთანავე მუქარით გააფრთხილა, თუ იგი თავისი დების რჩევას აჰყვებოდა და ეცდებოდა თავისი ქმრის ხილვას, მაშინ ამ მკრეხელური ცნობისმოყვარეობისათვის ბედნიერების მწვერვალიდან თავს ჩამოიგდებდა და მის ხვევნა-ალერსს სამუდამოდ დაკარგავდა. მან ქმარს მადლობა გადაუხადა და გაბრწყინებული სახით უპასუხა:

- დიახაც ასჯერ სიკვდილი მირჩევნია, შენი უტკბესი მეუღლეობის დაკარგვას! ვინც უნდა იყო შენ, გაგიჟებით მიყვარხარ, როგორც ჩემი სული, და თვით კუპიდონსაც კი არ გადარებ. მაგრამ გვედრები, შემისრულე კიდევ ერთი თხოვნა: უბრძანე შენს მსახურ ზეფირს ისევე გადმოიყვანოს აქ ჩემი დები, როგორც მე გადმომიყვანა.

თავის ნაზ ლაპარაკზე რომ დაეყოლებინა, მიეკრა მას მთელი სხეულით, საცდუნებლად აკოცა და ამ ალერსს თან დაურთო:

- ჩემო ტკბილო, ჩემო ქმარო, შენი ფსიქეას ნაზო სულო!

სასიყვარულო ჩურჩულის ძალასა და გავლენას ძალაუვნებურად დაუთმო ქმარმა, დაჰპირდა, ყოველივეს შეგისრულებო და, განთიადის მოახლოვებისთანავე, ცოლს ხელებიდან გაუქრა.

7. ხოლო დებმა მიიკითხ-მოიკითხეს, სად იმყოფებოდა ის კლდე და ადგილი, სადაც ფსიქეა იქნა მიტოვებული, მიაშურეს იქით და ცრემლით თვალებს ივსებდნენ, ხელს მკერდზე იცემდნენ, ისე რომ მათ დრტვინვას კლდეები და ქვები გამოძახილით ეპასუხებოდნენ. თავის უბედურ დას მანამდე ეძახოდნენ, სანამ მათი გულის განმგმირავი მოთქმისაგან მოთმინებიდან გამოსული ფსიქეა არ გამოვარდა სახლიდან და არ თქვა: -

- ტყუილად რად იკლავთ თავს უიმედო გოდებით? აი, აქა ვარ მე, ვისაც თქვენ გლოვობთ, შეწყვიტეთ საშინელი კივილი, შეიმშრალეთ შეუწყვეტელი ცრემლისაგან დასველებული ღაწვები, რადგან სურვილისამებრ შეგიძლიათ ჩაიკრათ გულში ის, ვისაც ასე დასტირით.

მაშინვე მოუხმო ზეფირს და გადასცა ქმრის ბრძანება. დამახებაზე მსწრაფლ გამოცხადდა ზეფირი და მშვიდი ქროლვით ფრთხილად გადმოიყვანა დები. აი, უკვე ეხვევიან, სწრაფად კოცნიან ერთმანეთს და თითქოს შეწყვეტილი ცრემლი ხელახლა ჩამოსდით ბედნიერებისაგან გახარებულებს.

- მზიარულად შემოდით ჩვენს თავშესაფარში, - ეუბნებოდა ფსიქეა, - ჩვენს ჭერქვეშ და თქვენს ფსიქეასთან მჭმუნვარე გული დაიმშვიდეთ.

8. ასე ეუბნება ფსიქეა დებს, უჩვენებს მათ ოქროს სასახლის უთვალავ სიმდიდრეს, ასმენინებს უამრავი მსახურის ხმებს; კარგად მოაღონიერა ისინი უამესი ზანაობითა და უკვდავთა შესაფერისი სუფრით, ისე რომ ზეციური სიმდიდრის მდიდრული ბარაქით მამღრობისობამდე დამტკბართა სულის სიღრმეში შურმა გაიღვიძა. ბოლოს ერთმა მათგანმა დიდი დაჟინებითა და ცნობისმოყვარეობით დაუწყო გამოკითხვა ვინ არის ამ ღვთაებრივ ნივთთა პატრონი, და რას აკეთებს შენი ქმარიო. მაგრამ ფსიქეამ ქმრის დარიგებათა დარღვევის შიშით საიდუმლო არ გაამჟღავნა, სახელდახელოდ შეთხზა, რომ ის ახალგაზრდა კაცია, რომლის ღაწვები პირველი ღინღლითაა დაფარული და უმთავრესად მთასა და ბარში მონადირეობას ეწევაო. რათა ხანგრძლივი ლაპარაკის დროს შემთხვევით ქმრისთვის მიცემული პირობა არ დაერღვია, ოქროს ნივთებითა და ძვირფასი ქვებით შემკული ყელსაბამებით დატვირთა ისინი, მაშინვე მოუხმო ზეფირს და ჩააბარა უკანვე გადასაცვანად.

9. როცა ეს განკარგულება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული, შინისაკენ მიმავალი დები, შურით აღვსილნი და ნაღვლით გასივებულინი, დიდხანს გაცხარებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს ერთმა მათგანმა ასე დაიწყო:

- აი, ბრმა, მკაცრი და უსამართლო ბედი! განა მოგწონს შენ, რომ ერთი დედ-მამის შვილებს წილად ასეთი სხვადასხვანაირი ბედი გვერგო? ჩვენ, რაც უნდა იყოს, ასაკით უფოსები, უცხოელ მამაკაცთა მოსამსახურეებად გაგვხადეს. მოგვეწყვიტეს მშობლიურ კერასა და თვით სამშობლოსაც კი, ასე რომ ყოველივეს მოშორებულნი, ჩვენს ცხოვრებას განდეგილებივით მივათრევთ; ის კი, სულ უმცროსი, უკვე მოღლილი შვილოსნობის ნაყოფი, ისეთი სიმდიდრისა და ღვთაებრივი ქმრის პატრონია, რომლის მოხმარების შნოც არა აქვს როგორც საჭიროა. ხომ დაინახე, დაო, რამდენი განძეული, ძვირფასი ტანსაცმელი და ბრწყინვალე მარგალიტებია იმ სახლში. გარდა ამისა აუარებელი ოქროა ფეხქვეშ გაბნეული. თუ ამასთანავე ქმარიც ისეთი ლამაზია, როგორც თვითონ გვარწმუნებს, უფრო ბედნიერი ქალი ქვეყანაზე აღარ ყოფილა. შესაძლებელია, ისე მიეჩვიოს ღვთაებრივი ქმარი, ისე განუმტკიცდეს სიყვარული, რომ მან ფსიქეაც ქალღმერთად აქციოს. ჰერკულესს გეფიცები, საქმეს ასეთი პირი უჩანს, დიახ, სწორედ ზეცას უმიზნებს; ქალი ქალღმერთად ითვლება, თუკი მას უხილავი მსახურები ჰყავს და თვით ქარს მბრძანებლობს, მე უბედურს კი რა მხვდა წილად? უპირველეს ყოვლისა, ჩემი ქმარი მამად შემეფერება, გოგრაზე უფრო ქაჩალია, ღონით პატარა ბიჭსაც კი დაუვარდება და შინ ყველაფერი ჩაკეტილი აქვს.

10. სიტყვა მეორემ ჩამოართვა:

- მე კი როგორ ქმარს ვუძლებ! ნიკრისის ქარებისაგან მოკრუნჩხულია, კუზიანია და ამიტომაც ჩემთან იშვიათად მოსიყვარულე. მუდამ მის გამრუდებულ, ქვასავით გამაგრებულ თითებს ვზელ და ვიწვავ ჩემს სათუთ ხელებს სუნიანი ცხელი საფენებით, ჭუჭყიანი ჩვრებით და მყრალი საღბუნებით, თითქოს კანონიერი ცოლი კი არ ვიყო, არამედ დაქირავებული მომვლელი ქალი. ყური მიგდე, დაო, გულახდილად გეტყვი რასაც ვფიქრობ, როგორც ჰგავს, შენ ყველაფერს სრული და მონური მოთმინებითაც კი იტან. მე მეტი აღარ შემიძლია ავიტანო, რომ უღირსს ასეთი ბედი ხვდა წილად, გახსოვს, როგორ ამაყადა და გამომწვევად იქცეოდა? თვით ეს გამოვლინებული კვეწნა ამტკიცებდა მის ქედმაღლობას, მერე ასეთი სიმდიდრით გულგამაგრებულმა ჩვენ ნამცეცი გადმოგვიგდო და მაშინვე ჩვენი იქ ყოფნით შეწუხებულმა

უბრძანა ქარს გამოვეყარეთ იქიდან. ქალი არ ვიყო, და სული გამძვრეს, თუ ის ასეთი სიმდიდრის მწვერვალიდან არ ჩამოვადო. თუკი შენც, რაც სრულიად ბუნებრივია, ამ შეურაცხყოფამ აღგაშფოთა, მოდი ორივემ კარგად მოვითათბიროთ და გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ. მაგრამ მიტანილ საჩუქრებს ნურავის ვაჩვენებთ, ნურც მშობლებს და ნურც სხვა ვინმეს, აგრეთვე ნურაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ფსიქეა გადარჩენილია. ისიც საკმარისია, რაც ჩვენ ვნახეთ, თუმცა უმჯობესი იყო არ გვენახა, არათუ კიდევ მშობლებსა და მთელ ხალხს ვაუწყოთ მისი ნეტარი ცხოვრების ამბავი. არ შეიძლება ბედნიერნი იყვნენ ისინი, რომელთა სიმდიდრეც სხვებისთვის უცნობია. იგი მალე გაიგებს, რომ ჩვენ მისი მოახლეები კი არა, დები ვართ. ახლა დავუბრუნდეთ ქმრებსა და ჩვენს ღარიბ, მაგრამ პატიოსან კერას; ყველაფერი აუჩქარებლად, გულდასმით მოვიფიქროთ და ისევ დავბრუნდეთ ამ ყოყლოჩინას დასასჯელად.

11. ორმა უკეთურმა უკეთური გეგმა დასახა სიკეთის ნაცვლად; ამგვარად, მათ დამალეს დისგან მიღებული მდიდრული საჩუქრები, დაიწყეს თმის გლეჯა და ღაწვთა ხოკვა (რაც მათ მართლაც დაიმსახურეს) და ძალად ხელახლად მოიძინეს ცრემლი. შემდეგ შეაშინეს მშობლები და ტკივილები განუახლეს. გაგიჟებულნი სასწრაფოდ გაეშურნენ თავიანთი სახლებისაკენ, რათა მოეშადებინათ ჭეშმარიტად მამისმკვლელობის ბადალი ბოროტმოქმედება უდანაშაულო დის მიმართ.

ამასობაში ფსიქეას უხილავი მეუღლე ღამით ისევ არწმუნებდა:

- ხედავ, როგორი საფრთხის წინაშე დგახარ? ბედმა შორიდან დაგიწყო ომი და, თუ თავდასაცავად საიმედო ზომებს არ მიმართე, მალე პირისპირ შეგებმება. ეს ცბიერი გომბიოები მთელი ძალ-ღონით გიმზადებენ დამლუპველ მზაკვრობას; მათი მიზანია დაგითანხმონ შენ, დაინახო ჩემი გარეგნობა, რომელსაც, როგორც ერთხელ კიდევ გაგაფრთხილე, ერთი შეხედვის შემდეგ ვეღარ იხილავ. ამრიგად, თუ ცოტა ხანში ეს ბოროტი გეგმით აღვსებულნი ავი ჯადოქრები აქ მოვლენ, - და რომ მოვლენ ვიცი, - მათ ერთ სიტყვასაც ნუ ეტყვი. თუკი ბუნებრივი გულუბრყვილობისა და სულიერი სინაზის გამო ამის შესრულება არ ძალგიძს, მაშინ ნუ მოუსმენ მაინც ნურავითარ სიტყვებს ქმრის შესახებ და ნურც უპასუხებ. ჩვენი ოჯახი ახლა მალე გაიზრდება, შენი ჯერ კიდევ ბავშვური საშო, თუ დუმილით დაიცავ საიდუმლოებას, ჩვენთვის ღვთაებრივ ბავშვს ატარებს, თუკი საიდუმლოებას გაამჟღავნებ - მოკვდავი დაიბადება.

12. ფსიქეა ამის გაგონებაზე სიხარულით გაიფურჩქნა და ღვთაებრივი ჩანასახით დაიმედებულმა ტაში შემოჰკრა, თავისი ნაყოფის მომავალი დიდებით გამხიარულდა, დედის საპატიო წოდებით გაიხარა. უკვირს უჩვეულო, უცნობი ტვირთი და მცირე ხნის ჩხვლეტისაგან განაყოფიერებული საშოს თანდათანობითი ზრდა. ის ორი ჭირი კი, ორი ბილწი ალქაჯი, გველის შხამით მსუნთქავნი, ბოროტი სისწრაფით მოეშურებოდნენ, რომ გაეცურათ ფსიქეასაკენ. მაშინ ისევ გამოცხადდა მეუღლე მცირე ხნით და თავის ფსიქეას არწმუნებდა:

- აი, დადგა უკანასკნელი დღე, უკიდურესი განსაცდელი: მავნე სქესი და მოსისხლე მტერი შეიარაღდა, დაიძრა ბანაკიდან, ჩამწკრივდა და უკვე საომარი საყვირის ხმა გაისმის. ბოროტი დები შიშველი მახვილით შენს ყელს სწვდებიან. ვაი, რომ დიდი უბედურება გვემუქრება, უნაზესო ფსიქეავ! შეიბრალე შენი თავი, შეგვიბრალე ჩვენ და წმინდა თავშეკავებულობით ააცილე სახლს, ქმარს, თავსა და ჩვენს ჩვილს მოსალოდნელი განსაცდელი. ნეტავ, ამ სამაგელ ქალებს,

რომლებიც შენდამი დამღუპველი სიძულვილისა და შებილწული სისხლის გამო არ არიან ღირსნი დებად იწოდებოდნენ, არ ნახავდე, არ მოუსმენდე, როცა ისინი სირინოზების^[70] მსგავსად მაღალი კლდიდან თავის დამღუპველ ხმას არემარეს მოჰყვენენ.

13. ფსიქეა გულამოსკვნილი ტიროდა და ყრუ სიტყვებით პასუხობდა:

- რამდენადაც ვიცი, უკვე გქონდა დრო დარწმუნებულიყავი ჩემს ერთგულებასა და სიჩუმეში, ახლა კი არა ნაკლებ სულიერ ძლიერებას გაჩვენებ. მხოლოდ უბრძანე ჩვენს ზეფირს შეასრულოს თავისი მოვალეობა და შენი უწმინდესი სახის დანახვის უარყოფის სამაგიეროდ დების ნახვის ნება მაინც დამრთე. გაფიცებ, ამ შენს ორსავე მხარეს დაფენილ სურნელოვან კულულებს, ნაზ, მომრგვალო ღაწვებს, რომლებიც ჩემსას ჰგვანან, რაღაც იდუმალი ცეცხლით ანთებულ მკერდს, - ოდესმე ჩვენს პატარაში მაინც დავინახავ შენს ნაკვთებს! - თავმდაბალი თხოვნისა და მოუთმენელი ვედრების საპასუხოდ ნება დამრთე მოვეხვიო ჩემს დებს და შენთვის თავდადებული ფსიქეას სული ამ სიხარულით დაამშვიდე, შენი სახის შესახებ ერთ სიტყვასაც აღარ გკითხავ და თვით ღამის წყვილიადიც აღარ მაწუხებს, რადგან შენი სინათლე თან მახლავს.

ამ სიტყვებითა და საამო ხვევნით მოჯადოებულმა მისმა მეუღლემ თავისი თმით ცრემლი შეუშშრალა, ყველაფრის შესრულებას დაჰპირდა და გაქრა სანამ გათენდებოდა.

14. შეთქმულებაში შეთანხმებული დების წყვილი მშობლების მოუნახულებლადაც კი ხომალდიდან პირდაპირ ფლატესაკენ მიეშურებიან, მათ გადამყვან ქარს აღარ უცდიან. უგუნური თავხედობით სიღრმეში ცვივდებიან, მაგრამ ზეფირმა გაიხსენა მეფური ბრძანება და, თავის სურვილის წინააღმდეგ, კალთით აიყვანა ისინი და ნელი ქროლვით მიწაზე დაუშვა. ორთავენი სასწრაფოდ მიძვრებიან სახლში, ფარისევლურად, დების სახელს ამოფარებულნი, ეხვევიან თავიანთ მსხვერპლს, მხიარული გამომეტყველებით ფარავენ ღრმა სიცრუის საიდუმლოებას და პირმოთნე სიტყვებით მიმართავენ მას:

- ფსიქეა, შენ უკვე წინანდებურად პატარა გოგონა აღარა ხარ, მალე თვით გახდები დედა. იცი კი შენ რამდენ სიკეთეს ატარებ ჩვენთვის ამ პატარა პარკით? როგორ გაამხიარულებ ამით ჩვენს ოჯახს! რა ბედნიერება იქნება ჩვენთვის ამ ოქრო ბავშვის მოვლა! თუ, როგორც მოსალოდნელია, ბავშვი სილამაზით მშობლებს დაემსგავსა, უთუოდ კუპიდონს წარმოშობ ქვეყანაზე.

15. ასეთი თაღლითური სინაზით თანდათან მოინადირეს დის გული. როგორც კი მგზავრობით დადლილებმა სავარძლებში მოისვენეს და ცხელი აბანოს ორთქლით მოსულიერდნენ, ფსიქეა მათ უმშვენიერეს სასადილოში საკვირველი და საუკეთესო საუზმითა და სადილით გაუმასპინძლდა. მისი ბრძანებით კითარა ჟღერს, ფლეიტა წვრიალებს, გუნდი მღერის. უხილავი მემუსიკენი ამ უტკბესი მელოდიებით მსმენელთა სულს აამებენ. მაგრამ საძაგელ ქალთა ბოროტება კი არ შენელებულა უტკბესი სიმღერის მშვიდი სინაზით, არამედ წინასწარ მოფიქრებული ცბიერი მახის დასაგებად განგებ ლაპარაკი ჩამოაგდეს და ეშმაკურად ეკითხებიან, ვინ არის შენი ქმარი წარმოშობით, სადაურია და რას აკეთებსო, ფსიქეამ თავის გულუბრყვილობით დაივიწყა, რასაც წინათ ამბობდა, ხელახლა მოიგონა და თქვა, რომ ჩემი ქმარი მახლობელი პროვინციიდანაა, მსხვილ სავაჭრო საქმეებს ეწევა, მცირედ შეჭადარავებული შუახნის კაციაო. ლაპარაკი მეტად აღარ გააგრძელა, ხელახლა დატვირთა დები მვირფასი საჩუქრებით და უკან გასაბრუნებლად ქარს ჩააბარა.

16. ზეფირის^[71] ნელი ქროლვით აყვანილნი შინ რომ ბრუნდებოდნენ, ერთმანეთს ასე ელაპარაკებოდნენ:

- რას იტყვი, დაო, ამ ბრიყვის ცოცხალ ტყუილზე? მისი ქმარი ხან ჭაბუკია, რომლის ღაწვები პირველი ღინღლითაა დაფარული, ხან ჭადარაშერთული შუახნის კაცია. ვინ უნდა იყოს ისეთი, რომ ასეთ მოკლე ხანში უცბად მოხუცდა? ამ საძაგელმა უთუოდ ან მოგვატყუა, ან თავისი ქმარი თვალითაც არ უნახავს. სულერთია, რომელიც არ უნდა იყოს მართალი, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მისი ბედნიერების დამხობა. თუ მისი ქმრის სახე არ უნახავს, მაშასადამე, ის ღმერთს მისთხოვებია და დასაბადებლად ღვთაებრივ ბავშვს ამზადებს. უკეთუ მას (ეს არც მოხდება!) ღვთაებრივი ბავშვის დედობის სახელი გაუვარდება, მე მაშინვე მაგარი მარყუქით ჩამოვიხრჩობ თავს. დროა დავბრუნდეთ ჩვენს მშობლებთან და იმ სიტყვების შესაფერი ტყუილები შევთხზათ, როგორითაც ფსიქეას უნდა მივმართოთ.

17. შურით ასე ანთებულნი მშობლებს ქედმაღლურად ელაპარაკებოდნენ. უძილოდ გატარებული ღამისაგან დაღლილებმა დილაადრიან მოკურცხლეს ფლატესაკენ, იქიდან ჩვეულებრივი ქარისაგან სასწრაფოდ ჩაყვანილებმა თვალებიდან ძალად მოიდინეს ცრემლი და თავის დას ასეთი ეშმაკობით დაუწყეს ლაპარაკი:

- ბედნიერო, წყნარად ზიხარ, მოსალოდნელი ხიფათისა არ გეშინია და ნეტარად გრძნობ თავს იმიტომ, რომ არ იცი, თუ რა უბედურება გწვევია. ჩვენ კი მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, სულ შენზე ვფიქრობდით. შენი მომავალი საფრთხე მწარედ გვალბებს. დანამდვილებით გავიგეთ და ჭირ-ვარამის მოზიარენი ვერ დაგიმაღავთ, რომ შენთან თურმე ფარულად წვება უზარმაზარი, მრავალ რგოლებად დახვეული ქვემძრომი, რომელსაც კისერი სისხლის მაგიერ შხამითა აქვს სავსე და ხახა უფსკრულივით დაღებული. მოიგონე, პითიას მისანმა^[72] რომ გიწინასწარმეტყველა ურჩხულთან შეუღლება. ამასთანავე მრავალმა გლეხმა, მონადირემ და ბევრმა აქაურმა მეზობელმა დაინახა, თუ როგორ ბრუნდებოდა იგი სადამო ჟამს სამოვრიდან და მახლობელი მდინარის ფონზე ცურვით გადმოდიოდა.

18. ყველა გვარწმუნებს, რომ შერჩეული საამო საქმელებით დიდხანს კი აღარ გასუქებს, არამედ საუკეთესო ნაყოფით დამძიმებულს ჩაგყლაპავს. ახლა არჩევანი შენს ხელთაა: ან ისურვებ გაუგონო ძვირფასი სიცოცხლის გადარჩენისათვის მზრუნავ დებს და ამით სიკვდილს აიცილებ, ჩვენთან მშვიდად იცხოვრებ, ანდა უსასტიკესი ქვეწარმავლის შიგნეულობაში ჩაიმარხები. თუკი მოგწონს ეს ფარული ხმებით ავსებული განმარტოებული სოფელი, ან მყრალი, სახიფათო სიყვარულის ფარული ურთიერთობა და შხამიანი გველის ალერსი - შენი ნებაა, ჩვენ, როგორც პატიოსანმა დებმა, ვალი მაინც მოვიხადეთ.

გულუბრყვილოსა და ნაზ ფსიქეას ელდა ეცა ასეთი საშინელი სიტყვებისაგან: დაავიწყდა ქმრის რჩევა-დარიგება და საკუთარი დაპირებანიც აღარ მოაგონდა; უბედურების ქვესკნელში ჩასავარდნად გამზადებული, სიკვდილივით გაფითრებული, კანკალით, ენადაბმული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩურჩულით ასე ეუბნება დებს:

19. - თქვენ, ჩემო ძვირფასო დებო, როგორც მოსალოდნელი იყო, თქვენს წმინდა მოვალეობას ასრულებთ, და ისინიც, ვინც ასეთი ცნობები მოგაწოდათ, ჩანს, არ ტყუიან. მე ხომ ჩემი ქმარი არასოდეს თვალითაც არ მინახავს და სრულებითაც არ ვიცი, როგორია იგი. ღამდამოხით იდუმალი მეუღლის

მხოლოდ ხმა მესმის და ძალაუფლებურად ვურიგდები იმას, რომ შეთენებისთანავე გარბის; ასე რომ შემოდგომა დავიჯერო თქვენი მტკიცება, რომ იგი რაღაც ურჩხულია; თვითონაც ხშირად მიკრძალავდა დამენახა იგი და დიდ უბედურებას მიქადდა, თუ მისი გარეგნობის ხილვას გაგებდავდი. თუკი თქვენ შეგიძლიათ თქვენი დაღუპვის გზაზე მდგარი დისათვის რაიმე იღონოთ, ახლავე გააკეთეთ, თორემ შემდგომი უდარდელობა წინასწარი გაფრთხილების სიკეთეს გააქარწყლებს.

მაშინ, უკვე ღია ჭიშკრიდან უპატრონო დის სულთან შესულმა ბოროტმა ძალებმა ყოველივე ნიღაბი მოიშორეს, ტყუილების ხმლები იშიშვლეს და იერიში მიიტანეს გულწრფელი ქალწულის დამფრთხალ მოსაზრებაზე.

20. ბოლოს ერთმა მათგანმა თქვა:

- რადგან სისხლით ერთიანობა გვაიძულებს, შენი გულისთვის ყოველგვარი საფრთხის წინაშე თვალი დავხუჭოთ, გაგაცნობთ ჩვენ მიერ დიდი ხნის მოფიქრებულ საშუალებას, რომელიც ერთადერთი გზაა შენი ხსნისათვის. აილე გალესილი სამართებელი, მეტი სიბასრისათვის ხელისგულზე ფრთხილად ალესე, ფარულად დამალე იმ მხარეს, საითაც შენ ჩვეულებრივ წვები, შემდეგ მოამზადე პირამდე ზეთით სავსე კარგი კაშკაშა ალიანი ლამპარი და მას რომელიმე ქილა გადაახურე. ყველაფერი ეს დიდი საიდუმლოებით მოამზადე. როცა ის დაკლავნილი სხეულის თრევით სარეცელზე ჩვეულებისამებრ ამოხობდება, გაწვება და პირველ ღრმა ძილს მიეცემა, რაც შეიძლება ჩუმი ნაბიჯით, ფეხშიშველი ჩამოძვერი ლოგინიდან, ძალიან ჩუმად იარე, ლამპარი ბნელი საფარველისგან გაანთავისუფლე, ამ დიდებული საქმის შესასრულებლად სინათლე გამოიყენე, მარჯვენა ხელში ორლესული იარაღი დაიჭირე, მალა ასწიე, ღონივრად დაჰკარი და საძაგელი გველის თავი ტანს მოაცილე. ჩვენც, ჩვენი მხრივ, დაგეხმარებით. როგორც კი მისი მკვლელობით თავს დაიხსნი, შენსკენ გამოვეშურებით, მოუთმენლად დაგელოდებით, სასწრაფოდ წავიღებთ ერთად ამ სიმდიდრეს და შენ, რომელიც ადამიანთა მოდემას ეკუთვნი, ღირსეულ მამაკაცს მოგიძებნით საქმროდ.

21. ისედაც აღზნებულ დას ასეთი გაალმასებული სიტყვებით გულში ცეცხლი დაუნთეს, თვითონ კი, მოსალოდნელ უბედურებას რომ მორიდებოდნენ, დატოვეს ფსიქეა, ფრთოსანი ქარის საშუალებით კლდეზე გადაყვანილნი სასწრაფოდ გაიქცნენ, და მაშინვე ხომალდით გაემგზავრნენ.

მარტოდმარტო დარჩენილი და შეჭირვებული ფსიქეა კი (თუმცა ბოროტი ალქაჯები მოსვენებას არ აძლევდნენ) მღელვარე ზღვასავით შფოთავდა; თუმცა მტკიცე გადაწყვეტილება მიღებული იყო, მაგრამ მაინც ბოროტმოქმედების განზრახვის მზადების დროს კიდეც გაუბედავად მერყეობდა და საწინააღმდეგო გრძნობები ამ მზაკვრული საქმისაგან აკავებდნენ: ჩქარობდა, აყოვნებდა, თრთოდა, სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, განრისხებული იყო და ბოლოს ერთსა და იმავე სხეულში ეზიზღებოდა გველეშაპი და უყვარდა ქმარი. სადამო უკვე ღამისაკენ მიემართებოდა, ფსიქეა უღვთო მკვლელობისათვის ჩქარ სამზადისს შეუდგა. აი, დაღამდა კიდეც, ქმარი მოვიდა, ჯერ სიყვარულის სიტკბოებას მიეცა და მერე ღრმად ჩაიძინა.

22. აქ კი ფსიქეა დასუსტდა სულითაც და სხეულითაც, მაგრამ სასტიკ ბედს დაემორჩილა, ღონე მოიკრიბა, ლამპარი გამოიღო, სამართებელი ხელში აიღო და ქალურ სიმხდალეს სძლია. როგორც კი მიტანილი სინათლით ქვეშაგების საიდუმლოება გაშუქდა, დაინახა ყველა ველურ მხეცთა შორის უნაზესი და ულამაზესი ცხოველი, დაინახა მშვენივრად მწოლარე თვით

სახელოვანი ღმერთი კუპიდონი, რომლის დანახვაზე სანათურის ალიც კი მხიარულად შეთამაშდა, ტკაცანი გაიღო და მკრეხელური სამართებლის პირი კიდევ უფრო აკაშკაშდა. ასეთი სანახაობით შეშინებული ფსიქეა დაიბნა, ღონემიხდილი გაფითრდა, კანკალით ჩაიჩოქა და ცდილობდა იარაღის დამალვას, მაგრამ - თავის მკერდში; ამას იგი კიდევაც ჩაიდენდა, რომ, შიშისაგან ასეთი ბოროტების ჩადენის წინაშე, შემართული იარაღი არ დავარდნოდა. ქანცგაწყვეტილი და ყოველგვარ იმედდაკარგული რაც უფრო მეტ ხანს უყურებდა ღვთაებრივი სილამაზის მქონე სახეს, მით უფრო მეტ ღონეს იკრებდა. ხედავდა ოქროს თავს სურნელებით გაჟღენთილი მშვენიერი თმით, რძისფერ კისერსა და მეწამულ ღაწვებს გარშემოვლებულს ხვეულებით შემკული კულულებით; ერთი კულული კეფიდან ძირს ეშვებოდა, სხვები კი შუბლზე დაფენილიყო, და მათი შუქმფენი ბრწყინვალეებისაგან თვით ლამპარში ალი შეირხა; ფრთოსანი ღვთაების მხრებს უკან ამოზრდილი ფრთები თეთრი ყვავილივით ელვარებდა და, თუმცა ფრთები ისვენებდა, მაგრამ ნაზი და მსუბუქი ბუმბულის ბოლოები მაინც თრთოდა; ფსიქეას თვალწინ იყო ისეთი ნატიფი და ნათელი სხეული, რომ ვენერას არ უნდა დანანებოდა ასეთი შვილის ქვეყნად გაჩენა. საწოლის ფეხებთან ეწყო დიდი ღმერთის მადლიანი იარაღები: მშვილდი და ისრებით სავსე კაპარჭი.

23. გაუმადლარი და ცნობისმოყვარე ფსიქეა თვალს არ აშორებდა ქმრის იარაღებს; ბუდიდან ერთი ისარი ამოიღო, თითის წვერით პირი გაუსინჯა, მაგრამ აკანკალებული სახსრის ცოტა მეტი მოძრაობის დროს ისარი ღრმად იჩხვლიტა და კანიდან ვარდისფერი სისხლი წვეთ-წვეთად გამოვიდა. მისდა შეუმჩნეველად ფსიქეა თვით აენთო სიყვარულის ღვთაებისადმი ტრფიალებით. უფრო მეტად და მეტად ენთებოდა ღვთისადმი ვნებით, ჭინით ავსებული დაიხარა და სწრაფად დაუწყო მხურვალედ კოცნა, თანაც შიშობდა, ვაითუ გაეღვიძოსო. მაგრამ, სანამ ფსიქეა ასეთი ნეტარებით მთვრალი გონებას ვერ იმორჩილებდა და ღელავდა, მისმა ლამპარმა უსაზიზღრესი გამცემლობით, თუ მავენე შურით, რომ თვითონაც მოინდომა შეხებოდა და ეკოცნა ეგზომ ბრწყინვალე სხეულისათვის, პატრუქის ბოლოდან ცხელი ზეთი ღვთის მარჯვენა მხარს დააწვეთა. ეჰ, შე თავხედო და კადნიერო ლამპარო, სიყვარულის საზიზღარო მსახურო, შენ დაწვი ღმერთი, რომელიც თვით არის ყოველ ცეცხლთა მეუფე! უთუოდ, პირველად რომელიმე საყვარელმა გამოგიგონა, რათა ღამით, რაც შეიძლება მეტ ხანს ესარგებლა თავისი სურვილის საგნით. იგრძნო თუ არა წვა, ღმერთი წამოხტა და, დაინახა თუ არა შერყვნილი, შელახული ფიცი, საჩქაროდ განთავისუფლდა უბედური მეუღლის კოცნა-ხვევნისაგან და უსიტყვოდ გაფრინდა.

24. როგორც კი წამოდგა ამური, ფსიქეა ორივე ხელით მარჯვენა ფეხზე შემოეჭდო - მაღლა ფრენის საცოდავ დანამატად - მაგრამ ბოლოს ღრუბელთა მიღმა სივრცეში დიდხანს ჩამოკიდებული, თანამგზავრობით დაღლილი, ძირს ჩამოვარდა. შეეყვარებულმა ღმერთმა იგი მიწაზე მწოლარე არ მიატოვა, შეფრინდა მახლობელ კვიპაროსზე, და მაღალი კენწეროდან ღრმად აღშფოთებულმა ასე მიმართა:

- უგულწრფელესო ფსიქეა, მე ხომ ჩემი მშობელი დედის, ვენერას, სურვილის წინააღმდეგ, რომელმაც მიბრძანა, შენთვის შთამეგონებინა ვნება მოკვდავთა შორის ყველაზე უკანასკნელისა და უბადრუკის მიმართ და გლახა მეუღლისათვის გამეწირე, ვამჯობინე თვით მოვფრენილიყავი შენთან შეყვარებულის სახით. ვიცი, რომ სისულელე ჩავიდინე, სახელგანთქმულმა

მეისრემ ჩემი თავი საკუთარი იარაღით დავიწყლულე და მეუღლედ გაგიხადე, როგორც ჩანს იმისთვის, რომ გველემშაპად ჩაგეთვალე და სამართლებლით ჩემი თავის მოკვეთა მოგენდომებინა, რადგან ამ თავზე შენი მოყვარული თვალები იმყოფება. ყოველთვის გაფრთხილებდი და მეგობრულად გარიგებდი. შენი პატივცემული შთამგონებლები ბოროტი გამოგონებისათვის ჩემთან დაუყოვნებლივ პასუხს აგებენ, შენ კი მხოლოდ ჩემი დაკარგვით დაგსჯი.

ესა თქვა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და ცის სივრცეს მიაშურა.

25. ფსიქეა კი, მიწაზე გართხმული, მწარე მოთქმით გულჩაწყვეტილი, სანამ თვალი მიუწვდებოდა - გაფრენილ ქმარს უყურებდა. მაგრამ, როცა თანდათანობით გაზრდილმა მანძილმა ფრთების საშუალებით გაფრენილი მეუღლე მის თვალთაგან გააუჩინარა, ფსიქეა გაექანა მახლობელი მდინარისაკენ და წყალში გადაეშვა. უწყინარმა მდინარემ თვით წყლის აღმგზნები ღმერთის პატივსაცემად და თავის დასაცავად იგი უმაღლე თავისი ტალღით მდინარის აყვავებულ ნაპირზე გადმოსვა. წყლის ნაპირას, ბორცვზე, შემთხვევით იჯდა სოფლის ღმერთი პანი^[73]; მას ხელი მოეხვია ექოსათვის, მთების ქალღმერთისათვის, რომელსაც სხვადასხვა ხმაზე სიმღერას ასწავლიდა. მახლობლად კუნტრუმობდნენ ბეკეკა თხები და ბალახს მოვდნენ. თხათა ღვთაებამ ღმობიერად მოუხმო ცოცხალ-მკვდარ და აღელვებულ ფსიქეას და, რადგან მისი უბედურება იცოდა, ალერსიანი სიტყვებით ამშვიდებდა:

- საყვარელო გოგონავ, მე სოფლის მცხოვრები ვარ, ფარას ვაძოვებ, მაგრამ ღრმა მოხუცებულობის წყალობით ხანგრძლივი გამოცდილებითა ვარ განსწავლული. აი რა: როგორც ვატყობ - ამას კი ჰკვიანი ხალხი განჰკრეტის ნიჰს უწოდებს - შენი ბარბაცით სიარული, მთელი შენი სხეულის მეტისმეტი სიფითრე, ხშირი ოხვრა და, რაც მთავარია, ნამტირალევი თვალები ამბობენ, რომ შენ განუზომელი სიყვარულით იტანჯები. გაიგონე ჩემი რჩევა და ნუ ეცდები ხელახლა წყალში ჩავარდნით, ან სხვა რაიმე ნაძალადევი სიკვდილით დაიღუპო თავი. სევდა უკუაგდე და მწუხარება გაფანტე. უმჯობესია ვედრებით მიმართო ღმერთთა შორის უდიდეს კუპიდონს, რადგანაც იგი განებივრებული და თავხედი ჭაბუკია, ეცადე, ალერსიანი შეგონებით შენი სასარგებლო განწყობილება შეუქმნა.

26. ფსიქეამ მწყემსთა ღმერთს ამ სიტყვებზე პასუხი არ გასცა, მხსნელ ღვთაებას მხოლოდ თაყვანი სცა და გზას გაუდგა. როცა საკმაოდ გრძელი მანძილი გაიარა რომელიღაც ბილიკით, უკვე სადამოს, საგრძნობლად დაღლილმა ერთ ქალაქს მიაღწია. იქ ერთ-ერთი მისი დის ქმარი მეფობდა.

ამის გაგებაზე ფსიქეამ მოინდომა, დისთვის თავისი იქ ყოფნა ეცნობებინა; როგორც კი შეიყვანეს იგი დასთან, ურთიერთ ხვეწნისა და მოკითხვის შემდეგ დამ ჩამოსვლის მიზეზი ჰკითხა და ფსიქეამ ასე დაიწყო:

- გახსოვს თქვენი რჩევა, სახელდობრ, თუ როგორ მაქეხებდით, რომ გველემშაპი, რომელიც ქმრის ცრუ სახელწოდებით ჩემთან ღამეებს ათევდა, სანამ თავისი გაუმაძღარი ხახით მე უბედურს მშთანთქავდა, ორლესული სამართლებლით დამეკლა? მაგრამ, როგორც კი პირობის თანახმად ლამპარის სინათლეზე მისი სახე დავინახე, წარმომიდგა სრულიად საოცარი და ღვთაებრივი სანახაობა: ტკბილი ძილით შეპყრობილი, თვით სახელგანთქმული ვენერას ვაჟი, კუპიდონი დავინახე. სილამაზის ხილვით აღტაცებული და მოჰარბებული განცხრომით დარცხვენილი, სანამ მისით დატკბობის შეუძლებლობით ვიტანჯებოდი, იმ დროს მოელვარე ლამპარმა მხარზე ზეთი

დააწვეთა. იმ წუთშივე ტკივილისაგან გაღვიძებულმა, როგორც კი დამინახა ლამპარითა და იარაღით ხელში, მითხრა:

- ასეთი მძიმე დანაშაულისათვის დაუყოვნებლივ მოშორდი ჩემს საწოლს და აქედან გამეცალე, მე კი შენს დაზე - აქ შენ დაგასახელა - ვიქორწინებო. მაშინვე უბრძანა ზეფირს ჩემთვის შემოებერა და სახლიდან გამოვეგდე.

27. ფსიქეამ ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ მისმა დამ, გიჟური სწრაფვითა და დამღუპველი შურით ანთებულმა, ქმარი ეშმაკურად მოატყუა, თითქოს ცნობა მიეღოს მშობლების გარდაცვალების შესახებ, მაშინვე ხომალდზე ავიდა და პირდაპირ ცნობილ ფლატეს მიაშურა. თუმცა სრულიად სხვა საწინააღმდეგო ქარი ქროდა, მაგრამ იმედით დაბრმავებულმა წამოიძახა:

- მიმიღე, კუპიდონო, შენი ღირსეული მეუღლე, შენ კი, ზეფირო, ქალბატონი დაიჭირე! - და მთელი ძალით უფსკრულში გადაეშვა, მაგრამ დანიშნულ ადგილას ცხედრის სახითაც კი ვერ მიაღწია. კლდეებზე დახეთქებითა და ქვიდან ქვაზე გადაგორებით, მისი სხეული დაიმსხვრა, სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტა. როგორც ეს მან სამართლიანად დაიმსახურა, მისი შიგნეულობა ფრინველთა და ველურ მხეცთა იოლ ნადავლად იქცა.

არ დაუყოვნებია შურისმაძიებელ მეორე სასჯელსაც. ფსიქეამ ხეტიალით მეორე ქალაქამდეც მიაღწია, სადაც, პირველის მსგავსად, მისი მეორე და იყო დედოფლად. იგიც გაება საკუთარი დის მიერ დაგებულ მახეში და - ფსიქეას მოქიშპე - გაეშურა ქარაფისაკენ უმსგავსი შეუღლებისათვის, მაგრამ მსგავსადვე უფსკრულში გადაიჩეხა და იქ პოვა აღსასრული.

28. ამასობაში, სანამ კუპიდონის მამებარი ფსიქეა ქვეყნებს უვლიდა, თვით კუპიდონი, დამწვრობისაგან კიდევ გამოუმრთელებელი, დედის საწოლ ოთახში იწვა და კვნესოდა. მაშინ თოვლივით თეთრი ჩიტი თოლია, ზღვის ტალღებზე რომ ფრთებით ცურავს, ღრმა ოკეანის წიაღში სასწრაფოდ ჩაყურყუმელავდა. მაშინვე მობანავე, მოშაპუნე ვენერას წინაშე წარსდგა და მოახსენა, შენი შვილი დაიწვა და ძლიერი ტკივილისაგან კვნესის, - არავინ უწყის მორჩება თუ არა, ყველა ქვეყანასა და ხალხში მითქმა-მოთქმა, ბუზღუნნი გაისმის, ვენერას და მის მოდგმას ცუდად იხსენიებენო; ასე ამბობენ, ვაჟი თითქოს მთებში სიყვარულით ერთობა, ვენერა კი ოკეანეში ბანაობს, თავის საქმეებს ჩამორჩნენ, ამის გამო, აღარც აღარავითარი ვნებაა, აღარც მომხიბვლელობა, აღარც მშვენიერება და ყველაფერი უშნო, უხეში და ველურა გახდაო; აღარც ცოლქმრული ქორწინებაა, აღარც მეგობრული კავშირი, აღარც ბავშვთაგან პატივი, არამედ საერთო უსირცხვილობა და ბინძური შეუღლებისაგან სიმწარე და ზიზღი მეფობსო, ასე ჩასჩხაოდა ვენერას ყურში ეს მოლაყბე, ცნობისმოყვარე ფრინველი და მის ვაჟს ამაგებდა. განრისხებულმა ვენერამ უეცრად წამოიძახა:

- ალბათ, ჩემს საყვარელ ვაჟს ვიღაც მეგობარი ქალი გაუჩნდა. აბა, შენ, ერთადერთო ჩემო ერთგულო მსახურო. მითხარი, რა ჰქვია მას, რომელმაც კეთილშობილი და წმინდა ვაჟი შეაცდინა? შესაძლებელია იგი რომელიმე ნიმფა^[74] იყოს, ჰოროთა^[75], ან მუზების^[76] გუნდიდან, ან ერთ-ერთი გრაცია^[77], ჩემი მსახურთაგანი.

არ გაჩუმდა მოლაყბე ფრინველი და უპასუხა:

- არ ვიცი, ქალბატონო, ერთ ქალწულს, რომლითაც იგი მეტისმეტად გატაცებულია, თუ მეხსიერება არ მდლალატობს, ფსიქეა ჰქვია.

მაშინ განრისხებულმა ვენერამ წამოიძახა:

- მაშ, მას მართლა სილამაზით ჩემი მოქიშპე და სახელის მიმტაცებელი ფსიქეა უყვარს, ნამდვილად ის უგვანი ამ საქმეში მაჭანკლად მე მთვლის, რადგან ჩემი მითითებით გაიცნო ის გოგო.

29. თქვა ეს, სასწრაფოდ ამოცურდა ზღვის ზედაპირზე და მაშინვე თავის საწოლ ოთახს მიაშურა; იქ, მართლაც, როგორც მოახსენეს, ავადმყოფი შვილი დახვდა. მან პირდაპირ ზღურბლიდანვე შეჰყვირა:

- განა ეს არის წესი და ნამუსი, შენი კარგი ქცევის შესაფერი, რომ შენი მშობლის, თვით ქალბატონის, დარიგების წინააღმდეგ, იმის მაგიერ რომ ჩემი მტრისათვის სამარცხვინო ვნება შთაგენერგა სასჯელის სახით, ასეთ ასაკში, ჯერ კიდევ ყრმა, ნაადრევად იკრავ მას გარყვნილ გულში და გგონია, რომ მოვითმენ რძლად იმას, რომელიც მეზიზღება? ან ფიქრობ, ყბედო და საზიზღარო ნათრევო, რომ შენ ერთს შეგიძლია ჩვენი მოდგმის გაგრძელება, და მე კი, უკვე ხნიერს, ნაყოფი არ ჩამესახება? მაშ ასე, იცოდე, შენზე უკეთეს მეორე ვაჟს გავაჩენ, ან უკეთ, შენდა დასამცირებლად ვიშვილებ რომელიმე მონათაგანს, მას გადავცემ ამ ფრთებს, ჩირალდანს, მშვილდსაც, თვით ისრებსაც და მთელ ჩემს იარაღს, რომელიც შენთვის ასე უხეიროდ სახმარად არ მომიცია. მამაშენის ქონებიდან კი ამ შეიარაღებისათვის არაფერი დახარჯულა.

30. ბავშვობიდანვე ცუდი ზნისა ხარ, თავიდანვე ხელმარდი, უფროსებს წამდაუწუმ უპატივცემლოდ მუჯლუგუნს ჰკრავდი ხოლმე, თვით შენს დედას კი, მკვლელო, ყოველდღე მაშიშვლებ და გულს მიკოდავ, არარად მაგდებ, ვიგინდარა ქვრივივით მეპყრობი, არ გეშინია სახელგანთქმული ღონიერი და უდიდესი მოლაშქრე მამინაცვლისა^[78]. გარდა ამისა, დაეჩვიე, ჩემს ჯიბრზე მისთვის ხასად ქალწულების მოყვანას, აი, ამ ეშმაკობისათვის ინანებ და გაიგებ, როგორი მძიმე და მწარე იქნება შენი დაქორწინება! ასეთი აბუჩად აგდების შემდეგ რაღა უნდა ექნა? სად გადავიკარგო? რა საშუალებით მოვაჰკვიანო ეს უკუღმართი? განა ჩემს მტერს, თავშეკავებას უნდა მივმართო, რომელსაც ხშირად თვით ამის გარყვნილებისათვის შევურაცხყოფდი? საშინელებად მიმაჩნია გაუთლელ სოფლის დედაკაცთან ლაპარაკი. თუმცა საიდანაც უნდა მოელოდეს დამამშვიდებელი შურისძიება, მისი ათვალწუნება მაინც არ შეიძლება. სწორედ ის („თავშეკავება“) და სხვა არავინ უნდა მოვიშველიო, რომ ეს ლაქლაქა უფრო მკაცრად დავსაჯო, კაპარჭი წავართვა, ისრებისაგან განვაიარაღო, ჩირალდანი ჩავუქრო და სხეულიც უფრო მწვავე საშუალებებით დავუთრგუნო. მხოლოდ მაშინ ჩავთვლი ჩემს შეურაცხყოფას გაქარწყლებულად, როცა იგი ამ კულულებს, რომელთა მბრწყინავ ოქროს ამ ხელებით ხშირად ვეალერსებოდი, შეკრეჭს, და ფრთებს, ჩემი მკერდის ნექტარით რომ ვნამავდი, - ძირში მიაჭრის.

31. ეს თქვა და განრისხებული გაიქცა, მაგრამ ვენერას ნაღველი ამით არ შენელებულა. გზაზე შემოხვდნენ ცერერა და იუნონა, მისი მოღუშული სახის დანახვაზე შეეკითხნენ, თუ მოელვარე თვალების სილამაზეს მისი შექმუხვნილი წარბები რად ჩრდილავდა. მან კი უპასუხა:

- მართლაც, კარგ დროს შემხვდით. თქვენ შემისრულებთ ჩემი მხურვალე გულის სურვილს. გვედრებით, ყოველ ღონეს მიმართოთ და მომინახოთ გაქცეული, მფრინავი ფსიქეა. ჩემს სახლში მომხდარი ამბავი, რა თქმა უნდა, თქვენთვის ცნობილია. ეს თავს დამატება მან, რომელსაც აღარ შემიძლია შვილი ვუწოდო.

ამაზე ქალღმერთებმა, რომლებმაც ყველა მომხდარი ამბავი იცოდნენ, ანთებული რისხვის დასაწყნარებლად ვენერას ასე უთხრეს:

- ქალბატონო, რა ბოროტება ჩაიდინა შენმა შვილმა. რომ ასე დაჟინებით ეწინააღმდეგები მის ბედნიერებას და გინდა დაღუპო ის, ვინც მას უყვარს? საკითხავია: რა ცოდვაა, თუ ის სიყვარულით უდიდის ლამაზ ქალწულს? განა არ იცი, რომ იგი უკვე დიდი ბიჭია, ან იქნებ დაგავიწყდა მისი წლოვანება? თუ იმიტომ ტუქსავ, რომ თავისი წლოვანებისათვის ასეთი ბავშვური შესახედაობა აქვს და ჯერ კიდევ პატარად გეჩვენება? შენ დედა ხარ, აზრიანი ქალი, ამასთანავე შვილის ყოველგვარ ცელქობას თვალყურს ადევნებ, თავგასულობას აბრალე, შენი მშვენიერი ვაჟის მოქმედებაში შენსავე ეშმაკობასა და სიამოვნებას კიცხავ და სატრფიალო საქმეებში ხელს უშლი. რომელი ღმერთი ან ადამიანთაგანი დაუშვებს, რომ შენ ყველგან ადამიანებში ვნებიანობა თესო, თუკი შენი სახლიდან სიყვარულს ასე გამწარებით ერეკები და ქალთა სისუსტის საზოგადოებრივ სანერგეს მაგრად კეტავ?

კუპიდონის ისრებით დაშინებული იუნონა და ცერერა ცდილობდნენ თავიანთი თავაზიანი მფარველობით, თუნდაც მის დაუსწრებლად მაინც მოეგოთ მისი გული. მაგრამ ვენერა განრისხდა, რადგან მისდამი მიყენებული შეურაცხყოფა არარად ჩააგდეს, გაუსწრო მათ, დაწინაურდა და ჩქარი ნაბიჯით სხვა მიმართულებით ზღვისაკენ გაეშურა.

წიგნი მეექვსე

1. ამასობაში, ფსიქეა დღე და ღამე დაეხეტებოდა და თავისი ქმრის კვალს ეძებდა; ძლიერ სურდა, თუ ცოლქმრული ალერსით არა, მონური ვედრებით მაინც შეენელებინა მისი რისხვა. და აი, დაინახა თუ არა ციცაბო მთის მწვერვალზე რაღაც ტაძარი, გაიფიქრა, ვინ იცის, იქნებ იქ არის ჩემი მეუფის სამყოფელიო! და მაშინვე იქით მიმართა ჩქარი ნაბიჯი, რომელსაც იმედმა და სურვილმა მუდმივი დაღლილობისაგან დაკარგული სიმარდე დაუბრუნა. აი, უკვე მაღალი მთის ფერდობზე ავიდა და საკურთხეველს მიუახლოვდა. ხედავს მის წინ პურის ბულულებს, ზოგან მნებად შეკრულ პურს გვირგვინებად დაწულს და ქერის თავთავებს. იქ იყო ნამგლები და მკისათვის ყოველგვარი საჭირო იარაღი, მაგრამ ყველაფერი ეს სხვადასხვა ადგილას უწესრიგოდ და უპატრონოდ ეყარა, თითქოს მუშებს პაპანაქებაში ყველაფერი მიუყრ-მოუყრიათო. ფსიქეამ ყველაფერი ეს როგორც საჭირო იყო, სათითაოდ გადააწყო, გულმოდგინედ დაყო და გაანაწილა. მისი აზრით, არ შეიძლება პატივი არ სცე ღმერთის ტაძარს და უგულუბელჰყო მისი ჩვეულებანი. პირიქით, ყველას კეთილმოწყალებას უნდა ეძიებდე.

2. ამ დაკვირვებული და გულმოდგინე მუშაობის დროს იგი დაინახა მარჩენალმა ცერერამ და მაშინვე შორიდანვე მესმახა:

- ოჰ, სიბრალულის ღირსო ფსიქეავ! გაშმაგებული ვენერა შენს კვალს მთელ ქვეყანაზე გაცხარებული დაემებს, საშინელ სასჯელს გიმზადებს, მთელ თავის ღვთაებრივ ძალას შენდამი შურის საძიებლად ხმარობს, შენ კი ჩემთან ნივთებს უვლი და ხსნისათვის არავითარ ღონეს არ მიმართავ?

მაშინ ფსიქეა პირქვე დაემხო და მდულარე ცრემლით ქალღმერთს ფეხებს უნმავდა, თმებით მიწასა და მის ნაკვალევს გვიდა, მას ყოველგვარი ვედრებით მოწყალებისაკენ მოუწოდებდა.

- გაფიცებ შენს ნაყოფიერ მარჯვენას, მკის სასიხარულო წესებს, წმინდა კალათების^[79] მდუმარ საიდუმლოებას, ურჩხულთა ფრთოსან ეტლს, შენს მსახურებს, სიცილიის ნიადაგის ხნულს, მტაცებლურ ეტლს, ჭირნახულ

დედამიწას, პროზერპინას უმზეო ქორწინებაზე ჩასვლას, ნაპოვნი ქალიშვილის მზის სინათლეზე ამოყვანას და, გაფიცებ ყველაფერს, რაც კი ელევსინის საკურთხეველში იდუმალებითაა მოცული^[80], დახმარება გაუწიო შენთან დასაფარავად მოსულ უბედურ ფსიქეას სულს. ნება მომეცი, რამდენიმე დღით მაინც ამ თავთავთა ბულბულებში ჩავიმარხო, სანამ დიადი ქალღმერთის გულისწყრომა დროთა სრბოლისაგან შენელდებოდეს. ან მანამდე მაინც ვიდრე დავისვენებდე და დიდი ხნის ტანჯვისაგან მიღეულ ძალ-ღონეს აღვიდგენდე.

3. ცერერამ უპასუხა:

- შეშფოთებული ვარ შენი თვალცრემლიანი ვედრებით და მინდა დაგეხმარო, მაგრამ სრულებით არა მაქვს აზრად, ჩემს ნათესავს და ამასთანავე კეთილ ქალს^[81] გადავეციდო. ასე რომ, ახლავე წადი აქედან, მიმადლე, რომ არ დაგიჭირე და ყარაული არ მიგიჩინე.

ფსიქეა არ მოელოდა, რომ თავის ვედრების საპასუხოდ უარს მიიღებდა, დარდი გაუორკევდა და დაუძლურებული ხელახლა გზას გაუდგა. ღრმა დაბლობის ხშირ ტყეში დაინახა შესანიშნავი ხელოვნებით აგებული ტაძარი. ბედის საცდელად არც ერთი საშუალება, თუნდაც ის სათუო ყოფილიყო, არ სურდა ხელიდან გაეშვა, პირიქით, მზად იყო მოეგო ღვთაების გული, რომელიც უნდა ყოფილიყო იგი; მოწყალების ძეხანაში ალაყაფის კარს მიუახლოვდა. დაინახა ხის ტოტებსა და კარიბჭეებზე გაფენილი ძვირფასი შესაწირავები, ოქროს წარწერებიანი ქსოვილები. ამ წარწერებში მადლობას უცხადებდნენ ღვთაებას, იქვე იყო აღნიშნული სახელი ქალღმერთისა, რომლისადმიც მიძღვნილი იყო საჩუქრები. ფსიქეამ ცრემლი შეიმშრალა, მუხლთ მოიყარა, ხელები მოხვია ჯერ კიდევ გაუცევებელ სამსხვერპლოს და ასეთი ლოცვა წარმოთქვა:

4. - დიდი იუპიტერის დაო და მეგობარო! ხარ შენ სამოსის უძველეს საკურთხეველში^[82], რომელსაც შენი დაბადების, ბავშვური ყვირილისა და ბუბუშოვრობის ერთადერთ მოწმედ ადიდებენ, თუ იმყოფები მაღალი კართაგენის^[83] ნეტარ ნავსადგურში, სადაც ზეცაში ლომით მოსეირნე ქალწულად გრაცხენ, ან ინაქეს^[84] ნაპირების ახლო, რომელიც უკვე ჭექა-ქუხილის ღვთაების მეუღლედ და ქალღმერთთა დედოფლად გადიდებს, თუ არგოსელთა^[85] სახელოვან კედლებს იცავ, შენ, რომელსაც მთელი აღმოსავლეთი მიგიას გემახის და დასავლეთში ყველგან ლუცინას^[86] გიწოდებენ. ჩემს უკიდურეს გაჭირვებაში მფარველ იუნონად მომეველინე და თავზე დამტყდარ სატანჯველთა გამო შეშინებული და ქანცმიღეული მოსალოდნელი ხიფათისაგან მიხსენი! რამდენადაც ვიცი, სიხარულით მფარველობას უწევ საფრთხეში მყოფ საბრალო ფეხმძიმე ქალებს.

როცა იგი ამგვარად შეჰლადადებდა, უცებ გაჩნდა მის წინ იუნონა მთელი თავისი სიდიადით, როგორც ასეთ ქალღმერთს შეეფერება, და მიმართა ფსიქეას:

- დამიჯერე, რომ სიამოვნებით შეგისრულებდი თხოვნას, მაგრამ სინდისი ნებას არ მაძლევს ვიმოქმედო ჩემი რძლის^[87], ვენერას. სურვილის წინააღმდეგ, იმ ვენერასი, რომელიც შვილივით მიყვარს. არ მაძლევენ ამის ნებას კანონებიც, რომლებიც გვიკრძალავენ სხვა ქვეყნებიდან ლტოლვილ მონათა მფარველობას მათ პატრონთა ნებადაურთველად.

5. ასე გაუცრუვდა ხელმეორედ იმედები ფსიქეას და შეშფოთებულმა, იმის გამო, რომ ვერასვლით ვერ ეღირსა თავისი ფრთოსანი მეუღლის პოვნას, ხელი ჩაიქნია თავის ბედზე და ასეთ ფიქრს მისცა თავი:

- ვის შეუძლია კიდევ სცადოს ჩემი დახმარება, ვის შეუძლია მხარი დამიჭიროს, როცა არც ერთ ქალღმერთს მიუხედავად სურვილისა არ ძალუძს სარგებლობა მომიტანოს. ყოველმხრივ მახეს მიგებენ და ახლა საით მივმართო ჩემი ტერფები და ვის სახურავქვეშ, თუნდაც ღამის წყვდიადს ამოფარებული, დავემალო დიდ ვენერას მოუცილებელ თვალს? დროა ვაჟკაცური გამბედაობით შეიარაღდე, სამუდამოდ უარყო ფუჭი იმედი და შენს ქალბატონს ნებაყოფლობით დამორჩილდე; იქნებ ამ, თუმცა დაგვიანებული, თავმდაბლობით შეძლო მისი სასტიკი დევნა შეანელო. ვინ იცის, იქნებ ისიც, ვისაც ამდენი ხანია ეძებ, იქ, მშობლის სახლში იპოვო?

ამგვარად, დასამორჩილებლად გამზადებული, მაგრამ წარმატებაში დაექვევებული, უფრო სწორად დასაღუპავად გამზადებული ფსიქეა ფიქრობდა, თუ რით დაეწყო თავისი სათხოვარი სიტყვა.

6. ვენერამ კი მიწიერი საშუალებით ფსიქეას მოძებნის ფიქრს თავი დაანება და ზეცას მიაშურა. ბრძანა შეებათ ეტლი, რომელიც ხელმარჯვე ოქრომჭედელმა ვულკანმა შეუღლების წინ იშვიათი ოსტატობით გააკეთა, როგორც საქორწინო საჩუქარი. თხელი კლიბით შეასწორ-შემოასწორა, ოქროს შემცირებით სილამაზე შეჰმატა და იგი უფრო გამშვენიერდა. დედოფლის სავანესთან მუდამ ახლო მფრენ მრავალრიცხოვან მტრედებს გამოეყო თოვლივით თეთრი, სპეტაკი ორი წყვილი; ისინი მხიარული ფრენის დროს ფერად ყელს აქეთ-იქით აბრუნებენ, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ მოსართავეებში ებმებიან და ეტლში ქალბატონის ჩაბრძანების შემდეგ სიხარულით მალლა მიფრინავენ. ვენერას ეტლის მხიარული ჭიკჭიკით მიაცილებენ ბელურები და სხვა წვრილახმიანი ჩიტები, ტკბილად ავსებენ ჰაერს ნაზი გალობით და ქალღმერთის მობრძანებას იუწყებიან. ღრუბლები იშლება, ცა იხსნება თავისი ქალიშვილის წინაშე, უმაღლესი ეთერი სიხარულით ღებულობს ქალღმერთს და დიდ ვენერას მაგალობელ ამაღლას არ ემინია არც შემხვდომი არწივებისა და არც მტაცებელი ქორებისა.

7. ვენერამ მაშინვე დიდი იუპიტერის სამეფო პალატებს მიაშურა და ამაყად განაცხადა, ჩემთვის აუცილებელია ხმამდიერი ღმერთის, მერკურის, დახმარებაო. იუპიტერის მტრედისფერ წარბებს უარი არ გამოუხატავს. გახარებული ვენერა მერკურის^[88] თანხლებით დაუყოვნებლივ მიწაზე დაეშვა და მღელვარებით უთხრა:

- ჩემო ძმაო, არკადიელო, შენ იცი, რომ შენს დას, ვენერას, არასდროს მერკურისგან დაფარულად არაფერი გაუბედავს, ყოველ შემთხვევაში შენთვის ცნობილია, რომ დიდი ხანია ვეძებ და ვერ მიპოვია ჩემგან გაქცეული მხევალი. მეტი გზა არა მაქვს, შენი საშუალებით სახალხოდ უნდა გამოვაცხადო, რომ ვინც მის სამყოფელ ადგილს მიჩვენებს, დავაჯილდოვებ. აი, ეს საჩქაროდ გამოაცხადე. ამასთანავე დაწვრილებით და ზუსტად ჩამოთვალე მისი ნიშნეულობა, რომლითაც მისი ცნობა შეიძლება, რათა, თუ ვინმე მის დამალვას გაბედავს, უცოდინარობით თავის მართლება არ შეეძლოს.

ამ სიტყვებით გადასცა მან ფურცელი, სადაც აღნიშნული იყო სახელი ფსიქეა და სხვა. თვითონ მაშინვე გაბრუნდა შინ.

8. მერკური სწრაფად დაეთანხმა. შემოირბინა მთელი ხალხი და მინდობილ საქმეს ასეთი განცხადებით ასრულებდა:

- იმ შემთხვევაში თუ ვინმე დააბრუნებს ან შესძლებს დაასახელოს ადგილი, სადაც თავს აფარებს ვენერას ლტოლვილი მხევალი, მეფის ასული, სახელად ფსიქეა, ამის შესახებ მურტიის მიჯნებს^[89] იქით გზირ მერკურის

განუცხადოს, რისთვისაც თვით ვენერასაგან ჯილდოდ მიიღებს შვიდ ტკბილ კოცნასა და კიდევ ერთს, თაფლივით ტკბილ კოცნას, ალერსიანი ენის შეხებით.

მერკურის განცხადებამ და ასეთი ჯილდოს მიღების სურვილმა ყველანი წააქეზა და ერთიმეორეს ეცილებოდნენ მეზნის დაწყებისთვის. საქმის ასეთმა ვითარებამ საბოლოოდ გადააწყვეტინა ფსიქეას უკუეგდო დაყოვნება. უკვე უახლოვდებოდა თავისი მეუფის ალაყაფის კარს, რომ უცებ ვენერას შინაყმათა რიცხვიდან მოირბინა ჩვეულება^[90] და მაშინვე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეჰყვირა:

- საზიზღარო მხევალო, როგორც იქნა მოისაზრე, რომ ქალბატონი გყავს! ნუთუ შენი ფლიდი ხასიათით მოიგონებ, რომ არ იცოდი, რა შრომა გვიჯდებოდა შენი მონახვა? მაგრამ კარგია, სწორედ მე ჩამივარდი ხელში, თითქოს თვით ორკეს^[91] ბრწყალებში მოექცე, ასე რომ, დაუყოვნებლივ დაისჯები შენი ჭირვეულობისათვის.

9. გაბედულად სწვდა თმაში და წაათრია. ფსიქეა კი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა.

ვენერას, როგორც კი მან დაინახა, რომ ფსიქეა მოათრიეს და მის წინ დააყენეს, რისხვისაგან სიგიჟემდე მისული ადამიანივით ხარხარი წასკდა, თავი აუკანკალდა, მარჯვენა ყურის ქექვა დაიწყო და უთხრა:

- როგორც იქნა ნახვის ღირსი გახადე დედამთილი! ან, შესაძლოა, ქმრის მოსანახულებლად მობრძანდი, შენი წყალობით რომ წყლულებისაგან იტანჯება? მაგრამ იმედი გქონდეს, შევძლებ გაგისწორდე ისე, როგორც კეთილ რმალს ეკადრება! - და დაიყვირა: - სად არიან ჩემი მსახურები ზრუნვა და მჭმუნვარება?

ესენი ძახილზე გამოცხადდნენ და ფსიქეა მათ ჩააბარა საწამებლად. ქალბატონის ბრძანებისამებრ, ფსიქეა გაამათრახეს, სხვადასხვაგვარად აწამეს და ისევ ქალბატონს მიჰგვარეს. ვენერამ კვლავ გადაიხარხარა და უთხრა:

- უთუოდ, შენ გგონია, რომ ჩემს თანაგრძნობას გამოიწვევს შენი გაბერილი მუცლის დანახვა, რომლის მშვენიერი ნაყოფი ჩემს გაბედნიერებას აპირებს დიდედის სახელწოდებით? სწორედ დიდი პატივია ჩემთვის აყვავებისა და გაფურჩქვნის წლებში დიდედად ვიწოდებოდე და მესმოდეს, როგორ ეძახიან მხევლის ვაჟს ვენერას შვილიშვილს. თუმცა მე, სულელი, ტყუილად ვამბობ სიტყვა „ვაჟს“. შეუღლება შეუფერებელი იყო და ამასთანავე მოხდა ქალაქგარეთ მდებარე შენობაში უმოწმეზოდ და მამის ნებადაურთველად, ამიტომ არ შეიძლება იგი კანონიერად^[92] ჩაითვალოს. ასე რომ, თუ მისი მუცლით ბოლომდე ტარების ნებას მოგცემ, დაიბადება ნაბუშარი.

10. ეს რომ თქვა, ეცა ფსიქეას, შემოაგლიჯა ტანსაცმელი, თმით ათრია და სცემა; შემდეგ აიღო ჭვავი, ქერი, ფეტვი, ყაყაჩო, მუხუდო, ოსპი, ცერცვი, ყველაფერი ეს ერთიმეორეში აურია, ერთად დაახვავა და უთხრა:

- მგონია, ასეთ სამაგელ, ყურმოჭრილ მონას არაფრით შეეძლო საყვარლების გულის მოგება, გარდა ერთგული სამსახურისა; მეც მიინდა შენი მოხერხების გამოცდა. ეს შერეული თესლების ხვავი, როგორც წესი და რიგია, ცალცალკე მარცვლებად ხარისხის მიხედვით გადაარჩიე და ნამუშევარი სადამომდე წარმომიდგინე შესამოწმებლად.

ასე მიუთითა მან სხვადასხვაგვარ უამრავ მარცვლეულზე, თვითონ კი ქორწილში წავიდა. ფსიქეამ ხელიც არ მიაკარა ამ არეულ და გადასარჩევად შეუძლებელ ხვავს. იგი შეწუხებული იყო ვენერას მკაცრი ბრძანებით და არ ინძრეოდა. უცებ ერთმა ნამცეცა სოფლის ჭიანჭველამ, რომელმაც იცოდა, რა

მწელი იყო მსგავსი სამუშაო, დიდი ღვთაების თანამეცხედრის შემბრალემ და მისი დედამთილის შურით აღშფოთებულმა, მიირბინ-მოირბინა, გულით მოუწოდა იმ არემარეში მყოფ ჭიანჭველების მთელ მოდგმას და სთხოვა მათ:

- შეიბრალეთ ყველას გამომკვები, დედამიწის მკვირცხლო მკვიდრნო, შეიბრალეთ ამურის ახალგაზრდა, ულამაზესი მეუღლე და რაც შეიძლება ჩქარა გამოეშურეთ უბედურის დასახმარებლად.

ექვსფეხა ცხოველთა ხროვები ერთიმეორეს ასკდებოდნენ; დიდი მონდომებით გადაარჩიეს მარცვალთა გროვა, ხარისხის მიხედვით დაანაწილეს და სასწრაფოდ თვალს მიეფარნენ.

11. საქორწინო ზეიმიდან ვენერა დაღამებისთანავე დაბრუნდა; ღვინით მთვრალი კეთილსურნელებას აფრქვევდა, მთელი სხეული მოელვარე ვარდებით ჰქონდა მორთული, და ასე გულმოდგინედ, ზეადამიანური ძალ-ღონით შესრულებული სამუშაოს დანახვაზე შეჰყვირა:

- საძაგელო, შენი ხელით შესრულებული როდია ეს ნამუშევარი. ეს მან გააკეთა, ვისაც თავის თავისა და შენდა საუბედუროდ მოეწონე! - გადაუგდო მას შავი პურის ნატეხი და დასაძინებლად წავიდა. ამასობაში, სახლში, ცალკე ოთახში, ჩაკეტილ კუპიდონს ფხიზლად დარაჯობდნენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ თავისი მგზნებარე დაუდგრომლობით წყლული არ გაემწვავებინა, ხოლო ნაწილობრივ იმიტომ, რომ თავის სანატრელს არ შეხვედროდა. ერთ ჭერქვეშ, თუმცა შორიშორ გაატარეს ის შავბნელი ღამე მიჯნურებმა.

როგორც კი ცის თაღზე აღმობრწყინდა ავრორა, ვენერამ მოუხმო ფსიქეას და ასეთი სიტყვებით მიმართა:

- ხედავ, აი იქ, იმ ტევრს, მსრბოლავი მდინარის ნაპირს რომ გასდევს? მის ნაპირებზე მყოფი ბუჩქები მეზობელ წყაროს თავზეა ამოსული, სადაც უმეტველყოფოდ დაეხეტებიან მსუქანი, ოქროს მატყლით მოსილი ცხვრები. გიბრძანებ დაუყოვნებლივ მომიტანო ერთი ზღუჯა ძვირფასი მატყლი. იშოვე რა გზითაც გასურდეს.

12. ფსიქეა სიხარულით გაეშურა არა იმიტომ, რომ დავალება შეესრულებინა, არამედ ფიქრობდა მდინარის ტალღებში უბედურებისგან თავის დაღწევას. მაგრამ უცებ მდინარიდან მოესმა უტკბილესი მუსიკის მშობლის, ნელი ნიავისაგან აშრიალებული და შთაგონებული მწვანე ლერწმის^[93] ხმა:

- ამდენ უბედურებათა გადამტანო ფსიქეავ, ნუ შებილწავ ჩემს წმინდა წყალს შენი ავი სიკვდილით და იცოდე, ნურც მიუახლოვდები ახლა ამ საშინელ ცხვრებს: პაპანაქების დროს ისინი გიჟდებიან და ადამიანს სიკვდილის პირას მიაყენებენ ხან წვეტიანი რქებით, ხან გაქვავებული შუბლით, და შხამიანი კბენით. მაგრამ როცა ნაშუადღევს მზის მცხუნვარება ნელდება და მდინარის საამო სიგრილე ფარას ამშვიდებს, მაშინ შეგიძლია ამოეფარო ფართო ჭადრის ხეს, რომელსაც ჩემსავით ასაზრდოებს ეს მდინარე. როგორც კი ცხვრები დაცხრებიან და თავის ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდებიან, საკმარისია მხოლოდ მახლობელ ხეთა ტოტების დარხევა, რათა მოიპოვო გადახლართულ ტოტებზე გარჩენილი ოქროს მატყლი.

13. ასე არიგებდა ალალ-მართალი, გულკეთილი ლერწამი წამებულ ფსიქეას, თუ როგორ დაეღწია თავი დაღუპვისაგან. ფსიქეაც გულმოდგინედ ისმენდა მის რჩევას და არც წაუგია; ყველაფერი ისე შეასრულა, ფარულად აკრიფა მთელი კალთა რბილი, ოქროსფერ-მოყვითალო მატყლი და ვენერას მიართვა. მაგრამ მეორე^[94] ბრძანების შესრულებამ ქალბატონის გული მაინც ვერ მოინადირა. წარბებშეკმუხვნილი ვენერა გესლიანი ღიმილით ეუბნება:

- ჩემთვის უცნობი როდია ამ გმირობის ჩამდენი მრუშიც. აი, მე შენ გამოგცდი როგორც საჭიროა, გავიგებ მართლა ასეთი სულიერი ძლიერებისა და გონების პატრონი ხარ, თუ არა. ხედავ, იმ აღმართული მთის ციცაბო კლდეს, სადაც ბნელი წყაროდან შავი წყლები გამომდინარეობენ? უახლოვდებიან თუ არა განიერ, ყოველმხრივ შემოზღუდულ ამოღრმავებულ ადგილს, სტიქსის^[95] ჭაობებს რწყავენ და კოციტის^[96] ბობოქარ ტალღებს ასაზრდოებენ. იმ წყაროს ღრმა სათავიდან ყინულოვან წყალს ამოიღებ და დაუყოვნებლივ ამ შუშით მომიტან. - ასე უთხრა და თლილი ბროლის ბოთლი კიდეც უფრო სასტიკი მუქარით მიაწოდა.

14. ფსიქეამ რაც შეეძლო აუჩქარა ნაბიჯს და მთის მწვერვალისაკენ გაეშურა იმ იმედით, რომ იქ მაინც იპოვიდა თავისი გაწამებული სიცოცხლის აღსასრულს. მაგრამ მიაღწია თუ არა მითითებული მწვერვალის მოსაზღვრე ადგილებს, დაინახა, რა სასიკვდილო სიმნელები ახლდა ამ წარმოუდგენელ საქმეს. თავისი სიდიდით არაჩვეულებრივი, მიუვალი, ციცაბო და, სამინელი სიმაღლის გამო, უიმედო კლდე თავისი ქვიანი ვიწროებიდან შემაზრზენ წყაროებს ისროდა. წყალნი, გვირაბიდან დაქანებულნი, ძირს სცვივოდნენ და ვიწრო არხში თვალისთვის შეუმჩნევლად მიმალულნი, მეზობელ დაბლობზე გამოდიოდნენ. მარჯვნივ და მარცხნივ, ღრმა ხვრელებიდან, იცქირებოდნენ გრძელ-კისერგამოწვდილნი მძვინვარე ვეშაპები, რომელთა თვალები მარად ფხიზლობდნენ და გუგები მუდამ სინათლეს უყურებდნენ, ამასთანავე მეტყველების უნარის მქონე წყლები თავდასაცავად ხანგამოშვებით ყვიროდნენ: „უკან! რას ჩადი! უფრთხილდი! საით? უფრთხილდი! გაიქეცი! დაილუპები!“

ფსიქეა დარწმუნდა, რომ დავალებას ვერ შეასრულებდა და გაქვავდა, სხეულით აქ იყო, მაგრამ გრძნობით კი არა, და დაუღწეველ საშიშროებათა გამო თავზარდაცემული, უკანასკნელ იმედს - ცრემლსაც კი მოკლებული იყო.

15. მაგრამ უმანკო სულის ტანჯვა კეთილი გონების სამართლიანი თვალისაგან არ დაიმალა. მოულოდნელად თავს წამოადგა მაღალი იუპიტერის მეფური ფრთოსანი, ორივე მხრით ფრთებგაშლილი, მტაცებელი არწივი; მოიგონა თავისი ძველი სამსახური, როცა კუპიდონის შთაგონებით იუპიტერისათვის ფრიგიელი მერიქიფე^[97] მოიტაცა. იფიქრა, თუ მის მეუღლეს გასაჭირში დროზე დახმარებას აღმოუჩენდა, ამით პატივს ცემდა თვით ღმერთს; დატოვა იუპიტერის მაღლობები, ქალის თვალწინ დაიწყო ფრენა და უთხრა:

- შენ, გულუბრყვილოვ, ასეთ საქმეებში გამოუცდელო, ნუთუ იმედი გაქვს, რომ ერთ წვეთ წყალს მაინც მოიპარავ. ან თუნდაც მიუახლოვდები ამ წმინდა, მაგრამ საშიშ წყაროს? განა არ გაგიგონია, რომ ამ სტიქსის წყლისა ემინიათ ღმერთებსაც და თვით იუპიტერსაც? როგორც თქვენ ღვთაებათა ძლიერებას ფიცულობთ, ისე ზეცის მკვიდრნი - სტიქსის დიდებას. მაგრამ, მომეცი შენი შუშა.

არწივმა სასწრაფოდ ბრჭყალებში მოიქცია შუშა, უზარმაზარი ფრთები წონასწორობაში მოიყვანა, ვეშაპების დაღებულ ხახათა, დადრჰენილ კბილთა და სამკაპა ენათა შორის ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ იხრებოდა და ასე მიაშურა სასურველ წყლებს, რომლებიც მას უყვიროდნენ, გაცლოდა მათ სანამ უვნებელი იყო. მან საპასუხოდ მოიგონა: ვენერას ბრძანებით ვარ მოსული მისი დავალების შესასრულებლად და ამ მოხერხებამ მას წყაროსთან მისვლის საშუალება ცოტა შეუმსუბუქა.

16. ამრიგად, ფსიქეამ ავსებული შუშა სიხარულით მიიღო და რაც შეიძლებოდა, საჩქაროდ მიუტანა ვენერას. მაგრამ განრისხებული

ქალღმერთისაგან ახლაც კი ვერ დაიმსახურა ქება. იგი ბოროტი ღიმილით, რომელიც კიდევ უფრო ავ ბედს უმზადებდა ფსიქეას, ეუბნება:

- როგორც ვხედავ, დიდი გამოცდილი ჯადოქარი ყოფილხარ, რომ ასე ზედმიწევნით ასრულებ ამდენად ძნელ დავალებებს, მაგრამ აი, ჩემო კარგო, რა უნდა გამიკეთო: წაილე ეს ქილა, - და მიაწოდა იგი, - სწრაფად გაეშურე ქვესკნელში, თვით ორკეს საიქიო სამეფოში. იქ პროზერპინას მისცემ ქილას და ეტყვი: „ვენერა გთხოვს გაუგზავნო სულ ცოტა შენი სილამაზე ერთი დღით მაინც, რადგან საკუთარი მან გაანადგურა და დაკარგა, სანამ ავადმყოფ შვილს უვლიდა-თქო“. დაუყოვნებლივ დაბრუნდი, რადგან სასწრაფოდ უნდა წავიცხო ღმერთების შეკრებულებაზე დასასწრებლად.

17. ფსიქეამ მაშინ მეტად, ვიდრე ოდესმე, იგრძნო, რომ მისი აღსასრული მოახლოვდა, რადგან ნამდვილად დასაღუპავად გზავნიდნენ. ამაზე მეტი რაღა იქნებოდა? მას უბრძანებდნენ თავისი ფეხით წასულიყო ჯოჯოხეთში, გარდაცვლილთა სულებთან. მაშინვე მიაშურა ერთ უმაღლეს კომპს ძირს გადასავარდნად, ფიქრობდა, ამ გზით უფრო მოხერხებულად და ჩქარა ჩავალ ქვესკნელში. მაგრამ კომპმა მოულოდნელად ხმა გაიღო და უთხრა:

- უბედურო ფსიქეავ, აღსასრული ქვესკნელში რად გინდა ეძიო? ასე წინდაუხედავად რად იგდებ თავს ახალ ხიფათში და წვალებაში? შენი სული რომ სხეულს მოშორდება, რა თქმა უნდა, საიქიოს წახვალ, მაგრამ იქიდან კი ველარავითარი გზით უკან ვეღარ დაბრუნდები. აი, მისმინე:

18. აქვე ახლოს არის ლაკედემონი, აქაიის^[98] ცნობილი ქალაქი, მის მეზობლად მონახე დაუსახლებელი ადგილებით გარშემორტყმული ტენარი^[99]. იქ არის დიტის^[100] ხვრელი და ღია ჭიშკარში ჩანს გაუვალი გზა. როგორც კი ამ გზას დაადგები და ზღურბლს გადააბიჯებ, პირდაპირი გზით ორკეს სამეფოს მიაღებ. მაგრამ ამ წყვილიადმი ხელცარიელი არ უნდა შეხვიდე, ორივე ხელში თავფლითა და ღვინით შეზავებული ქერის ნამცხვარი დაიჭირე, პირით კი ორი სპილენძის ფული წაილე. გაივლი თუ არა მომაკვდინებელი გზის საგრძნობ ნაწილს, შეშით დატვირთული კოჭლი ვირი შემოგეყრება კოჭლივე პატრონით. ვირის პატრონი მოგმართავს თხოვნით გუდურიდან გადმოვარდნილი ნაპობები მომაწოდო, მაგრამ არასგზით ხმა არ გასცე და ჩუმად გზა განაგრძე. მალე მიაღწევ მიცვალებულთა მდინარეს, რომლის უფროსად ქარონია დაყენებული. იგი მაშინვე გასამრჯელოს მოგთხოვს და როცა მისცემ ფულს, მხოლოდ მაშინ გადაგიყვანს პატარა ნავით მეორე მხარეს. როგორც ხედავ გარდაცვლილთა შორისაც ანგარება სუფევს; ისეთი ღმერთიც კი, როგორც ქარონია^[101], დიტის ხარკის ამკრეფი, უსასყიდლოდ თითსაც არ გაანძრევს და ღარიბმა მოკვდავმა გზისათვის ფული უნდა მოიმარაგოს, რადგან, თუ მას თან ნაღდი სპილენძი არ ექნება, არავინ დართავს ნებას სული განუტევოს. გადასაყვანად ერთ ფულს მისცემ ამ ბინძურ მოხუცს, მაგრამ ისე, რომ მან ამოგიღოს ეს ფული პირიდან. საქმე ამით არ თავდება: როცა მდორე რუს გადაივლი, გარდაცვლილი მოხუცი გამოგურდება, გახრწნილ ხელს გამოგიწვდის და გთხოვს, ნავზე ამიყვანეო, მაგრამ არ შეიბრალო.

19. მდინარეზე გადასვლის შემდეგ მცირე მანძილს გაივლი, ქსოვაში გართულ მოხუც ფეიქრებს დაინახავ; ისინი გთხოვენ, ოდნავ მაინც შეახო ხელი მათ ნამუშევარს, მაგრამ ეს შენი საქმე სრულიადაც არ არის. ეს ყველაფერი და ბევრი მსგავსი რამ ვენერას ცბიერებით იქნება გამოწვეული, რათა ხელიდან თუნდაც ერთი ნამცხვარი გაგაგდებინონ. არ გეგონოს, რომ ამ ნამცხვრის დაკარგვა უბრალო საქმე იყოს: ერთიც რომ დაგაკლდეს, დღის სინათლეს ვეღარ

იხილავ. უზარმაზარი და საშინელი სამთავიანი ძაღლი^[102] ხახიდან მეხისებური ყეფით ტყუილად აშინებს გარდაცვლილებს - არავითარი ვნება არ შეუძლია; ის მუდამ პროზერპინას შავი სასახლის წინ წევს და დიტის ფართო პალატებს იცავს. დასამშვიდებლად ერთ ნამცხვარს მიუგდებ და იოლად გაივლი მის გვერდით, მალე თვით პროზერპინამდეც მიაღწევ, რომელიც თავაზიანად და გულთბილად მიგიღებს, გთხოვს რბილად მოისვენო და მდიდრული სუფრა იგემო. მაგრამ მიწაზე დაჯექი და მხოლოდ ხმელა პური აიღე, შემდეგ მოახსენე რისთვისაც ხარ მისული, მიიღე, რასაც მოგცემენ და უკანვე გამობრუნდი, დარჩენილი ნამცხვრით ძაღლის მძვინვარება დააცხრე, მუნწ მენავეს გადმოსაყვანად შენახული სპილენძის ფული მიეცი, მდინარეზე რომ გადმოხვალ, წინანდელი გზით უკანვე დაბრუნდები და ხელახლა ზეციურ მნათობთა ფერხულს იხილავ, უპირველეს ყოვლისა. აი, რა უნდა გითხრა: გაფრთხილებ, არ იფიქრო ქილის თავის მოხსნა, რომელიც ხელში გექნება და შიგ ჩახედვა, ცნობისმოყვარეობა ნუ დაგძლევს, იხილო დამალული ღვთაებრივი სილამაზის საუნჯე.

20. ასე აუწყა მას შორსმჭვრეტელმა კოშკმა თავისი რჩევა-დარიგება. ფსიქემ დაუყოვნებლივ ტენარს მიაშურა; თან დარიგებისამებრ სპილენძის ფული და ნამცხვრები წაიღო, საიქიოს გზით გაემართა, ვირის გლახაკ პატრონს ჩუმად გვერდი აუარა, გადამყვანს სპილენძის ფული მისცა, გამოცურებული მიცვალებულის თხოვნას ყური არ ათხოვა, მქსოველთა ცბიერი ვედრება არაფრად ჩააგდო, ძაღლის მძვინვარება ნამცხვრით დააცხრო და ასე მივიდა პროზერპინას სასახლეში. დიასახლისის მიერ რბილი სავარძლის შეთავაზებამ და გემრიელმა საჭმელებმა იგი ვერ შეაცდინა. ხმელა პურით დაკმაყოფილებული მის ფეხებთან მორჩილად დაჯდა და ვენერას დავალება გადასცა. იმწუთას დამალა სავსე და თავდაცობილი ქილა, ძაღლს გულის მოსაგებად უკანასკნელი ნამცხვარი პირში ჩაუტენა, დარჩენილი სპილენძის ფული გადმოყვანისთვის გადაიხადა და ქვესკნელიდან გაცილებით უფრო მხიარული გამოვიდა, ვიდრე შედიოდა. კვლავ იხილა ნათელი ქვეყანა, თავყანი სცა მას. თუმცა დავალების შესრულებას ძალიან ჩქარობდა, მაგრამ ახირებულმა ცნობისმოყვარეობამ არ მოასვენა. რა სულელი ვარო, გაიფიქრა, - თან მიმაქვს ღვთაებრივი სილამაზე და მცირეოდენსაც კი არ ვაკლებ აქედან ჩემთვის, ჩემი მშვენიერი შეყვარებულის მოსაწონებლადო.

21. ეს გაიფიქრა და ქილას თავი მოხსნა. შიგ სრულებით არაფერი არ ჩანდა, არავითარი ღვთაებრივი სილამაზე. იყო მხოლოდ ჭეშმარიტად სტიგიური ქვესკნელის ძილი, რომელიც მაშინვე ქილიდან ამოვარდა, მთელი მისი სხეული სქელი ბურუსით მოიცვა და ისე შეიპყრო, რომ ფსიქემ ნაბიჯის გადადგმაც კი ვეღარ შესძლო და იქვე ბილიკზე დაეცა. გაუნძრევლად იწვა და მკვდარივით ეძინა. ხოლო მძიმე წყლულისგან განკურნებულმა კუპიდონმა ვეღარ მოითმინა ფსიქეას ამდენი ხნის მოუსვლელობა, გაძვრა იმ ოთახის მაღალი ფანჯრიდან, რომელშიც დატყვევებული იყო, და დიდი ხნის დასვენებული ფრთებით ორმაგი სისწრაფით გაექანა. იპოვა თავისი ფსიქეა, დიდი მზრუნველობით მოაშორა ძილი და შეინახა ისევ თავის ადგილას, ქილაში; ფსიქეა კი თავისი ისრის უვნებელი ჩხვლეტით გააღვიძა და უთხრა:

- აი, საბრალოვ, ისევ კინალამ დაგლუპა შენმა ცნობისმოყვარეობამ. შენ ჯერ დედაჩემის მიერ დავალებული ბრძანება შეასრულე და დანარჩენისთვის მე ვიზრუნებ.

ამ სიტყვებით მამაცი შეყვარებული მაღლა აფრინდა, ფსიქეა კი პროზერპინას საჩუქრით ვენერასთან გაეშურა.

22. ამასობაში ძლიერი სიყვარულით შეპყრობილმა და თავისი დედის მოსალოდნელი სისასტიკით შეშინებულმა კუპიდონმა ძველ ხერხს მიმართა. სწრაფი ფრთებით ზეცის მაღალ თაღებში ასრიალდა, სევდიანი სახითა და ვედრებით იუპიტერთან მივიდა და საქმის ვითარება აუწყა. მაშინ იუპიტერმა კუპიდონს ლოყაზე ხელი მოუცაცუნა, მიიტანა მისი ხელი თავის სახესთან, დაკოცნა იგი და უთხრა:

- თუმცა შენ, შვილო, ჩემო ბატონო, არასდროს ღვთაებათა კრების მიერ მოკუთვნილ სათანადო პატივს არ მცემდი, პირიქით, ჩემს მკერდს, სადაც წინასწარ იგეგმება სტიქიონთა კანონები და მნათობთა მოძრაობის წესები, ხშირად მიწყლულებდი და მიწიერ ნდომათა გულისთქმით მიკოდავდი, ამით ჩემს დიდებასა და კეთილ სახელს ჩირქს სცხებდი, კანონებს მარღვევინებდი, თვით იულიოსის კანონსაც კი, ჩემს დასამცირებლად მშვენიერ გარეგნობას ხან გველის, ცეცხლის, მხეცების, ფრინველების და ხან შინაური პირუტყვის სახედ მიქცევდი, მაგრამ გავიხსენებ ჩემს შემწყნარებლობას, აგრეთვე იმას, რომ ჩემს ხელში გაიზარდე და შეგისრულებ ყველა სურვილს, მხოლოდ შეძელი შენი მოწინააღმდეგეების დაწყნარება. გარდა ამისა, ასეთი მოწყალების სამაგიეროდ თუკი ამჟამად დედამიწაზე განსაკუთრებული ლამაზი ქალწული მოიპოვება, უნდა მომგვარო.

23. ეს თქვა, მერკურის განკარგულება მისცა ღმერთების კრება მოეწვია და გამოეცხადებინა მათთვის, რომ, ვინც ზეციურ საბჭოს არ დაესწრებოდა, ჯარიმად ათი ათას ნუმს გადაიხდიდა. ასეთი საურავით შეშინებულნი ზეციერნი სასწრაფოდ ავსებენ საკრებულოს და ყველაზე უფრო ამაღლებულ ადგილას მჯდომი იუპიტერი იუწყება:

- მუხათა მიერ სიაში შეტანილო ღმერთებო, თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ ამ ყრმას, ჩემი საკუთარი ხელით გამოზრდილს. გადავწყვიტე რითიმე ავლაგმო მისი ჭაბუკური სიშმაგე: კმარა, რაც მას ყოველდღე მრუშობისა და ყოველგვარი სისამაგლის დაბრალებით სახელს უტეხენ. ბოლო უნდა მოეღოს ამ ამბების ყოველგვარ საბაბს და ყმაწვილური თავაშვებულება შეუღლების ხლართით შევბორკოთ. მან თავისი არჩევანი ერთ ქალწულზე შეაჩერა, მას უზიწოება დააკარგვინა. დაე, იგი დარჩეს მასთან, დაე, იგი მისი იყოს და ფსიქეას მკერდზე მარად სიყვარულით ინეტაროს.

შემდეგ მიუბრუნდა ვენერას და განაგრძო:

- შენ კი, ჩემო ქალიშვილო, ნუ ნაღვლობ და ნუ გეშინია, რომ შენი შთამომავლობა ან სახელი მოკვდავთან ქორწინებით შეიბღალე, საქმეს ისე მოვაწყობ, რომ შეუღლება მოქალაქეობრივი წესის მიხედვით კანონიერი იქნება.

მაშინვე მერკურის განკარგულება მისცა და ფსიქეა ზეცაში ამოაყვანინა, მიაწოდა მას თასით ამბროსია^[103] და უთხრა:

- მიიღე, ფსიქეავ, უკვდავ იქმენ! დაე, კუპიდონი ნურასდროს შენს მკერდს ნუ მოსცილდება და ეს თქვენი კავშირი სამარადისო იყოს

24. დაუყოვნებლივ შლიან მდიდრულ საქორწინო სუფრას. საპატიო ადგილი ეკავა ნეფეს, რომელსაც თავისი ფსიქეა მკერდზე მიეკრა. ასევე იუპიტერს ჩაეკრა მკერდში თავისი იუნონა, და ასე თანმიმდევრობით დანარჩენი ღმერთებიც. ნექტარს, ამ ღვინოს ღმერთებისას, იუპიტერს მისი მერიქიფე აწვდიდა, სახელგანთქმული სოფლელი ბიჭი^[104] დანარჩენ სტუმრებს კი - ლიბერი^[105]. ვულკანი კერძებს ამზადებდა, ჰორები ყველას ალისფერ

ვარდებსა და სხვა ყვავილებს აყრიდნენ, გრაციები კეთილსურნელებას აფრქვევდნენ, მუზები ჰაერს სიმღერით ავსებდნენ, აპოლონი კითარაზე დამღეროდა და მშვენიერი ვენერა საამო მუსიკის აყოლებით ცეკვავდა. სანახაობა ისე მოეწყო, რომ მუზები გუნდურად მღეროდნენ ან ფლეიტაზე უკრავდნენ, ხოლო სატირი და პანისკე^[106] სალამურს აკვნესებდნენ. ამგვარად, ჩააბარეს კუპიდონს ფსიქეა და, როცა დრო დადგა, მათ შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც ჩვენ განცხრომას ვუწოდებთ.

25. ასე უამბო ტყვე ქალს გამოჩერჩეტებულმა და მთვრალმა დედაბერმა. მე კი, იქვე ახლო მდგომი, ჰერკულესს გეფიცებით, ვნანობდი, რომ თან არ მქონდა საწერკალამი ასეთი მშვენიერი ამბის ჩასაწერად. ამ დროს, ერთი სახიფათო თავდასხმის შემდეგ, ავაზაკები ნადავლით დაბრუნდნენ. რამდენიმე მათგანი, უფრო თავზე ხელაღებული. დაჭრილი იყო. ისინი წყლულების მოსაშუშებლად შინ დატოვეს, დანარჩენები კი, მათი სიტყვით, რომელიღაც მღვიმეში გადამალული ნადავლის გადმოსატანად წავიდნენ. სადილი სასწრაფოდ ჩაყლაპეს, მე და ცხენი, როგორც საკიდარი ძალა, ჯოხით წინ გაგვირეკეს და გზას გაგვიყენეს. გადასასვლელებსა და ციცაბო კლდეებზე სიარულით დატანჯულებმა სადამო ჟამს ერთ მღვიმეს მივადწიეთ. იქ წუთითაც არ შეგვასვენეს, დიდძალი სხვადასხვანაირი ბარგით დაგვტვირთეს და მაშინვე უკან გამოგვრეკეს; ისე ფაცაფუციტ მოგვარბენინებდნენ, რომ უთვალავ ცემა-ტყეპაში გზაზე ერთ ქვას ფეხი წამოგვკარი და დავეცი. თუმცა მარჯვენა თემო და მარცხენა ფეხი დავიზიანე, მაგრამ ასაყენებლად მაინც შეუბრალებლად მცემდნენ.

26. ერთმა მათგანმა თქვა:

- კიდევ დიდხანს უნდა ვკვებოთ ეს ყოვლად უვარგისი ვირი, ახლა რომ კიდევაც დაკოჭლდა?

მეორემ დასძინა:

- რაც ეს წყეული ჩვენს სახლში გაჩნდა, მის შემდეგ ველარაფერში ხეირი ველარ ვნახეთ. ჩვენს შორის უმამაცესებს ხან სჭრიან, ხან კლავენ.

მესამემ დაუმატა:

- როგორც კი ამ ბარგს შინ მიიტანს, კაცი არ ვიყო, თუ კლდიდან თავქვე არ დავუშვა. დაე, ქორი დაამღეს მის ლეშს.

ასე ელაპარაკებოდნენ ეს უკეთილესი ადამიანები ჩემი სიკვდილის შესახებ ერთიმეორეს. ამასობაში სახლამდეც მივადწიეთ, შიშისაგან ფლოქვებზე თითქოს ფრთები გამომესხა. შინ სასწრაფოდ ჩამოგვხსნეს ბარგი და ჩემი მოკვლის საქმეს თავი დაანებეს, მოუხმეს შინ დატოვებულ დაჭრილ ამხანაგებს და კვლავ გაეშურნენ დანარჩენი ბარგის ხელით გადმოსაზიდად, რადგან ჩვენმა სიზანტემ სიკვდილივით მოაბეზრათ თავი. ჩემი მოსალოდნელი სიკვდილი რომ მომაგონდებოდა, ტანში ჟრუანტელი მივლიდა და ასე ვფიქრობდი:

- აბა, ლუციუსო, რას უდგებარ და უარესს რაღას ელოდები? ავაზაკთა საბჭომ სიკვდილი გადაგიწყვიტა და ისიც უმკაცრესი. ამ განაჩენის სისრულეში მოყვანა იოლია: ხედავ, სულ ახლო, წვეტიანი ქვით მოფენილ მაღალ კლდეებს? ეს ქვა, ვიდრე მოკვდებოდე სხეულში შეგერჭობა და დაგფლეთს. შენმა საბედისწერო მაგიამ ვირის სახე და ბედი მოგცა, თორემ ვირული ტყავი კი არ გარგუნა, არამედ წურბელასავით თხელი გარსი. რად არ აღსდგები სულით და არ იფიქრებ გადარჩენაზე, სანამ გვიან არ არის? სანამ ავაზაკები აქ არ არიან, გასაქცევად ყველაფერი ხელს გიწყობს. იქნებ ცოცხალ-მკვდარი დედაბრისა გეშინია? დაკოჭლებული ფეხით ერთი წიხლი რომ უთავაზო, ბოლოს მოუღებ.

მაგრამ ვისკენ გავიქცე და ვინ აღმომიჩენს სტუმართმოყვარეობას? აი, სულელური და ჭეშმარიტად ვირული მსჯელობა! ყოველი გამვლელი სიხარულით თან წაიყვანს ვირს სამოგზაუროდ გამოსაყენებლად.

27. სწრაფად ავიწყვიტე თოკი, რომლითაც დაბმული ვიყავი, და მთელი ძალ-ღონით მოვკურცხლე. ცბიერი დედაბრის ქორისებურ თვალს მაინც ვერ დავუძვერი. როგორც კი აშვებული დამინახა, თავის სქესისა და ასაკისათვის შეუფერებელი სითამამე გამოიჩინა, ხელი სტაცა თოკს და ცდილობდა დავებრუნებინე. მაგრამ რაკი კარგად მახსოვდა ავაზაკების ბოროტი განზრახვა, ამიტომ არ შევიბრალე დედაბერი, წიხლები ჩავსცხე და იქვე გავაგორე. თუმცა იგი პირქვე დაემხო, მაგრამ მაინც ისე მაგრად ეჭირა თოკი, რომ რამდენიმე ნაბიჯზე თან წავითრიე. იგი ხმამაღალი ღრიალით ვინმე უფრო ღონიერ მშველელს ეძახოდა. ამაოდ მოთქვამდა, რადგან მშველელი არავინ იყო, გარდა ტყვე ქალისა, რომელმაც ყვირილზე მოირბინა და, ჰერკულესს გეფიცებით, სამახსოვრო სანახაობა იხილა - დედაბერი დირკეს^[107] მსგავსად ხარზე კი არ იყო ჩამოკიდებული, არამედ ვირზე. მაშინ ქალწულმა ვაჟკაცური სითამამე გამოიჩინა და ჩინებული საქმე ითავა: გამოსტაცა დედაბერს ხელიდან თოკი, დამამშვიდებელი ჩურჩულით შემაჩერა, მარდად შემახტა ზურგზე და გასაქცევად წამაქეზა.

28. მე ხომ გადაწყვეტილი მქონდა გაქცევა და ამასთანავე ქალწულის განთავისუფლების სურვილმა კიდევ უფრო შემმატა ძალა. ქალწულის ხშირი ცემა მამხნევებდა, ცხენის სისწრაფით ოთხივე ფლოქვით მიწაზე თქარათქური ავტეხე და მის ნაზ მომართვაზე კიდევაც ვცდილობდი ჭიხვინით მეპასუხნა. რამდენჯერმე დრუნჩიც კი მოვაბრუნე, ვითომ ზურგის მოსაფხანად, და ქალწულის ლამაზ ფეხებს ვკოცნიდი. ბოლოს მან ღრმად ამოიოხრა, აღელვებული სახე ზეცას მიაპყრო და წამოიძახა:

- თქვენ, მაღალო ღმერთებო, გამომიყვანეთ უკიდურესი გაჭირვებიდან, მეტისმეტად სასტიკო ბედო, ჩემს მტრობას თავი დაანებე! შენი შეწყნარებისათვის იკმარე ეს ჩემი, თანაგრძნობის ღირსი, ტანჯვანი. ჩემი თავისუფლებისა და ხსნის იმედო, თუ უვნებლად მიმიყვან შინ, და დამაბრუნებ ჩემს მშვენიერ საქმროსთან, როგორი მაღლიერი ვიქნები შენი, პატივით შეგმოსავ, საზრდოს მოგაწვდი! უწინარეს ყოვლისა ფაფარს დაგივარცხნი და ჩემი საქორწინო სამკაულებით მოგირთავ; დათელილ ქოჩორს კი ხელახლა დაგიხუჭუჭებ და ორ ლამაზ კულულად გაგიყოფ; დიდი ხნის დაუბანლობისგან დატკეპნილ ბანჯგვლიან კუდს გულმოდგინედ გაგიღუნდლებ; თავიდან ფეხებამდე, როგორც ზეციური ვარსკვლავები, ისე იქნები ოქროს ბირთვებით მორთული. გაბრწყინდები და ხალხი მხიარული შემახილით ხოტბას შეგასხამს; აბრეშუმის ტომარაში ნუშსა და სანუკვარ საქმელებს ჩავყრი და ჩემს მხსნელს ყოველდღე ამით გაგამდებ.

29. გარდა სათუთი საქმელებისა, სრული თავისუფლება და სიმშვიდე მოგენიჭება, მთელ შენს სიცოცხლეში არ მოგაკლდება ღირსეული ქება-დიდება. ჩემს ნამდვილ ბედნიერებას და ღვთიურ განგებას სამარადისოდ ხსოვნაში აღვიბეჭდავ. დავახატვინებ სურათს, სადაც ჩემი გაქცევა იქნება გამოსახული და სახლის ატრიუმში ჩამოვკიდებ. ყველანი დაინახვენ, ზღაპრებშიც მოისმენენ და სწავლულ ადამიანთა მიერ საწერტელით დაწერილ წიგნებშიც სამარადისოდ ჰყოფენ ამბავს, თუ „როგორ გაიქცა ტყვეობიდან სეფექალი ვირის შემწეობით“. უძველეს სასწაულთა შორის შეგრაცხვენ და შენი ცოცხალი მაგალითით ხალხი ირწმენებს ვერძით ზღვის გამცურავ ფრიქსესაც^[108], დელფინთა განმგებელ

არიონსაც^[109], და ხარზე წამოწოლილ ევროპასაც^[110]. თუ მართალია, რომ ხარად ქცეული იუპიტერი ბლაოდა, ხომ შესაძლოა, რომ ჩემს ვირში იმალებოდეს რომელიმე ადამიანის ან ღვთაების სახე?

ქალწულმა ეს აღთქმა, ხშირი ოხვრის გამო ნაწყვეტ-ნაწყვეტ რამდენჯერმე გაიმეორა. ამასობაში ერთ გზაჯვარედინს მივაღწიეთ; მან ხელი სტაცა ჩემს ავშარას და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა მივებრუნებინე მარჯვნივ, საიდანაც, ეგონა, მისი მშობლებისაკენ მიდიოდა გზა. მაგრამ ვიცოდი, რომ ავაზაკები სწორედ ამ გზით გაბრუნდნენ ნადავლის მოსატანად, ამიტომაც ძალზე გავჯიუტდი და ჩემს გულში ჩუმად ქალს ასე მივმართავდი:

- რას შვრები, უბედურო ქალწულო! რას ჩადიხარ? რად მიიჩქარი ორკესაკენ? რად ცდილობ ძალით წამათრიო? შენ ხომ არა მარტო შენი, არამედ ჩემი აღსასრულისაკენ მიგყავარ!

ისე ვეწეოდით ერთიმეორეს სხვადასხვა მხარეს, თითქოს სამსჯავროში ადგილ-მამულის გამიჯვნისათვის ან, უკეთ რომ ვთქვა, გზის გაყოფისათვის გვექონდეს დავა. ამასობაში, უეცრად, ნადავლით დატვირთული ავაზაკები გამოჩნდნენ. მთვარის შუქზე შორიდანვე გვიცვენს და გესლიანი სიცილით მოგვესალმნენ.

30. ერთმა მათგანმა მოგვმართა:

- საით მიეხეტებით ჩქარი ნაბიჯით, რომ არც შუალამის სიბნელის, არც ავი სულებისა და მოჩვენებების არ გეშინიათ? იქნებ, უპატიოსნესო ქალწულო, მშობლების სანახავად მიიჩქარი? მაგრამ შენს მარტოობაში ჩვენ დაგიფარავთ და შენი მშობლებისაკენ უმოკლეს გზას გიჩვენებთ.

სიტყვას საქმეც მოჰყვა. თქვა ეს, ხელი მტაცა თოკში, არ დაიშურა ჩემთვის ჩვეული ცემა როკიანი ჯოხით, ხელში რომ ეჭირა, და უკან მომაბრუნა. უდროოდ აღსასრულამდე მიღწეულს უნებლიეთ ფლოქვში ტკივილი მომაგონდა და თავის კატუნით კოჭლობა დავიწყე. ვინც უკან მიმათრევდა, წამოიძახა:

- მამ ასე! ხელახლა კოჭლობას და ბარბაცს შეუდექი, შენს გახრწნილ ფეხებს, სირბილი შეუძლია და სიარული კი არა? ახლახან კი სისწრაფით - ფრთოსან პეგასს^[111] სჯობდი!

სანამ ჩემი მოწყალე თანამგზავრი ჯოხის ქნევით ასე მეხუმრებოდა, მათი საცხოვრებელი ადგილის პირველ ღობეს მივაღწიეთ. დავინახეთ, მაღალი კვიპაროსის ერთ ტოტზე დედაბერი მარყუჟით ჩამოკიდებულიყო. სასწრაფოდ ჩამოიღეს იგი და მარყუჟის მოუხსნელად უფსკრულში გადაუმახეს. ქალწულს ბორკილები დაადგეს და უბედური დედაბრის უკანასკნელ ნაამაგარს, მის მიერ დამზადებულ ვახშამს, მხეცივით მიცვივდნენ.

31. სანამ ხარბი მსუნაგობით ყველაფერს ნთქავდნენ, ერთიმეორეში თათბირი გამართეს, თუ როგორი სასჯელი მოეგონებინათ ჩვენთვის შურისსაძიებლად. და როგორც ყოველ მშფოთვარე კრებაზე, აზრები გაიყო: ერთი ფიქრობდა, საჭიროა ქალწულის დაწვაო, მეორე ამტკიცებდა, იგი ველურ მხეცებს მივუგდოთო, მესამე მის ჯვარცმას მოითხოვდა, მეოთხე ურჩევდა წამებით სიკვდილზე მიეყენებინათ; ერთში კი ყველა თანახმა იყო: ქალწული სასიკვდილოდ იყო განწირული. მაშინ ერთმა მათგანმა, როცა ხმაურობა იწყდა, კრებას წყნარად მიმართა შემდეგი სიტყვებით:

- არ შეჰფერის. არც ჩვენ საერთო ამხანაგურ ზნე-ჩვეულებას, არც ცალკე თვითოეულის გულკეთილობას, და არც ჩემს პირად ზომიერებას, რომ მეტისმეტი სისასტიკე ჩავიდინოთ დამნაშავის დასასჯელად და რომ ველურ

მხეცთა მეოხებით, ჯვარცმით, ცეცხლით, წამებით, ან რომელიმე ნაადრევი სიკვდილით მისი ბნელეთის სამეფოში ჩასვლა დავაჩქაროთ. ამგვარად, ჩემი რჩევაა ქალწულს ისეთი სიცოცხლე ვაჩუქოთ, როგორიც მან დაიმსახურა. თქვენ გემახსოვრებათ, რომ ადრევე მივიღეთ ამ ზარმაცი და ღორმუცელა ვირის შესახებ გადაწყვეტილება, ახლა კოჭლობას რომ იგონებს და ამავე დროს ქალწულის გაქცევაში დამხმარე და თანაშემწე აღმოჩნდა. უმჯობესია იგი ხვალვე დავკლათ, გამოვშიგნოთ, ამოვკეროთ მის სხეულში ცოცხალი ქალი, რომელიც მან ჩვენს თავს ამჯობინა, ისე, რომ მხოლოდ თავი უჩანდეს გარეთ და დანარჩენი სხეული ცხოველის ტყავში იყოს დამალული. ასე გამოტენილი და გამაძლარი ვირი რომელიმე სალ კლდეზე გამოვდგათ და მზის მცხუნვარე სხივებს მივანდოთ.

32. ამგვარად, ორივეს გადახდება ყველაფერი ის, რაც თქვენ სამართლიანად დაადგინეთ. ვირი დიდი ხნიდან დამსახურებულ სიკვდილს მოიპოვებს, ქალი კი მხეცებისგან იქნება შეჭმული, მის სხეულს ჭიები გამოხრავენ, ცეცხლითაც დაიწვება, რადგან მზის მცხუნვარება ვირის მუცელს შეტრუსავს, და ჯვარზედაც ეწამება, როცა ძაღლები და ძერები მის შიგნეულს გარეთ გამოათრევენ. მაგრამ წარმოიდგინეთ კიდევ რამდენი წამება და სატანჯველი მოელის: ცოცხლად მკვდარი, ცხოველის კუჭში ჩაკერებული, პაპანაქების გამო მყრალი სუნიტ დატანჯული, დიდი ხნის შიმშილისაგან ილაგაწყვეტილი, ვერც თავს მოიკლავს, რადგან ხელები თავისუფალი აღარ ექნება.

ამ სიტყვების შემდეგ ავაზაკებმა ხელით კი არა, მთელი სულითა და გულით ხმა მისცეს მის წინადადებას. მე კი ჩემი გრძელი ყურებით ყველაფერს ვისმენდი და წინასწარ დავტიროდი ჩემს თავს, რომელიც ხვალ ლეშად იქცეოდა.

წიგნი მეშვიდე

1. როგორც კი ბურუსი გაიფანტა, ირიჟრაჟა და მზის ელვარე ეტლმა ყველაფერი გააბრწყინა, ვიღაც კაცი მოვიდა. ის ერთი ავაზაკთაგანი უნდა ყოფილიყო (ამას ამტკიცებდა მათი შეხვედრის დროს მისალმება). დაჯდა მღვიმის შემოსასვლელთან, სული მოითქვა და ამხანაგებს შემდეგი აუწყა:

- რაც შეეხება ჰიპატელ მილონის სახლს, რომელიც ამ დღეებში გავძარცვეთ, შეგვიძლია შიში არ ვიქონიოთ და დავწყნარდეთ. მას შემდეგ, რაც ძალ-ღონე მოიკრიბეთ, მთელი ქონება დაიტაცეთ და ჩვენს ბანაკში დაბრუნდით, მე ადგილობრივ მცხოვრებთა ბრბოში შევერიე, ხან მწუხარებასა და ხან აღშფოთებას გამოვხატავდი, ვცდილობდი გამეგო, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ მომხდარი ამბის გამო და მოინდომებდნენ თუ არა ავაზაკებს დადევნებოდნენ და რა საშუალებით. თანახმად თქვენი დავალებისა, მინდოდა ამის შესახებ თქვენთვის მეცნობებინა. არა საეჭვო, არამედ დამაჯერებელ მოსაზრებათა საფუძველზე, მთელი ხალხის საერთო აზრით ყაჩაღობაში უეჭველ დამნაშევდ ვიღაც ლუციუსი ითვლება, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ყალბი ზარათის მეოხებით მილონისათვის თავი პატიოსან კაცად გაუცვინა; მისთვის სტუმართმოყვარეობა აღმოუჩენიათ და ოჯახის უახლოეს წევრთა შორის ჩაურიცხავთ; რამდენიმე დღის შემდეგ მილონის მოახლისათვის თავბრუ დაუხვევია, კარის საკეტების კარგად დათვალიერება

მოუსწრია და გულმოდგინედ გამოურკვევია ის ადგილები, სადაც ჩვეულებრივ მასპინძლის სიმდიდრე ინახებოდა.

2. მისი ავკაცობის დიდ საბუთად ის გარემოებაც ითვლება, რომ იმავე ღამეს, თავდასხმის ერთი წუთის წინ, იგი მემალულა და აქამდე არა ჩანს; ამასთანავე მისთვის იოლი ყოფილა გასაქცევი საშუალების გამონახვა. მდედრები რომ მშრალზე დაეტოვებინა და სასწრაფოდ გასცლოდა მათ, თან წაუყვანია თავისი თეთრი ცხენი, რომლითაც მას გაპარვა მოუხერხებია. შინ დარჩა მისი მონა, რომლისგანაც იმედი ჰქონდათ, გაეგოთ მისი ბატონის ავი ზრახვები. იგი მაშინვე დაიჭირეს და ჩაამწყვდიეს საპყრობილეში; მეორე დღეს მონა მრავალნაირად აწამეს, მაგრამ არაფერში არ გამოტყდა; მაშინ თვით იმ ლუციუსის სამშობლოში აფრინეს ქვეშევრდომები, რათა იქ მოენახათ სასჯელის ღირსი დამნაშავე.

სანამ ამ ამბავს მოუთხრობდა ავაზაკებს, მე შევადარე ლუციუსის წინანდელი ბედნიერი ცხოვრება ახლანდელი უბედური ვირის სავალალო მდგომარეობას, გულის სიღრმიდან ამოვიოხრე და ვიფიქრე, ძველად ბერძნებს ტყუილად კი არ ჩაუთვლიათ ფორტუნა^[112], ბრმად, სულ უთვალოდაც კი და მას ამგვარადაც სახავდნენ-მეთქი. იგი ყოველთვის ცუდებსა და უღირსებს აჯილდოებს, მოკვდავთა არჩევანში უგუნურად იქცევა და ყველაზე მეტად მათ ევლება თავს, რომელთაც, თვალხილული რომ ყოფილიყო, უნდა გაქცეოდა; და, რაც ყველაფერზე უარესია, - ჩვენზე ქმნის ხოლმე უკუღმართი სინამდვილის საწინააღმდეგო შეხედულებას, ისე რომ გაიძვერას პატივი ამშვენებს და ყველაფერში უდანაშაულონი კი ავი ენის მსხვერპლნი ხდებიან-მეთქი.

3. ბოლოს და ბოლოს თვით მე მისმა სისასტიკემ ცხოველად მაქცია, საზიზღარი ოთხფეხობა მარგუნა და უსამართლო არსებაშიც კი შემიძლია სიბრალოლი გამოვიწვიო. ახლა თავს დამატება ავაზაკური მოქმედების დანაშაული ჩემი ძვირფასი მასპინძლის მიმართ, უფრო სწორი იქნებოდა ასეთი მოქმედება ავაზაკობად კი არა, მამისმკვლელობად წოდებულიყო, და საშუალება არ მქონდა არათუ თავი მემართლებინა, არამედ ერთი სიტყვით მაინც წინააღმდეგობა გამეწია. მაგრამ ჩემი სიჩუმე ამდენად საზიზღარი დანაშაულის წინაშე რომ ბოროტი განზრახვით არ ყოფილიყო გაგებული, როგორც თანხმობის ნიშანი, დავკარგე ყოველგვარი მოთმინება და მიწოდდა წამომეყვირა: არ მიქნია, არა ვარ დამნაშავე... მაგრამ გაუთავებლად ისმოდა მარტო პირველი მარცვალი, ხოლო შემდგომი, როგორადაც არ მოვამრგვალე დაკიდებული ტუჩები, ვერასგზით ვერ წარმოვთქვი. სულ ერთ ადგილას ვიდექი და ვეროყინებდი: აა, აა! ეჰ, რა საჭიროა ბედს სიმკაცრე ვუსაყვედურო, როცა მას არ შერცხვა ცხენის ტოლად და ამხანაგად გავებადე, იმ მსახურისა, რომელსაც წინათ ზურგზე ვაჯდებოდი.

4. ასეთ მოზღვავებულ აზრებში ყველაზე მეტად მაწუხებდა ერთი საზრუნავი: გამახსენდებოდა თუ არა, ავაზაკთა დადგენილების თანახმად, ქალწულის საფლავად გახდომა. მრავალგზის დავყურებდი ჩემს მუცელს და მეგონა, თითქოს მზად იყო ამ უბედური ქალის დასაბადებლად. ამასობაში იმ კაცმა, ჩემ შესახებ რომ ცრუ ცნობები მოიტანა, ამოიღო სარჩულში ჩაკერებული, მისი სიტყვით სხვადასხვა მგზავრისაგან აღებული, ათასი ოქრო და, როგორც პატიოსანმა ადამიანმა, საერთო სალაროს შესწირა. შემდეგ დაწვრილებით გამოიკითხა ამხანაგების ჯანმრთელობის ამბავი. გაიგო თუ არა, რომ მრავალი მათგანი, ამასთანავე უმამაცესნი, სხვადასხვა პირობებში, მაგრამ ერთნაირი ვაჟკაცობით დაილუპნენ, დაუწყო მათ რჩევა-დარიგება დროებით გზები

მოგზაურობისათვის უშიშარი გაეხადათ, ყოველგვარი თავდასხმისათვის თავი დაენებებინათ და უმთავრესად თანამებრძოლთა შერჩევას შესდგომოდნენ. მარსის სალაშქრო რიგები წინანდელი რაოდენობით შეევსოთ ახალწვეული ჭაბუკებით: მოწინააღმდეგენი - შეიძლება შიშით ვაიძულოთ, მოხალისენი - ჯილდოთი მოვიზიდოთ. ხომ ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც უხერო ხელისუფლების ქვეშ დამამცირებელ და მონურ ცხოვრებას ჩვენს წრეში ჩარიცხვას ამჯობინებს, სადაც თითოეული თითქმის ტირანისეული ძალაუფლებითაა აღჭურვილი. თავის მხრით მან დიდი ხანია გამონახა ერთი კაცი, მაღალიც, ახალგაზრდაც, მაგარი აგებულებისაც, ხელმარდიც, რომელსაც იგი არწმუნებდა და დაარწმუნა კიდევაც, რათა თავისი დიდი ხნის სიზარმაცისაგან დასუსტებული ხელები ბოლოს და ბოლოს რაიმე უკეთეს საქმეს მოჰკიდოს, და სანამ შესაძლებელია ისარგებლოს თავისი ღონით; რომ თავისი მძლავრი ხელი სამოწყალოდ კი არ ჰქონდეს გაშვერილი, არამედ უკეთესად გამოიყენოს ოქროს მოსაპოვებლად.

5. მის სიტყვებს ყველა ერთსულოვნად დაეთანხმა. გადაწყვიტეს ისიც მიეღოთ, რომელიც უკვე მოწონებულად ითვლებოდა და რიცხვის შესავსებად სხვებიც ეძებნათ. მაშინ იგი ცოტა ხნით გარეთ გავიდა, შემოიყვანა, მართლაც რომ უზარმაზარი, როგორც თქვა, ჭაბუკი. მას ვერც ერთი იქ მყოფთაგანი ვერ შეედრებოდა; სხეულის სიმკვრივეზე რომ არაფერი ვთქვათ, მთელი თავით ყველაზე მაღალი იყო, თუმცა დაწვებს პირველი ღინდლი ძლივს ფარავდა, იგი ნახევრად იყო ჩაცმული დახეულ, ფერად ძონძებში, საიდანაც ჯიშინი მკერდი და მუცელი უჩანდა.

ახალმოსულმა შემდეგი წარმოთქვა:

- სალამი თქვენდა, უძლიერესი ღმერთის, მარსის მსახურნო, უკვე ჩემო ერთგულნო თანამებრძოლნო; თქვენთან სიხარულით მოსული დიდბუნებოვანი და მგზნებარე ვაჟკაცი სიხარულითვე მიმიღეთ. მზადა ვარ უმაღლ მახვილს მკერდი შევუშვირო, ვიდრე მარცვით ოქრო მოვიპოვო და თვით სიკვდილიც კი, სხვებს რომ აშინებს, მეტ მხნეობას მმატებს. ნუ ჩამთვლით მათხოვრად ან თავზე ხელაღებულად და ჩემს ღირსებებს ამ ძონძების მიხედვით ნუ განსჯით. უძლიერესი რაზმის ხელმძღვანელი ვიყავი და მთელი მაკედონია გავძარცვე. მე სახელგანთქმული თრაკიელი ჰემოსი ვარ, რომლის სახელი მთელ პროვინციებსა ზარსა ცემს. ცნობილი ავაზაკის, თერონის^[113] შვილი ვარ, ადამიანის სისხლით გამოკვებილი, ავაზაკთა წიაღში აღზრდილი, მამის სახელის მემკვიდრე და მოქიშპე.

6. წინანდელი მრავალრიცხოვანი მამაცი ამხანაგი და მთელი სიმდიდრე მოკლე დროში დავკარგე. ერთხელ თავს დავეცი იმპერატორის პროკურატორს^[114]. მას ორი ათასი სესტერცი ჰქონდა ჯამაგირი, მაგრამ საქმეები ბოლოს ისე ცუდად წაუვიდა, რომ გადატაკდა. ღვთაების რისხვამ ჩვენი გზები გადახლართა... რადგან თქვენ ეს ამბავი არ იცით, თავიდან დავიწყებ: კეისრის კარზე ცხოვრობდა ერთი სახელგანთქმული და მდგომარეობით ცნობილი კაცი, თვით კეისარს მასზე მოწყალე თვალი ეჭირა. ზოგიერთ პირთა ცილისწამების გამო იგი მკაცრმა შურმა განდევნა. მას ჰყავდა იშვიათი ერთგული და მართლაც რომ უმანკო ცოლი, პლოტინა, რომელსაც ქმრის ოჯახი ცოლქმრობის მეათე ნაყოფით გაემდიდრებინა; გაძევებულ ქმარს გაჰყვა და მისი უბედურების მოზიარემ შეიძულა და უარყო სატახტო ქალაქის ფუფუნების სიტკბოება, შეიკრიჭა თმა, ჩაიცვა მამაკაცის ტანსაცმელი, სარტყელში დამალა მეტად ძვირფასი სამკაულები და ოქროს ფული, სამხედრო ყარაულთა და შიშველ

მახვილთა შორის, ქმრის გადარჩენაზე დაუღალავი ზრუნვით, ყველა საშიშროება გაინაწილა და განუწყვეტელ უბედურებას ვაჟკაცურად იტანდა. ზღვასა და ხმელეთზე მოგზაურობისას მოთმინებით აიტანეს ყოველი უბედურება, მიუახლოვდნენ ზაკინთოს^[115], სადაც საბედისწერო ხვედრმა პროკრატორს დროებითი სამყოფელი დაუნიშნა.

7. როცა მიაღწიეს აქციუმის^[116] სანაპიროს (სადაც ჩვენ იმ დროს მაკედონიიდან წამოსულნი, დავხეტიალობდით და ვყაჩაღობდით), დაღამებისას, ზღვის ღელვის მოსარიდებლად, თავიანთი ხომალდის ახლო, სანაპიროს ერთ დუქანში მოთავსდნენ. მათ თავს დავესხით და გავმარცვეთ. არ შეიძლება ითქვას, რომ იქ დიდი საშიშროება არ მოგველოდა. როგორც კი დედაკაცმა კარის ჭრიალი გაიგონა, დაიწყო ოთახში სირბილი და შეშინებული ყვირილით ყველას ალიაქოთი შეუყენა. ყარაულებსა და თავის მსახურებს ეძახდა, ყველა მეზობელს საშველად მოუწოდებდა. ისინი თავდაცვის მიზნით კუთხეებში რომ არ მიმალულიყვნენ, დაუსჯელად ვერ წამოვიდოდით. მაგრამ ამ ღირსეულმა (მართალი უნდა ითქვას) და განსაკუთრებულმა ერთგულმა ქალმა შესანიშნავი თვისებებით ღვთაებრივი კეისრის პატივი დაიმსახურა. თხოვნით მიმართა კეისარს, მოახერხა გადასახლებული ქმრის მალე დაბრუნება და თავდასხმისათვის სრული შურისძიება. როგორც კი ინება კეისარმა, აღარ არსებულიყო ავაზაკ ჰემოსის რაზმი, იგი მაშინვე განადგურდა; ასეთი ძალა აქვს დიდი იმპერატორის თითის განძრევასაც კი. ვექსილარიების^[117] გუნდის მიერ ჩვენი რაზმი გაფანტული და განადგურებული იქნა, მხოლოდ მე, ძლივძლივობით დამალულმა, ორკეს ხახას თავი შემდეგნაირად დავადღწიე:

8. ჩავიცვი ფართო ნაკეცებიანი ქალის ჭრელი კაბა, ქალის მოხდენილი ფეხსაცმელი, მოვიხურე მოქარგული თავშალი, დავიმაღლე სუსტი სქესის ნიღაბქვეშ, ქერის ძნებით დატვირთულ ვირზე შევჯექი და მტრის რაზმის შუაგულში გავიარე. ჯარისკაცებმა ვირების გამრეკად ჩამთვალეს და მათ თავისუფლად გამატარეს; არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინ უწყვერულვაშო ვიყავი და ლაწვები ყმაწვილური ეშხით მიელვარებდა. მაგრამ სრულებით არ შემირცხვენია არც მამის სახელი და არც ჩემი ვაჟკაცობა. თუმცა ბევრი შიში გამოვიარე, როცა ჩემ წინ აღმართულ საშინელ მახვილებს ვხედავდი, მაინც მოხერხებულად ვიმალებოდი მოტყუებით სხვის ტანსაცმელში, ვმარცვავდი საცხოვრებელ ადგილებს და სოფლებს, შევძელი სამგზავრო ფულის თავის მოყრა. - და მაშინვე გადაიხსნა თავის ძონძები, ორი ათასი ოქრო გადმოაწყო. - აი, - თქვა, - ჩემი გულითადი საჩუქარი თქვენს ამხანაგობას ან, უკეთ რომ ვთქვა, მზითვეი. თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თავიც თქვენთვის ერთგულ მეთაურად მომიძღვნია. ამასთანავე პირობას ვდებ, რომ გავა ცოტა ხანი და ამ თქვენ ქვის საცხოვრებელს ოქროდ ვაქცევ.

9. ავაზაკებმა მაშინვე ერთსულოვნად აირჩიეს მეთაურად და საკმაოდ მოხდენილი ტანსაცმელი მოუტანეს. თავისი ძონძები გაიძრო და მდიდრული ახლები ჩაიცვა. ამგვარად გამოცვლილმა ყველანი გადაკოცნა. იგი ყველაზე უფრო ამაღლებულ ადგილას დასვეს და მეთაურად არჩევა ვახშმითა და დიდი ღრეობით იხეიმეს.

მან ავაზაკების ერთიმეორესთან ლაპარაკით გაიგო ქალწულის გაქცევის ცდისა, ჩემი დახმარებისა და ორივესათვის მისჯილი საოცარი სიკვდილის ამბავი. იკითხა, თუ რომელ შენობაში იმყოფებოდა ქალი; იგი იქ მიიყვანეს. დაინახა თუ არა შებორკილი, მაშინვე შუბლშეჭმუხვნილი დაბრუნდა და თქვა:

- მე, ცხადია, იმდენად უზრდელი და თავხედი როდი ვარ, რომ თქვენს გადაწყვეტილებაზე ხელი აგაღებინოთ, მაგრამ უსინდისობად ჩავთვლიდი დამემალა თქვენგან ის, რაც სწორად მიმაჩნია. უწინარეს ყოვლისა, გთხოვთ დამიჯეროთ, მხოლოდ თქვენ სარგებლიანობაზე ზრუნვა მაიმულებს ასე მოვიქცე. ამასთანავე თუ ჩემი აზრი არ მოგეწონებათ, თავისუფლად შეგიძლიათ ვირის საკითხს დაუბრუნდეთ. მე მგონია, ავაზაკთათვის, რომელთაც თავისი საქმე კარგად იციან, ყველაფერზე მაღლა მოგება უნდა იდგეს, უფრო მაღლა, ვიდრე შურისძიების სურვილი, რომლის განხორციელებას ხშირად ზარალი მოაქვს ხოლმე. თუ ამ ქალს ვირის სხეულში ჩავმარხავთ, ამით მხოლოდ და მხოლოდ აღშფოთების გრძნობას დაიკმაყოფილებთ, ხოლო სხვას ვერაფერს აინაზღაურებთ. ამიტომ, ჩემი აზრით საჭიროა მისი რომელიმე ქალაქში წაყვანა და გაყიდვა. ამ ასაკის ქალი იაფად არ გავა. თვით მე ძველ ნაცნობ მაჭანკლებში მყავს ერთი, რომელიც, ვფიქრობ, ასეთ ქალში მისი შთამომავლობის კვალობაზე ბევრ ტალანტს^[118] გადაიხდის, რათა იგი ქუჩაში მოხეტიალე დედაკაცად აქციოს; შემდეგ ქალი მისგან უკვე აღარ გაიქცევა. თქვენი შურისძიების წყურვილი, ასე თუ ისე, სავსებით დაკმაყოფილებული იქნება იმითაც, რომ იგი საროსკიპოში მოხვდება. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომელიც თავში მომივიდა და სასარგებლოდ მიმაჩნია; თქვენ კი, რა თქმა უნდა, თქვენს მოსაზრებებსა და მოქმედებაში თავისუფალნი ხართ.

10. ეს ავაზაკთა მოგებისათვის მზრუნველი, ვირისა და ქალწულის ეს შეუდარებელი მხსნელი, ჩვენს საქმესაც იცავდა. სხვები დიდი ბჭობის შემდეგ (ამ თათბირის გაჭიანურებამ დამიფლითა შიგნეულობა და ჩემი გატანჯული სული) სიამოვნებით შეუერთდნენ ახალმოსული ავაზაკის აზრს და მაშინვე გაანთავისუფლეს ქალი ბორკილებისაგან. როგორც დაინახა ქალმა ჭაბუკი და ქალებისა და მაჭანკლების ხსენება გაიგონა, ისე გამხიარულდა და დაიწყო სიცილი, რომ თავში მომივიდა მთელი დედათა სქესის მიერ დამსახურებული გაკიცხვა; ხომ ჩემ თვალწინ გაითამაშა ქალმა ახალგაზრდა საქმროს სიყვარული და წმინდა, პატიოსანი ქორწინების სურვილი - უცებ კი საძაგელი, ბინძური საროსკიპოს მარტოოდენ სახელის გაგონებაზეც ასეთ აღტაცებაში მოვიდა. ასე რომ, იმ წამს მთელი დედათა მოდგმა და მათი ზნე-ჩვეულება დამოკიდებული იყო ვირულ მსჯელობაზე. ხოლო ყმაწვილმა კაცმა კვლავ მიმართა ავაზაკებს:

- რად არ უნდა შევევედროთ წინამძღოლ ღვთაებას მარსს, რათა იგი დაგვეხმაროს ქალწულის გაყიდვასა და ამხანაგების შეგროვებაში? როგორც ვხედავ, სამსხვერპლოდ არავითარი ცხოველი არა გვყავს; არც ღვინო მოგვეპოვება საკმარისი რაოდენობით, რომ წყურვილი მოვიკლათ. მანდვეთ ათიოდე თანამგზავრი, მე ესეც მეყოფა; წავალ მახლობელ სოფელში და იქიდან სალიური ნადიმისათვის^[119] სურსათ-სანოვავეს მოგიზიდავთ.

წავიდა. სხვებმა უზარმაზარი ცეცხლი დაანთეს და მარსისათვის მწვანე ბელტებისაგან სამსხვერპლო ააშენეს.

11. ისინიც მალე დაბრუნდნენ, თან ტიკებით ღვინო მოიტანეს და მთელი ჯოგი მორევეს. გამოარჩიეს უზარმაზარი, ბებერი, ბანჯგვლიანი თხა და მფარველ წინამძღოლ ღვთაებას, მარსს, მსხვერპლად შესწირეს. სასწრაფოდ მდიდრული ნადიმი გააჩაღეს. ახალმოსულმა ასე მიმართა დანარჩენებს:

- უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენი მეთაური არა მარტო თავდასხმასა და ნადავლის მოპოვებაშია მარდი, არამედ თქვენი სიამოვნების საქმეშიაც.

ამ სიტყვებით შეუდგა იგი შინაურ საქმეებს და ყველაფერს მოხერხებულად აკეთებდა. გვიდა, სუფრას შლიდა, ხარშავდა, ძეხვებსა წვავდა,

მაგიდაზე ლამაზად მოჰქონდა, უმთავრესად კი მათ რიგ-რიგობით ხშირად აწვდიდა უზარმაზარი სასმისებით ღვინოს.

ამასობაში აქეთ-იქით დადიოდა, თითქოს კიდევ რისამეს მოტანა სურდა და ხშირად შედიოდა ქალთან: ხან ჩუმად მაგიდიდან საჭმლის აღების საშუალებას აძლევდა, ხან მხიარულად სასმელს აწვდიდა, თვითონ კი წინასწარ იმავე თასიდან სვამდა. ქალი ყველაფერ ამას სიხარულით ღებულობდა და, როცა ავაზაკს მისი კოცნა მოუნდებოდა, თვითონ ქალი ჩქარი კოცნით მის სურვილს ასწრებდა. ასეთი საქციელი საშინლად არ მომეწონა.

ეჰ, უბიწო ქალწულო, როგორ შეძელი დაგვეიწყებინა ქორწინება და შენი ძვირფასი სატრფო, რომელსაც არ ვიცნობ, მაგრამ, რომელსაც შენმა მშობლებმა მიგათხოვეს; როგორ შეძელი, ახლახან დაგვირგვინებულმა, გაგეცვალა შენი მეუღლე ამ მოხეტიალე, სისხლისმძმელ ავაზაკზე? ნუთუ შენში სინდისი დუმს, სიყვარულის გრძნობა ფეხქვეშ გათელე და ამ მახვილთა და შუბთა შორის მრუშობა უფრო მოგწონს? რა მოხდება მაშინ, ამის შესახებ რომ სხვა ავაზაკებმა გაიგონ? ისევ ვირთან მოირბენ, ისევ უბედურებაში გამხვევ? მართალი ვთქვა, წაგებულის მოგებას სხვის ზურგზე ცდილობ.

12. სანამ უდიდესი გულისწყრომით ქალს ყოველგვარ დაბალ თვისებებს ვაწერდი, უცებ მივხვდი გონიერი ვირისათვის საკმაოდ ნათელი ზოგიერთი ნიშნებით, რომ ეს სახელგანთქმული ავაზაკი ჰემოსი კი არ არის, არამედ ამ ქალის საქმრო ტლეპოლემე. ჩემს იქ ყოფნას არაფრად არ აგდებდნენ, თითქოს მკვდარი ვყოფილიყავი და ვაჟმა უფრო გაბედულად დაიწყო ლაპარაკი:

- დამშვიდდი, უნაზესო ქარიტე, ყველა ეს შენი მტერე მალე ტყვეებად გეყოლება.

განუწყვეტილ სთავაზობდა თავბრუსა და სიმთვრალისაგან დასუსტებულ ავაზაკებს შეურეველ, მხოლოდ ორთქლზე ოდნავ შემთბარ ღვინოს და თვითონ კი არ სვამდა. ჰერკულესს გეფიცებით, დავეჭვდი, რომ იგი დიდ სასმისებში ძილის მომგვრელ რაღაც წამალსაც ურევდა. ბოლოს ღვინისაგან ვერც ერთი ფეხზე ვეღარ დგებოდა და ყველანი ერთიმეორეზე მილაგდნენ. მაშინ მან სრულიად იოლად გათოკა ყველანი, მე ზურგზე შემომისვა ქალი და თავისი მშობლიური ქალაქისაკენ გაემართა.

13. როგორც კი სახლს მივაღწიეთ, მთელი ქალაქი გამოეფინა დიდი ხნის ნანატრი სანახაობის საცქერად. გამოცვივდნენ სიხარულით აღტაცებული მშობლები, მახლობლები, ხელქვეითნი, აღზრდილნი და მსახურნი, ჭეშმარიტად, ყოველი სქესისა და ასაკის ადამიანისათვის სამახსოვრო და უჩვეულო სურათი იყო, ჰერკულესს გეფიცებით, თუ როგორ მოგზაურობდა სახეიმო ტრიუმფით ქალწული ვირით. შეძლებისდაგვარად გავმხიარულდი, და რომ არ ეფიქრათ, ამ საქმეში წილი არ მედო, ყურები ვცქვიტე, ნესტოები გავიბერე და ისეთი ყროყინი ავტეხე, იქაურობა გავაყრუე. მშობლებმა ქალი ალერსითა და მზრუნველობით სანთიობოში შეიყვანეს. მე კი ტლეპოლემემ მრავალრიცხოვანი ტვირთომზიდავი ჯოგისა და თანამოქალაქეთა თანხლებით უკან გამაბრუნა. ამის საწინააღმდეგო არა მქონდა რა, რადგან საერთოდ ცნობისმოყვარეობით გამოვიჩრდი, და ახლა ძალიან მინდოდა ავაზაკების შეპყრობა ჩემი თვალთ დამენახა. ისინი უფრო ღვინით დაგვხვდნენ შებოჭილნი, ვიდრე ბორკილებით. დაძებნეს და გამოალაგეს მთელი მათი ქონება, დაგვტვირთეს ოქროთი, ვერცხლით და სხვა სიმდიდრით, ხოლო ავაზაკები, ნაწილი როგორც იყო შებოჭილი, ისე მიათრიეს მახლობელ

კლდედღე და ქვესკნელში გადაუმახეს, დანარჩენები კი, მათივე საკუთარი მახვილით დახოცილები, იქვე დატოვეს.

ამგვარი შურისძიებით გახარებული ქალაქში მხიარულად დავბრუნდით. ეს უამრავი სიმდიდრე საზოგადო ხაზინას ჩააბარეს და ხელახლა მოპოვებული ქალწული კი, როგორც კანონიერი მეუღლე, ტლეპოლემეს გადასცეს.

14. მას აქეთ ქალმა თავის მხსნელად გამომაცხადა, ჩემს მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა და თავისი ქორწინების პირველ დღესვე განკარგულება გასცა, რათა ბაგა პირამდე აევსოთ ქერით და იმდენი თივა მოეცათ, რომ ბაქტრიულ^[120] აქლემსაც კი ყოფნოდა. სამართლიანად ვწყევლიდი ფოტიდას ჯადოქრობას, რადგან მან ვირად მაქცია და არა ძალად, როცა ვხედავდი, როგორ სკდებოდნენ ოთახის ძაღლები მოტაცებული თუ მათთვის მიგდებული მდიდრული ნასუფრალით.

პირველი ღამისა და ვენერას საწყისების შემდეგ პატარძალი უდიდესი მადლიერებით განუწყვეტილვ აგონებდა ჩემს თავს მშობლებსა და მეუღლეს, სანამ არ დაჰპირდნენ, რომ უდიდეს პატივისცემაში ვიქნებოდი. მოიწვიეს სათათბიროდ მეტად პატივცემული მეგობრები, რათა გადაეწყვიტათ, თუ რა საშუალებით იქნებოდა უკეთესი მადლობის გადახდა. ერთ მათგანს ყველაზე უფრო მართებულად შინ დატოვება, ყოველგვარი ჯაფისაგან განთავისუფლება და საუკეთესო ქერით, ლობიოთი და ცერცველათი გასუქება მიაჩნდა. მაგრამ მეორის აზრმა გაიმარჯვა, რომელიც ჩემი თავისუფლებისათვის ზრუნავდა და სხვებს ურჩევდა, რომ უკეთესი იქნებოდა სოფლის კორდებზე ჯოგთა შორის სანავარდოდ გავეშვი, რათა ჭაკი ცხენების კეთილშობილი დაგრილებით მათი პატრონებისათვის ჯოვების სახით მრავალი ნამატი მიმეცა.

15. მაშინვე მოუხმეს მეჯოგეს და წინასწარ დიდი დარიგების შემდეგ ჩააბარეს ჩემი თავი. სიხარულით აღტაცებული წინ გავიქეცი. იმ გადაწყვეტილებით ვიმედოვნებდი, რომ განთავისუფლებული ახლა, გამოზაფხულზე, მწვანე კორდზე სადმე ვარდების პოვნას მოვახერხებდი. თავში შემდეგი აზრიც მომდიოდა: თუკი მე, ვირის სახით, მადლობის ნიშნად ამდენ გაუთავებელ პატივს მდებენ, ადამიანად ქცეულს ხომ კიდევ მეტი წყალობა მომენიჭებოდა. როგორც კი მწყემსთან ერთად ქალაქიდან მოშორებით აღმოვჩნდი, მაშინვე ცხადი შეიქნა, რომ არათუ რაიმე სიამე, არამედ მცირე თავისუფლებაც არ მეღირსებოდა. მისმა ძუნწმა და საძაგელმა დედაკაცმა მაშინვე წისქვილის ქვის საბრუნავ ძალად გამომიყენა; ჯერ კიდევ მწვანე ფოთლებიანი ჯოხით ხშირად მამხნევებდა, ზურგზე ტყავს მამრობდა და თავისთვისა და მთელი ოჯახისათვის პურს ამზადებდა. ჩემი შრომის მეოხებით მეზობლებს ქირით ხორბალს უფქვავდა. მე უბედურს ასეთი მუშაობის შემდეგ მოკუთვნებულ საზრდოსაც კი მიკარგავდა. ჩემთვის დანიშნულ მარცვლეულს, ჩემივე ძალ-ღონით ფქვავდა და ფქვილს მეზობელ გლეხებზე ყიდდა. სამუშაოს შემდეგ, გვიან საღამოს, ბინძურ, გაუცრელ, მსხვილ ქვიშანარევ ქატოს მაძლევდა.

16. ასეთი განსაცდელით შეწუხებულს მკაცრმა ბედმა თავს დამატება ახალი ტანჯვანი, რათა, როგორც იტყვიან, შინაც და გარეთაც დიდი შრომით სახელი მომეხვეჭა. პატივცემულმა მწყემსმა დაგვიანებით შეასრულა პატრონის ბრძანება და მოისაზრა გავეშვი ჭაკი ცხენების ჯოგში. აი, ხელახლა თავისუფალი ვირუკა ვარ. დავიწყე ნავარდი და სასიყვარულო გულისთქმით ვირჩევდი, თუ რომელი ჭაკი ცხენთაგანი უფრო შესაფერი იქნებოდა მომავალი

დაგრილებისათვის. მაგრამ ამ სანუკვარ იმედს თან დაერთო საშინელი ხიფათი. საგანგებოდ ვენერას სამსახურისათვის დიდი ხნიდან კარგად ნაკვები, ავხორცი, ამასთანავე, საშინელი შესახედაობის გასუქებული და ყოველ შემთხვევაში ვირზე ღონიერი ულაცები ჩემი მეტოქეობისაგან შეშინდნენ, არ ინდომეს ბუმების გამრავლება, წინააღმდეგნენ სტუმართმოყვარე ზევისის მოძღვრებას და, გაცოფებულებმა, საოცარი ზიზღით დევნა დაიწყეს. ერთი, ძლიერ ამოზურცულმკერდიანი, თავალერილი და კისერგაწვდილი წინა ფეხებით მცემდა, მეორე, მკვრივკუნთებიანი, მსუქანი გავით ჩემსკენ მობრუნებული, უკანა ქაჩაჩებით მწიხლავდა, მესამე - ოროტი ხვიხვინით მემუქრებოდა, ყურებდაცქვეტილი და თეთრკბილებდაკრეჭილი სულ მკბენდა. ყველაფერი ეს ძლიერ მომაგონებდა ჩემ მიერ წაკითხულ თრაკიელი მეფის თავგადასავალს, რომელიც თავის უბედურ სტუმრებს დასაფლეთად და ჩასანთქმელად ველურ ცხენებს მიუყრიდა: იმდენად სიძუნწეს იჩენდა ქერისადმე ეს ძლიერი ტირანი, რომ გაუმაძღარი ჭაკი ცხენების შიმშილს ადამიანის ხორციტ გულუხვად აცხრობდა!

17. მსგავსადვე მეც, ცემისაგან გვერდებჩალეწილი, ამ კვიცებისაგან დაკბენილი ვიყავი და დასევდიანებული ვფიქრობდი, როგორმე წისკვილის ქვას დავბრუნებოდი. მაგრამ, ჩემი ტანჯვით ჭეშმარიტად კვლავ გაუმაძღარმა ფორტუნამ ისევ ხელახალი სასჯელი მომიმზადა. ამომირჩიეს მთიდან ხე-ტყის საზიდავად და მომიყენეს ერთი პატარა ბიჭი, ბიჭთა შორის უსაძაგლესი. იგი არათუ მხოლოდ ციცაბო კლდეებზე ასვლას მაიძულებდა, სადაც წვეტიან ქვაზე ფლოქვებს ვიმტვრევდი, არამედ ეს ბოროტი კომბალს განუწყვეტილად ისე მიბრაგუნებდა, რომ ტკივილი ძვალსა და რბილში ატანდა, ამასთანავე ყოველთვის მარჯვენა თემოზე მცემდა კომბალს და ცდილობდა ერთსა და იმავე ადგილას მოეხვედრებინა. ტყავი გადამაგლიჯა, ნატკენი ადგილი თანდათან გამიფართოვდა, წყლულის მცირე ნაჩხვლეტი ხვრელს თუ მთელ ფანჯარას დაემსგავსა; მიუხედავად იმისა, რომ იმ ადგილას სისხლი მდიოდა, ბიჭი მაინც განუწყვეტილად მცემდა. იმდენ შემას მაყრიდა ზურგზე, რომ, გეგონებოდათ, გუდურები სპილოსთვისაა მომზადებული და არა ვირისთვისო. როცა ტვირთი ერთ მხარეს ძლევდა, იმის მაგიერ, რომ იგი ცოტათი შეემსუბუქებინა და ჩემთვის სული მოეთქმევინებინა, ან წონასწორობისათვის მეორე მხარეს გადაეწყო, პირიქით, უფრო მსუბუქ მხარეს ქვას მკიდებდა და ამგვარად ფიქრობდა წონასწორობის დაცვას.

18. მას ეს ჩემი ტანჯვა არ აკმაყოფილებდა; როცა გზაში მდინარეზე გადავდიოდით, ფეხსაცმელი რომ წყალს არ გაეფუჭებინა, თვითონაც ზურგზე შემახტებოდა ხოლმე, თითქოს ასეთი უმნიშვნელო ნამატი საერთო სიმძიმეს არ ემატებოდა. ასეთი მძიმე ტვირთის ზიდვით ღონემიხდილს, მდინარის ციცაბო ნაპირზე ასვლა აღარ შემეძლო, ტალახში ფეხი მიცურდებოდა და ვეცემოდი. არც კი ფიქრობდა, როგორც წესიერ გამრეკს შეეფერება, ჩემთვის ხელი გამოეწოდებინა, აღვირით მოვეზიდე, კუდით ავეწიე, ან ტვირთი მოეკლო, რათა ადგომა შემეძლებოდა; ჩემდა საუბედუროდ, ასეთ დახმარებას კი არ მიწევდა, არამედ გამოჭრიდა დიდ სახრეს, დამიწყებდა თავიდან, სწორედ ყურებიდან, მთელ სხეულზე ცემას^[121], სანამ ამ, თითქოს დამამშვიდებელი საშუალებით, ფეხზე არ დამაყენებდა. აი, კიდევ როგორი სასჯელი გამოიგონა ჩემს გასაწვალებლად: შეკონაგდა შხამიანი წვეტებით სავსე ეკლის შტოებს და ჩამოკიდებული სატანჯველი იარაღის მსგავსად კუდზე მიმაბამდა ისე, რომ

სიარულის დროს მოძრაობაში მოსული კონეები თავისი სულისამომძრობი ეკლებით საშინლად მჩხვლეტდა და ხორცში მერჭობოდა.

19. ამგვარად, ორმაგი უბედურება მტანჯავდა: რაც უფრო ავჩქარდებოდი ბიჭის ცემის თავიდან ასაცილებლად, მით უფრო ძლიერად მერჭობოდა მოქანავე ეკლები და, თუ ტკივილის შესამცირებლად ცოტა ნაბიჯს შევანელებდი, კომბალი გაქცევას მაიძულებდა. ისღა დამრჩენოდა მეფიქრა, რომ ამ საძაგელ ბიჭს გადაწყვეტილი ჰქონდა როგორმე დავეტანჯე, რასაც იგი ფიცით არა ერთხელ დამმუქრებია.

მართლაც, ერთმა საქმემ მის საზიზღარ მუხანათობას ახალი უარესი რამ გამოაგონებინა; ერთხელ, როცა ჩემი მოთმინება, მისი უკიდურესი სისაძაგლის გამო, ამოიწურა, მაგრად ჩავწიხლე. მაშინ მან, აი, როგორ ხრიკს მიმართა: დამტვირთა ძეძვის დიდი კონეებით, მაგრად გადააბა ისინი თოკით ერთიმეორეს, წინ გამიგდო, მახლობელი გომურიდან მზუტავი ნაკვერცხალი გამოათრია და შუა ტვინით ჩამიდო. აი, ცეცხლმა იშოვა თუ არა კარგი საზრდო, აენტო, გაძლიერდა, ბოლოს ალაღ იქცა; საშინელ აღმურში გავეხვიე და უკიდურეს გაჭირვებაში გადარჩენის მცირე იმედსაც კი ვერ ვპოვებდი. ასეთი ხანძარი ვერავითარ დაყოვნებას ვერ ითმენდა და მე კი ყოველგვარი მოსაზრების უნარი თავიდან გამიფრინდა.

20. ამ უიმედო გაჭირვების დროს ფორტუნამ ალერსიანად გამიღიმა, შესაძლოა, იმიტომ, რომ მომავალი ხიფათისათვის შევენახე, მაგრამ გადაწყვეტილი, თვალთ დანახული სიკვდილისგან კი გადამარჩინა. უცებ დავინახე გუშინდელი თავსხმისაგან დატოვებული ჭუჭყიანი წყლით სავსე ახალი წუმპე, გავექანე, თავით ჩავეშვი შიგ, ცეცხლი ჩავაქრე და ტვინთისა და უბედურებისაგან განთავისუფლებული უკანვე ამოვედი. ამ საძაგელმა და თავხედმა ბიჭმა თავისი საზიზღარი მოქმედება მე დამაბრალა, სხვა მწყემსები დაარწმუნა, თითქოს, როდესაც გზაზე ანთებულ ცეცხლს გავუარეთ, განგებ წამეფორხილებინოს, ცეცხლი მომეკიდებინოს და თან სიცილით დაუმატა:

- სანამდე უნდა ვკვებოთ ტყუილად ეს ცეცხლის მატარებელიო?

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს გასამწარებლად კიდევ უფრო გაიძვერული ახალი ეშმაკობა გამოიგონა. გზაზე, პირველ ქოხშივე, გაყიდა ჩემი მოზიდული შეშა, ცარიელი მომდენა და დაიწყო ლაპარაკი, რომ ვერაფერი გააწყო ჩემს ავ ზნესთან, უარს ამბობს ჩემთან უბედურ სამსახურზე და თავისი საჩივარი ასე მოხერხებულად შესთხზა:

21. - დასტკბით ამ ზარმაცი, უხეირო, მართლაც რომ ვირული ვირით! გარდა სხვა დანაშაულისა, მან კიდევ ახალი ხრიკებით მოიგონა ჩემი შეწუხება. როგორც კი გამვლელს თვალს მოჰკრავს, - იქნება ის სანდომიანი დედაკაცი, გასათხოვარი გოგონა თუ ნაზი ჭაბუკი, - იმ წუთშივე გადაიგდებს ტვინთს, ხანდახან საძაგრავსაც კი, გიჟივით გაიქცევა ადამიანების დასაწევად, უცნაური მოტრფიალე დააგორებს მათ მიწაზე, დაეტაკება და ცდილობს დაიკმაყოფილოს თავისი ნებადაურთველი და ჯერ არნახული ავხორცობა. სურს გამოსავალი მისცეს თავის პირუტყვეულ ვნებებს და არაბუნებრივი შეუღლებისათვის ცდებს აკეთებს. კოცნის სურვილით თავის ბინძურ ჩიჩვირს აჩრის ადამიანს და იკბინება. ასეთი საქციელის გამო, მრავალი დავა და საჩივრები აგვიტყდება და შესაძლოა, სისხლის სამართლის დანაშაულიც მოხდეს. აი, ახლაც: დაინახა თუ არა შესახედავად ერთი გვარიანი ახალგაზრდა ქალი, ჩამოიგდო შეშა, მიყარ-მოყარა აქეთ-იქით და თვითონ კი, როგორც აღგზნებული საყვარელი, გაცოფებული ეცა და ყველას თვალწინ, ტალახიან მიწაზე გართხმული ქალის

გაუპატიურება მოინდომა. ყვირილზე, ქალის ღრიალზე გამვლელები რომ არ მოცვნილიყვნენ დასახმარებლად და ვირული ხვევნისაგან არ გაეთავისუფლებინათ იგი, უბედური, გაჟყელილი და დაფლეთილი, ტანჯვით აღსასრულს მოიპოვებდა; ჩვენ კი კანონის წინაშე პასუხს გვაგებინებდნენ.

22. ამ ტყუილებს კიდევ სხვაც დაუმატა, რომელიც ჩემი მორცხვი სიჩუმით კიდევ უფრო დამარწმუნებელი ხდებოდა და მან სასტიკად აამხედრა ყოველი მწყემსი ჩემ წინააღმდეგ. ბოლოს ერთმა მათგანმა წამოიძახა: -

- რატომ არ გავიღოთ მსხვერპლად ეს საერთო მეუღლე, ან უკეთ რომ ვთქვათ, ყველასთვის საშიში მრუში, როგორც ეს ასეთ საკვირველ შეუღლებას შეეფერება? - და დასძინა: - ეი, შენ, ბიჭო, მოჰკვეთე ამას ახლავე თავი, ნაწლავები ჩვენს ძაღლებს გადაუყარე. დანარჩენი ხორცი ჩვენი მუშების სადილისათვის შეინახე, ტყავი კი ნაცრით გავტენოთ და პატრონებს მივუტანოთ: მის სიკვდილს იოლად დავაბრალეთ მეგელს.

ჩემი ბოროტი ბრალმდებელი, რომელიც ამავე დროს, მწყემსთა გადაწყვეტილების შემსრულებელიც იყო, მაშინვე მხიარულად შეუდგა მზადებას და სალესზე დანის მოპირვა დაიწყო, ჩემს უბედურებას დასცინოდა, არ დავიწყებოდა ჩემი წიხლები და ვნანობ კი, ჰერკულესს გეფიცებით, რომ საკმარისად ვერ დავზილე.

23. ამ დროს ერთმა სოფელთაგანმა წამოიძახა:

- არ ივარგებს ასეთი მშვენიერი ვირის ტყუილბრალოდ დაღუპვა მხოლოდ იმისათვის, რომ მას მოჭარბებულ მამაკაცურ ძალასა და ტრფიალით თავაშვებულებას აბრალებენ^[122]... ცუდია ასეთი კარგი მუშის დაკარგვა მაშინ, როცა მხოლოდ მისი დაკოდვაა საჭირო. იგი შემდეგ არათუ აღგზნებას შეძლებს და თქვენც ხიფათს აიცილებთ, არამედ ხორცსაც შეისხამს და გასუქდება კიდევაც. ბევრი მინახავს არათუ ზანტი ვირები, ველური და უკიდურესად ავხორცი ულაცები, ეს მშფოთვარე და დაუდგრომელი მხეცებიც კი, დაკოდვის შემდეგ მოშინაურებულან, შეძლებიათ ტვინის ზიდვა და სხვა სამუშაოსთვისაც გამოსადეგნი გამხდარან. თუ თქვენ ჩემი რჩევის საწინააღმდეგო არა გაქვთ რა, ცოტა მადროვეთ, ახლობელი სოფლის ბაზარში უნდა შევიარო, შემდეგ კი შინისაკენ შევუხვევ, ამ საქმისათვის საჭირო იარაღებს წამოვიღებ, იმწამსვე უკან დავბრუნდები, გავუჩაჩხავ ფეხებს და დავკოდავ ამ მოუსვენარ მუსუსს, ისე რომ იგი ყოველ ცხვარზე უფრო თვინიერი გახდეს.

24. ასეთმა გადაწყვეტილებამ ორკეს მძლე ხელებიდან მიხსნა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო უარესი სასჯელისათვის შევენახე. დავსევდიანდი და სხეულის ბოლო ნაწილის დაკარგვის მოლოდინში ჩემს მთლიანად დაღუპვას დავსტიროდი. ვფიქრობდი, როგორმე ხანგრძლივი შიმშილობით ან ნებაყოფლობით უფსკრულში გადაჩეხით სიკვდილი მომეპოვებინა. რა თქმა უნდა, ამ გზითაც უთუოდ მოვკვდებოდი, მაგრამ დაუმახინჯებლად მაინც. სანამ ასე აუჩქარებლად ვირჩევდი სასიკვდილო საშუალებას, დილაადრიან იმ ჩემმა დამღუპველმა ბიჭმა ჩვეულებრივი გზით ისევ მთაში წამიყვანა, იქ მიმაბა უზარმაზარი მუხის ჩამოწეულ ტოტზე, თვითონ წინ წავიდა ნაჯახით შინ წასაღები შემის დასაპობად. უცებ მახლობელი მღვიმიდან ძუ დათვმა ჯერ ვეებერთელა თავი გამოყო და მერე მთლიანად გამოძვრა. დავინახე თუ არა ის, შიშისაგან თავზარი დამეცა, მთელი სიმძიმით უკანა ფეხებს დავაწეე, თავი რაც შეიძლებოდა მაღლა ავწიე, ავიწყვიტე საბელი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვკურცხლე. მარტო ფეხებით კი არა, მთელი სხეულით გაწვდილი ქვევით დავეშვი გაშლილი დაბლობისაკენ, ბოლოს,

გავჩნდი თუ არა მთის ძირას გაშლილ მინდვრებზე, ქარივით მივქროდი და ვცდილობდი გავქცეოდი არა მარტო ძუ დათვს, არამედ მასზე ბევრად უარეს ბიჭსაც.

25. ერთმა გამვლელმა დამინახა, რომ მე მარტო, უპატრონოდ მივრბოდი და მარდად შემახტა ზურგზე. ხელში რომ ჯოხი ჰქონდა, ფერდებში მითავაზა და ჩემთვის უცნობ გზაზე გამაჰენა. სიხარულით ნაბიჯს მოვუმატე და თანდათან ვმორდებოდი შეუბრალებელ დანას, რომელიც მამაკაცობის დაკარგვით მემუქრებოდა. რაც შეეხება ცემას, მაინცდამაინც არ მაწუხებდა, - ვირული თანამდებობის მიხედვით კომბალს დიდი ხანია შეჩვეული ვიყავი.

მაგრამ ჩემმა დაუძინებელმა მტერმა ფორტუნამ საკვირველი სისწრაფით, ჩემდა საზიანოდ, შემომიბრუნა გადარჩენის ხელსაყრელი შემთხვევა და ჩემთვის ხელახალი მზაკვრობის სამზადისს შეუდგა. ჩემს მწყემსებს ხბო დაკარგოდათ და ძეზნის დროს წინ შემოგვხვდნენ. ჩემი ახალი მხედარი მათ გაბედულად ეწინააღმდეგებოდა, ადამიანურ სინდისს და ღმერთებს მოწმეებად მოუწოდებდა და ეუბნებოდა:

- საით მიმათრევთ ძალით? რად მესხმით თავს?

- აჰა, მაშ ჩვენ გექცევით უხეშად, როცა შენ თვითონ მოგვპარე ვირი და მიგყავს? უმჯობესია გამოტყდე, სად გადამალე მისი გამრეკი ბიჭი, რომელიც, ალბათ, მოკალი?

მაშინვე ჩამოაგდეს ძირს, დაუწყეს მუშტებით ცემა და ფეხებით თელვა. იგი იფიცებდა, არავითარი გამრეკი არ მინახავსო, მხოლოდ უპატრონო ვირი შემომხვდა და დაჯილდოების იმედით პატრონისთვის უნდა დამებრუნებინაო.

- ამ ვირს, რომელსაც უმჯობესი იყო არ შევხვედროდი, ნეტავ ადამიანური ენა ჰქონდეს! მაშინ ჩემს უდანაშაულობას დაამტკიცებდა და თქვენ ჩემდამი ასეთი მოპყრობისათვის შეგრცხვებოდათ.

მაგრამ მისმა სიტყვებმა საქმეს ვერ უშველეს. ურწმუნო მწყემსებმა მარყუჟში თავი გააყოფინეს და ხშირ ტყეში წაიყვანეს იმ მთასთან, საიდანაც ბიჭს ჩვეულებრივ შემა ჩამოქონდა ხოლმე.

26. იგი ვერსად ვერ იპოვეს; ნახეს მხოლოდ დაფლეთილი და მიმოფანტული მისი სხეულის ნაწილები. ვგრძნობდი, რომ ეს ყველაფერი ძუ დათვის ნამოქმედარი იყო და, ჰერკულესს გეფიცებით, მეტყველების უნარი რომ მქონოდა, ყველაფერს ვიტყოდი.

მხოლოდ ერთი შემეძლო - უხმოდ გამხარებოდა, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც, სამაგიეროს მიზღვა. ამასობაში დაფლეთილი სხეულის ყველა ნაწილი მოძებნეს, ძლივძლივობით შეაგროვეს და იქვე მიწას მიაბარეს; ჩემი ბელეროფონტი^[123] კი, რომლის ქურდობაში ეჭვი არ ეპარებოდათ და მკვლელობასაც აბრალებდნენ, შებოჭილი თან წაიყვანეს, რათა, როგორც თქვეს, დილაადრიან დასასჯელად მთავრობისთვის გადაეცათ.

სანამ ბიჭის მშობლები მოთქვამდნენ და გლოვობდნენ, ამასობაში ის გლეხიც მოვიდა, ჩემს დაკოდვას რომ იყო შეპირებული და განაცხადა, საქმეს უნდა შევუდგეო. ვიღაცამ უპასუხა:

- სხვა უბედურება დაგვატყდა თავს და ახლა მაგისთვის არ გვცხელა. ხვალ კი რამდენიც გენებოს, შეგიძლია არა მარტო ასო, თავიც კი მოსჭრა ამ წყეულს. დამხმარეებიც ბევრი გეყოლებიანო.

27. ამით ჩემი დასახიჩრება მეორე დღისთვის გადაიდო. მადლიერი ვიყავი ამ კეთილი ბიჭისა, თავისი სიკვდილით რომ ერთი დღით მაინც გადადო ჩემი ტანჯვა. მაგრამ ეს მცირე დროც კი არ მომეცა გასახარებლად და

დასასვენებლად; ბიჭის დედა შვილის საშინელ სიკვდილს მოთქვამდა და ცხარე ცრემლს ღვრიდა. ძაძით მოსილი ნაცრით დაფარულ ჭადარა თმას ხელით იგლეჯდა; კივილში გადასული ქვითინით მკერდში ხელს იცემდა, შემოვარდა ბოსელში და ასე დაიწყო:

- ერთი ამას დამიხედეთ! სრულიად უშიშრად ჩაუყვია თავი ზაგაში და თავის ღორმუცლობით ტკბება; მხოლოდ იმას ცდილობს, რომ თავისი გაუმადლარი და უფსკერო მუცელი როგორმე საჭმლით გამოიტენოს, არც ჩემს გასაჭირს ჩივის და არც მისი პატრონის უბედურება ახსოვს. არა, რა თქმა უნდა, ვეზიზღები კიდეც და პატივს არ სცემს არც ჩემს მოხუცებულობასა და არც უბედობას. ჰგონია, ტყუილუბრალოდ ჩაუვლის ასეთი ბოროტმოქმედება. ასეა თუ ისე, ეს თავის თავს უდანაშაულოდ თვლის. ეს ბოროტმოქმედთა თვისებაა, რომ ბინძური სინდისის მიუხედავად საშინელი მკვლელობის ჩადენის შემდეგ დაუსჯელად დარჩენის იმედი იქონიონ. უსაძაგლესო პირუტყვო, სამართლიან ღმერთებს მოვუწოდებ მოწმეებად; კიდეცაა რომ დროებით მეტყველების უნარი მოგეცეს, რომელი გამოტყინებული რეგვანი შეგიძლია დაარწმუნო, რომ შენ ამ სასტიკ საქმეში არაფერ შუაში ხარ, როცა წიხლებით შეგეძლო საწყალი ბიჭის დაცვა და კბილებით მტრის მოგერიება. თუ ხშირად მისი მიწიხლვა შეგეძლო, ასევე გულით მტრისაგან ვეღარ დაიცავი? შენ, რა თქმა უნდა, იგი ზურგზე უნდა შეგესვა და ამ სისხლისმსმელი ავაზაკის ხელისაგან გადაგერჩინა. ბოლოს უფლებაც არ გქონდა გაჭირვების დროს მიგეტოვებინა შენი ამხანაგი, დამრიგებელი, თანამგზავრი, მწყემსი, და მარტო გამოქცეულიყავი. განა არ იცი, რომ ისიც, ვინც მომაკვდავს გადასარჩენად ხელს არ გაუწვდის და დახმარებას არ აღმოუჩენს, ისჯება, როგორც კეთილი ზნე-ჩვეულების მოღალატე? მაგრამ დიდხანს ვერ იხარებ, მკვლელო, ჩემი უბედურებით. მალე გაგრძნობინებ, თუ როგორ ძალას ანიჭებს ბუნება ტანჯულსა და უბედურს.

28. თქვა ეს, ორივე ხელით შემოიხსნა სარტყელი, რითაც უკანა ფეხები ერთიმეორეს მიმიკრა, ასევე შემოიკოჭა წინა ფეხებიც და მაგრად მოსჭიმა, რომ წინააღმდეგობის გაწევა აღარ შემძლებოდა. აიღო კეტი, რომელსაც ჩვეულებრივად ბოსლის კარი ეყრდნობოდა, და მანამ მცემა, სანამ ძალ-ღონე საბოლოოდ არ გამოეღია და ჯოხიც სიმძიმის გამო ხელიდან არ გაუვარდა. შეწუხდა, რომ ასე ჩქარა დაეღალა კუნთები, მივარდა კერასთან, გამოათრია ცხელი მუგუზალი და ფერდებში მჩრიდა მანამ, სანამ თავდაცვის ერთადერთ საშუალებას არ მივმართე. სახელდობრ: სახეში და თვალებში შევასხი თხელი განავლის ნაკადი. თითქმის დაბრმავებული და მყრალი სუნით სულშეხუთული გაიქცა ჩემგან ეს ჭირი, თორემ გაშმაგებული ალთეას^[124] მუგუზალით ვირი - მელეაგრე^[125] დაილუპებოდა.

წიგნი მერვე

1. განთიადისას, მამლის პირველ ყივილზე, მახლობელი ქალაქიდან მოვიდა ვიღაც ჭაბუკი; მომეჩვენა, რომ იგი იყო ქარიტეს ერთ-ერთი მსახურთაგანი, იმ გოგონასი, ავაზაკებთან რომ ერთად ვიყავით განსაცდელში. მან მოიტანა საშინელი, საოცარი ამბავი ქარიტეს აღსასრულისა და იმ უბედურების შესახებ, რომელიც მთელ ოჯახს ეწვია. მოსული ცეცხლის პირას დაჯდა, ამხანაგები გარს შემოუსხდნენ და ასე დაიწყო:

- მეჯინიბენო, მეცხვარეებო და თქვენც მენახირეებო, აღარა გვყავს ქარიტე, საშინელი სიკვდილით დაიღუპა ის საცოდავი და მარტო როდი

გაემგზავრა საიქიოს. მაგრამ ყველაფერი რომ უკეთ გაიგოთ, თავიდან დავიწყებ, ასეთი ამბავი რომ ცოდნოდან უფრო სწავლულ ადამიანებს, რომელთაც ბედმა მწერლობის ნიჭი უბოძა, ისინი შესძლებდნენ ყველაფერი მოთხრობის სახით ქალაქადზე გადაეტანათ.

ახლოზელ ქალაქში ცხოვრობდა ერთი კეთილშობილური შთამომავლობისა და სიმდიდრითაც საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა კაცი; იგი მიჩვეული იყო გარყვნილებას, თავაშვებულობას და ლოთობას დღისითაც კი. ამიტომაც საკვირველი არაა, რომ ავაზაკთა ბრბოს შეუერთდა და ხელები ადამიანის სისხლით შეიღება. მას თრასილეს ეძახდნენ. როგორც იყო იგი სინამდვილეში, ისეთივე სახელიც ჰქონდა გავარდნილი.

2. როგორც კი ქარიტე გასათხოვარი შეიქნა, მისი ხელის მოთხოვნელთა რიცხვში იგიც აღმოჩნდა და სულითა და გულით ცდილობდა თავისი გაეტანა. თუმცა უკან მოიწოვა თავისი მეტოქეები და ძვირფასი საჩუქრებით ცდილობდა მშობლების დათანხმებას, მაინც უარი მიიღო, როგორც ზნით უღირსმა და ამიტომ თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. როცა ჩვენი ბატონის ქალი კეთილ ტლეპოლემეს გაჰყვა ცოლად, თრასილემ თავი აღარ მიაწება მისთვის დაკარგულ სიყვარულს, რომელსაც თან ერთოდა უარყოფილი წინადადებით გამოწვეული აღშფოთების გრძნობა, და განიზრახა სისხლისმღვრელი ბოროტების ჩადენა. ბოლოს, როგორც იქნა, მათ სახლში შემდრომის ხელსაყრელი შემთხვევა იპოვა და დიდი ხნის მოფიქრებული ავაზაკური გეგმის შესრულებას შეუდგა. იმ დღეს, როცა ქალწული თავისი საქმროს მოხერხებულობისა და მამაცობის მეოხებით ბოროტი ავაზაკების დანებისგან განთავისუფლდა, თრასილეს სიხარულით ისე იყო აღტაცებული, რომ მთელი ხალხის ყურადღება მიიქცია და მიმლოცველ ხალხში შეერია. თითქოს მას უხაროდა ეს ბედნიერება და ახალდაქორწინებულთა შთამომავლობის გამრავლება. მისი ბრწყინვალე გვარის წყალობით მასპინძლებმა საპატიო სტუმართა რიგში მოათავსეს. მან დამალა თავისი ავი ზრახვები და მეგობრული გრძნობებით გამსჭვალული ადამიანის სახე მიიღო. უკვე განუწყვეტელმა ლაპარაკმა, ხშირმა ბაასმა, ხანდახან სუფრაზე და ლხინშიც მონაწილეობის მიღებამ იგი ოჯახის სულ უფრო ახლო მეგობარი გახადა და, თავისდა შეუმჩნევლად სიყვარულის დამღუპველი უფსკრულისაკენ მიექანებოდა. მართლაც, განა სასტიკი სიყვარულის ალი თავისი პირველი საამო სითბოთი არ გვატკბობს და შემდეგ კი, როცა დროებით შემამსუბუქებელი ნაცნობობა მას გააღვივებს, საბოლოოდ მისი გამძვინვარებული ცეცხლი არ გვიღებს ბოლოს?

3. თრასილემ ვერ გადაწყვიტა და დიდხანს ფიქრობდა, თუ რა ეღონა. მარტო მოსალაპარაკებლად ხელსაყრელი შემთხვევა არასგზოთ არ ეძლეოდა, სულ ნაკლებ და ნაკლებ შესაძლებლად მიაჩნდა მრუშობის განხორციელება, რადგან გზაზე მრავალრიცხოვან ყარაულს ხედავდა. არ ჩანდა საშუალება იმისათვის, რომ დაეწყვიტა ახალი და თანდათანობით გაძლიერებული გრძნობების ბორკილები და თვით პატარძლის გამოუცდელობა. კიდევაც რომ ყოფილიყო თანახმა მასზე, რასაც ვერ შეძლებდა, ცოლქმრული ერთგულების დარღვევის საქმეში დიდად ხელისშემშლელი იქნებოდა: თრასილეს, თავისდა საუბედუროდ, მაინც ისწრაფვოდა შეუძლებლისაკენ, თითქოს იგი შესაძლებელი ყოფილიყოს. როდესაც ვნება უფრო და უფრო ძლიერად გვიპყრობს, იოლი საქმე გვგონია ის, რაც ჩვეულებრივ ძნელად შესასრულებლად მიგვაჩნია; ამგვარად, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ და

გულდასმით მოისმინოთ, თუ როგორი უკიდურესობანი შესძლო ჩაედინა გააფთრებულ გრძნობას.

4. ერთხელ თრასილემ ტლეპოლემე სანადიროდ წაიყვანა იმ იმედით, რომ რაიმე ნადირს მოკლავდა, თუ ნადირად ჩაითვლება ქურციკი; საქმე ისაა, რომ ქარიტე თავის ქმარს არ უშვებდა ეშვებით და რქებით შეიარაღებული ნადირის გამოსადევნებლად. აი, ისინი უკვე მიაღწენ ტყით შემოსილი ქედის ძირს, სადაც ხშირი, გადახლართული ტოტების ჩრდილში ქურციკები ადამიანის თვალს ერიდებოდნენ. ნადირის ბუნაგიდან გამოსარეკად მონადირე ძაღლები მიუშვეს; დაგეშილი ძაღლები ხროვებად დაიყვნენ და გარშემო ყველა გასასვლელი დაიკავეს. ჯერ ყრუდ ღრენდნენ, ხოლო შემდეგ უეცრად მიცემულ ნიშანზე მიდამო ავი, არეული ყეფით აავსეს. მაგრამ გამოჩნდა არა ჯიხვი, არა მშიმარა ქურციკი, არა ყველა ცხოველთა შორის უთვინიერესი ფურირემი, არამედ უზარმაზარი, ჯერ არნახული სიდიდის გარეული ტახი. მას ჰქონდა სქელი კუნთებიანი კანი, მისი ტყავი დაფარული იყო ყალყზე შემდგარი მჩხვლეტავი ბაღნით; ხერხემალზე კი აშლოდა ბანჯგვლიანი ჯაგარი, ქავით დაფარულ კბილებს აღრჭიალებდა და მრისხანე თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. დაღებული ხახიდან საშინელი ღრიალი ისმოდა და სასტიკი თავდასხმის დროს ელვასავით სწრაფი იყო. უპირველეს ყოვლისა, სასიკვდილოდ დაფატრა მარჯვნივ და მარცხნივ შეუპოვარი ძაღლები, რომლებიც მას კვალდაკვალ სდევდნენ და იქვე დაიხოცნენ. შემდეგ გაარღვია ბადეები და იმავე მიმართულებით გაიქცა, საიდანაც გამოვარდა.

5. ჩვენ ყველანი შიშისაგან თავზარდაცემულნი, ასეთ სახიფათო ნადირობას შეუჩვეველნი, ამასთანავე უიარაღონი და ყოველგვარ თავდაცვის საშუალებას მოკლებულნი, რაც შეიძლება ღრმად დავიმაღენით ხეებსა და ფოთლებში. მაშინ თრასილემ თავისი ვერაგული განზრახვისათვის მარჯვე დრო იხელთა და ტლეპოლემეს ასე ცბიერად მიმართა:

- როგორ? ჩვენ ფლიდი შინაყმებივით შევშინდეთ და გავუშვათ ხელიდან ასეთი სახარბიელო ნადავლი? დედაკაცები ხომ არა ვართ? რატომ არ მოვახტეთ ცხენებს და არ გამოვუდგეთ მას? აბა, აიღე ოროლი, მე კი შუბს წამოვიღებ.

აი, ერთ წუთში ცხენებს მოახტნენ და ოთხამოღებით ნადირს დაედევნენ. მაგრამ ტახმა თავისი ბუნებრივი ძალა როდი დაივიწყა, შემობრუნდა, ბრაზისაგან ანთებულმა კბილები დააღრჭიალა, წუთით შედგა და იყურებოდა, თუ რომელს სცემოდა პირველად. ჯერ ტლეპოლემემ ჩასცა ზურგში ნადირს თავისი იარაღი, თრასილემ კი ტახს გვერდი აუარა და ტრეპოლემეს ცხენს უკანა ფეხების მარღვები გადაუჭრა.

ცხენი სისხლისაგან იცლებოდა, ჩაიკეცა, პირქვე დაემხო და მხედარი უნებლიეთ ძირს გადმოისროლა. გაცოფებული ტახი წამსვე დაეტაკა ძირს გადმოგდებულ ტლეპოლემეს, ჯერ ტანსაცმელი შემოაგლიჯა და როცა მან წამოწევა მოინდომა, ეშვით ღრმა ჭრილობა მიაყენა. მაგრამ კეთილი მეგობარი სრულიად არ შეწუხებულა დაწყებული უბედურებით. პირიქით, ფიქრობდა, რომ ასეთ საშიშ მდგომარეობას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მისი სისასტიკე და როცა ტლეპოლემე დაჭრილი ფეხებიდან სისხლის შეჩერებას ცდილობდა და მას საცოდავად შველას სთხოვდა, თრასილემ შუბით მარჯვენა ფერდი გაუგმირა. იგი დარწმუნებული იყო, რომ შუბის მიერ მიყენებულ ჭრილობებს ტახის ეშვების ნაკვალევად მიიჩნევდნენ. ამის შემდეგ ტახსაც იოლად მოუღო ბოლო.

6. ასე დადგება მან ჭაბუკი. ჩვენ კი, შეწუხებულმა შინაყმებმა, ჩვენ-ჩვენი თავშესაფარიდან მოვირბინეთ. თრასილეს გულში კი უხაროდა, რომ თავისი სანუკვარი განზრახვა შეისრულა, მაგრამ კმაყოფილებას არ იმჩნევდა, წარბებზეჭმუხვნილმა მწუხარე სახე მიიღო და ხარბად იკრავდა გულში თავისივე ხელით სიცოცხლემოსპობილ, გაცივებულ გვამს. ოსტატურად ბაძავდა დამწუხრებულ ადამიანს. მხოლოდ ცრემლი არ ემორჩილებოდა და თვალებზე არ ჩნდებოდა. მწუხარე გამომეტყველება მიიღო, დაგვემსგავსა ჩვენ, ნამდვილ მგლოვიარეებს და თავისი დანაშაული მხეცს გადააბრალა,

ბოროტმოქმედება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, რომ მის შესახებ ხმა გავარდა და პირველად ტლეპოლემეს სახლში, მისი უბედური მეუღლის ყურებამდე მიაღწია. როგორც კი გაიგონა ქალმა ეს ამბავი, რის უარესსაც თავის სიცოცხლეში ვერაფერს გაიგონებდა, ჰკუა დაკარგა, აზრი დაეზნა, ხალხით სავსე ქუჩებსა და სოფლის მინდვრებში გაცოფებული დარბოდა, შეცვლილი ხმით თავისი ქმრის უბედურებას გაყვიროდა. მასთან თავი მოიყარეს დამწუხრებულმა მოქალაქეებმა, შემხვდურნი უერთდებოდნენ, მის მწუხარებას ინაწილებდნენ და მომხდარი ამბის თვალთ დანახვის სურვილით მთელი ქალაქი დაცარიელდა. აი, მან თავისი ქმრის გვამთან მიირბინა. უგრძნობლად დაეცა ქარიტე მის სხეულზე და კინადამ იქვე დალია სული, რომელიც დიდი ხანია ქმარს მიუძღვნა. ძლივძლივობით ააყენეს მშობლებმა, მისდა უნებურად ცოცხალი გადარჩა და სამგლოვიარო პროცესია მთელი ხალხის თანხლებით აკლდამისავენ გაემართა.

7. თრასილე კი განუწყვეტლივ მოთქვამდა და უზომოდ ოხრავდა. ხოლო ცრემლი, მწუხარების პირველ წუთებში რომ არ ჩანდა, ახლა მოზღვავებული სიხარულის გამო სდიოდა, მიცვალებულს მრავალ სააღერსო სახელს არქმევდა, ისე რომ თვით ჭეშმარიტების ქალღმერთსაც კი მოატყუებდა. ბოლმინი ხმით მას უწოდებდა მეგობარს, ტოლს, ამხანაგს და ძმასაც კი; ამავე დროს ქარიტეს გულში ხელის ცემასა და მოთქმას უშლიდა, ამშვიდებდა, აღერსიანი სიტყვებით მწუხარებას უმსუბუქებდა, აიმედებდა, ნუგეშს თხოვდა, ასახელებდა სხვადასხვაგვარი უბედურების მრავალ მაგალითს, მაგრამ ყალბი ზრუნვით ქალის შეხების არც ერთ სასურველ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა და ამ მოტაცებული სიტკბოებით თავის საძაგელ ვნებას ხელს უწყობდა. დასრულდა თუ არა დასაფლავების წესები, ყმაწვილი ქალი მხოლოდ იმას ფიქრობდა, თუ რა გზით ჩაჰყოლოდა თავის ქმარს სამარეში; მან შეარჩია ყველა საამისო საშუალება და შეჩერდა უფრო იოლზე, რომელიც არავითარ იარაღს არ მოითხოვდა და სანეტარო შვების მსგავსი იყო. უარყო ყოველგვარი საზრდოობა, შეწყვიტა თავის თავზე მზრუნველობა, განმარტოვდა ბნელ სადგომში, თითქოს დღის სინათლეს სამუდამოდ გამოეთხოვაო; მაგრამ თრასილემ შეუპოვარი ჯიუტობით, ნაწილობრივ თავისი და ნაწილობრივ მეგობრებისა, ბოლოს თვით ყმაწვილი ქალის მშობლების დახმარებით, მიაღწია მას, რომ ქარიტე დათანხმდა, სასიკვდილოდ გაფითრებული და ჭუჭყით დაფარული თავისი სხეული აბანოთი გამოეცოცხლებინა და საჭმლით მოლონიერებულიყო. თავისი მშობლების მუდამ პატივისმცემელი უნებლიეთ დაემორჩილა წმინდა მოვალეობას, ცხოვრებას დაუბრუნდა, რა თქმა უნდა, ნაღვლიანი, მაგრამ ცოტა უფრო ნათელი სახით, როგორც ამას მისგან მოითხოვდნენ, მაგრამ გულით კი არა! მისი სულის სიღრმეში იმალებოდა დარდი, ნაღველი და ფარული სევდა კი დღითა და ღამით ღრღნიდა. გამოაკვეთინა განსვენებულის ქანდაკება ღმერთ ლიბერის მსგავსად,

დაუღალავად ემსახურებოდა მას, ღმერთივით ადიდებდა და ამგვარი ნუგეშით თავს იტანჯავდა.

8. თრასილემ, საერთოდ გაბედულმა და, როგორც ეს მისი სახელიდანაც ჩანს^[126] - მოუსაზრებელმა ადამიანმა, არ დაიცადა, სანამ მწუხარება განელდებოდა, და თავზარდაცემულ გონებაში სიშმაგე დაცხრებოდა, რათა დიდი სევდა გამქრალიყო. საჩქაროდ დაიწყო ქორწინებაზე ლაპარაკი ქალთან, რომელიც ისევ ქმარს დასტიროდა, ტანსაცმელს იხევდა და თმას იგლეჯდა; ბინძური უსირცხვილობით გამოამჟღავნა თავისი გულის საიდუმლოებანი და წარმოდგენილი ვერაგობა. ამ უღვთო სიტყვის გაგონებამ ქარიტეს საშინელება და ზიზღი მოჰგვარა. იგი ზეციური სასწაულისა თუ იუპიტერის ელვისაგან მეხდაცემულივით უგრძნობლად ძირს დაეცა. მცირე ხნის შემდეგ გონს მოვიდა. რამდენჯერმე მხეცური ღრიალი აღმოხდა და წარმოიდგინა თრასილეს მთელი უნამუსობა. სთხოვა მას დაეცადა პასუხისათვის მანამ, სანამ ქალი მას გულმოდგინედ არ მოიფიქრებდა.

უმაწკო ძილის დროს გამოეცხადა საცოდავი სიკვდილით ბოლომოდებული ტლეპოლემეს აჩრდილი, სიფითრით დამახინჯებული, ჩირქით დაფარული სახით და ასე მიმართა მეუღლეს:

- ჩემო მეუღლე, დაე, სხვას ნუ ეღირსოს შენთვის ამ სახელის წოდება; მაგრამ თუკი შენს გულში ჩემი ხსოვნად უკვე გაქრა, ან თუ ჩემმა უღვთო სიკვდილმა ჩვენი სიყვარულის კავშირი უკვე გაწყვიტა, ვისაც გინდა უკეთესს მისთხოვი, თრასილეს მკრეხელურ ხელში კი ნუ ჩავარდები. ხმას ნუ გასცემ, პურს ნუ ჭამ მასთან, მასთან სარეცელზე ნუ განისვენებ. შორს ჩემი მკვლელის სისხლიანი მარჯვენისაგან, არ მისთხოვდე მკვლელს! ის წყალობები, რომელთაგანაც შენმა ცრემლმა სისხლი მომბანა, ყველა ეშვებისაგან როდია მოყენებული, ცბიერი თრასილეს შუბმა შენს თავს მომაშორა.

ამ სიტყვებს სხვაც დაუმატა და დაწვრილებით უამბო, თუ როგორ მოხდა ბოროტმოქმედება.

9. ქარიტეს კი, ძველებურად ბნელ სადგომში მყოფს, ბალიშზე დამხოვილს, ძილში დაწვებზე ცრემლი დაჰაღუპით ჩამოსდიოდა, თითქოს მოულოდნელ ტანჯვას განიცდიდა, გაძლიერებული ვაების გამო კვნესოდა, პერანგს იგლეჯდა და მშვენიერ მხრებზე შეუბრალებლად იცემდა ხელებს. თავისი ღამეული ზმანება არც ერთ სულიერს არ გაუმხილა, ყველაფერი დამალა, რაც ბოროტმოქმედებაზე გაიგო, ჩუმად გადაწყვიტა სამაგელი მკვლელის დასჯა და უბედური ცხოვრებისაგან თავის დაღწევა. აი, ისევ მოვიდა წინდაუხედავი სიტკბოების ბილწი მამებარი და შეაწუხა მისი ლაპარაკის არმოსურნე ყურები. ქალმა თრასილეს მორცხვად მოუჭრა სიტყვა, საოცარი ოსტატობით გაითამაშა თავისი როლი და მოსაბეზრებელ ლაყბობასა და დამამცირებელ თხოვნაზე ასე უპასუხა:

- ჩემ თვალწინ ჯერ კიდევ დგას შენი ძმისა და ჩემი საყვარელი მეუღლის სახე, მისი ღვთაებრივი სხეულიდან ჩემი ნესტოები ჯერ კიდევ კინამონის^[127] სურნელებას ყნოსავს, ჩემს გულში ისევ მშვენიერი ტლეპოლემე ცოცხლობს. კარგად და გონიერად მოიქცევი, თუკი უბედურ ქალს კანონიერი მწუხარებისათვის საჭირო დროს მისცემ. დაე, გაიაროს დანარჩენმა თვეებმა და შესრულდეს წელიწადი, რაც არა მარტო ჩემს უმაწკოებას შეეფერება, არამედ შენი მყუდროებისთვისაც საჭირო იქნება, რათა ნაადრევი ქორწინების^[128] გამო სამართლიანად აღშფოთებული ჩემი ქმრის მწუხარე აჩრდილი სამარიდან არ ამოვიყვანოთ შენდა საუბედუროდ.

10. მაგრამ ასეთმა სიტყვებმა თრასილე ვერ დაამშვიდა, დაპირებამაც კი, რომელიც მალე უნდა აღსრულებულიყო, არ დააკმაყოფილა; ათრთოლებული ბაგეებიდან ისევ და ისევ ბინძური ჩურჩული წამოსცდა; ქარიტემ, თითქოს, დაუჯერა და უთხრა:

- თრასილე, ჩემს მხურვალე თხოვნას ერთში მაინც უნდა დაუთმო: ჩემთვის აუცილებელია, სანამ დანარჩენი დღეები გაივლიდეს წლისთავის შესრულებამდე, ფარულად ვხვდებოდეთ ერთიმეორეს, ისე, რომ ვერც ერთმა შინაურმა ვერ გაიგოს.

ცრუ დაპირება თრასილემ დაიჯერა და სიხარულით დათანხმდა ფარულ კავშირზე; იგი უკვე ოცნებობდა ღამეზე, დედამიწის ბნელში გამხვევ ბურუსზე და ყველაზე მაღლა მხოლოდ ერთი მიზანი დააყენა - დაუფლება.

- მაგრამ მისმინე, - უთხრა ქარიტემ, - რაც შეიძლება კარგად გაეხვიე წამოსასხამში, ღამის პირველი დარაჯობის^[129] დროს ჩუმად, მარტო მოდი ჩემს კართან, ერთხელ დაუსტვინე და გამდელს დაუცადე, რომელიც შემოსასვლელთან დაგელოდება, მაგრამ შინ შემოყვანის დროსაც არ გაანათებს და სიბნელეში ჩემს საწოლ ოთახში შემოგიყვანს.

11. თრასილეს მომავალი შესაუფლებელი პაემნების ასეთი ფარული პირობები მოეწონა. ცუდს არაფერს ფიქრობდა, ხოლო ლოდინით აღელვებული წუხდა, როგორ გრძელდებოდა დღე და არ ღამდებოდა. მაგრამ, აი, დღის სინათლე ღამის ბნელს შეენაცვლა, თრასილემ ქარიტეს ბრძანებისამებრ სასწრაფოდ გადაიცვა, მოდარაჯე ეშმაკ დედაბერს ხელში ჩაუვარდა და საწოლ ოთახში იმედიტ აღსავსე შევიდა. დედაბერმა შეასრულა ქალბატონის დარიგება, მზრუნველობით ეპყრობოდა თრასილეს, ჩუმად გამოიტანა თასები და ჭურჭლით ღვინო, რომელშიც ძილის მომგვრელი საწამლავი იყო შერეული; ქალბატონის იქ არყოფნა ავადმყოფ მამასთან შეგვიანებით ახსნა და სტუმარს გაუმასპინძლდა. თრასილემ ერთიმეორეზე მადიანად და ხარბად დასცალა თასები ისე, რომ ძილმა ადვილად წააქცია. აი, იგი უკვე გულაღმა დაწვა ყოველგვარი მტრული მოქმედებისათვის ხელმისაწვდომი; ძახილზე სასწრაფოდ შემოვარდა ვაჟკაცური გულითა და მრისხანებით ანთებული ქარიტე და მკვლელს ყვირილით თავს დაადგა.

12. - აი, ის, - თქვა მან, - ჩემი ქმრის ერთგული თანამგზავრი, მამაცი მონადირე, ძვირფასი მეუღლე! აი, ჩემი სისხლის დამღვრელი მარჯვენა, მკერდი, რომელმაც ჩემს დასალუპავად მზაკვრობა განიზრახა, თვალები, რომელთაც, საუბედუროდ, მე მოვეწონე, რომლებიც ახლა ბნელითაა მოცული და მომავალ ბედნიერებას წინასწარ განიცდიან. მშვიდად განისვენე ტკბილი ძილით! არც მახვილით და რკინით არ შეგეხები; არც მოხდება, რომ ჩემს ქმარს თუნდაც ერთნაირი სიკვდილით შეეძარო. თვალები სიცოცხლეშივე ჩაგიქრება და გარდა სიზმრისა ვეღარაფერს დაინახავ. ისეთ დღეს დაგაყენებ, რომ შენი მტრის სიკვდილი სიცოცხლეზე უფრო სანეტაროდ მიიჩნიო. დღის სინათლეს ვეღარ იხილავ, გამყოლის ხელში გაჭირვებას იგრძნობ, ქარიტეს ვეღარ ჩაიკრავ, შეუღლებით ვერ დატკბები, ვერც სიკვდილით განსვენებას ეღირსები, და მხიარული ცხოვრებით ვერ განცხრები, არამედ ორკეს სამეფოსა და მზეს შუა ფერმიხდილი აჩრდილივით იხეტიალებ. ამოდ დაუწყებ ძებნას შენი თვალის კაკლების ამომცლელ მარჯვენას, და უბედურების დროს ყველაფერზე ძნელი ის იქნება, რომ არ გეცოდინება, თუ ვინ გაგიკეთა ეს. მე კი შენი თვალებიდან გამონადენ სისხლს ტლეპოლემეს საფლავზე მოვასხურებ და მის ნეტარ სულს მსხვერპლად თვალებს შევწირავ. შესაძლოა ახლა დამღუპველი ჩემი ხვევნა

გეზმანებოდეს და რად სარგებლობ ღირსი სატანჯველის დაგვიანებით? ძილის წყვდიადი მოიშორე და სხვა, სამაგიეროდ მისჯილი წყვდიადისათვის გაიღვიძე. ასწიე ეს უსინათლო სახე, გაიგე შურისძიება, მიხვდი განსაცდელს, ჩამოთვალე შენი უბედურებანი! ასე მოეწონა უმანკო ქალს შენი თვალები, ასე გააჩაღა ჩირაღდნებმა საქორწინო დარბაზი. შურისმგებლები^[130] მდადეებად გეყოლებიან, ხოლო მეგობრებად სიბრმავე და მუდმივი სინდისის ქენჯნა.

13. ასე უწინასწარმეტყველა მან თრასილეს, გამოიძრო თმიდან სარჭი და დაუწყო თვალებში დაუსრულებელი ჩხვლეტა მანამ, სანამ სულ არ დააბრმავა და თრასილე გამოუთქმელმა ტკივილებმა სრულიად არ გამოაფხიზლეს, არ გამოაღვიძეს; ქარიტემ სტაცა ხელი შიშველ მახვილს, რომელსაც ტლეპოლემე ჩვეულებრივ წელზე შემორტყმულს ატარებდა, გიჟივით გაიქცა ქალაქში და უთუოდ ახალი ბოროტმოქმედების განზრახვით პირდაპირ ქმრის საფლავისაკენ გაეშურა. ჩვენ და აგრეთვე მთელი ქალაქის მცხოვრებლებმა საქმეები მივატოვეთ, გამოვუდექით ქალს და ერთიმეორეს ვარიგებდით, როგორ წაგვერთმია იარაღი გაშმაგებული ხელიდან. მაგრამ ქარიტე დადგა ტლეპოლემეს კუბოსთან და მოელვარე მახვილით ხალხს უკან დაახევინა. დაინახა თუ არა, რომ ყველა მწარედ სტიროდა და ყოველმხრივ მოთქმა გაისმოდა, წარმოთქვა:

- შეწყვიტეთ ცრემლის ნაკადი, შეწყვიტეთ გლოვა, რომელიც ჩემს სათნოებას არ შეეფერება. შური ვიძიე ქმრის მოსისხლე მტერზე, დავსაჯე ჩემი ბედნიერების ბოროტი მომტაცებელი. დადგა დრო, როცა ამ მახვილით ტლეპოლემესაკენ მიმავალ გზას ვიკვლევ.

14. დაწვრილებით გვიამბო, თუ რა აუწყა ქმარმა სიზმარში, როგორ მახეში გააბა და დაღუპა იგი თრასილემ. მარჯვენა ძუძუს ქვეშ მახვილი ჩაიცა, საკუთარ სისხლში მცურავმა რაღაც გაუგებარი წაილულლულა და ვაჟკაცური სული განუტევა. გულმოდგინედ და მზრუნველობით გაბანეს შინაურებმა ქარიტეს გვამი, იმავე აკლდამაში ჩაასვენეს და სამუდამოდ დაუბრუნეს ქმარს მისი მეუღლე.

თრასილემ გაიგო მომხდარი ამბავი. ვერ მოისაზრა, როგორი სასჯელი გამოენახა ასეთი უბედურების გამოსასყიდლად, მაგრამ დარწმუნებულმა, რომ მახვილით სიკვდილი მისთვის საკმაო არ იყო ასეთი ავკაცობისათვის, ბრძანა მიეყვანათ ისიც იქ, იმ აკლდამასთან. აქ მან მრავალგზის წამოიძახა:

- აჰა, თქვენ ავბედითო აჩრდილნო, ნებაყოფლობითი მსხვერპლი!

ბრძანა მაგრად ჩაეკეტათ მისთვის აკლდამის კარი. ამგვარად, თავისი სიცოცხლის მოსასპობ საშუალებად საკუთარი განაჩენით შიმშილობა აირჩია.

15. აი, რა უამბო დანადგლიანებულ სოფლელებს იმ ჭაბუკმა; თხრობას ხშირად აწყვეტინებდა ღრმა ამოოხვრა და ცრემლი. ძველი პატრონების შინაური უბედურებით დამწუხრებული მწყემსები ახალი მფლობელის ხელში გადასვლის შიშით გაქცევას აპირებდნენ. მთავარმა მეჯოგემ, რომელსაც ჩემზე მზრუნველობა დიდის ამბით მიანდევს, შეკრიბა ყველაფერი, რაც კი ებადა, აგვიდა ზურგზე მე და სხვა ტვირთშიდავ ცხოველებს და მთელი ავეჯულობით მიატოვა ძველი ბინა. მიგვყავდა ბიჭები, ქალები, ქათმები, ბელურები, თიკნები, ძაღლები და საერთოდ, ყველაფერი ჩვენი ფეხების მეოხებით გადაგვყავდა, რაც გაქცევის დროს თვითონ ვერ ივლიდა და ჩვენი დაბრკოლება შეეძლო. თუმცა ტვირთი უზარმაზარი იყო, მაგრამ იმდენად გახარებული ვიყავი, რომ მივრბოდი და უკან ვიტოვებდი ჩემს დამსაჭურისებელს, რომ აღარ ვგრძნობდი მის სიმძიმეს.

- გადავიარეთ მთის ციცაბო აღმართი, კვლავ დაბლობზე დავეშვით და, როცა გზას უკვე ნისლი ჩამოაწვა, ერთ მჭიდროდ დასახლებულ და მდიდარ სოფელს მივაღწიეთ. მცხოვრებლები გვირჩევდნენ, ღამით და დილაადრიანადაც კი არ გაგვეგრძელებინა გზა, რადგან მთელი მიდამო თურმე სავსე იყო არაჩვეულებრივი უზარმაზარი გააფთრებული მგლებით, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ თავდასხმას და ძარცვას. ავაზაკებივით ესხმოდნენ თავს მგზავრებს და საშინელი შიმშილისაგან გაცოფებულნი არ ზოგავდნენ მოსახლეობას, არ კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ მშიშარა ფარის განადგურებით და ახლა ადამიანებსაც ემუქრებოდნენ. ამასთანავე ჩვენ გასავლელ გზაზე ამბობდნენ, ზედ მიმოფანტულია სანახევროდ შეჭმული გვამები, გარშემო თეთრად ელავს გამოხრული ძვლებით; ასე რომ გზას დიდი სიფრთხილით უნდა გავდგომოდით. უპირველეს ყოვლისა, სავსებით უნდა გათენებულიყო, დღის ნაწილს გაველო და მზე მაღლა აწეულიყო, რადგან სინათლეზე მხეცები თავდასხმას წყვეტდნენ. გვირჩევდნენ მოვრიდებოდით ჩასაფრებულ ადგილებს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე შეგვხვდებოდა, გვევლო შეჯგუფებულად და არ დავფანტულიყავით, სანამ ამ სახიფათო ადგილებს არ გავცილდებოდით.

16. მაგრამ ჩვენმა წინამძღოლებმა, საზიზღარმა ლტოლვილებმა, ბრმა, მოუფიქრებელი სიჩქარით და მდევრის შიშით ყური არ ათხოვეს სასარგებლო რჩევას, არ დაუცადეს განთიადის მოახლოებას და თითქმის მესამე დარაჯობის^[131] დროს დავგტვირთეს და გზას გავციყენეს. მე მეშინოდა იმ სახიფათო მდგომარეობისა, რომელიც აგვიწერეს, ამიტომ, რამდენადაც შემემლო, ხალხის შუაგულში ვექცეოდი, სხვა საკიდარი ცხოველების უკან მონდომებით ვიმალებოდი და გავას მხეცის თავდასხმისაგან ვიცავდი; ყველას უკვირდა ჩემი სიმარდე, რადგან სხვა ცხენებს და ვირებს ვასწრებდი, მაგრამ ეს სიმკვირცხლე სიმარდეს კი არა უფრო შიშს ამტკიცებდა. ამ შემთხვევის გამო ვიფიქრე, შესაძლოა სახელგანთქმული პეგასი შიშისაგან გახდა მფრინავი და ფრთოსანი იმიტომ ეწოდა, რომ მაღლა ხტომით თითქმის ზეცამდე აღწევდა-მეთქი; ნამდვილად კი ცეცხლოვანი ქიმერის^[132] კბენას გაურბოდა. თავდასხმის მომლოდინე ჩვენმა წინამძღოლებმა იარაღიც კი მოიმარაგეს: ვის შუბი მოჰქონდა, ვის ოროლი, ერთს ხელშუბი ეჭირა, მეორეს კომბალი და არც ერთს არ დავიწყებია ქვის შეგროვება, რომელიც ბლომად ეყარა ოღროჩოდრო გზაზე. იყვნენ წვეტიანი მარგილებით შეიარაღებულნიც, მაგრამ უმეტესობას მხეცების შესაშინებლად გაჩაღებული ჩირაღდნები მოჰქონდა. არ გვქონდა მხოლოდ საყვირი, თორემ სამხედრო რაზმი საომრად სრულიად მზად იქნებოდა. ამ შემთხვევაში უსაფუძვლო შიშით გადავრჩით, მაგრამ უარეს ხიფათში გავებით.

თავშეყრილი ახალგაზრდების ხმაურით, ჩირაღდანთა ალით შეშინებულნი, თუ სხვა რომელიმე ადგილას სანადიროდ წასული მგლები ჩვენზე თავდასხმას არ აპირებდნენ და არც ახლომახლო გამოჩენილან.

17. მაგრამ ერთი სოფლის მცხოვრებლებმა, რომლის ახლო გავლა მოგვიხდა, ავაზაკთა ბრბოდ ჩაგვთვალეს, ძალიან შეშინდნენ და თავიანთი სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად სადარაჯოდ კარგად დაგეშილი, მგლებსა და დათვებზე ბევრად ავი, უზარმაზარი ბრაზიანი ძაღლები ჩვეულებრივი ყიჟინითა და ყვირილით მოგვიწიეს. ყოველმხრივ გარშემოერტყნენ ჩვენს რაზმს, შეუბრალებლად დაუწყეს გლეჯა საკიდარ პირუტყვსა და ადამიანებს, ბევრიც დააწვინეს. ჰერკულესს გეფიცებით, იმდენად სამახსოვრო სანახაობა არ იყო, რამდენადაც საცოდავი! გაცოფებული

ძაღლების უზარმაზარი ხროვიდან ერთნი გაქცეულებს სტაცებდნენ პირს, მეორენი - გაჩერებულებს ესხმოდნენ თავს, მესამენი - წაქცეულებს ეძგერებოდნენ და, ამრიგად, მთელი ჩვენი რაზმი დაკბინეს. აი, ასეთი საფრთხის დროს ერთ უბედურებას მეორე დაემატა. სოფლის მცხოვრებლებმა თავისი სახლის სახურავებიდან და მახლობელი გორაკიდან ქვის სროლა დაგვიწყეს; ასე რომ აღარ ვიცოდით, რომელ საფრთხეს განვრიდებოდით: ახლოს ძაღლები გვგლეჯდნენ, შორიდან ქვა ცვიოდა. ერთი ქვა თავში მოხვდა ჩემს ზურგზე მჯდომ ქალს, ტკივილისაგან ტირილი მორთო და საშველად თავის ქმარს მწყემსს მოუხმო, რომელიც მე მივლიდა.

18. მან ღმერთებს მოწმებად მოუწოდა, ცოლის სახიდან სისხლის წმენდას შეუდგა და მასზე მეტად ყვიროდა: -

- რად გვესხმით თავს უბედურ ადამიანებსა და ტანჯულ მგზავრებს ასე სასტიკად? რას გვერჩით? რა სარგებლობას გამოელით და რა ბოროტმოქმედებისათვის იძიებთ შურს ჩვენზე? თქვენ ხომ მხეცების მღვიმეებსა და გაუვალ, უსიერ ტყეებში არ ცხოვრობთ, რომ სისხლისღვრამ გაგახაროთ!

თქვა თუ არა ეს მეთაურმა, მაშინვე შეწყდა ქვის ხშირი სეტყვა და ბრძანებაზე ავი ძაღლების მიერ გამოწვეული ქარიშხალიც მიწყნარდა. ერთმა გლეხმა კვიპაროსის კენწეროდან ჩამოგვძახა:

- თავს გესხმოდით არა თქვენი მონაგარის წართმევის სურვილით, არამედ თქვენგან ჩვენ საკუთრებას ვიცავდით. ახლა კი მშვიდად და უშიშრად შეგიძლიათ განაგრძოთ თქვენი გზა, - ასე გვითხრა მან და გზა განვაგრძეთ. ყველანი სხვადასხვაგვარად ვიყავით დაზიანებული; ვინ ქვისა და ვინ ძაღლებისაგან, არც ერთი უვნებელი არ დავრჩენილვართ. გავიარეთ მცირე მანძილი და მაღალი ხეებით დაფარულ, მწვანე კორდით შემკულ ერთ ტევრს მივაღწიეთ. წინამძღვრებმა აქ მოინდომეს შესვენება ძალ-ღონის მოსაკრებად, რომ სხვადასხვა მიზეზით დაზიანებული სხეულის მკურნალობას შესდგომოდნენ. მოლზე შეძლებისდაგვარად მოვეწყეთ. ცოტაოდენი შესვენების შემდეგ ყოველი მათგანი თავისი ჭრილობის მოვლას იჩქაროდა: ერთნი ღელის წყლით იბანდნენ სისხლს, მეორენი - სიმსივნეზე ძმრით გაჟღენთილ ღრუბელს იღებდნენ, სხვები - ღია ჭრილობებს ბანდით იხვევდნენ.

ყოველი მათგანი ასე თავისებურად ზრუნავდა გამოსაჯანმრთელებლად.

19. ამ დროს გორაკიდან გვიყურებდა ერთი მოხუცი, რომელიც წვრილფეხა საქონელს აბალახებდა; მის ახლოს თხები ბალახს წიწვნიდნენ. ერთმა ჩვენთაგანმა ჰკითხა მას, გაქვს თუ არა გასაყიდი რძე და ჭყინტი ყველიო. მოხუცმა დიდხანს აქნია თავი და ბოლოს თქვა:

- თქვენ ახლა სასმელ-საჭმელზე ან რაიმე დასვენებაზე ფიქრობთ? ნუთუ სულ არ იცით, სად იმყოფებით? - ეს თქვა, შეაგროვა თავისი ცხვრები და შორს გარეკა. მისმა სიტყვებმა და გაქცევამ ჩვენი მწყემსები შეაშინა, თავზარდაცემულნი ცდილობდნენ გამოერკვიათ, თუ რა თვისების იყო ეს ადგილი, მაგრამ ამბის გამოსაკითხავად არავინ ჩანდა. ამ დროს გზიდან მოგვიახლოვდა მეორე მაღალი მოხუცი, წელთა სიმრავლისაგან დამძიმებული მთელი სხეულით ყავარჯენს ეყრდნობოდა, ძლივს მოათრევდა ფეხებს და ცრემლად იღვრებოდა; ჩვენ დანახვაზე უფრო ცხარედ ატირდა, ყოველ ახალგაზრდას მუხლებზე ეხვეოდა და ასე შეჰღაღადებდა:

20. - მხიარულად და ჯანმრთელად გეცოცხლოთ ჩემს ხნოვანებამდე. გაფიცებთ ფორტუნასა და თქვენ მფარველ გენიებს, დაეხმარეთ

დაუძლურებულ მოხუცს და ქვესკნელის მიერ მოტაცებული ჩემი ჩვილი ბავშვი ჭადარას დაუბრუნეთ! ჩემმა უტკბესმა თანამგზავრმა, შვილიშვილმა, ღობეზე ხმამაღლა მოჭიკჭიკე ბელურის დაჭერა მოინდომა და ბუჩქებით დაფარულ თხრილში გადაიჩეხა; მისი სიცოცხლე საფრთხეშია. რადგან კვნესის და საშველად პაპას მოუხმობს, ვიცი, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია. მაგრამ, როგორც ხედავთ, სხეულის სისუსტის გამო არ შემიძლია მივეშველო, თქვენ კი, ახალგაზრდებსა და ღონიერებს, ადვილად შეგიძლიათ უბედურ მოხუცს დახმარება აღმოძიოთ და ცოცხალი, უვნებელი მომგვაროთ მემკვიდრეთაგან ყველაზე უმცროსი და ერთადერთი შთამომავალი.

21. ჭადარა თმის გლეჯით მისმა ვედრებამ ყველანი სიბრაღულით აღავსო. ერთ-ერთი მწყემსთაგანი, ყველაზე უმცროსი, მეტად მამაცი, აგებულითაც მაგარი და ამასთანავე მომხდარი თავდასხმის დროს ერთადერთი, რომელიც დასახიჩრებას გადარჩა, სასწრაფოდ წამოდგა, ჰკითხა, სად ჩავარდა ყმაწვილიო, და უყოყმანოდ გაჰყვა მოხუცს ხშირი ბუჩქნარისაკენ, რომელზედაც მან მიუთითა. ამასობაში ყველამ დაისვენა, ჭრილობები მოიშუშეს, ჩვენ მოგვაძოვეს, შეკრიბეს თავიანთი მონაგარი და გასამგზავრებლად მზადებას შეუდგნენ. ჯერ დიდხანს ეძახდნენ იმ ყმაწვილს, ბოლოს, მისმა დაგვიანებამ შეაშინათ და, ამხანაგის მოსაძებნად კაცი გაგზავნეს, რათა მოეგონებინა მისთვის, გამგზავრების დრო დადგაო და თან მოეყვანა. ცოტა ხნის შემდეგ გაგზავნილი მობრუნდა, გაფითრებული და სულ აკანკალებული, თავისი ამხანაგის შესახებ საკვირველ ამბებს მოყვა. თითქოს იგი პირქვე ყოფილიყო დამხოზილი და უზარმაზარი ურჩხული მისი სხეულის ჭამას ამთავრებდეს, საწყალი მოხუცის კვალიც კი გაქრაო. გაიგონეს ეს ჩვენმა მეთაურებმა, შეადარეს მწყემსის ნაამზობი მოხუცის ნათქვამს და მიხვდნენ, რომ ის სასტიკი ურჩხულია ამ ადგილების მფლობელი, რომლის შესახებაც ისინი გააფრთხილეს. მიატოვეს საშიში ადგილი, იქიდან სასწრაფოდ მოუსვეს და ჩვენ ჯოხების ხშირი ცემით გვერეკებოდნენ.

22. ძალიან ჩქარა გავიარეთ დიდი მანძილი და ბოლოს ერთ სოფელს მივადწიეთ, სადაც ღამე გავათიეთ. აქ მოხდა ერთი, მოგონების ღირსი ამბავი და მინდა გიამბოთ.

ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი მონა, რომლისთვისაც ბატონს მთელი მეურნეობის მართვა მიუზღვია და რომელიც იმ დიდი ადგილ-მამულის მმართველიც ყოფილა, სადაც ჩვენ გავჩერდით; ცოლად ჰყავდა იმავე სახლის მონა ქალი, მაგრამ მას წვაჟდა ერთი სხვა თავისუფალი ქალის ვნება. ღალატით შეურაცხყოფილმა მისმა ცოლმა ცეცხლი წაუკიდა და ფერფლად აქცია ყველა მისი საანგარიშო წიგნი და ყველაფერი, რაც საწყობში ჰქონდა შენახული. ქალმა თავი დაკმაყოფილებულად ვერ იგრძნო, ფიქრობდა, რომ ცოლქმრული სარეცელის შეურაცხყოფისათვის ასეთი ზიანის მიყენება საკმაო არ იყო და რისხვა თავის საკუთარ სისხლსა და ხორცზე გადაიტანა; გაყო თავი მარყუქში, იმ ქმრისაგან შენადენი და დიდი ხნის დაბადებული შვილიც იმავე ბაწრით მიიბა და ბავშვიანად ღრმა ჭაში გადაეშვა. ბატონმა რომ ეს გაიგო, ძლიერ განრისხდა მონაზე, რომელმაც თავისი ცოლი ასეთ ბოროტმოქმედებამდე მიიყვანა, დააჭერინა ის, ბრძანა გაეშიშვლებინათ, თაფლი წაესვათ და მაგრად მიეკრათ ლელვის ხეზე. ამ ხის ფულუროში კი ჭიანჭველები ბუდობდნენ, სულ ამოტენილი იყო მწერებით. ისინი შავი ღრუბლებივით გუნდ-გუნდად აქეთ-იქით დამკვრებოდნენ. როგორც კი სხეულიდან წამოსული თაფლის ტკბილი სუნი ეცათ, მაშინვე პატარ-პატარა, მაგრამ უხილავი და განუწყვეტელი კბენით

ღრმად ჩაერჭვნენ მის სხეულში, დიდხანს ღრღნეს, ისე რომ გამოჰამეს ხორცი და შიგნეულობა, მთელი ადამიანი წმინდად გამოხრეს და საბედისწერო ხეზე თვალისმომჭრელი, თეთრად მოელვარე, ხორცშემოცლილი ძვლები და დარჩა.

23. დავტოვეთ ეს საზარელი ადგილი, მეტად შეწუხებული ადგილობრივი მცხოვრებლები და გზას გავუდექით. მთელი დღე ვაკეებზე ვიარეთ, დადლილებმა ერთ სახელგანთქმულ და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს მივაღწიეთ. ჩვენმა მეთაურებმა იფიქრეს, რომ აქ ყოველგვარი დევნისაგან საიმედო თავშესაფარს იპოვიდნენ, თანაც ამ კუთხის სურსათით არაჩვეულებრივი სიუხვის გაგონილმა ამბავმაც მოხიბლა ისინი და სამუდამოდ აქ დამკვიდრება გადაწყვიტეს. ტვირთმზიდავ ცხოველებს სამი დღე მოგვცეს ძალ-ღონის აღსადგენად, რათა გასაყიდად უკეთესი შესახედაობა გვექონოდა. შემდეგ ბაზარზე გაგვიყვანეს. როცა მაცნემ ყოველი ჩვენგანის ფასი მეხივით მჭექარე ხმით ცალ-ცალკე გამოაცხადა, ცხენი და სხვა ვირები მდიდარმა მყიდველებმა შეიძინეს; მე კი დავრჩი ნაბოლარა, მარტოდმარტო და უმეტესად ზიზღით ამივლიდნენ ხოლმე გვერდს. მომბეზრდა მყიდველთა შეხება, რომლებიც კბილების მოსინჯვით ლამობდნენ ჩემი ხნოვანების გამორკვევას. როცა ერთმა კაცმა ამყრალბული თითებით დაიწყო ჩემი ღრძილების სინჯვა, კბილებით ვეცი ჭუჭყიან, აქოთებულ ხელს და ერთიანად დავწეწე. ამ გარემოებამ ჩვენ მახლობლად მყოფ მყიდველებს ხელი ააღებინა ჩემს შეძენაზე, რადგან ველურ ცხოველად ჩამთვალეს. მაშინ მაცნემ ყვირილით ყელი ჩაიწყვიტა, ხმაჩახლეჩილი, ოხუნჯობით მოჰყვა ჩემი ღირსებების ქებას:

- კიდეც დიდხანს უნდა ვათრიოთ ტყუილუბრალოდ გასაყიდად ასეთი ბებერი, დაუძლურებული ლაფშა, ფეხებმომტვრეული, ავადმყოფობის გამო საზარელი, მცონარა და მაინც მიუხედავად სილენჩისა და სიზანტისა, ოჩანი, ღორღის ცხრილად გამოსადეგი? კიდეცაა რომ ვინმეს აჩუქოთ, საზრდო დაენანება ამისთვის.

24. მაცნეს ასეთი გოდება დამსწრეთა შორის ხარხარს იწვევდა. ჩემმა მკაცრმა ბედმა, რომელსაც ვერაფრით ვერ დავაღწიე თავი, და რისხვამ, რომელიც გადატანილი უბედურებით ვერ შევანელე, ისევ მომაპყრო თავისი ბრმა თვალები, სასწაულივით გამომიგზავნა ჩემი სასტიკი განსაცდელისათვის შესაფერი მყიდველი. თქვენვე განსაჯეთ: გარყვნილი, ბებერი, ქაჩალი, მაგრამ ჭადრაშერეული კულულებით შემკული, ერთ-ერთი უმსგავსი ნამირალა, რომელიც კიმალებსა და ჯიმჯიმს დაატარებდა, მათხოვრობდა ქალაქებსა და სოფლებში, თან დაჰქონდა სირიელი ქალღმერთის გამოსახულება. ჩემი ყიდვის სურვილით აღგზნებული შეეკითხა მაცნეს, თუ სადაური ვიყავი; მან უპასუხა: კაბადოკიელია და საკმაოდ ღონიერიცო^[133]. შემდეგ წლოვანება იკითხა. შემფასებელმა ხუმრობით მიუგო:

- ამის ბედისწერის მისანმა, ერთმა ვარსკვლავთმრიცხველმა, იგი ხუთი წლისად გამოაცხადა, მაგრამ მან, რა თქმა უნდა, ყველაზე კარგად იცის თავისი წლოვანება მისი მშობლების მიერ სამოქალაქო სიებში ჩანაწერებით. თუმცა მე კი ვბედავ კორნელის კანონის^[134] საწინააღმდეგოდ განზრახ შეცოდებას, თუ მონის მაგიერ რომაელ მოქალაქეს მოგყიდი, მაგრამ შენ შეიძენ ერთგულ და ბეჯით მსახურს, რომელიც გამოგადგება როგორც შინ, ისე გარეთაც.

გაუმადარი მყიდველი კითხვებს კითხვებზე აყრიდა და ბოლოს შემფოთებით იკითხა, ვიყავი თუ არა თვინიერი.

25. დამფასებელმა კი მიუგო:

- შენ წინ ცხვარია და არა ვირი. ყოველგვარ სამუშაოს მშვიდად ასრულებს, არც იკბინება, არც წიხლი იცის - ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ვირის ტყავში გახვეული თავმდაბალი ადამიანია. ამის დამტკიცებაც იოლია. შეუყავი ბარძაყებში თავი და გაიგებ რაოდენ მოთმინებას გამოიჩენს.

მაცნე ასე სამასხროდ იგდებდა იმ გარყვნილს. იგი მიხვდა, რომ დასცინოდნენ და მოსაჩვენებლად განრისხდა.

- მძორო, შენ კი დაგაბრმავოს, დაგაყრუოს და ნახევრად შეშლილ მყვირალად გაქციოს ყოვლისშემძლე სირიელმა ქალღმერთმა, წმინდა საბადიოსმა^[135], ბელონამ^[136], იდიელმა დედამ^[137] და ქალბატონმა ვენერამ თავისი ადონისით^[138], თუ მომეშვა მაგ ბრიყვული ხუმრობით! შე სულელო, გგონია, ურჩ ცხოველს შემიძლია მივანდო ქალღმერთი, რომ უეცრად წიხლი ჰკრას და გადამიგდოს ღვთაების ხატი, მე უბედური კი იძულებული გავხდე თავქუდმოგლეჯილმა მიწაზე დამხობილი ქალღმერთისათვის ვინმე მკურნალი ვეძიო?

ამ სიტყვებზე უცებ მოვისაზრე გიჟივით ავმბტარიყავი, რათა მას ურჩ და ველურ ცხოველად ჩავეთვალე და ვაჭრობა შეწყვეტილიყო. მაგრამ ამ განზრახვას წინააღმდეგა მოუსვენარი მყიდველი; სასწრაფოდ გადაიხდა ჩვიდმეტი დინარი, რომელიც ჩემი თავიდან მოშორების მსურველმა პატრონმა სიამოვნებით მიიღო, ჩამაბა დაგრეხილი სელის ბაწარი და გადამცა ფილებეს: ასე ერქვა ჩემს ახალ პატრონს.

26. ფილებემ მიიღო ახალი მსახური, წამიყვანა თავის სახლში და შევიდა თუ არა შინ, დაიყვira:

- გოგონებო, აი მე თქვენ ბაზრიდან რა კარგი მონა მოგიყვანეთ!

ეს გოგონები კი გარყვნილთა ბრბო აღმოჩნდა, რომლებიც სიხარულით, ჩახლეჩილი, შეუწყობელი, ხრინწიანი ხმებით ახმაურდნენ. ეგონათ, მათ მსახურად რომელიმე ყურმოჭრილი მონა მოუყვანეს; მაგრამ დაინახეს რომ ქალწული კი არ იყო ფურიერმად^[139] შეცვლილი, არამედ მამაკაცი - ვირად, ცხვირი აიბზუეს, დაუწყეს დაცინვა თავის დამრიგებელს და უთხრეს, რომ მას ქალებისათვის მონა კი არ უყიდა, არამედ ქმარი - თავისთვის. ეუბნებოდნენ:

- მხოლოდ იცოდე, მარტო ნუ ჩახეთქავ ამ მომჯადოებელ წიწილას, ხანდახან ჩვენც, შენს მტრედებს, ნება მოგვეცი მით ვისარგებლოთ.

ერთიმეორეში ამგვარი ლაზღანდარობით სახლს უკან - ბაგაზე მიმბეს. მათ შორის იყო ერთი ფლეიტაზე დახელოვნებული დამკვრელი ზორბა ჭაბუკი, შეგროვილი შემოწირულებით მონების ბაზარზე შეძენილი; როცა მათ მიდამოებში ქალღმერთის ქანდაკება დაჰქონდათ, იგი მათ დაჰყევბოდა და საყვირს უკრავდა. შინ კი განურჩევლად ყველას საყვარლობას ეწეოდა. დამინახა თუ არა იქ, ბევრი საკვები ჩამომიყარა და მხიარულად ჩაილაპარაკა:

- როგორც იქნა ჩემი უღვთო ჯაფის მოადგილე გამოჩნდა! მხოლოდ დიდხანს იცოცხლე და პატრონებს აამე, რათა ჩემმა უკვე დაღლილმა გვერდებმა მოისვენოს.

გავიგონე ეს და ჩემს მომავალ უბედურებაზე ჩავფიქრდი.

27. მეორე დღეს ქალებმა ჭრელაჭრულები ჩაიცვეს, სახეები საზიზღრად შეითხუპნეს ჭუჭყიანი მურა საღებავით, თვალების გარშემო ლამაზად წაიცხეს საღებავი და ასე გამოვიდნენ. მათ თხელი ტილოს და აბრეშუმის ზაფრანისფერი კაბები და ყვითელი ფეხსაცმელი ეცვათ, ზოგიერთებს მოწეულზოლებიანი ქამრებით შემოჭერილი თეთრი ტუნიკები ესხათ, - ეს ზოლები წვრილ მფრინავ შუბებს ჰგვანდნენ. აბრეშუმის საფარველში გამოხვეული ქალღმერთის

ქანდაკება კი ზურგზე დამადგეს; მკლავები მხრებამდე დაიშიშვლეს, მოჰქონდათ უზარმაზარი ხმლები და ნაჯახები, ხტოდნენ, ყვიროდნენ, საყვირის ხმით აღზნებულნი და გაცოფებულნი, ღვთაებრივ როკვას ასრულებდნენ. მრავალ ქოხს ავუარეთ გვერდი და, ბოლოს, ერთი მემამულის სახლს მივაღწიეთ. როგორც კი შინ ფეხი შედგეს, იმ წუთშივე გაისმა ჰაერში შეწყობილი მოთქმა და გიჟური როკვა დაიწყო. თავდახრილნი სწრაფად ატრიალებდნენ კისრებს, ისე, რომ ჩამოყრილი თმა რგოლებად იხვეოდა, ზოგიერთი სირბილის დროს საკუთარ სხეულს იკბენდა და ორპირი დანებით, რომელიც თან ჰქონდათ, ხელისგულების დასერვა დაიწყო. ერთ მათგანს განსაკუთრებით გულის სიღრმიდან გაცოფების გამომხატველი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ოხვრა აღმოხდებოდა ხოლმე, თითქოს მას ღვთაებრივი სული მოვლენოდეს და თითქოს ღვთის იქ არსებობა ადამიანს სრულყოფის მაგიერ აუძლურებდა და ასწულებდა.

28. მაგრამ, დახე, როგორი ჯილდო დაიმსახურა მან ზეციური განგებისაგან! თვალთმაქცურად დაიწყო ხმამაღლა ქადაგით თავის თავის გინება და ბრალდება, თითქოს მას რელიგიის წმინდა კანონებისათვის შეეცოდებინოს და შემდეგ დაიწყო ყვირილი, რომ თავისი ხელით უნდა მიიღოს სამართლიანი საზღაური. ბოლოს ხელი სტაცა მათრახს, რომელიც, ჩვეულებრივ, აქვთ ხოლმე ამ განსაკუთრებული შესახედაობის ნახევარკაცებს; ეს გრძელფოჩიანი მათრახი დაწულია უხეში მატყლისაგან და ბოლოში ცხვრის ძვლის სხვადასხვა სახის ნატეხი აქვს მიბმული; ასეთი ნასკვებით დაუწყო თავის თავს ცემა და ტკივილს არაჩვეულებრივი მოთმინებით იტანდა. შეიძლებოდა დაგენახათ, თუ როგორ დასველდა მიწა მახვილით მიყენებული ჭრილობებისა და მათრახის ცემისაგან დაღვრილი ქალური ბინძური სისხლით. ამ გარემოებამ დიდად შემაშინა. ჭრილობებიდან გამოსული ამდენი სისხლის დანახვაზე ვიფიქრე, ხომ შეიძლება უცებ მოხდეს, რომ მოგზაური ღვთაების კუჭმა ვირის სისხლი მოისურვოს ისე, როგორც ზოგიერთი ადამიანები ვირის რძის მოყვარულნი არიან-მეთქი. ბოლოს, არ ვიცი, დაიღალნენ თუ გამათრახებით დაკმაყოფილდნენ, შეწყვიტეს სისხლისღვრა, ფართო უბეებში მრავალ შემწირავთა მიერ მოტანილი სპილენძისა და ოქროს ფულის შეგროვება დაიწყო, რომლის მიწოდებასაც მრავალრიცხოვანი შემწირავები ერთიმეორეს ასწრებდნენ. გარდა ამისა, მათ მისცეს ერთი კასრი ღვინო, რძე, ყველი, ცოტა ხორბალი, და ზოგიერთებმა ქალღმერთის დამტარებლისათვის ქერიც კი აჩუქეს მათ; ყველაფერი ეს ხარბად აკრიფეს, ასეთი მოწყალებისათვის საგანგებოდ მომზადებულ ტომრებში ჩატენეს და ზურგზე ამკიდეს; ისე რომ ორმაგი ტვირთით დამძიმებული წინ მივიწევდი ერთდროულად, როგორც ტაძარი და ბეღელი.

29. ამგვარად, ვინაცვლებდით ადგილს და ისინი ასე მარცვავდნენ ყველა მახლობელ მიდამოს. ბოლოს, ერთ სოფელს მივაღწიეთ. კარგი შემოსავლით გახარებულებმა, იქ ქეიფის გამართვა გადაწყვიტეს. ერთ გლეხს ვითომც უმკითხავეს და ამაში ერთი მსუქანი ცხვარი დასტყუეს, რათა ამ მსხვერპლით დაეწყნარებინათ გაუმაძლარი სირიელი ქალღმერთი. ვახშმისათვის ყველაფერი საჭიროებისამებრ მოამზადეს და აბანოში წავიდნენ. იბანავეს და თან მოიყვანეს, როგორც თანამესუფრე, ღონიერი თემოებითა და საზარდულით დაჯილდოებული გლეხი; ვერც კი მოასწრეს სხვადასხვა მწვანილეულით საუზმობა, რომ ამ ბინძურმა პირუტყვებმა იქვე, მაგიდასთანვე, იგრძნეს უსირცხვილო მოწოდება ენით გამოუთქმელი ავხორცობისადმი, გარშემოერთყნენ ჭაბუკს, გააშიშვლეს, პირქვე დაამხეს და თავიანთი საძაგელი

ტუჩებით მის შებილწვას შეუდგნენ. ჩემმა თვალებმა ასეთი უსამართლობის ყურება დიდხანს ვეღარ აიტანეს და ვეცადე წამომეძახა: - უშველეთ, კვირიტონ-მეთქი! მაგრამ, ჭეშმარიტად ვირული, გარკვეული, ხმამაღალი „ო“-ს მეტი ვერავითარი ზგერა და მარცვალი ვერ წარმოვთქვი. იგი კი სრულიად უდროოდ გაისმა, რადგან მეზობელ სოფელში წინადადით ჩოჩორი მოიპარეს და რამდენიმე ახალგაზრდა საძებრად იყო წამოსული. არაჩვეულებრივი გულმოდგინებით ათვალიერებდნენ ყველა ბოსელს. დახურული შენობიდან რომ ჩემი ყროყინი მოესმათ, იფიქრეს, ამ სახლში უნდა იყოს დამალული ჩვენი ჩოჩორიო და, რათა თავისი საკუთრებისათვის ხელი დაედოთ, უეცრად მთელი გროვა შინ შემოვარდა და მათ თვალს სამაგლობა წარმოუდგა; მოუხმეს მეზობლებს, ყველას უამბეს სასირცხვილო სანახაობის შესახებ და სასაცილოდ აიგდეს ღმერთმსახურთა უწმინდესი უბიწოება.

30. ეს ამბავი მალე გახმაურდა; დამსახურებისდაგვარად ისინი ყველას შეეზიზღა. ასეთი სირცხვილით შეწუხებულებმა შუადამისას აიკრეს გუდანაბადი და ჩუმად მიატოვეს აღნიშნული სოფელი. დილის ცისკრის ამოსვლამდე კარგა მოზრდილი გზა გავიარეთ და მზის სინათლეზე დაუსახლებელ და გზიდან მოშორებულ ერთ ადგილს მივაღწიეთ. დიდხანს ითათბირეს და ბოლოს ჩემი მოკვლა გადაწყვიტეს; მომხსნეს ქალღმერთის ქანდაკება და ძირს დაასვენეს, გამათავისუფლეს ყოველგვარი მოსართავებიდან, მიმაკრეს ერთ მუხაზე, ცხვრის ძვლებიანი მათრახით ისე გამშოლტეს, რომ კინაღამ სული გამძვრა; ერთი მათგანი სულ ნაჯახით ძარღვების გადაჭრას მემუქრებოდა, თითქოს შეუპოვრად გამეთელოს მისი ნამუსი, რომელზედაც, რა თქმა უნდა, ლაქის ნატამალიც არ იყო, მაგრამ სხვებმა მხედველობაში მიიღეს არა იმდენად ჩემი ხსნა, რამდენადაც ძირს დასვენებული ქალღმერთის ქანდაკება და ჩემი ცოცხლად დატოვება ამჯობინეს. ამგვარად, ხელახლა დამტვირთეს, გზაში ხმლის ცემით მემუქრებოდნენ და ბოლოს ერთ სახელგანთქმულ ქალაქს მივაღწიეთ. ერთმა პირველმა მოქალაქეთაგანმა, საერთოდ, ღვთის მოშიშმა ადამიანმა და ჩვენი ქალღმერთის განსაკუთრებით თავყანისმცემელმა, გაიგონა თუ არა წინწილისა და ეზანის ჟღარუნი და ფრიგიული მელოდიის ნაზი ჰანგები, მაშინვე გამოვარდა ქალღმერთის შესახედრად, აღთქმით დადებულ დაპირებისამებრ ისინი დაპატიჟა, შეგვიყვანა თავისი დიდი სახლის გალავანში და ცდილობდა ღვთაების მოწყალება უდიდესი პატივითა და უხვი მსხვერპლით მოეპოვებინა.

31. რამდენადაც მახსოვს, იქ ჩემი სიცოცხლე ერთ-ერთ უკიდურეს საფრთხეში ჩავარდა. ერთმა გლეხმა ჩვენს მასპინძელს თავისი ნანადირევი ვეებერთელა და მსუქანი ირმის შაშხი გამოუგზავნა; იმდენად დაუდევრობა გამოიჩინეს, რომ იგი სამზარეულოს კარზე ჩამოჰკიდეს, ქვევით, ისე რომ, რომელიდაც თავისებურად მონადირე ძაღლმა ჩამოგლიჯა იგი და ნადავლით გახარებულმა, სანამ ვინმე დაინახავდა, სასწრაფოდ წაათრია. დანაკარგის გაგებაზე მზარეული თავის თავს დაუდევრობას აყვედრიდა, დიდხანს ღვარა უნაყოფო ცრემლი, შემდეგ უაღრესად შეწუხებული იმით, რომ პატრონს ერთიც ვთქვათ და სადილი მოეთხოვა, და საერთოდ უზომოდ შეშინებული გამოეთხოვა თავის მცირეწლოვან შვილს, აიღო ბაწარი და თავის ჩამოხრჩობას აპირებდა. ქმრის უბედური შემთხვევა მის უბედურ ცოლს არ გამოეპარა, ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა საბედისწერო მარყუქს და უთხრა:

- ნუთუ ამ უბედურებამ ისე შეგაშინა, რომ სრულიად დაკარგე გონება და ვერ ხედავ, რომ ღვთაებრივი განგება თვითონ გიგზავნის იოლ ხსნას? თუკი

ბედის მიერ მოვლენილმა მწუხარებამ მოსაზრების ნატამალი ოდნავ მაინც შეგარჩინა, ყურადღებით მომისმინე: წაიყვანე ეს სხვისი ვირი, დაკალი, გააკეთე დაკარგულის მსგავსი შაშხი, უკეთესად და უფრო გემრიელად გაამზადე საწებლით და ბატონს ირმის ხორცის მაგიერ მიართვი.

საძაგელ გაიძვერას ჩემი სიცოცხლის ფასით თავისი გადარჩენის აზრმა გაუელვა. შეაქო თავისი ცოლი ჭკვიანი რჩევისათვის და ტყავის გასაძრობად, რასაც უკვე გადაწყვეტილად თვლიდა, დანების ლესვას შეუდგა.

წიგნი მეცხრე

1. ასე ამზადებდა საძაგელი სისხლისმსმელი ჩემ საწინააღმდეგოდ იარაღს. მე კი ამ სახიფათო წუთში ვხედავდი, რომ საჭირო იყო რაიმე გადაწყვეტილების მიღება. ბევრი ფიქრით დრო არ გამიცდენია; გადავწყვიტე გაქცევით ამეცილებინა თავიდან მოახლოებული აღსასრული; დაუყოვნებლივ ავიწყვიტე ბაწარი, რომლითაც დაბმული ვიყავი, სწრაფად გავიპარე და, თავი რომ უფრო დამეცვა, ყოველ წუთს უკანა ფეხებით წიხლებს ვისროდი. წუთში გავირბინე მახლობელი დერეფანი, დაუყოვნებლივ შევვარდი იმ სასადილოში, სადაც მასპინძელი ქალმერთის ქურუმებთან ერთად სამსხვერპლო ნადიმს იხდიდა. სწრაფი სირბილის დროს მივყარ-მოვყარე და დავამტვრიე დიდძალი ჭურჭელი, დავამსხვრიე თვით სანადიმო მაგიდაც კი. ამ საძაგელი თავდასხმის გამო უკმაყოფილო მასპინძელმა ბრძანება გასცა, როგორც მკვირცხლი, ოჩანი ცხოველი, წავეყვანე და სადმე საიმედო ადგილას დავემწყვდიე, რათა ხელმეორე მშფოთვარე გამოცხადებით მშვიდობიანი ნადიმი არ ჩამეშალა. ასეთი ეშმაკური გამოგონებით მოხერხებულად დავიცავი თავი და, ჯალათის ხელიდან დამძვრალი, სულითა და გულით ჩემს გადამრჩენ პატიმრობას შეეხაროდი.

მაგრამ ეს კი მართალია, რომ ფორტუნა უბედურ საათზე დაბადებულ ადამიანს არასდროს გაბედნიერების ნებას არ აძლევს და ღვთაების მიერ მოკუთვნილი ბედისწერის ვერც უკუქცევას შესძლებ და ვერც შეცვლი გონიერი გადაწყვეტილებითა თუ სიფრთხილის ბრძნული ზომებით. ჩემი საქმეც ასე იყო: იმ გამოგონებამაც კი, ერთი წუთის წინ რომ მეგონა მიხსნიდა, დიდ განსაცდელში ჩამაგდო და კინაღამ აღსასრულამდე მიმიყვანა.

2. მაშინ, როცა მსახურები ერთმანეთს რაღაცაზე ეჩურჩულებოდნენ, უცებ სასადილოში ერთი შიშისაგან სახემოქცეული და აკანკალებული ბიჭი შემოვარდა. მოახსენა ბატონს, რომ მეზობელ მოსახვევში ეს არის ძალღიგა, უკანა ჭიშკრიდან რაღაც საოცრებით მათ ეზოში შემოვარდა, გაბრაზებულმა მონადირე ძაღლები დაკბინა, მახლობელ თავლაში შევარდა, ასეთივე მძვინვარებით დაეცა თავს ტვირთმზიდავ საქონელს და ბოლოს ადამიანებიც კი არ დაინდო; მეჯორე მირტილე, მზარეული ჰეფესტიონი, საწოლთფარეში ჰიპატე, მკურნალი აპოლონი და მრავალი სხვა მსახურიც, რომლებიც მის გაგდებას ცდილობდნენ, დაკბინა და დაფლითა, ისე რომ ზოგიერთ ცხოველს, შხამიანი ნაკბენის გამო ისეთივე ცოფის ნიშნები გამოაჩნდათ. ამ ამბავმა ყველანი ძალიან შეაშინა, გადაწყვიტეს, რომ მეც ამ მიზეზით ვბორგავდი, აი, უკვე ყოველგვარი იარაღით შეიარაღდნენ, საერთო განსაცდელის როგორმე თავიდან ასაცილებლად ერთიმეორეს ამხნევებდნენ და გამომიდგნენ უფრო თვითონ ამ სენით - ცოფით შეპყრობილნი. უეჭველად ნაკუწ-ნაკუწად მაქცევდნენ შუბებით, სანადირო დანებითა და ორპირიანი ნაჯახებით, რომელთაც შინაურები მათ იოლად მიაწვდიდნენ, რომ სახიფათო

წუთის მთელი საშინელება მხედველობაში არ მიმეღო და ჩემი პატრონების საწოლ ოთახში არ შევვარდნილიყავი. მაშინ ალყა შემოარტყეს, ჩამიკეტეს გარედან ყველა კარი, რათა ბრაზის მოვლის დროს საშიშროება თავიდან აეცილებინათ და მე კი უკუბრუნებული ცოფის მოქმედებით თანდათანობით სული დამეღია.

ამგვარად, თავისუფლება მომენიჭა და მარტო ყოფნის ბედნიერება მომეცა. ჩავგორდი გამზადებულ ქვეშაგებში და ადამიანურად დავიძინე, როგორადაც დიდი ხანია აღარ მძინებია.

3. უკვე სულ გათენებული იყო, როცა რბილ ქვეშაგებში მოსვენებული მხნედ წამოვხტი და გავიგონე, თუ ისინი, მთელი ღამის განმავლობაში ყარაულობის გამო უძილონი, როგორ ლაპარაკობდნენ ჩემს ბედზე:

- ნუთუ ამდენ ხანს ვერ მოიშორა უბედურმა ვირმა ცოფი?

- იქნებ, პირიქით, ავადმყოფობამ გაიარა ზნეღის შემოტყვის შემდეგო.

რათა აზრთა სხვადასხვაობისათვის ბოლო მოეღოთ, გადაწყვიტეს საქმის გამოკვლევა, შემოიხედეს ჭუჭრუტანაში და დაინახეს, რომ მე წყნარად ვიდექი, ჯანმრთელი და უვნებელი. მაშინ უფრო ფართოდ გააღეს კარი და უნდოდათ გაეგოთ, მოთვინიერდა თუ არაო. ერთი მათგანი, პირდაპირ ზეცით მოვლენილი ჩემი მხსნელი, ჩემი ჯანმრთელობის გამოსარკვევად დანარჩენებს ასეთ რჩევას აძლევს: ახალი წყლით სავსე კათხა მოეტანათ ჩემთვის დასალევად; თუკი არავითარ უკმაყოფილებას არ გამოვხატავდი და უყოყმანოდ დავლევდი მას, მაშასადამე, ჯანმრთელი ვიქნებოდი და ავადმყოფობას სულ გაევლო; თუ პირიქით, სითხის დანახვასა და შეხებას მოვერიდებოდი, მაშინ მავნე ცოფი უთუოდ ისევ გრძელდებოდა. შემოწმების ასეთი წესი უძველესი წიგნებიდან გვაქვს გადმოცემული და ფართოდაა გამოყენებულიო.

4. ეს წინადადება მოიწონეს, მაშინვე აავსეს ვეებერთელა ჭურჭელი მახლობელი წყაროს კამკამა წყლით და გაუბედავად მომიტანეს. მე, წყურვილით პირგამომშრალი, სასწრაფოდ შესახვედრადაც კი გავეშურე, ჩავყავი თავი ჭურჭელში და შევსვი განმკურნავი (ქეშმარიტად განმკურნავი) წყალი. თავმდაბლად ავითანე ხელების შემოკვრა, ყურების სრესა, ლაგამის მოქაჩვა და სხვა ყოველგვარი გამოცდა მანამ, სანამ მათი გიჟური ეჭვების საწინააღმდეგოდ, ჩემი თვინიერება ყველას აშკარად არ დავანახე.

ამგვარად, ავიცილე ორმაგი საშიშროება. მეორე დღეს წმინდა ბარგით, წინწილითა და ებანით დატვირთული მათხოვარა, მაწანწალა ისევ გზას გავუდექი, გავუარეთ მრავალ სახლსა და ეზოს, ერთ სოფელში შევჩერდით, რომელიც ძველი მცხოვრებლების სიტყვით ოდესღაც მდიდარი ქალაქის ნანგრევებზე იყო აშენებული. მახლობელ სასტუმროში დავისადგურეთ, იქ ერთი ღარიბის ოჯახში მომხდარი სასიყვარულო თავგადასავალი გავიგეთ და მინდა თქვენც გაგიზიაროთ.

5. იყო ერთი ძალზე ღატაკი ხელოსანი, რომელიც ლუკმაპურს თავისი მცირე შემოსავლით შოულობდა, ჰყავდა ცოლი და მასაც არაფერი ებადა, მაგრამ ცნობილი იყო თავისი დიდი გარყვნილებით. ერთ მშვენიერ დღეს, დილით, წავიდა თუ არა ქმარი სამუშაოზე, თავხედი საყვარელი მის სახლში მალულად შეძვრა და, სანამ ისინი ვენერას ბრძოლაში იყვნენ უშიშრად გართულნი, მოულოდნელად დაბრუნდა ქმარი, რომელსაც ცოლის ასეთ საქმეებში ეჭვიც არ ეპარებოდა. კარი რომ დახურული და ჩაკეტილიც დახვდა, კიდეცაა მოეწონა ცოლის სიფრთხილე. დააკაკუნა და დაუსტვინა, რათა ცოლისთვის თავის დაბრუნება შეეტყობინებინა. ასეთ საქმეებში გაქნილმა და მოხერხებულმა

დედაკაცმა საყვარლის ალერსს თავი დაანება, კუთხეში, ნახევრად მიწაში ჩაფლულ კასრში დამალა იგი. შემდეგ გააღო კარი და ქმარმა შინ შემოსვლაც კი ვერ მოასწრო, რომ ცოლი გინებით მივარდა:

- რას დატანტალებ უქმად ხელდაკრეფილი? რატომ სამუშაოდ არ წახვალ? ჩვენი ცხოვრებისათვის არ ფიქრობ? მე უბედური კი იძულებული ვარ დღე და ღამე ძალ-ღონე ქსოვას შევალიო, რათა იმდენი ფული მაინც ვიშოვო, რომ ჩვენი სორო ლამპარით გავანათო. ჩემზე რამდენად ბედნიერია მეზობლის ქალი დაფნე, დილიდანვე კიდევაც ჭამს, კიდევაც სვამს და საყვარლებთანაც ერთობა.

6. ასეთი შეხვედრით თავგზააზნეულმა ქმარმა უთხრა, რა მოხდა? ჩემი სამუშაოს პატრონი დღეს სასამართლოში გამოიძახეს და ჩვენ გავგათავისუფლა; მაინც მოვისაზრე, რა გზით უნდა ვიშოვო დღეს სადილის ფული. ხედავ, კუთხეში რომ კასრია ჩაფლული? მუდამ ცარიელია და ადგილს ტყუილად იჭერს; მისგან არავითარი სარგებელი არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ მოძრაობას გვიშლის. აი, ხუთ დინარად გავყიდე და მყიდველი უკვე აქაა, ფულს გადაიხდის და თავის საკუთრებას წაიღებს. ასე რომ შენ ხმა ჩაიკმიდე, ცოტა მომეხმარე - მიწიდან უნდა ამოვათრიოთ და მყიდველს მივცეთ.

გაიგონა თუ არა ეს მატყუარამ, წუთში მოისაზრა, როგორ გამოეყენებინა შექმნილი მდგომარეობა, უტიფრად გადაიხარხარა და ქმარს უთხრა:

- ოჰ, ოჰ, რა ქმარი შემხვდა, რა ქმარი?! ჩინებული ვაჭარია: ხუთ დინარად ყიდის ნივთს, რომელიც მე, შინ მჯდომმა დედაკაცმა, შვიდად გავყიდე!

დანამატით გახარებულმა ქმარმა ჰკითხა:

- ვინ მოგცა მერე ამდენი?

ქალმა მიუგო:

- აი, შე ბრიყვო, იგი უკვე დიდი ხანია ჩაძვრა კასრში გასასინჯად, უნდა გაიგოს მაგარია თუ არა იგი.

7. საყვარელმა ყური მოჰკრა ამ სიტყვებს, თავი ამოყო და წარმოთქვა:

- დიასახლისო, გინდა მართალი გითხრა? კასრი ძალიან ძველია და მრავალგანაა გაზარული. - შემდეგ ქმარს მიუბრუნდა და, თითქოს ვერც კი იცნო, განგებ უთხრა: - ეი, პატივცემულო, რომელიცა ხარ მანდ, მალე მომაწოდე ლამპარი, ერთი ტალახი ამოვწმინდო და შევძლო დანახვა, ვარგა თუ არა ეს რამედ; ფული მოპარული მაქვს თუ რა გგონია?

თავმდაბალმა და გულკეთილმა ქმარმა მალე და ეჭვიმუტანლად აანთო ლამპარი და მიმართა:

- ამოძვერი, ძმაო, მაცალე, სანამ მე თვით კარგად ამოვწმენდ. - თქვა ეს, ტანთ გაიძრო, ჩაიტანა თან ლამპარი და დაუწყო ფხეკა მრავალწლიანი სიბინძურით მიმხმარ ქერქს დამპალი ჭურჭლის ფსკერიდან. საყვარელმა კი, ამ მშვენიერმა ყმაწვილმა, მიაყუდა მისი ცოლი კასრზე და წაკუზულს უშფოთველად ამუშავებდა. ამასთანავე ამ გარყვნილმა, გაიძვერა დედაკაცმა თავი გადაყო კასრში, ქმარს დასცინოდა და თითოთ უჩვენებდა, თუ სად გამოეფხიკა, აი ამ ადგილას და იმ ადგილას, ისევ ამ ადგილას და ისევ იქო, სანამ ორივე საქმე არ დამთავრდა. საწყალმა მუშამ მიიღო შვიდი დინარი და იძულებული გახდა თავისი ცოლის საყვარლის სახლამდე კასრი ზურგით მიეთრია^[140].

8. უწმინდესმა ღმერთმსახურებმა იქ რამდენიმე დღე დაყვეს, საზოგადოებრივი გულუხვობის ხარჯზე გამოიკვებნენ, მისნობაში მრავალი

საჩუქარი შეაგროვეს და ფულის მოსაგებად ახალი საშუალება გამოიგონეს. ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევისათვის ერთი საერთო წინასწარმეტყველება დაადგინეს და ასე ასულელებდნენ ადამიანებს. წინასწარმეტყველება ამბობდა:

დაუღლული ხარები მიწას იმიტომ ხნავენ, -
მომავალში ნათესი თავისუფლად ამწვანდეს.

თუ შეუღლების მსურველნი რჩევას ჰკითხავდნენ, ისინი არწმუნებდნენ, პასუხი სწორედ მიზანს შეესაბამებოდა: შეუღლებულნი მრავალრიცხოვან შთამომავლობას წარმოშობდნენ; თუ მიწა-წყლის შეძენის მსურველი ადამიანი შეეკითხებოდა, ქურუმი სწორად ლაპარაკობდა ხარებზე, მათ უღელში შებმავ და აყვავებულ ნათეს ველებზე; თუ ვინმეს მომავალი მგზავრობისათვის ღვთაებრივი მითითება სურდა, გაბმული ხარები ტვირთშიდავი ცხოველის მშვიდ ზნეს უჩვენებდა და ნათესი კი მოგებას; რომელსაც უნდოდა გაეგო, მისი გამარჯვებით დამთავრდებოდა თუ არა ბრძოლა, ან ავაზაკთა ბრბოს მიერ დევნა, ისინი უმარტავდნენ, გამამხნეველი წინასწარმეტყველება სრულ გამარჯვებას აღნიშნავს, რადგან მტერთა თავები უღელქვეშ მოიხრება და ხელში დიდ მოგებას და ნაყოფიერ ნადავლს ჩაიგდებო. - ამ თვალთმაქცური მისწობით ბევრი ფული მოხვეტეს.

9. მაგრამ, რადგან რჩევის მსურველთა მეტისმეტმა ხშირმა მიმართვამ მათი განმარტება ამოწურა, აიყარნენ და ხელახლა გზას გაუდგნენ, ბევრად უფრო ცუდს, ვიდრე ღამით გამოვიარეთ. თვითონ გასინჯეთ, გზა სულ დაღარული იყო ღრმა თხრილებით, ნაწილობრივ დამდგარი წუმპეებით იყო ამოვსებული და ნაწილობრივ კი - ტალახით გალესილი. წამდაუწუმ ვფორხილობდი, განუწყვეტლივ ვეცემოდი, ფეხები დამებეგვა და დიდი შრომით გამოვალწიე თუ არა ახალ გზაზე, მოულოდნელად ხელშუბებით შეიარაღებულ მხედართა ჯგუფი წამოგვეწია. ძლივს შეაჩერეს თავისი ბედაურები, სწვდნენ კისერში ფილებს და სხვა მგზავრებს, სადაგელ მკრეხელებს უწოდებდნენ და ცემა დაუწყეს, ხელებზე ყველას ბორკილები დაადეს, გაუთავებელი მუქარით დაასხდნენ მათ: - აბა, მოიტათ, მოიტათ ოქროს თასი, რომელმაც თქვენ მოგხიბლათ და ბოროტმოქმედება ჩაგადენინათ. მოიმიზეხეთ საიდუმლო ღმერთმსახურება, ჩუმად ააცალეთ იგი ღვთისმშობლის წმინდა ბაღიშებიდან და უმაღლეს, თითქოს ასეთი ავკაცობისთვის სასჯელის აცილება შეძლებოდეს, ინათლა თუ არა, გაუფრთხილებლად ყველამ ქალაქის კედლები დატოვეთო.

10. ერთმა კაცმა ჩემს ზურგზე ხელების ფათური დაიწყო და ყველას თვალწინ, თვით ქალღმერთის ტანსაცმლის კალთაში, ოქროს ჭურჭელი აღმოაჩინა. მაგრამ ესოდენ სადაგელმა ბოროტმოქმედებამ ვერ შეაძრწუნა და ვერ შეაშინა ეს ბინძური ბრბო. თვალთმაქცური სიცილით უარის გამოგონება დაიწყო...

- რა საოცარი და უკადრისი ამბავია! რა ხშირად გაებმებიან ხიფათში უდანაშაულო ადამიანები! ღვთისმშობელმა თავის დას, სირიელ ქალღმერთს, უსახსოვრა იგი და განა ღირს სარწმუნოების მსახურთათვის სისხლის სამართლის დანაშაულის წაყენება?

მაგრამ ამაოდ ლაყბობდნენ ისინი ასეთ და მსგავს სიცრუეს, გლეხებმა იმ წუთას უკან დააბრუნეს ისინი, შებოჭეს და ტულიანუმში^[141] ჩამწყვდიეს, თასი და ქალღმერთის ქანდაკება ტაძრის საგანძურში შეინახეს, როგორც შემოწირულება. მე კი მეორე დღეს ხელახლა გამიყვანეს ბაზარზე გასაყიდად და შემფასებლის მეოხებით იმ ფასთან შედარებით, რომლითაც წინათ ფილებემ

მიყიდა, შვიდი წუმით უფრო ძვირად მიმიყიდეს ერთ მეწისქვილეს. მან იქვე ნაყიდი ხორბალით მაშინვე დამტვირთა და საკმაოდ ძნელი, წვეტიანი ქვითა და ყოველგვარი ფესვებით სავსე გზას გამიყენა იმ წისქვილისაკენ, სადაც თვითონ მუშაობდა.

11. იქ მრავალი საკიდარი საქონელი განუწყვეტლივ უვლიდა წრეს და წისქვილის დოლაბებს ატრიალებდა. მანქანის შეუნელებელი მოძრაობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში ხორბალს განუწყვეტლივ ფქვავდა. ახალმა პატრონმა, უთუოდ, იმიტომ, რომ მე მაშინვე მუშაობის არ შემშინებოდა, ისე კარგად მომათავსა, როგორც წარჩინებული უცხოელი^[142].

ნება მომცა პირველი დღე უქმად გამეტარებინა და ბაგა საზრდოთი ამივსო. მაგრამ ასე უქმად ყოფნის სიტკბოება და საძლომად კვება ერთ დღეზე მეტს არ გაგრძელებულა. მეორე დღეს დილიდანვე მიმაბეს ერთ შესახედავად ყველაზე დიდ დოლაბს და მომრგვალებულ სივრცეზე გაყვანილი გზით თვალეზახვეულს მერეკებოდნენ, რათა, ერთი და იმავე წრის განუსაზღვრელი რაოდენობით შემოვლის გამო, გზას არ ავცდენოდი. ეშმაკობა და გონიერება ჯერ კიდევ მთლიანად დავიწყებული არ მქონდა და მოვიგონე, თითქოს ახალ საქმეს ვერ მივხვდი; თუმცა ჩემი ადამიანად ყოფნის დროს არაერთხელ მინახავს, თუ როგორ მოდიან მოძრაობაში მსგავსი მანქანები, მაგრამ მათ თავი ისე ვაჩვენე, თითქოს არაფერი მესმოდა და გამეგებოდა, განგებ გავშემდი. მეგონა, ამგვარი სამუშაოსთვის გამოუსადეგრად და უნიჭოდ ჩამთვლიან, რომელიმე უფრო იოლ სამუშაოზე გამგზავნიან, ან თავს მიმანებებენ და ტყუილად მკვებავენ-მეთქი. მაგრამ ამაოდ მოვისაზრე ასეთი მავნე ეშმაკობა. თვალეზი ახვეული მქონდა და არ ვიცოდი, თუ ჯოხებით შეიარაღებული ბრბო მერტყა გარს და მოცემულ ნიშანზე ყველამ საშინელი ყვირილით ცემა დამიწყო. ამ ღრიალით ისეთი თავზარი დამცეს, რომ ყოველგვარ მსჯელობას დავეთხოვე, მთელი ძალ-ღონით გავწიე სელის ბაწარი და წრის გარშემო სირბილი დავიწყე. ჩემი მოქმედების ასეთმა უეცარმა ცვალებადობამ დამსწრეთა შორის საერთო სიცილი გამოიწვია.

12. როცა დღის უმეტესი დრო გავიდა და უკვე დავიქანცე, ამიშვეს, დოლაბს მომაშორეს და ბაგისაკენ წამიყვანეს. თუმცა დადლილობისაგან ფეხზე ძლივს ვდგებოდი, აუცილებლად ძალ-ღონის აღდგენას ვსაჭიროებდი, მაგრამ მაინც ჩვეული ცნობისმოყვარეობა მტანჯავდა და მოსვენებას არ მაძლევდა. ასე რომ გადავდე ჩემთვის ბლომად მოცემული საზრდო და ერთგვარი კმაყოფილებით დაუწყე თვალიერება მთელი გარემოს არასასიამოვნო მოწყობილობას. დიადო ღმერთებო, რა საცოდავი კაცუნები მერტყნენ გარს! კანი ყველას სისხლის ჩაქცევისაგან ლურჯად ჰქონდა აჭრელებული, ნაცემ ზურგებს მათ უფრო უჩრდილავდა, ვიდრე უფარავდა ძონძები. ზოგიერთებს მოკლე ტანსაცმელი მხოლოდ საზარდულებამდე თუ წვდებოდათ, ყველას დაცხრილული ტუნიკები ეცვათ, სხეული უჩანდათ, დადალული შუბლი ჰქონდათ^[143], ნახევარი თავი გადახოტრილი, ფეხებზე ბორკილები, დამიწებული სახეები, ცხელი ორთქლითა და კვამლით შეტრუსული წამწამები, ყველა მობრმავო იყო, ამასთანავე ყველას ბინძური ფერფლივით ფქვილის მტვერი ისე ეყარა, როგორც მოკრივეებს წმინდა სილა, საჭიდაოდ რომ გამოდიან ხოლმე.

13. რა შემძლია ვთქვა და როგორი საღებავებით აღწერო ჩემი ბოსელის თანაამხანაგები? რა დაჩაჩანაკებული ჯორები იყვნენ და რა გაძვალტყავებული ჯაგლაგები! ბაგაში ჩიჩვირჩაყოფილნი ბზეს იცოხნიდნენ. ჰქონდათ დაჩირქებული და დაწყლულებული ქედები, განუწყვეტელი,

ავადმყოფური ფრუტუნის გამო დამჟკნარი, დაბერილი ნესტოები, გამუდმებით სელის ბაწრის ხეხვით დაწყლულებული მკერდი, შეუწელებელი მათრახის ცემით გაშიშვლებული ნეკნები, ყოველთვის ერთ ადგილზე ტრიალით საზარლად გაბრტყელებული ფლოქვები, ძველი და ბინძური მუნით ერთიანად დაფარული და დამჟკნარი ტყავი. ასეთი თანაამხანაგების საშინელი მაგალითით შეშინებულმა ძველი ლუციუსის ბედი მოვიგონე, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, თავი დავხარე და დავსევდიანდი. ტანჯულ ცხოვრებაში ერთადერთი ნუგეშია დამრჩა: გავრთობილიყავ ჩემი თანდაყოლილი ცნობისმოყვარეობით და მეცქირა ადამიანებისათვის, რომლებიც არაფრად აგდებდნენ, ისე თავისუფლად ლაპარაკობდნენ და მოქმედებდნენ, როგორც სურდათ. ბერძენთა უძველესი პოეზიის ღვთაებრივმა შემოქმედმა^[144] ჩვენთვის მაღალგონიერი ვაჟკაცის ჩვენების სურვილით ტყუილად კი არ გამოსახა სიკეთით სრულყოფილი, უცხო ქვეყნებში მოგზაური და სხვადასხვა ხალხის შემსწავლელი ადამიანი^[145]. თვით მე ვირის სახით ჩემს არსებობას დიდი მაღლიერებით ვიგონებ, რადგან ამ ტყავის საფარველში ბედის ცვალებადობა ვიგეძე და უფრო გონიერი თუ არა, უფრო გამოცდილი მაინც შევიქენი. აი, მაგალითად, გადავწყვიტე გაუწყოთ ერთი მშვენიერი, სხვაზე უკეთესი, საყურადღებო ამბავი.

14. ჩემს შემძენ მეწისქვილეს, კარგს და ფრიად თავმდაბალ კაცს, წილად ხვდა უსაძაგლესი, სხვა ქალებზე გაცილებით უარესი ცოლი, რომელიც იმ ზომამდე არღვედა ცოლქმრულ და ოჯახურ კანონებს, რომ, ჰერკულესს გეფიცებით, მეც კი შემცოდებია ჩემი პატრონი და ჩუმად მრავალგზის ამომიოხრავს. არ იყო ისეთი ნაკლი, რომ ამ საძაგელ ქალს არ ჰქონოდა; იგი ისე შეიცავდა ყოველგვარ სიბილწეს, როგორც ბინძური ორმო; ავი, ცეტი, მამაკაცებში დაეთრეოდა, გაღეშილი გორავდა, ჯიუტი, ქედმაღალი, ძარცვა-გლეჯას დახარბებული, სამარცხვინო ხარჯვაში ხელგაშლილი, ერთგულების მოძულე, პატიოსნების მტერი, ღვთაებრივი კანონების გამთელი, ამ კანონების მაგიერ ასრულებდა რომელიღაც ცრუ და მკრეხელური რელიგიის ქარაფშუტულ წესებს, დიდგულად ირწმუნებოდა, რომ იგი ყველა ხალხთა ერთღვთაებას ცემს თავყვანს. თავის უბედურ ქმარს ასე ატყუებდა და თვითონ კი დილიდანვე ლოთობითა და გამუდმებული მრუშობით თავის სხეულს ბილწავდა.

15. ეს ქალბატონი რაღაც გასაოცარი სიძულვილით მღევნიდა. ალიონზე ისევ ლოგინში მწოლარე ყვიროდა, რათა ახლად ნაყიდი ვირი წისქვილის დოლაბზე მიებათ; საწოლი ოთახიდან გამოსვლისთანავე განკარგულებას იძლეოდა, რომ მისი თანდასწრებით რაც შეიძლება მეტი ეცემნათ ჩემთვის. როცა კვების დრო დადგებოდა და სხვა ტვირთმზიდავი ცხოველები ისვენებდნენ, ბრძანებას გასცემდა, რათა გვიან მივეშვი ბაგასთან. ამგვარმა სიმკაცრემ კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, რომელიც მან თავის თავისა და თავის ხასიათისადმი მიიზიდა. გავიგე, რომ მასთან საწოლ ოთახში ძალიან ხშირად დადიოდა ერთი ყმაწვილი კაცი. მინდოდა მისი დანახვა, მაგრამ ჩემს თვალებს აფარებული სახვევი უშლიდა თავისუფალ მოქმედებას. ეს სახვევი რომ არა, ეშმაკობა მეყოფოდა როგორმე ამ გარყვნილი ქალის ბოროტება გამეგო. ყოველდღე, დილიდანვე მასთან იმყოფებოდა ერთი დედაბერი, მისი საძაგლობის მონაწილე, მრუშობის შუამავალი და საყვარლების შიკრიკი. ჯერ ისაუზმებდნენ, შემდეგ შეურეველ ღვინოს სვამდნენ. ერთმანეთს აქეზებდნენ და გეგმებს აწყობდნენ, თუ როგორი

ემშაკური მოტყუებით დაელუპათ უბედური ქმარი. თუმცა ძალიან გულმოსული ვიყავი ფოტიდას შეცდომაზე, რადგან მან ფრინველის მაგიერ ვირად მაქცია, მაგრამ ჩემს სამწუხარო გარდაქმნაში თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებდი, რომ ვეებერთელა ყურების მეოხებით მშვენივრად მესმოდა ისიც კი, რასაც ჩემგან მოშორებით ლაპარაკობდნენ.

16. ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ყურებამდე ამ უნამუსო დედაბრის ასეთმა სიტყვებმა მოაღწია:

- თვითონ განსაჯე, ქალბატონო, როგორი ზარმაცი და მშიშარაა ის შენი მეგობარი, რომელსაც ჩემს დაუკითხავად დაუახლოვდი. საკმარისია, შენ მიერ შემაგებულმა და შეძულებულმა ქმარმა წარბი შეიკრას, რომ მას შიშისაგან სული ძვრება. შენი სიყვარულის წყურვილს თავის უსიცოცხლო ლაჩრობით აწვალებს. რამდენად სჯობს მას ფილესითერი^[146], იგი ახალგაზრდაცაა, კარგიც, გულუხვიც, გაბედულიც. როგორ მოხერხებულად უვლის გვერდს ქმრების სიფხიზლეს, ოსტატურად ატყუებს მათ - ამაოა მათი ყოველგვარი სიფრთხილის ზომები! ჰერკულესს გეფიცები, ყველა ქალთა თაყვანისცემის ღირსია. მარტო იგი უნდა შემკობილიყო ოქროს გვირგვინით განსაკუთრებით ერთი ემშაკობისათვის, რომელიც ამ დღეებში ერთ ეჭვიან ქმარს დიდი მოხერხებით მოუწყო. აი მოისმინე და შეადარე, ყველა ერთნაირია თუ არა.

17. იცნობ თუ არა აქაურ დეკურიონს^[147], ბარბარუსს, რომელსაც ხალხმა გესლიანი ენისა და სიმკაცრისათვის მორიელი უწოდა? თავისი წარჩინებული შთამომავლობისა და იშვიათი სილამაზის მქონე ცოლს ისე საოცრად უფრთხილდება, რომ თითქმის სახლიდანაც არ უშვებს.

აქ მეწისქვილის ცოლმა გააწყვეტინა:

- როგორ არა, მშვენივრად ვიცნობ, შენ გულისხმობ არეტეს^[148], ჩვენ სკოლაში ერთად ვსწავლობდით.

- მაშასადამე, - უთხრა დედაბერმა, - იცი რა შეემთხვა მას ფილესითერთან?

- არაფერი ვიცი და გთხოვ, დედობილო, გევედრები, ყველაფერი დაწვრილებით მიაბზო.

დაულალავ, ყბედ დედაბერს ბევრი თხოვნა არ დასჭირდა და ასე დაიწყო:

- ერთხელ ბარბარუსს გამგზავრება მოუხდა და სურდა თავისი მეუღლის უბიწოება ყოველგვარი სამიშროებისგან რაც შეიძლება კარგად დაეცვა. ფარულად მოიხმო თავისი ერთგული მონა მირმეკი^[149] და მთელი პასუხისმგებლობით მხოლოდ მას მიაწოდო ქალბატონის მოვლა. ციხით, სამუდამო ბორკილებით, იძულებული შიმშილით და, ბოლოს, ძალადური, სამარცხვინო სიკვდილითაც კი დაემუქრა, თუკი რომელიმე მამაკაცი თუნდაც გავლით თითს შეახებდა ან შემთხვევით გაეკარებოდა ქალს. მან თავისი სიტყვები საშინელი ფიცით დაამოწმა. შეშინებული მირმეკი ცოლის ფხიზელ დარაჯად დატოვა, თვითონ კი გულდამშვიდებული გაუდგა გზას. მოუსვენარმა მირმეკმა კარგად დაიხსომა ყველა დარიგება და ქალბატონს ფეხის გადადგმის ნებას არ აძლევდა. დაიწყებდა თუ არა ქალბატონი მორთვას, მირმეკი იქ იჯდა. წავიდოდა დაწოლის წინ საბანაოდ - სახლიდან მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, იგი ისე დაყვებოდა ფეხდაფეხ, თითქოს მის კაბაზე მიწებებული ან ხელჩაკიდებული ყოფილიყოს. ერთი სიტყვით, დავალებულ საქმეს საოცარი ერთგულებით ასრულებდა.

18. მაგრამ ფილესითერის სიფხიზლეს არ გამოეპარა ქალის სილამაზე. იგი აღანთო და აღაგზნო განსაკუთრებით ქალის უმანკოებაზე გავარდნილმა ხმამ და მისდამი არაჩვეულებრივმა მკაცრმა მეთვალყურეობამ. მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა, ყველაფერი აეტანა და ეღონა ამ შეურყეველი, მტკიცე ზნე-ჩვეულების მქონე სახლის დასაპყრობად. დარწმუნებული იყო ადამიანის ერთგულების სისუსტეში, იცოდა, ფული ყოველგვარ სიძნელეში გზას გაიკაფავს ხოლმე და რომ ოქრო ფოლადის კარსაც გატეხს; მარტო იხელთა მირმეკი, გაუმჟღავნა თავისი სიყვარულის ამბავი და შეევედრა, ამ გასაჭირში დახმარებოდა: ეუბნებოდა, თუ დროზე ვერ მივაღწევ საწადელს, ჩემი სიკვდილი გადაწყვეტილი და აუცილებელიაო, შენ კი, - უთხრა მან მირმეკს, - ასეთი უბრალო საქმისათვის არავითარი ხიფათი არ შეგხვდება: სადამო ჟამს სხვის შეუმჩნევლად სიბნელეში საიდუმლოდ შემოვალ და მალე უკანვე გამოვალ. ამას და მსგავს სათხოვარს დაუმატა მძლავრი სოლი, რომელსაც შეუკავებელი დაწოლით მონის ჯიუტი შეურყევლობის გატეხა შეეძლო: გაუშვია ხელი და მზინავი, ახალი ოქროს ფული უჩვენა; აქედან ოცი ახალგაზრდა ქალისთვის იყო გადადებული, ათს კი სიამოვნებით მირმეკს სთავაზობდა.

19. გაუგონარი მზაკვრობის განზრახვის გამო მირმეკს ელდა ეცა, ყურები დაიციო და გაიქცა. თვალწინ სულ მოელვარე ოქროს ბრწყინვალეობა ედგა. თუმცა დიდი მანძილი გაიარა და ჩქარი ნაბიჯით სახლამდეც მივიდა, მაგრამ ოქროს ლივლივი ელანდებოდა. მდიდრულმა გამოსარჩენმა, რომელიც მისი ფიქრით უკვე მას ეკუთვნოდა, გონება აურია, უბედურს აზრი დაეზნა და სხვადასხვა მხრივ დაეფანტა: ერთი მხრივ - ერთგულება, მეორე მხრივ - სიმდიდრე, აქ ტანჯვანი, იქ ბედნიერება. ბოლოს ოქრომ დასძლია სიკვდილის შიშს. მშვენიერი ფულის მიმზიდველობითი ძალა დრომ ვერ შეანელა, ძილშიც კი მისი გონება დამღუპველი სიხარბით იყო აღსავსე. თუმცა ბატონის მუქარა სახლიდან გარეთ გასვლის ნებას არ აძლევდა, მაგრამ ოქრო გარეთ ეპატიჟებოდა. დასძლია მორცხვობა, თავი დაანება ყოყმანს და ფილესითერის წინადადება ქალბატონს გადასცა. არეტემ გაამართლა აზრი ქალურ ქარაფშუტობაზე და სწრაფად გასცვალა თავისი უბიწოება საძაგელ ლითონზე. სიხარულით აღვსებული მირმეკი ჩქარობდა, რათა თავისი ერთგულებისათვის ბოლო მოეღო, ოცნებობდა - არათუ დაუფლებოდა, ხელით მაინც შეხებოდა იმ ფულს, რომელიც, თავისდა საუბედუროდ, დაინახა. აღტაცებულმა აუწყა ფილესითერს, რომ ჩემი დიდი მონდომებით შენი სურვილი შესრულებულიაო, მაშინვე დაპირებული გასამრჯელო მოითხოვა და, აი, ოქროს ნუშები აღმოჩნდა მირმეკის ხელში, რომელიც აქამდე სპილენძის ფულსაც კი არ იყო ჩვეული.

20. როცა სრულიად დაბნელდა, კარგად თავშეხურვილი საყვარელი ჯერ სახლისაკენ წაიყვანა და მერე ქალბატონის საწოლი ოთახისაკენ. ის იყო ჯერ კიდევ გამოუცდელი ხვევით შეუდგნენ ახალდაბადებული სიყვარულის სიამეს, ის იყო გაშიშვლებული მეგრძოლები ვენერას დროშით საქმეს შეუდგნენ, რომ მოულოდნელად კართან ღამის სიბნელეში მოსული ქმარი გაჩნდა. აი, უკვე დაიწყო რახუნი, ყვირილი, ჭიშკრიდან ქვის სროლა და, რადგან დაგვიანება მას თანდათან საეჭვოდ ეჩვენებოდა, მირმეკს დაემუქრა, რომ სასტიკად გაუსწორდებოდა. მირმეკი მოულოდნელი უბედურებისგან შემფოთდა და საცოდავმა ცახცახისაგან მოსაზრების უნარიც დაკარგა. უკეთესი ვედარაფერი მოიგონა და მოიმიზეზა, გასაღები სადღაც საიმედოდ შევიწახე და სიბნელეში ვეღარ მივაგენიო. ამასობაში ფილესითერმა ხმაური გაიგონა, სასწრაფოდ

გადაიკვა ტუნიკი, ფაცაფუცში სრულიად დაავიწყდა ფეხსაცმელის ჩაცმა და საწოლი ოთახიდან ფეხშიშველი გამოვარდა. ბოლოს მირმეკმა გასაღები ჭუჭრუტანაში შეყო, კარი გააღო და შემოუშვა ბატონი, რომელიც ილანძღებოდა და იგინებოდა. იგი მაშინვე საწოლ ოთახში შევარდა. ამასობაში მირმეკმა ჩუმი გააპარა ფილესითერი. გადააბიჯა თუ არა ყმაწვილმა ზღურბლს, მირმეკმა თავი გადარჩენილად ჩათვალა, ჩაკეტა კარი და ისევ დასაძინებლად წავიდა.

21. ბარბარუსი ალიონზე გამოვიდა თავისი ოთახიდან და დაინახა საწოლის ქვეშ სხვისი ფეხსაცმელი, რომლითაც ფილესითერი მის სახლში შემოიპარა. ამით მიხვდა, რაშიც იყო საქმე, თავისი ნაღველის შესახებ ცოლსა და შინაყმებს არაფერი უთხრა, ეს ფეხსაცმელი ჩუმი ილიაში ამოიღო და დამალა. მხოლოდ მონებს უბრძანა მირმეკი შეეხოჭათ და საბაზრო მოედანზე გაეყვანათ. თვითონ კი მკერდიდან არაერთხელ აღმომხდარ ღმუილს ახშობდა, დარწმუნებული იყო, ამ ფეხსაცმლით ძალიან ადვილად წავაწყდები მრუშის კვალსო, და ბაზრისაკენ გაემურა. ბარბარუსი განრისხებული და წარბშეკრული მიდიოდა, მას უკან შებორკილი მირმეკი მიჰყვებოდა, რომელიც, მართალია, ბოროტმოქმედების ადგილზე არ იყო წასწრებული, მაგრამ სინდისის ქენჯნით იტანჯებოდა, ცხარე ცრემლს ღვრიდა და საცოდავი ოხვრით ტყუილად ცდილობდა მისდამი თანაგრძნობის გამოწვევას.

საბედნიეროდ, სრულიად სხვა საქმეზე მიმავალი ფილესითერი შემოხვდათ. მოულოდნელმა სანახაობამ ააღელვა, მაგრამ არ შეშინდა; გაიხსენა, თუ როგორი დაუდევრობა ჩაიდინა სიჩქარის გამო და სწრაფად მოისაზრა მოსალოდნელი შედეგები. მისთვის ჩვეული სულიერი სიმშვიდით მისწი-მოსწია მონები, ყვირილით (მაგრამ უმტკივნეულოდ) დაუწყო მირმეკს ცემა სახეში და თან ეუბნებოდა:

- აი შე საძაგელო, აი შე ვერაგო! დაე, შენი ბატონისა და ყველა ზეციურ ღვთაებათაგან, რომელთაც ტყუილზე დაფიცებით შეურაცხყოფ, ბოლო მოგელოს, შე საძაგელო, საძაგელი სიკვდილით! გუშინ ხომ აბანოში ფეხსაცმელი მომპარე! დაიმსახურე, ჰერკულესს გეფიცები, დაიმსახურე ის, რომ ეს ბაწრები შემოგაღპეს, და თვით შენც ბნელ საპყრობილეში ჩაგაღპონ!

ყოჩაღი ჭაბუკის მოხერხებული თვალთმაქცობით ბარბარუსი მოტყუვდა და უფრო მეტიც - დამშვიდდა კიდევ, ხელახლა ნდობით განიმსჭვალა, იქიდან გამობრუნდა, მირმეკს შინ მოუხმო და უთხრა, სულითა და გულით მიპატიებია დანაშაული და მოპარული ნივთი პატრონს დაუბრუნეო.

22. დედაბერი კიდევ განაგრძობდა ლაყბობას, მაგრამ ქალმა შეაწყვეტინა:

- ნეტავი იმ ქალს, ვისაც ასეთი ძლიერი და უშიშარი მოკეთე ჰყავს, მე უბედურს კი ისეთი მეგობარი მხვდა წილად, რომ ყველაფრისა ეშინია, დოლაბის ხმაურისა და საძაგელი ვირის ჩიჩვირის დანახვისაც კი.

ამაზე დედაბერმა უთხრა:

- მე შენ ისე მოგვრი ასეთ უშიშარ, საიმედო, დაუღალავ საყვარელს, როგორც სასამართლოს უწყებით გამოწვეულს. - ეს უთხრა და შემდეგ შეთანხმდნენ, რომ საღამოს ისევ მოვიდოდა და ოთახიდან გავიდა.

სათნო ცოლი იმწყუთას ჭეშმარიტად სალიური ვახშმის მზადებას შეუდგა, დაიწყო ძვირფასი ღვინოების გაწურვა და ძეხვებისათვის ახალი საწებლის გაკეთება. გააწყო მდიდრული სუფრა და საყვარლის მოსვლას ისე ელოდებოდა, როგორც რომელიმე ღვთაების გამოცხადებას. სწორედ იმ დღეს

ქმარიც არ იყო შინ სადილად, - მეზობელ მენაბდესთან იყო წასული. როცა დანიშნული დრო მოახლოვდა, ამიშვეს და თავისუფლად ჭამის საშუალება მომცეს. მაგრამ, ჰერკულესს გეფიცებით, იმდენად მუშაობისაგან განთავისუფლება არ მიხაროდა, რამდენადაც ის, რომ თვალები ამიხსნეს და შესაძლებლობა მომეცა ამ მუხანათი დედაკაცის ხრიკებისათვის მეყურებინა. მზე უკვე ოკეანეში ჩაინთქა და მიწისქვეშა ქვეყნებს ანათებდა, რომ საზოგადოარი დედაბერი დაბრუნდა. გვერდით ჯერ კიდევ ყრმობის ასაკიდან გამოუსვლელი, გამოუცდელი საყვარელი მიჰყვებოდა. მისი უწვერულვაშო სახე იმდენად მშვენიერი იყო, რომ ჯერ კიდევ თვით მას შეეძლო საყვარლები დაეტკბო. ქალი მას მრავალი კოცნით მიეგება და მაშინვე გაწყობილ სუფრასთან მიიპატიჟა.

23. ჭაბუკმა ვერც კი მოასწრო პირველი თასის დაწაფება და ღვინის გემოს გაგება, რომ დაბრუნდა ქმარი, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მოელოდნენ. ღირსეულმა მეუღლემ ქმარს ურიცხვი წყევლა-კრულვა გაუგზავნა, ფეხებიც მოგტეხიაო, გაიფიქრა გულში. აკანკალებული და შიშისაგან გაფითრებული საყვარელი დამალა შემთხვევით იქვე მდებარე კასრში, რომელშიც ჩვეულებრივ შერეულ მარცვალს წმენდავენ ხოლმე. შემდეგ, თანდაყოლილი ცბიერებით თავისი სამარცხვინო საქციელი დამალა, მშვიდი გამომეტყველება მიიღო, აქაო და არაფერი მომხდარაო, ქმარს შეეკითხა, თუ რად დატოვა ასე ადრე მისი გულითადი მეგობრის სუფრა. ქმარმა გულის სიღრმიდან მწარედ ამოიოხრა და ასე მიუგო:

- ვერ შევძელი უნამუსო დედაკაცის უღვთო, გაუგონარი ბოროტების ატანა და გამოვიქეცი! კეთილო ღმერთებო, რა დარბაისელი დედაკაცი ჩანს, როგორი ერთგული, რა თავდაჭერილი და თავი კი ასე საძაგლად შეირცხვინა! მერე როგორმა ქალმა... არა, გეფიცებით ქალღმერთ ცერერას, რომ ახლაც არ ვუჯერებ ჩემს თვალებს!

ქმრის სიტყვებით დაინტერესებულ ცოლს დიდი სურვილი აღედგრა გაეგო, რა მოხდა და ურიცხვი დედაკაცი მანამ არ მოეშვა, სანამ თავისას არ მიაღწია და დაწვრილებით ყველაფერი თავიდან არ აამბობინა. ქმარმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ცოლის დაჟინებას დაუთმო და თავისი საკუთარი უბედურების არმცოდნე, სხვისი ოჯახის უბედურების ამბავი ასე დაიწყო^[150]:

24. - ჩემი მეგობრის, მენაბდის, ცოლი, ქალი აქამდე რომ განსაკუთრებული სათნო, უმანკო და, როგორც ყველას ეგონა, ოჯახის პატიოსანი დამცველი ჩანდა, თურმე სინამდვილეში ვიღაც საყვარელთან ფარულად ტკბებოდა. საიდუმლო პაემანი მათ ხშირად ჰქონოდათ, და მაშინაც კი, როცა ჩვენ დაბანილნი, სავახშმოდ მივედით, იმ ყმაწვილ კაცთან ავხორცობით იყო გართული. ჩვენი უეცარი მისვლით შემფოთებულმა ერთბაშად ეს მოისაზრა, რომ მაღალი, წვრილი წნელებით მოწნული გოდრის ქვეშ შესვა ყმაწვილი; გოდორში ჩაყრილი გოგირდის თეთრი ბოლი ედებოდა იქ ჩალაგებულ სარეცხს, რომელიც ამ ბოლით უნდა გათეთრებულიყო. ქალს ეგონა ყმაწვილი საიმედოდ მყავს დამალულიო. თვითონ კი მშვიდად დაჯდა ჩვენთან სავახშმოდ. ამასობაში გოგირდის სუნით გათანგულ ყმაწვილს აუტანელი, მძიმე და მწვავე ბოლი ღრუბლებივით შემოეხვია, იგი გაიგულდა, სულს ძლივს ითქვამდა და ამ ნივთიერების თვისების გამო ხშირი ცხვირისცემინება დაეწყო.

25. როცა ქმარმა, ცოლის მხრიდან, სწორედ მის ზურგს უკან, პირველად გაიგონა ცხვირის დაცემინება, იფიქრა, ჩემი ცოლიაო და ჩვეულებრივ „იცოცხლეო“ უთხრა, მაგრამ ცხვირისცემინება განმეორდა. ის უფრო ხშირ-ხშირად გაისმოდა. ასეთი ძლიერი სურდო ქმარს საეჭვოდ ეჩვენა და მიხვდა,

რაშიც იყო საქმე. მაგიდას ხელი ჰკრა, მაშინვე ასწია გოდორი და სუნთქვაშეკრული მამაკაცი იპოვა. შეურაცხყოფისათვის რისხვით ანთებულმა მახვილი მოითხოვა და ისედაც მომაკვდავის მოკვლას აპირებდა; საერთო ხიფათის ასაცილებლად გაცოფებული ძლივს შევაკავე. მხედველობაში მივაღებინე ის გარემოება, რომ მისი ოჯახის შემბილწველი გოგირდის მოქმედებისაგან სულ ერთია მაინც მალე მოკვდებოდა და არც მე და არც მას არავითარი ხიფათი არ მოგველოდა. არა იმდენად შთაგონებით, რამდენადაც გარემოების ძალით შერბილებულმა, ცოცხალ-მკვდარი ჭაბუკი მახლობელ მოსახვევში გაათრია. მე ჩუმად მის ცოლს ვარწმუნებდი, ბოლოს და ბოლოს ვურჩევდი, დროებით რომელიმე ნაცნობ ქალთან წასულიყო სახლიდან, რათა ამ ხანში ქმრის რისხვა შენელებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, უეჭველად, რაიმე ბოროტებას შეამთხვევდა ან თავის თავს, ან ცოლს. ზიზღით მივატოვე მეგობრის ასეთი ვახშამი და შინ დავბრუნდი.

26. მოისმინა თუ არა მეწისქვილის ნაამბობი მისმა უნამუსო და უტიფარმა ცოლმა, მენაბდის ცოლს გინება და დამცირება დაუწყო; იგი ცბიერიც იყო, უნამუსოც და მთელი დედათა სქესის თავის მომჭრელიც. სირცხვილი დავიწყებია, ცოლქმრული სარეცლის წესები დაურღვევია, ოჯახი გარყვნილების კერად უქცევია! ქმრიანი ქალის ღირსებანი დაუკარგავს, სხეულით მოვაჭრე ქმნილებებს დამსგავსებიაო და ასე დაასკვნა: მსგავსი დედაკაცები ცოცხლად დაწვის ღირსნი არიანო. მაგრამ მას საკუთარი დანაშაულის გრძნობა აწუხებდა, სინდისი ქენჯნიდა. ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გაეთავისუფლებინა ტყვეობიდან თავისი საყვარელი და ამ მიზნით ქმარს ურჩევდა ჩვეულებრივზე ადრე წასულიყო დასაძინებლად. მაგრამ იგი მეგობრის სუფრიდან მშიერი წამოსულიყო, შიმშილს გრძნობდა და ცოლს ალერსით უთხრა, დიდი სიამოვნებით ვივანხმებო. ცოლმა, თუმცა უსიამოვნოდ, მაგრამ სასწრაფოდ დააწყო სუფრაზე საჭმელი, რადგან იგი სხვისთვის იყო გამზადებული. მე კი სულის სიღრმემდე აღმამფოთა ამ უნამუსო დედაკაცის ძველმა და ახლანდელმა უტიფრობამ. ფიქრით თავს ვიტეხდი, თუ რა საშუალება გამომენახა ტყუილის გამოსააშკარავებლად. მინდოდა პატრონს დავხმარებოდი, კასრი გადმომებრუნებინა და ყველასთვის დამენახებინა ის, ვინც მის ქვეშ კუსავით იმალებოდა.

27. ამ ჩემს ტანჯვასა და პატრონის შეურაცხყოფას ბოლოს ზეციურმა განგებამ ყურადღება მიაქცია. დადგა დანიშნული დრო, როცა კოჭლმა მოხუცმა, რომელსაც ტვირთმზიდავი საქონლის მეთვალყურეობა ჰქონდა მინდობილი, მთელი ჯოგი მახლობელ წყაროზე წყლის დასაღევად წაგვასხა. ამ გარემოებამ შურისსაძიებლად სასურველი შემთხვევა მომცა. კასრის გვერდით გავლის დროს დავინახე, რომ ყმაწვილს შიგ თითები არ დასტევია და გარეთ გამოუყვია; ნაბიჯი გვერდზე გადავდგი, მის თითებს ბრაზით ფლოქვი დავადგი და ერთიანად დავწეწკე. აუტანელი ტკივილის გამო საცოდავს კენესა აღმოხდა, გადაიძრო, წააქცია კასრი, გამოძვრა იქიდან და ამით უნამუსო დედაკაცის ყველა ცბიერება გამომჟღავნდა. ცოლქმრული ერთგულების დარღვევის გამო მეწისქვილე მაინცდამაინც დიდად არ ალელვებულა, ალერსიანად მიმართა აკანკალებულ, სიკვდილივით გაფითრებულ ყმაწვილს, გამამხნეველები გამომეტყველება მიიღო და ასე უთხრა:

- ნუ გეშინია, შვილო, ჩემგან ნურაფერ ცუდს ნუ მოელი. მე ბარბაროსი არა ვარ და არც იმდენად შეუგნებელი, რომ მენაბდის მსგავსად გოგირდის მავნე ბოლით გაწვალო, ან ასეთ კარგსა და მშვენიერ ყრმას მრუშობისათვის

კანონიერი სასჯელი დაგატეხო თავს. არა, მე მშვიდობიანად და სამართლიანად ჩემს წილს დავიდე ცოლთან, ქონების განაწილებას არ დავიწყებ; საერთო კუთვნილების საფუძველზე, ყოველგვარი შუღლისა და დავიდარაბის გარეშე, სამივე ერთ სარეცელზე მოვთავსდეთ. ყოველთვის ასე შეთანხმებულად ვცხოვრობდი ცოლთან, რადგან ჩვენი, როგორც გონიერი ადამიანების, გემოვნება ყოველთვის ერთიმეორეს ეგუებოდა. მაგრამ თვით სამართლიანობა ნებას არ იძლევა, რომ ქმრის წინაშე ცოლს უპირატესობა ჰქონდეს.

28. ასეთი საამური ხუმრობით მიჰყავდა ყმაწვილი ლოგინისაკენ; იგი უსიამოდ, მაგრამ მაინც მიჰყვებოდა; შემდეგ ჩაკეტა ცალკე თავისი უმანკო ცოლი, დაწვა ყმაწვილთან და ცოლქმრული ერთგულების გაქელვისათვის მეტად საამურად იძია შური მასზე. როგორც კი მზის ელვარე ეტლმა განთიადი მოუვლინა ქვეყანას, მეწისქვილემ ორ ღონიერ მუშას დაუძახა, უბრძანა ხელში დაეჭირათ ჭაბუკი და რაც შეიძლება მაღლა აეწიათ, დუნდულები მათრახით აუჭრელა და თან ეუბნებოდა:

- აი, შე არამზადავ! ჯერ თვითონ ზავში ხარ, ტუჩზე რძე არ შეგშრობია, ჯერ კიდევ შენი მოტრფიალე მოინახება და შენ კი დედაკაცებს დასდევ, ისიც თავისუფალი მოქალაქის ცოლებს, არღვევ ცოლქმრულ კანონებს და ცდილობ, დაიმსახურო მრუმის სახელი.

ასეთი და ბევრი სხვა სიტყვებით შეარცხვინა, ცემითაც ბევრი სცემა და გარეთ გააგდო. ეს, მრუმთა შორის უმამაცესი ჭაბუკი ხიფათს შემთხვევით ცოცხალი დაუძვრა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ღამითაც და დღისითაც დაზარალებულ თოვლივით თეთრ დუნდულებს, და დასევდიანებულმა ჩქარი ნაბიჯით გასწია. მეწისქვილემ კი ცოლს გაყრის ამბავი აცნობა და სახლიდან გააგდო.

29. ეს, ბუნებით არამზადა ქალი, მეტად გაამწარა მიყენებულმა შეურაცხყოფამ, მით უფრო მწარე იყო იგი მისთვის, რომ დაიმსახურა. და ძველებურად ისევ ქალურ ცბიერებას მიმართა. დიდის ვაი-ვაგლახით გამოძებნა ერთი გამოქექილი დედაბერი, რომლის შესახებ ხმა დადიოდა, თითქოს თავისი ჯადოსნობისა და შელოცვის წყალობით ყველაფერი შესძლებოდა. საჩუქრებით აავსო, ვედრებით თავი მოაბეზრა და ორში ერთს სთხოვდა: ან დაშოშმინებულ ქმარს ხელახლა შეერიგებინა, ან, თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომელიმე მოჩვენება, ან ბოროტი სული მაინც მოევლინა და მეწისქვილისათვის ბოლო მოეღო. მაშინ ღვთაებრივი ძალაუფლებით შემოსილმა კუდიანმა იმთავითვე მავნე მეცნიერების უპირველეს ხერხებს მიმართა. მთელი ძალ-ღონით ცდილობდა ქმრის შეურაცხყოფილი სული შეერბილებინა და იგი სიყვარულისაკენ წარემართა. მაგრამ, როცა საქმე ისე შეტრიალდა, როგორადაც არ ელოდა, ღმერთებს დაემდურა. უკვე საბრალო ქმრის დაღუპვაზე ფიქრობდა, არა მარტო დაპირებული თანხის გულისათვის, არამედ მისი ათვალწუნებისათვის. ამ მიზნით მეწისქვილეს ვიღაც ძალდატანებით მოკლული ქალის აჩრდილი მოუვლინა.

30. მაგრამ შესაძლოა, შარიანო მკითხველო, ამბავი შემაწყვეტინო და მკითხო: - ეშმაკო ჩოჩორო, წისქვილის კარს არ გასცილებიხარ და საიდან შეგეძლო, როგორც ჩვენ გვარწმუნებ, გაგეგო, თუ ფარულად რას ფიქრობდნენ ქალები? - მაშ მომისმინე, და გაიგებ, თუ ცნობისმოყვარე ადამიანად დარჩენილმა საკიდარმა ცხოველმა როგორ შევიტყვე რა მზადდებოდა ჩემი მეწისქვილის დასაღუპავად.

თითქმის სწორედ შუადღისას წისქვილში ერთი ქალი მოვიდა. იგი იყო საცოდავ მონღებში ნახევრად შემოსილი, ფეხშიშველი, გაყვითლებული, გამხდარი, ნახევრად ჭაღარა, ზედ დაყრილი ფერფლის გამო ჭუჭყიანი, ჩამოშლილი თმით სახედაფარული; მისი ნაკვთები დასახიჩრებული იყო ბოროტმოქმედების კვალითა და უჩვეულო სევდით. ასეთი შესახედაობის მოსულმა ქალმა წყნარად მხარზე დაადო ხელი მეწისქვილეს, თითქოს მასთან ცალკე მოლაპარაკება სურსო, და მის საწოლ ოთახში შეიყვანა; კარი ჩაკეტეს და იქ დიდხანს დარჩნენ. ამასობაში მუშებმა მთელი ხორბალი დაფქვეს, რაც ჰქონდათ, და, რადგან კიდევ იყო საჭირო, მონები ბატონის ოთახისაკენ წავიდნენ, ძახილით თხოვნა დაუწყეს, კიდევ მიეცა მათთვის ხორბალი. რამდენჯერმე დაუძახეს, მაგრამ ბატონი პასუხს არ აძლევდა; შიგნიდან მაგრად ჩაკეტილ კარს რახუნი დაუწყეს, რაღაც დიდ უბედურებაზე ეჭვი შეეპარათ, მიაწვნენ კარს, შეამტვრიეს და ოთახში შევიდნენ. რამდენი ეძიეს, მაგრამ იქ არავითარი ქალი არ აღმოჩნდა, ერთ დირეზე კი მარყუქში თავგაყოფილი უსულო ბატონი ეკიდა. ჩამოიღეს, შემოხსნეს მარყუქი, მოთქმითა და ტირილით გაბანეს, შეასრულეს დასაფლავების წესები და დამარხეს. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

31. მეორე დღეს სასწრაფოდ მოვიდა მისი ქალიშვილი მეზობელი სოფლიდან, სადაც იგი ცოტა ხნის წინათ გაეთხოვებინათ. ძამებით მოსილი გაშლილ თმას იგლეჯდა და დროგამოშვებით მკერდში ხელს იცემდა. თუმცა მისთვის არავის შეუტყობინებია, მაგრამ შინაური უბედურების მთელი ამბავი იცოდა, რადგან ძილში ჯერ კისრიდან მარყუქმოუხსნელი მამის საცოდავი აჩრდილი გამოეცხადა და დედინაცვლის მთელი ბოროტება გაუმჟღავნა: მრუშობაც, ბოროტი ჯადოქრობაც და ისიც, თვით როგორ ჩავიდა ქვესკნელში მოჩვენების წყალობით. ქალი დიდხანს ქვითინებდა და თავს იკლავდა, სანამ შინაურებმა არ ჩააგონეს, დაწყნარებულიყო. მეცხრე დღეს მამის საფლავზე შეასრულა მიღებული წესები, საჯარო ვაჭრობით ყველაფერი გაყიდა: შინაყმები, მოძრავი ქონება და მთელი ტვირთმზიდავი საქონელი. გაყიდა ცუდ პირობებში მოუხდა, ამის გამო მთელი მეურნეობა ერთი ხელიდან სხვადასხვა მხრივ დაიფანტა. პირადად მე ერთმა ღარიბმა მეზობელმა ორმოცდაათ ნულად მიყიდა. მისი სიტყვით ეს მისთვის დიდი თანხა იყო, მაგრამ ჩემი მეოხებით საარსებო წყაროს მოპოვებას ფიქრობდა.

32. ვფიქრობ, საქმის ვითარება მოითხოვს გაუწყოთ, თუ რაში მდგომარეობდა ჩემი ახალი მოვალეობანი.

ყოველ დილით პატრონი სხვადასხვა მწვანილეულით მტკირთავდა და მეზობელ სოფელში მიმერეკებოდა. თავის საქონელს გადამყიდველებს დაუტოვებდა, შემაჯდებოდა ზურგზე და ისევ თავის ბოსტანში ბრუნდებოდა. როცა მიწას თოხნიდა, რწყავდა ან სხვა სამუშაოზე ჭაპანწყვეტაში იყო, მე უსაქმოდ ვისვენებდი და ვნებივრობდი. მაგრამ მნათობთა მოძრაობასთან ერთად, დღისა და ღამის მორიგეობით წელიწადმაც თავისი წრე მოხაზა და თხის რქის ზამთრის^[151] ჭირხლისაკენ მიისწრაფოდა; იყო გამუდმებული წვიმა, ღამით თრთვილი. ღია ცის ქვეშ, უსახურავო სადგომში სიცივით კვდებოდი, რადგან ჩემს პატრონს უკიდურესი სიღარიბის გამო არათუ ჩემთვის, თავისთვისაც არ გააჩნდა არც საგები, არც სახურავი და მხოლოდ კარავს აფარებდა თავს. ამასთანავე დილდოობით ყინულის ნატეხებზე ფეხის დადგმა და ცივი ტალახის ზელა მიხდებოდა, კუჭსაც მიუჩვეველი საზრდოთი ვერ ვიძლებდი. მე და ჩემს პატრონს ერთნაირი, მაგრამ ძალიან ღარიბული

საზრდო გვქონდა: ის ძველი და მყრალი ხასი, რომელიც მსხვილ თესლად დაბერებულიყო და მსგავსად ცოცხისა ბინძური წვენის მწარე სიმყრალე გამოეშვა.

33. ერთ უმთვარო ღამეს კოკისპირულ წვიმაში ერთიანად დასველებულმა, ამასთანავე გზას აცდენილმა, მეზობელი სოფლის ერთმა პატივცემულმა კაცმა დაღლილი ცხენე ჩვენი ბოსტნისკენ შემოაბრუნა. რაც შეგვეძლო პატივი ვეცით; მართალია, ბევრი არაფერი, მაგრამ ის კი მოვახერხეთ, რომ სტუმარი რიგიანად მოვასვენეთ. მან მასპინძელს ალერსიანად მადლობა გადაუხადა, თავისი მამულიდან ხორბლის, ერბოსა და ორი კასრი ღვინის მოცემასაც კი დაგვპირდა. ჩემმა პატრონმა მაშინვე მონახა ტომარა, ცარიელი გუდები, უუნაგიროდ ზურგზე შემაჯდა და სამოც სტადიონიან გზას გაუდგა. გავიარეთ ეს მანძილი და აღნიშნულ მამულს მივაღწიეთ, იქ გულუხვმა მასპინძელმა ჩემი პატრონი მაშინვე მდიდრულ საუზმეზე მიიპატიჟა. სასმისები უკვე ხელიდან ხელში გადადიოდა, რომ უცებ საოცარი ამბავი მოხდა - ნამდვილი სასწაული: ეზოში სხვა ქათმებს მოშორებული დედალი დარბოდა. ისე კაკანებდა, როგორც საერთოდ ქათმები კაკანებენ, რათა პატრონს კვერცხის დადების დრო აუწყონ. შეხედა მას მასპინძელმა და უთხრა:

- რა ერთგული და ნაყოფიერი მოახლე ხარ! რახანია ყოველდღიური შობით სანოვაგეს გვაწვდი, ალბათ, ახლაც საუზმეს გვიმზადებ, - შემდეგ დაიძახა, - ეი, ბიჭო, დაუდგი დედალს კუთხეში საბუდარი.

მსახურმა ბრძანება შეასრულა, მაგრამ დედალმა საბუდარს არც მიხედა და პირდაპირ ბატონის ფეხებთან ნადრევი, მაგრამ დიდი შიშის მომგვრელი ნაყოფი დაბადა. კვერცხი კი არ დადო, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ დაბადა ბუმბულიანი, ბრჭყალებიანი და თვალეზიანი წიწილა, რომელიც მაშინვე გამოეკიდა წივილით დედას.

34. ამას მალე მოჰყვა უფრო დიდი საოცრება, რომელმაც ბუნებრივად ყველას შიში მოჰგვარა. სწორედ მაგიდის ქვეშ, სადაც ჯერ კიდევ საუზმის ნარჩენები ეყარა, მიწა გასკდა და მისი სიღრმიდან სისხლის ნაკადმა ამოხეთქა, ისე რომ ზევით ასულმა შხეფებმა მთელი მაგიდა სისხლის ლაქებით დაფარა. როცა ყველანი შიშისაგან გაქვავდნენ, აცახცახდნენ და ავის მომასწავებელმა ნიშნებმა გააკვირვა, იმავე წუთში ღვინის სარდაფის დარაჯმა მოირბინა და ბატონს მოახსენა: კასრებში დიდი ხნის ჩასხმული ღვინო გახურდა, აბუყბუყდა და ისე დაიწყო დუღილი, თითქოს ძლიერ ცეცხლზე იდგესო. აგრეთვე დაინახეს ქუჩაში გამოსული კვერნა, რომელსაც კბილებით დამხრჩვალნი გველი ეჭირა; ეზოს ძაღლს პირიდან პაწია მწვანე ბაყაყი გადმოუხტა, თვით ძაღლს კი იქვე მყოფი ცხვარი ეცა და ერთბაშად ყელი გამოლადრაო. პატრონი და ყველა შინაური ამდენი ავის მომასწავებელი ამბის გამო საშინლად დაიბნენ: არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ მაშინ და შემდეგ. ზეცის რომელი მკვიდრი უფრო უნდა მოიმადლიერონ, რომ მათი რისხვა აიცილონ? რამდენი და როგორი მსხვერპლი უნდა გაიღონ?

35. სანამ ყველანი რაღაც საშინელების მოლოდინში იყვნენ, ერთმა მონამ მოირბინა და შინაურებს მოახსენა საოცარი უბედურება, რომელიც ჩვენს მასპინძელს თავს დასტყდომოდა.

მისი სიცოცხლის სიამაყე სამი მოზრდილი, განათლებული და თავმდაბალი ვაჟი იყო. ამ ყმაწვილებს ერთ ღარიბ მემამულესთან ადრიდანვე მეგობრობა ჰქონოდათ, რომლის პატარა ქოხი ერთი მდიდარი, გავლენიანი ახალგაზრდა კაცის ვრცელსა და კარგად მოვლილ მამულს ეკვროდა; მეზობელი

თავის გავლენიანობას ბოროტად იყენებდა, ქალაქში ბევრი მომხრე ჰყავდა და რაც სურდა, იმას აკეთებდა. თავმდაბალ მეზობელს მტრობდა და მის ღარიბულ საცხოვრებელს აოხრებდა. წვრილფეხა საქონელს სცემდა, ხარებს ართმევდა და ჯეჯილს თავის პირუტყვებს აძოვინებდა. როცა ყველაფერი გაუჩანაგა, საკარმიდამოს წართმევაც მოინდომა და მამულის მიჯნის შესახებ რაღაც უსაბუთო დავა დაიწყო. ღარიბი მემამულე თავმდაბალი კაცი იყო, მაგრამ დაინახა თუ არა, რომ მდიდრის გაუმაძღრობამ მთელი ქონება დააკარგვინა, თავის მშობლიურ მამულში თუნდაც სამარხი ადგილის შენარჩუნება მოისურვა და ძალზე შეშინებულმა ბევრ თავის მეგობართაგანს მოკრძალებით სთხოვა მამულის საზღვრის სისწორისათვის მოწმეებად დასწრებოდნენ. სხვათა რიცხვში ეს სამი ძმაც ერია, რომელთაც სურდათ თავის მეგობარს გაჭირვებაში ოდნავ მაინც დახმარებოდნენ.

36. მაგრამ ის დაუცხრომელი ვაჟბატონი სრულიად არ შეშინდა, არც შერცხვა ამდენი ხალხისა და არათუ უარჰყო თავისი მტაცებლობა, არამედ ენის ალაგმევაც არ ისურვა. როცა მას თავიანთი სურვილი მშვიდობიანად აცნობეს და ალერსიანი სიტყვებით მისი მშფოთვარე ბუნების შეცვლას ლამობდნენ, მან თავისი სული და მისთვის ძვირფასი ადამიანების სიცოცხლე დაიფიცა და განაცხადა, არავითარ ყურადღებას არ მივაქცევ ამდენ შუამავალს, ვუბრძანებ მონებს, რომ მეზობელი ყურით გამოათრიონ თავისი ქოხიდან და რაც შეიძლება, შორს გააგდონ. ამ სიტყვებმა დამსწრეთა შორის აღშფოთება გამოიწვია. მაშინ ამ სამ ძმათაგან ერთმა უშიშრად მიუგო:

- ტყუილად გაქვს შენი სიმდიდრის იმედი და ტირანული ზვიადობით ამაოდ იმუქრები, ღარიბებსაც მდიდართა თავხედობისაგან სამართლიანი კანონი იცავსო.

ზეთი რომ ცეცხლში ჩაასხა, გოგირდი ხანძარში და ალქაჯებს ღვთის რისხვა მიუმატო - აი, ისეთი იყო ეს სიტყვები იმ კაცის რისხვისათვის. მან სიგიჟის უკიდურეს საზღვარს მიაღწია, დაიყვია, რომ სახრჩობელაზე გაგზავნიდა აქ შეკრებილ ხალხსაც, და თვით კანონსაც კი. განკარგულება გასცა, მინდორში ნაყარი მძორით გამოკვებილი, გამვლელ-გამომვლელთა ამწიოკებელი, უზარმაზარი ქოფაკებისათვის ჯაჭვები აეხსნათ და ისინი შეკრებილ ხალხს მიუსია. როგორც კი გაიგონეს ძაღლებმა მწყემსების ჩვეული სტვენა, აენტნენ, გაშმაგდნენ, ველური ყეფით მიცვივდნენ ადამიანებს, დაუწყეს კბენა, ფლეთა და რაც უფრო ცდილობდნენ ისინი გაქცევით თავის შველას, მით უფრო გახელებულნი მისდევდნენ.

37. შეჯგუფული ხალხის შუაგულში სამ ძმათაგან უმცროსმა ქვას წაჰკრა ფეხი, თითები დაიშავა, პირქვე დაეცა და, საუბედუროდ, ველური და სასტიკი ძაღლების ლუკმა გახდა, რომლებმაც საწყალი ყმაწვილი ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯეს. როცა ძმებმა მისი სასიკვდილო კვნესა გაიგონეს, გამწარებულები მისაშველებლად გაეშურნენ, მარცხენა ხელები წამოსასხამის კალთაში გაიხვიეს და ცდილობდნენ სეტყვასავით დაშენილი ქვით მოეშორებინათ ძმისთვის და გაედევნათ ძაღლები. ვერ შეძლეს ძაღლების დაწყნარება და ვერც გაგდება. უბედურმა ყრმამ უკანასკნელად წამოიძახა, მისი სიკვდილისათვის ამ ბოროტი მდიდრის მიმართ შური ეძიათ და დაფლეთილმა სული განუტევა. ცოცხლად დარჩენილი ძმები გამწარდნენ, ჰერკულესს გეფიცებით, თავი აღარ დაიზოგეს და ფიცხლად ეცნენ მდიდარს, გაშმაგებით შეუტყეს და ქვის სროლა დაუწყეს, მაგრამ ადრევე მრავალი მსგავსი ბოროტების ჩამდენმა, სისხლისმსმელმა ავაზაკმა, ერთს მკერდი შუბით გაუპო. განგმირულმა ყრმამ მაშინვე სული

დალია, მაგრამ მიწაზე არ დაცემულა, რადგან შუბმა იგი განგმირა, ზურგს უკან გამოვიდა ძლიერად დაკვრის გამო და თითქმის მთლიანად მიწაში ჩაერქო. შეირხა და სხეული ჩამოკიდებულ მდგომარეობაში შეაჩერა. მკვლელის დასახმარებლად მაღალი და ღონიერი მონა მოვიდა, მან სტაცა ხელი ქვას და გაარტყა მესამე ძმას, მაგრამ ყოველგვარი მოლოდინის წინააღმდეგ, მაგრად ნასროლი ქვა მისი თითების მხოლოდ ბოლოებს შეეხო, ვერავითარი ვნება ვერ მიაყენა და ძირს დავარდა.

38. ამ საბედისწერო შემთხვევამ აზრიან ახალგაზრდას შურისძიების რაღაც იმედი მისცა. მოიგონა, თითქოს ხელი დაშავებული ჰქონოდა და სასტიკ მტერს ასე მიმართა:

- დატკბი მთელი ჩვენი ოჯახის წევრთა დაღუპვით, შენი გაუმაძღრობა სამი ძმის სისხლით დაიკმაყოფილე, მოიხვეჭე სახელი ამდენი თანამოქალაქის სიკვდილით, - სულ ერთია დაინახავ, რამდენი ქონებაც არ უნდა წაართვა ღარიბებს, რა საზღვრამდეც არ უნდა გააფართოვო შენი სამფლობელო, რომელიმე მეზობელი მაინც გამოგიჩნდება. ოჰ, ეს ხელი რომ ბედის უსამართლობით არ დამშავებოდა, იგი ახლავე კისერს მოგიგრებდა.

ამ სიტყვებით მოთმინებიდან გამოსულმა, გაცოფებულმა ავაზაკმა თავის მახვილს სტაცა ხელი და უბედურ ყრმას მოსაკლავად მივარდა. მაგრამ იგი თავის თავზე არანაკლებ ღონიერ მოწინააღმდეგეს წააწყდა. მისთვის სრულიად მოულოდნელად, ახალგაზრდამ წინააღმდეგობა გაუწია, რაც წინასწარ ვერ განსაზღვრა. მაგრად ჩაჰკიდა ხელი მის მარჯვენას, ძლიერად მოუქნია ხმალი და ჩქარი, ხშირი ჭრილობებით გამოასალმა ცოდვილ სიცოცხლეს. თვითონ კი უკვე წამოსწრებულ მსახურებს ხელში რომ არ ჩავარდნოდა, ჯერ კიდევ მტრის სისხლში შესვრილი მახვილით ყელი გამოიღაძრა.

აი, რას ნიშნავდა სასწაულებრივი საოცრებანი. აი, რა აუწყეს უბედურ მასპინძელს. მოხუცმა, რომელსაც ამდენი საშინელება დაატყდა თავს, სიტყვაც არ დაძრა, უხმო ცრემლიც კი არ გადმოაგდო, ხელი სტაცა დანას, რომლითაც ახლახან საუზმეზე თავის სტუმრებს ყველს და სხვა საჭმელებს უჭრიდა და თავისი უბედური შვილის მსგავსად მანამ იცემდა ყელში, სანამ მაგიდაზე დამხოზილმა შემზარავი მკვლელობის ლაქები თბილი სისხლის ნაკადით არ გადაბანა.

39. ერთ წუთში მთელი ოჯახის დაღუპვით შეწუხებულმა მებოსტნემ თავის უბედურებაზე ღრმად ამოიოხრა, საუზმისათვის მარტო ცრემლით გადაიხადა მადლობა და ცარიელ ხელებს ხშირ-ხშირად ასავსავებდა. მაშინვე ზურგზე შემაჯდა და, რა გზითაც მოვედით, იმავე გზით შინისაკენ გავსწიეთ. უკან დაბრუნების დროს კიდევ ერთი უბედურება შეგვემთხვა, გზაზე შემოგვხვდა ერთი ახმახი კაცი - ტანსაცმელითა და გარეგნობით ჯარისკაც ლეგიონერსა ჰგავდა. ქედმაღლურად და თითქმის თავხედურადაც კი შეეკითხა ჩემს პატრონს:

- სად მიგყავს ეგ ცარიელი ვირი?

ჩემმა პატრონმა, ჯერ კიდევ მწუხარებისაგან დაუწყნარებელმა, ამასთანავე ლათინურის არმცოდნემ, არაფერი უპასუხა და გზა განაგრძო. აღშფოთებულმა ჯარისკაცმა სიჩუმე შეურაცხყოფად მიიღო, ჯარისკაცული თავხედობით, ხელში რომ ვაზისაგან გამოთლილი კომბალი ეჭირა, ჩემს პატრონს წაჰკრა და ჩემი ზურგიდან ჩამოაგდო. მებოსტნე მშვიდობიანად

იმართლებდა თავს. ენის უცოდინარობის გამო ვერ გავიგე თუ რას მეკითხებოდა. მაშინ ჯარისკაცმა ბერძნულად გაუმეორა:

- სად მიგყავს ეგ ვირი?

მეზოსტნემ მიუგო მეზობელ ქალაქში მივდივარო. ჯარისკაცმა უთხრა:

- ეს მე მჭირდება. საჭიროა, სხვა ტვირთმზიდავ საქონელთან ერთად მეზობელი ციხიდან ჩვენი უფროსის ნივთები გადაიტანოსო.

მაშინვე ჩამავლო აღვირში ხელი და მიმართევდა. მეზოსტნემ სახეზე ჭრილობის სისხლი მოიწმინდა, რომელიც მას თავზე დარტყმის შედეგად დარჩა. დაუწყო ჯარისკაცს თხოვნა, უფრო ღმობიერად და თავაზიანად მოქცეულიყო, შემდეგ დაიწყო ფიცი და მტკიცე, რომ არაფრად არ ვვარგოდი.

- ეს ვირი ხომ ზარმაცია, - ამბობდა იგი, - საზიზღარი ავადმყოფობისგან დაუძლურდა, წამდაუწუმ ეცემა, მეზობელი ბოსტნიდან ძლივძლივობით რამდენიმე ილღია მწვანილს გაჭირვებით ათრევს. ამის ზიდვითაც კი სული ძვრება და რაიმე უფრო მძიმე ტვირთის ზიდვაზე ხომ ფიქრიც ზედმეტიაო.

40. მაგრამ მიხვდა, რომ ჯარისკაცს ვერავითარი თხოვნით ვერ მოტეხდა, თვით მას დიდი საშიშროება ემუქრებოდა კომბლისაგან. რადგან ჯარისკაცი ძალიან გაბრაზდა, კომბლის მსხვილი თავი წინისაკენ შემოაბრუნა და, ალბათ, კეფას გაუტეხდა; მეზოსტნემ ბოლოს უკიდურეს საშუალებას მიმართა: ისე მოაჩვენა თავი, თითქოს მისი თანაგრძნობის გამოსაწვევად მუხლებზე მოხვევა უნდოდა, დაიხარა, სტაცა ხელი ორივე ფეხში, ასწია და მიწაზე დაანარცხა. ჩემმა პატრონმა მაშინვე დაუწყო სახეში, ხელებსა და გვერდებში მუშტებით, იდაყვებით ცემა, კბილებით კბენა და გზაზე ქვაც აიღო. მიწაზე დაცემულმა ჯარისკაცმა თავის დაცვა ველარაფრით შეძლო, მაგრამ მუქარით ეუბნებოდა, ადგომისთანავე მახვილით აგკუწავო. ეს გაიგონა თუ არა მეზოსტნემ, რაც შეიძლებოდა, შორს გადასტყორცნა მისი ბრტყელი მახვილი, და ხელახლა დაუწყო ცემა, კიდევ უფრო მაგრად. გულადმა შწოლარემ და ნაცემმა ჯარისკაცმა სხვა ხსნის საშუალება ვერ დაინახა და სიკვდილი მოიგონა. მაშინ მეზოსტნე შემახტა ზურგზე, აიღო მახვილი, თავის ბოსტანშიც არ შეუვლია, ისე ჩქარი ნაბიჯით პირდაპირ ქალაქს მიაშურა და ერთ თავის ნაცნობთან მივიდა. მოუყვა მას მთელ ამბავს და შეევედრა, ასეთი სახიფათო მდგომარეობის გამო მისთვის დახმარება აღმოეჩინა, ორი-სამი დღით იგი და ვირი დაეძალა და ჩაეკეტა, სანამ სასამართლოს დევნის საფრთხე გაივლიდა, რაც მას სიკვდილით დასჯით ემუქრებოდა. მასპინძელმა არ დაივიწყა ძველი მეგობრობა და დახმარებას დაჰპირდა; მე კიბეზე ფეხებმოხრილი ზევითა საწოლ ოთასში ამიყვანეს, თვით მეზოსტნე ქვევით დუქანში დამალა, ჩასვა კალათაში და თავი დაახურა.

41. ამასობაში ჯარისკაცი, როგორც შემდეგ ვაგივე, ნამთვრალევივით ბორძიკით ამდგარა, ცემა-ტყეპით საკმაოდ გამაძლარი ყვარჯენს დაყრდნობა და ძლივძლივობით ქალაქში ჩასულა; თავის სისუსტითა და მოუხერხებლობით შერცხვენილმა ქალაქში არავის უთხრა, თუ რა დაატყდა თავს, მაგრამ ზოგიერთ ამხანაგს მაინც გაანდო თავის საიდუმლოება. გადაწყვიტეს, რომ დაზარალებული მცირე ხნით ყაზარმებში დამალულიყო, რადგან გარდა პირადი შეურაცხყოფისა, მას კიდევ მახვილის დაკარგვის გამო სამხედრო ფიცის გატეხისათვის სასჯელის ემინოდა. მისმა ამხანაგებმა ჩვენი ნიშნულობა გაიგეს და ყოველი ღონე იხმარეს მოსაძებნად და სამაგიეროს გადასახდელად. მეზობლებში, რა თქმა უნდა, აღმოჩნდა გამცემიც, რომელმაც მაშინვე გაგვამჟღავნა და შეატყობინა თუ სად ვიმალებოდით. ჯარისკაცის ამხანაგებმა ხელისუფლებას მოუხმეს და ცრუ ჩვენება მისცეს, თითქოს მათ გზაზე

მეთაურის ძვირფასი ვერცხლის ჭურჭელი დაკარგოდეთ, რომელიც თითქოს მებოსტნეს ეპოვოს, უკან აღარ უბრუნებდეს და ერთ მახლობელ ნაცნობთან იმალებოდეს. მოხელეებმა დანაკარგისა და უფროსის ვინაობის შესახებ ცნობები შეკრიბეს, ჩვენი თავშესაფარის ჭიშკარს მოადგნენ და მასპინძელს ჩვენი გაცემა ხმამაღლა მოთხოვეს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მასთან ვიმალებოდით, და თუ არ აღიარებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ბრალი თვით მას დაედებოდა. იგი სრულებითაც არ შეშინებულა და მის გადარჩენას ცდილობდა, ვინც მიენდო, არ გამოტყდა და უთხრა, აი, უკვე რამდენიმე დღეა ის მებოსტნე თვალითაც არ მინახავსო, ჯარისკაცები კი, პირიქით, იმპერატორის სულს იფიცებდნენ, დამნაშავე სწორედ აქ იმალება და არა სხვაგანო. ბოლოს გადაწყვიტეს ჯიუტი უარყოფელის ბინა გაეჩხრიკათ. ამ საქმეზე გაგზავნილ ლიქტორებსა და სხვა მსახურებს უბრძანეს, რათა გულდასმით დაეთვალიერებინათ ყოველი კუთხე. ჩხრეკა გაათავეს, მოახსენეს, ვერც ერთი სულიერი და ამასთანავე ვერავითარი ვირი სახლში ვერ ვიპოვეთო.

42. მაშინ მხარეთა შორის დავა უფრო გაჩაღდა. ჯარისკაცები ირწმუნებოდნენ, რომ ჩვენ აქ ვიყავით, და კეისრის სახელი რამდენჯერმე დაიფიცეს. ჩვენი მასპინძელი თავის მხრივ ზეცის მკვიდრთ მოწმეებად მოუწოდებდა და ყველაფერს უარობდა. გავიგონე თუ არა ჩხუბი, ხმაური და ყვირილი, მე, როგორც ცნობისმოყვარე, ახირებულმა და ჯიუტმა ვირმა, კისერი წავიგრძელე, მინდოდა რომელიმე ფანჯრიდან დამენახა, თუ რას ნიშნავდა ეს ღრიანცელი. უცებ ერთმა ჯარისკაცმა შემთხვევით ზევით ამოიხედა, ჩემი ჩრდილი დაინახა და მაშინვე ყველას უჩვენა იგი. საშინელი ყვირილი ატყდა; ერთ წუთში კიბეზე ამოცვივდნენ და ვიღაცებმა ტყვესავით ძირს ჩამათრიეს, ყოველგვარ ჩხუბს თავი დაანებეს, ხელახლა ყოფილი ჭურჭელის თვალიერება დაიწყეს, იპოვეს კალათი, ახადეს თავი და შიგ ჩემი უბედური მებოსტნე აღმოაჩინეს, ამოიყვანეს, ხელისუფლებას ჩააბარეს და სიკვდილის განაჩენის მოლოდინში ქალაქის საპყრობილეში ჩააგდეს. იმის გამო კი, რომ მე ფანჯრიდან ვიჭყიტებოდი, როგორც დამკვირვებელი, ხარხარი და დაცინვა არ შეუწყვეტიათ. აქედან წარმოიშვა გავრცელებული ანდაზა ვირის გამოხედვისა და მისი ჩრდილის შესახებ.

წიგნი მეთათ

1. არ ვიცი, რა დაემართა მეორე დღეს ჩემს პატრონ მებოსტნეს, მე კი იმ ჯარისკაცმა, რომელმაც თავისი იშვიათი სისუსტის გამო ბევრი ცემა იწვნია, ბოსლიდან ისე გამომიყვანა, რომ არავის წინააღმდეგობა არ გაუწევია; მიმიყვანა თავის სამხედრო კარავში (ყოველ შემთხვევაში, როგორც მე მომეჩვენა), დამტვირთა ბარგით, მხედრულად შემაიარადა, მომკაზმა და გზას გამიყენა. ზურგზე მეწყო ბრჭყვიალა ჩაჩქანიც, ზეცაში შორს სხივების მტყორცნელი ფარიც და ბოლოს, გრძელტარიანი შუბი, ისეთი, რომ ადამიანს თვალში ეცემოდა. მან იარაღი გულმოდგინედ მოათავსა საომარი ნადავლის მსგავსად ტვირთის გამოსაჩენ ადგილას და ყველაფერი ეს იმდენად სამხედრო საჭიროებისათვის არ იყო დაწყობილი, რამდენადაც გამვლელთა შესაშინებლად. გზა მინდორზე მიდიოდა და თავისუფლად ვიარეთ. შემდეგ ერთ პატარა ქალაქს მივადწიეთ და სასტუმროში კი არ შევუხვიეთ, არამედ ერთი დეკურიონის^[152] სახლში მივედით. მაშინვე ერთ მსახურს ჩამაბარა და თვითონ

კი იმ მეთაურთან გაეშურა, რომლის ხელქვეით ათასი შეიარაღებული ჯარისკაცი იმყოფებოდა.

2. რამდენიმე დღის შემდეგ ამ ადგილებში არაჩვეულებრივი საშინელი და უღვთო ბოროტმოქმედება მოხდა; იგი ხსოვნაში ჩამრჩა და თქვენ წასაკითხად წიგნში შემაქვს. სახლის პატრონს ერთი ახალგაზრდა ვაჟი ჰყავდა, მშვენივრად აღზრდილი, მეტისმეტად თავაზიანი და თავმდაბალი, ისე რომ, მკითხველო, შენც კი ინატრებდი ასეთ ვაჟს. დედამისი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო და მამამისმა ხელახლა დაქორწინება მოისურვა. შეირთო მეორე ცოლი და მეორე ვაჟი შეეძინა, რომელიც ამ დროს მეცამეტე წელში იყო. დედინაცვალი უფრო თავისი გარეგნობის მეოხებით უფროსობდა ოჯახში, ვიდრე კეთილი შინაგანი თვისებებით. და აი, თანდაყოლილი უსირცხვილობის გამო თუ განგებისაგან უკიდურესი უნამუსობით შეგულიანებულმა თვალი გერს მიაპყრო. მაგრამ, კეთილო მკითხველო, რადგან ტრაგიკულ ამბავს მოგიხსნებოდა და არა არაკს, გაიხადე სოკები და კოთურნები^[153] ჩაიცვი. როცა პაწაწა კუპიდონი ჯერ კიდევ პირველადი კვებით საზრდოობდა, ქალს შეეძლო მისი სისუსტისათვის წინააღმდეგობა გაეწია და ნელ ცეცხლს უხმოდა აქრობდა. როცა მოუთმენელმა ამურმა შმაგი ცეცხლით მის შიგნეულობას განუზომლად წვა დაუწყო, ქალმა მძვინვარე ღვთაების წინაშე ქედი მოიხარა და, რათა თავისი გულის წყლოვანი დაემაღა, სხეულით დაავადება მოიგონა. მაგრამ ყველამ იცის, რომ შეყვარებულისა და ავადმყოფის გარეგნული ცვლილება ზუსტად ერთმანეთს ემთხვევა: სასიკვდილო სიფითრე, დაღლილი თვალები, მუხლებში სისუსტე, მოუსვენარი ძილი და ღრმა ამოოხვრა, მით უფრო მტანჯველი, რომ ძნელად აღმოხდება ხოლმე იგი მკერდიდან. რომ ცრემლი არა, იფიქრებდით, ამ ქალს მაღალი სიცხე არ აძლევს მოსვენებასო. რა უვიცნი არიან მკურნალები, რომლებმაც არ იციან, თუ რას ნიშნავს, როცა ადამიანს ჩქარი მაჯისცემა აქვს, სახის ფერი ყოველ წუთში ეცვლება, სუნთქვა უძნელდება, ავადმყოფი განუწყვეტლივ გვერდს იცვლის და ვერ ისვენებს! კეთილო ღმერთებო, რა საჭირო იყო გამოცდილი ექიმი? საკმარისია თუნდაც მცირედი წარმოდგენა გქონდეს სიყვარულზე, რომ გაიგო, თუ რა ემართება ადამიანს, რომელიც უსიციხოდ იწვის.

3. ბოლოს აუტანელი ვნებით საშინელ ადგზნებამდე მისულმა ქალმა დაარღვია სიჩუმე და ბრძანა მისი ვაჟიშვილისთვის მოეხმოთ - რა დიდი სიამოვნებით წაართმევდა ამ სახელს, რომ სირცხვილის მოგონებაზე არ გაწითლებულიყო. ყმაწვილმა არ დააყოვნა ავადმყოფი დედინაცვლის ბრძანების შესრულება, მოხუცივით შუბლშეჭმუხვნილი წავიდა მისი საწოლი ოთახისაკენ და სათანადო პატივი სცა მამის მეუღლესა და ძმის დედას. დიდი ხნის სიჩუმით დატანჯული ქალი კი ახლაც აყოვნებდა, ჯერ კიდევ ჩაუმქრალი სირცხვილი ერთი სიტყვის წარმოთქმის ნებას არ აძლევდა, იმ სიტყვებისას, რომლებიც მას ლაპარაკის დასაწყებად უფრო შესაფერისი ეგონა. ყმაწვილი არაფერ ცუდს არ ფიქრობდა, სახე მოიჭმუხნა და პატივისცემით შეეკითხა ქალს ჯანმრთელობის ამბავს. ქალმა მათი პირისპირ შეყრის დრო და გარემოება კეთილსასურველად ჩათვალა, გამხნევდა, ატირდა, სახე კაბის კალთით დაიფარა და აკანკალებული ხმით ასე მოკლედ უთხრა:

- ჩემი ახლანდელი ტანჯვის მთელი მიზეზი, ამავე დროს წამალი და ხსნის ერთადერთი საშუალება, ყველაფერი - მხოლოდ შენა ხარ! შენი თვალები სულის სიღრმემდე ჩამწვდა, გულში ცეცხლი დამინთო. შეიბრალე იგი, ვინც შენთვის იღუპება! სრულებით არ შეგაძრწუნოს მამისადმი ხატრმა - სიცოცხლეს

შეუნარჩუნებ მის მეუღლეს, რომელსაც სიკვდილი მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. შენს ნაკვთებში ჩანს მისი სახე, უფლება მაქვს მიყვარდე, მენდე, მარტონი ვართ და აუცილებელი მოქმედებისათვის დრო საკმარისია. ის ხომ, რის შესახებაც არავინ არაფერი იცის, სინამდვილეში თითქმის არც არსებობს.

4. ყმაწვილი მოულოდნელმა უბედურებამ შეაშფოთა. თუმცა მას ბოროტი წინადადებისაგან პირველად თავზარი დაეცა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, სასოწარკვეთილებაში კი არ ჩაეგდო ქალი სასტიკი და უადგილო უარით, არამედ სურდა გონს მოეყვანა საქმის გადადების ფრთხილი შეთავაზებით. ამგვარად, ალერსიანად პირობა მისცა, მაგრამ გულმხურვალედ არწმუნებდა, სულიერი ძალა მოეკრიბა, მომჯობინებულიყო და გამაგრებულიყო მანამ, სანამ ვნების დასაკმაყოფილებლად მამის სადმე წასვლა საშუალებას არ მისცემდა მათ. იგი სასწრაფოდ გაეცალა დედინაცვლის სახიფათო პაემანს. იფიქრა, ასეთი ოჯახური უბედურება განსაკუთრებული ყურადღების ღირსიაო და რჩევისათვის სასწრაფოდ გაემურა გამოცდილ და ღირსეულ მოხუც აღმზღდელთან. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაფერს აჯობებდა ყმაწვილი სასწრაფოდ გასცლოდა ბედისწერით მოვლენილ რისხვას. მაგრამ ქალმა ვერ მოითმინა მცირე ხნით საქმის გადადება, რაღაც მოიმიზეზა, მაშინვე საკვირველი მოხერხებით დაუწყო ქმარს ჩიჩინი, რათა წასულიყო რომელიღაც შორეული მამულების დასათვალიერებლად. ამის შემდეგ იმედმოცემული და მოახლოებული ბედნიერებისაგან თავბრუდახვეული მოითხოვდა, რომ ყმაწვილი დაპირებისამებრ მოსულიყო და თავისი ვნება დაემტკიცებინა. იგი კი ხან ერთი და ხან მეორე მიზეზით გვერდს უვლიდა ამ საზიზღარ პაემანს. ქალმა მისი მიკიბულ-მოკიბული პასუხებით ცხადად დაინახა, რომ დაპირებულს ვერ მიიღებდა და ავხორცი ადამიანებისათვის ჩვეული ცვალებადობით დანაშაულებრივი სიყვარული გაცილებით უფრო საშიში სიძულვილით შესცვალა, მაშინვე მონაწილედ გაიხადა ნაშვითვი, ასეთ საქმეებში გაქნილი, არამზადა მონა და თავისი ცბიერი გეგმები გააცნო. საბრალო ყმაწვილის დაღუპვაზე უკეთესი ვერაფერი მოიგონეს. ეს ვერაგი ძლიერად მოქმედი შხამის საშოვნელად გაგზავნა და მოხერხებულად ჩაასხა საწამლავი ღვინოში უდანაშაულო გერის დასალუპავად.

5. სანამ ბოროტმოქმედნი თათბირობდნენ, თუ როდის იქნებოდა მოსახერხებელი შხამის მიწოდება, ამასობაში უმცროსი ვაჟი, ამ მუხანათი დედაკაცის ღვიძლი შვილი, დილის მეცადიენობის შემდეგ შინ დაბრუნდა, ისაუბრა და მოწყურდა; იპოვა ღვინიანი ჭიქა, არ იცოდა, რომ შიგ შხამი იყო და ერთიანად გადაჰკრა. როგორც კი დალია მმისთვის მომზადებული მომკვდინებელი სასმელი, იქვე პირქვე დაემხო. ბავშვის მოულოდნელი სიკვდილით თავზარდაცემულმა ბიძამ ღრიალი მორთო, ეძახოდა დედას და მთელ ჯალაბობას. უკვე მიხვდნენ, რომ ბიჭი შხამმა მოკლა, და ყველა იქ მყოფი თავისებურად ცდილობდა მიმხვდარიყო, თუ ვის შეეძლო ასეთი საშინელების ჩადენა. მაგრამ ეს სასტიკი, დედინაცვლური მზაკვრობის იშვიათი განმასახიერებელი ქალი არ შეაშფოთა არც შვილის საშინელმა სიკვდილმა, არც უწმინდურმა სინდისმა, ოჯახის უბედურებამ, მეუღლის მგლოვიარებამ, სამწუხარო დასაფლავებამ; მან გადაწყვიტა ოჯახის უბედურებით ესარგებლა, როგორც შურისსაძიებლად ხელსაყრელი შემთხვევით. მაშინვე აფრინა მოამბე ქმრის დასაწევად, რომელიც გზაში იყო, რათა მისთვის ოჯახში შემოჭრილი უბედურება ეცნობებინა და, დაბრუნდა თუ არა ქმარი შინ, ამ უმაგალითო

ურცხვმა ქალმა გერს ცილი დასწამა, თითქოს მისი შვილი მას მოეწამლოს. ამ ცილისწამებაში მართალი მხოლოდ ის იყო, რომ ბავშვმა ყმაწვილისათვის გამზადებული შხამი დალია, მაგრამ იგი ირწმუნებოდა, გერმა მისთვის ჩაიდინა ბოროტმოქმედება და დალუპა მმა, რომ ქალი არ დაეთანხმა საზიზღარ შეუღლებაზე, რაზედაც იგი მას აიძულებდა. ქალი ამ საოცარი ტყუილით არ დაკმაყოფილდა და დაუმატა, რომ საიდუმლოს გამჟღავნებისათვის მახვილით მემუქრებოდაო. ორივე ვაჟიშვილის დალუპვით შეწუხებული ქმარი მომხდარი უბედურების გამო თავზარდაცემული იყო. უყურებდა კუბოში თავის უმცროს ვაჟს და დარწმუნებული იყო, რომ სისხლის შერევისა და მკვლელობისათვის მის უფროს ვაჟსაც სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა; გარდა ამისა, მეტად საყვარელი მეუღლის ფარისევლური მოთქმა კიდევ უფრო უძლიერებდა უსასტიკეს ზიზღს საკუთარი შვილისადმი.

6. როგორც კი შვილის გვამზე დასაფლავების წესები დასრულდა, უბედური მოხუცი ცრემლით დაღარული ღაწვებით და ნაცრით დაფარული ჭადარა თმით ქალაქის მოედნისაკენ გაემურა. მან არაფერი იცოდა თავისი უმსგავსი ცოლის ტყუილებისა, ტიროდა, ლოცულობდა, დეკურიონებს მუხლებზე ეხვეოდა და გულმოდგინედ ემუდარებოდა დაესაჯათ მამის სარეცელის შემბლაღავი, საკუთარი ძმის მკვლელი, ბოროტმოქმედი და დედინაცვლის სიკვდილის განმზრახველი, მისი უფროსი ვაჟი. თავისი მწუხარებით ისეთი თანაგრძნობა და აღშფოთება გამოწვია მოხელეებსა და თვით ხალხში, რომ ყველა დამსწრეთაგანი მოითხოვდა, სასამართლოს დავიდარაბისა, ბრალმდებლის საბრალდებო სიტყვისა და დამცველის მოჩამხული ხრიკების გარეშე იქვე ადგილზე მთელ ხალხს ქვით ჩაექოლა ბოროტმოქმედი, ეს საზოგადოებრივი ჭირი.

მოხელეებმა მოისაზრეს, როგორი საშიშროება ემუქრებოდა მათ, თუ კი აღშფოთების ყოველი სუსტი ნაპერწკალი სამოქალაქო წესების დარღვევასა და არეულობას გამოიწვევდა; გადაწყვიტეს დეკურიონების მიმართ შთაგონებისა და ხალხის მიმართ ძალდატანებითი ზომები მიეღოთ, რათა სასამართლოს წარმოება წინაპართა ჩვეულებით მომხდარიყო და ორივე მხარის მოსმენის შემდეგ სამართლიანი განაჩენი გამოეტანათ; არც ერთი ადამიანი მოუსმენლად არ დასჯილიყო, როგორც ეს ხდება ხოლმე იმ ქვეყნებში, სადაც ბარბაროსული სიმკაცრე ან ტირანული ძალადობა ბატონობს, და მომავალ საუკუნეებს მშვიდობიანობის დროს ამდენად ველური მოვლენის მაგალითი არ მისცემოდა.

7. გონიერმა მოსაზრებამ გაიმარჯვა. მაშინვე უბრძანეს მაცნეს. კურიაში^[154] სენატორები მოეწვია. როცა მათ ხარისხისა და ჩვეულების მიხედვით სასწრაფოდ დაიკავეს თავთავიანთი ადგილები, მაცნეს ხელახალი გამოძახებით პირველად ბრალმდებელი გამოვიდა. შემოიყვანეს თუ არა ბრალდებული, ატიკური^[155] კანონისა და მარსის სამსჯავროს^[156] ჩვეულებით მაცნემ დამცველებს გამოუცხადა, რათა ისინი ბრალდებულს არ გამოსარჩლებოდნენ და ხალხი შეწყნარებისაკენ არ მოეწოდებინათ. ყველაფერი ეს ხალხში ურთიერთლაპარაკით გავიგე. როგორ ცხარობდა ბრალმდებელი, რას ამბობდა თავის გასამართლებლად ბრალდებული და საერთოდ როგორი იყო მხარეთა კამათი, არ ვიცი, რადგან იქ არ დავსწრებივარ, ბოსელში ვიდექი და, რაც არ ვიცი, მის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ; აქ მხოლოდ იმას ვწერ, რაც დანამდვილებით ვიცი. კამათის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტეს, ასეთი დიდი საქმე მარტო ეჭვების საფუძველზე კი არ უნდა წარმოებულიყო, არამედ ყველა დებულება უტყუარი საბუთით უნდა დაემტკიცებიათ. ამიტომაც, რაც

უნდა მოხდეს, აუცილებელია მთავარი მოწმის, მსახურის გამოძახება, რომელიც ალბათ ამ საქმის ერთადერთი მცოდნე იქნებაო. ის დასამიწებელი სრულებით არ შეძრწუნებულა, არც იმით, რომ ასეთ დიდ საქმეში გაეხვია, არც პატივცემული სამსჯავროს დანახვაზე, არც უწმინდური სინდისის საყვედურზე და დაიწყო გამოგონილი ამბების ისე ჩმახვა, თითქოს სიმართლეს ამბობდა. მისი სიტყვებით, დაუმახა თავისი დედინაცვლის მიუკარებლობით აღშფოთებულმა ყმაწვილმა და რათა შეურაცხყოფისთვის შური ეძია, მისი შვილის მოკვლა მიანდო და, თუკი ამაზე უარს იტყოდა, სიკვდილით ემუქრებოდა; რომ მან გადასცა თავისი ხელით შემზადებული საწამლავი, მაგრამ შეშინებულმა ისევ უკან წაიღო, ვაითუ მონას მინდობილი საქმე არ შეესრულებინა და თასი ნივთიერ საბუთად შეენახა. შემდეგ კი თვითონ მისცა ბავშვს შხამიო. არამზადამ ყველაფერი ისე მართალივით მოიგონა და ისეთი აკანკალებული ხმით წარმოთქვა, რომ მისი ჩვენების შემდეგ საქმის გარჩევა შეწყდა.

8. არც ერთი დეკურიონთაგანი ყმაწვილს თანაგრძნობით არ ეპყრობოდა; ცხადი იყო, იგი ბოროტმოქმედებაში დაიჭირეს და განაჩენიც ასეთი გამოუტანეს: ტომარაში უნდა ჩაესვათ და თავი მოეკრათ. როდესაც აზრები გაერთიანდა და ყველას მსჯავრი ერთ სიტყვად შეთანხმდა, ძველთაძველი ჩვეულების მიხედვით სენატორებს კენჭები უნდა ჩაეყარათ სპილენძის ლარნაკში. აზრთა აღრიცხვა თუ დასრულდებოდა, ბრალდებულის ხვედრიც გადაწყდებოდა, განაჩენს ვერავინ შეცვლიდა და მისი სიცოცხლე ჯალათის ხელს ჩაბარდებოდა. უცებ სენატორთა შორის წამოდგა ყველგან ცნობილი, როგორც არაჩვეულებრივი პატიოსანი ადამიანი, დიდი გავლენიანი, ერთი მკურნალი, ლარნაკის თავს ხელი დააფარა, რათა ვინმეს ნაჩქარევად თავის წინადადება არ ჩაეშვა და სენატს ასე მიმართა:

- თქვენგან მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ნდობით აღჭურვილს და ამით გამხნევებულს არ შემოდლია დავეთანხმო იმ საქმეს, რომ ცილდაწამებული დამნაშავეს დასჯით ნამდვილი მკვლელობა ჩავიდინოთ და თქვენ, წმინდა სამსჯავროს წინაშე დაფიცებულებმა, სამართლიანად არ საჯოთ, მატყუარა მონის მიერ შეცდომაში შეყვანილებმა ფიცი გატეხოთ. თვითონ მეც ჩემი აზრი მოუფიქრებლად რომ წარმომეთქვა, ღვთის პატივისცემას გავწელავდი და სინდისის წინაშე შევცოდავდი. მოგახსენებთ, თუ როგორ იყო საქმე.

9. არც ისე დიდი ხანია, რაც ეს ბილწი ჩემთან მოვიდა ძლიერად მოქმედი შხამის საყიდლად და საფასურად ასი ოქრო შემომამძლია; მითხრა, საწამლავი მჭირდება ერთი განუკურნავი სენით შეპყრობილი ავადმყოფისათვის, რომელსაც სურს ბოლო მოუღოს თავის წამებულ არსებობასო. ამ არამზადის ლაყბობამ და მისმა უხეირო ახსნა-განმარტებამ დამაეჭვა, სრულიად დარწმუნებულმა, რომ აქ რაღაც ბოროტმოქმედება უნდა იყოს განზრახული-მეთქი, მიცემით კი მივეცი საწამლავი, მაგრამ წარმოვიდგინე მომავალი დაკითხვის შესაძლებლობა. შემოდლეული თანხა მაშინ არ მივიღე და ასე ვუთხარი, რომ შენგან შემოდლეულ ოქროთა შორის რამდენიმე უვარგისი ან ყალბი არ აღმოჩნდეს, ამ პარკში ჩაყარე, შენი ბეჭედი დაასვი, ხვალ კი რომელიმე გადამხურდავებლის თანდასწრებით შევამოწმოთ-მეთქი. დამეთანხმა და ფული დაბეჭდა. როგორც კი მოიყვანეს იგი სასამართლოში, მაშინვე გავგზავნე კაცი ცხენით შინ, პარკის მოსატანად. ახლა პარკი მოტანილია და შემოდლია წარმოვიდგინოთ. დაე, მან დახედოს და იცნოს თავისი ბეჭედი.

როგორ შეუძლია მოწამვლა ძმას მიაწეროს, როცა საწამლავი ამ გაიძვერა მონამ იყიდა?

10. მაშინ ეს ვერაგი კანკალმა აიტანა, სახის ბუნებრივი ფერი სიფითრით შეეცვალა, მთელ სხეულზე ცივმა ოფლმა დაასხა, გაუბედავად ფეხს ინაცვლებდა, ხან აქეთ-იქით კეფასა და შუბლს იფხანდა და კბილებდაკრეკილი რაღაც გაუგებარს ბუტბუტებდა. არავინ არ დაეჭვდებოდა იმაში, რომ იგი ბოროტმოქმედების მონაწილე იყო; მაგრამ მალე ცბიერება გაელვია, ჯიუტად ყველაფრის უარყოფა დაიწყო და ირწმუნებოდა, მკურნალის ჩვენება ტყუილიაო. მკურნალმა დაინახა თუ არა, როგორ ითელებოდა მსაჯულების ღირსება და მისი საკუთარი სინდისიც სახალხოდ იბღალებოდა, გაცხარებით უარყოფდა მზაკვრის ჩვენებას, სანამ ბოლოს მოხელეთა ბრძანებით მსახურებმა არამზადა მონის ხელებს არ დახედეს, მას რკინის ბეჭედი არ წაართვეს და პარკზე ანაბეჭდს არ შეადარეს; ამ შედარებამ წინანდელი ეჭვი განამტკიცა. მას ბერძნული ჩვეულებისა და მიხედვით არ აცდა არც ბოროტალი^[157] და არც ბოძკინტი^[158], მაგრამ არაჩვეულებრივ უტიფრობით გადაიტანა ცემა და ცეცხლით წამებაც კი.

11. მაშინ მკურნალმა თქვა:

- ჰერკულესს გეფიცებით, ნებას არ მოგცემთ, რომ თქვენ ღვთის განგების წინააღმდეგ ეს უდანაშაულო ყმაწვილი დასაჯოთ და ჩვენი მართლმსაჯულების დამცინავი არამზადა მკვლელობისათვის დაუსჯელი დატოვოთ. ახლა ამ საქმის დამამტკიცებელ აშკარა საბუთს წარმოგიდგენთ. როცა ეს ვერაგი ჩემგან მომაკვდინებელი შხამის ყიდვას ცდილობდა, ვფიქრობდი, ჩემი ხელობისათვის შეუფერებელია ვინმეს დაღუპვა ან სიკვდილი-მეთქი, რადგან კარგად ვიცი, რომ სამკურნალო მეცნიერება ადამიანის მხოლოდ კეთილდღეობას ემსახურება და არა დაღუპვას; მაგრამ შეშინებულმა, თუ მის თხოვნას არ შევასრულებდი, უადგილო უარით გზა არ გამეხსნა ბოროტმოქმედებისათვის და სხვას არ მიეყიდა მისთვის საწამლავი ან ხმლით, ან სხვა იარაღით არ ჩაედინა განზრახული მზაკვრობა, მიცემით კი მივეცი წამალი, მაგრამ ძილისმომგვრელი, თავისი ნარკოტული თვისებებით ცნობილი მანდრაგორა^[159], რომელიც სიკვდილივით ღრმა ძილს იწვევს. სრულებითაც არ არის საკვირველი, რომ გამწარებული ვერაგი წამებას იტანს, რადგან მას ეს უფრო ეადვილება, ვიდრე ის სასჯელი, რომელიც მან წინაპართა ჩვეულებისა და მიხედვით დაიმსახურა. თუკი ბავშვმა ჩემი ხელით დამზადებული სასმელი შესვა, ის ცოცხალია, ისვენებს, მალე მოიშორებს ძილის ბურუსს და ნათელ ქვეყანას დაუბრუნდება; თუ დაიღუპა და მკვდარია, დაღუპვის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ.

12. მოხუცის სიტყვა ყველამ ირწმუნა. მთელი ხალხი დიდი სისწრაფით დაიძრა აკლდამისაკენ, სადაც ყრმის სხეული ესვენა; არ იყო არც ერთი ადამიანი მოსამართლეთაგან, წარჩინებულთაგან და მდაბიოთაგანაც კი, რომ აღნიშნულ ადგილზე ცნობისმოყვარეობით არ წასულიყო. აი, საკუთარი ხელით ახადა მამამ კუბოს თავი სწორედ იმ დროს, როცა შვილი ცოცხლდებოდა და სიკვდილის სამეფოდან ბრუნდებოდა. მამამ მაგრად ჩაიკრა გულში შვილი, ასეთი სიხარულის შესაფერ სიტყვებს ვერ პოულობდა, და იგი ხალხში გაიყვანა. ყმაწვილი როგორც იყო შეკრული და შეხვეული დასამარხავ სუდარაში, ისე წაიყვანეს სასამართლოში. ვერაგი მონისა და მასზე უფრო ვერაგი დედაკაცის ბოროტება გამოჟღავნდა, ჭეშმარიტება სრულიად გაშიშვლებული წარმოდგა. დედინაცვალს სამუდამო განდევნა მიუსაჯეს და მონას კი ძელზე გაკვრა. ფული

კი ერთხმად მიაკუთვნეს კეთილ მკურნალს, ასეთი შესაფერი ძილის წამლის დამზადებისათვის. ასე ღირსეულად დაამთავრა ღვთის განგებამ ეს შესანიშნავი, ცნობილი ამბავი იმ მოხუცის შესახებ, რომელსაც მოკლე დროში, თითქმის ერთ წუთში, უშვილოდ დარჩენის საფრთხე ელოდა და მოულოდნელად ორი ვაჟის მამად დარჩა.

13. მე კი ამასობაში, ო, როგორ მათამაშებდნენ ბედის ტალღები! იმ ჯარისკაცს, რომელმაც უსასყიდლოდ მიმითვისა, სამსახურის მოვალეობის გამო რომში პატივცემული პიროვნებისათვის ბარათი უნდა წაეღო თავისი უფროსის ბრძანებით. მე თერთმეტ დინარად მიმიყიდა მეზობელ ვიღაც ორ ძმას, ძალზე მდიდარი ბატონის მონებს. ერთი მათგანი მეშაქარლამე იყო და სხვადასხვანაირ პურსა და თაფლიან ნამცხვარს ამზადებდა; მეორე მზარეული იყო და სხვადასხვა არაჩვეულებრივი გემრიელი საკმაზით საჭმელებს ორთქლში შუშავდა. ისინი ერთად ცხოვრობდნენ და საერთო მეურნეობა ჰქონდათ; მე კი დამავალეს იმ ჭურჭლეულობის ზიდვა, რომელიც სხვადასხვა საჭიროებისათვის და ხშირი მოგზაურობის დროს, პატრონს ყოველთვის თან დაჰქონდა ხოლმე. ისე რომ მესამე თანამცხოვრებად შევედი ამ ორ ძმასთან და აქამდე ჩემდამი ბედი ასე კეთილგანწყობილი არ ყოფილა. ჩემს პატრონებს ჩვეულებად ჰქონდათ, თავის პატარა ოთახში მდიდრული და შესანიშნავი ნადიმის შემდეგ ყოველგვარი ნარჩენის მოტანა. ერთს მოჰქონდა ღორის ხორცის, ქათმის, თევზის დიდი ნაჭრები და მრავალი სხვა მსგავსი კერძი, მეორეს - პური, ღვეზელი, ქაღები, ფუნთუშები, ნამცხვარი და მრავალი თაფლიანი ტკბილეული. ისინი კეტავდნენ თავის ოთახს და ძალ-ღონის მოსაკრეფად აბანოში მიდიოდნენ, მე კი ზეციდან ჩამოყრილი სანოვავით უზომოდ ვძლებოდი. მართლაც ხომ ისეთი სულელი ვირი არ ვიყავი, რომ ამ გემრიელი საჭმელისთვის ხელი არ მეხლო და გახევებული თივით მევახშმა.

14. კარგა დიდხანს მშვენივრად გამოდიოდა ეს ქურდული ხრიკები, რადგან საკმაო სიფრთხილით და აგრეთვე მრავლად მომარაგებული სანოვავიდან უმნიშვნელო ნაწილს ვიღებდი. პატრონებსაც არასგზით ეჭვი არ შეეპარებოდათ ვირის ასეთ მოქმედებაში. მაგრამ, აი, სრულიად დაიმედებულმა რომ ეს არ გამომჟღავნებოდა, დავიწყე ჩემი ულუფის გადიდება და ყველაზე უკეთესის არჩევა, ველაპავდი ქონიან ნაჭრებს და ტკბილეულით პირს ვიგემრიელებდი ხოლმე, ისე რომ ძმები დაეჭვდნენ, თუმცა არაფერ მსგავსს მე არ მაწერდნენ, მაგრამ მით უმეტეს, ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ ვინ იყო ყოველდღიურ დანაკლისში დამნაშავე.

ბოლოს თავის გულში ერთიმეორეს აბრალებდნენ სამაგელ ქურდობას. გააძლიერეს მეთვალყურეობა, გააორკეცეს სიფხიზლე და ნაჭრების თვლაც კი დაიწყეს. ბოლოს და ბოლოს ერთმა მათგანმა ხატრს თავი დაანება და მეორეს უთხრა:

- შენი მხრით ძალიან მართებული და კაცთმოყვარულია ასეთი საქციელი - ყოველდღე საუკეთესო ნაწილი აირჩიო, გაყიდო და ჩუმად ფული აგროვო, შემდეგ კი მოითხოვო დანარჩენი თანაბრად გავიყოთო. თუკი საერთო მეურნეობა არ მოგწონს, შეგვიძლია ამაში გავვეყოთ ერთიმეორეს, ხოლო დანარჩენში კი ძმური განწყობილება შევინარჩუნოთ, რადგან ვხედავ, თუ ერთმანეთზე ასეთი გულმოსული ვიქნებით, ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა, სამუდამოდაც წავიჩხუბოთ.

მეორემ მიუგო:

- ჰერკულესს გეფიცები, მომწონს ასეთი თავხედობა: შენ ბაგეთაგან მომტაცე ეს საჩივარი ყოველდღიური ქურდობის შესახებ. თუმცა გულმოსული ვიყავი, მაგრამ ამდენ ხანს იმიტომ ვდუმდი, რომ ღვიძლი ძმისათვის წვრილმანი ქურდობის დაბრალება მრცხვენოდა. კეთილი და პატიოსანი, ხომ ორივემ ჩვენ-ჩვენი აზრი გამოვთქვით, ახლა უბედურების დამხმარე საშუალება უნდა გამოინახოს, რათა ჩუმად გაგრძელებულმა შუღლმა ჩვენთვის არ წარმოშვას ისეთივე მტრობა, როგორც იყო შუღლი ეტეოკლესა და პოლინიკეს შორის^[160].

15. ერთიმეორეს უსაყვდურეს, იფიცებდნენ, რომ ერთმანეთი არაფერში მოუტყუებიან, არავითარი ქურდობა არ ჩაუდენიათ და გადაწყვიტეს შეერთებული ძალით მათი დამხარალებელი ავაზაკი მოენახათ. წარმოუდგენლად მიაჩნდათ, რომ იქ მყოფ ვირს ყოველდღიურად ასეთი საჭმელებით კვება შეძლებოდა, ან ოთახში ოდესღაც ფინევსის^[161] საზრდოს მომტაცებელი ჰარპიების-ოდენა ბუზები შეფრენილიყო. მიუხედავად ამისა, რჩეული ნაჭრები ისევ ყოველდღე იკარგებოდა.

ამასობაში უხვი, ნოყიერი კვებითა და ადამიანური საჭმელებით გამაღარი გავსუქდი, კანი ქონისაგან დამირბილდა, ბალანმა ბრწყინვა დაიწყო. მაგრამ გარეგნობის ასეთმა გაუმჯობესებამ ცუდი სამსახური გაუწია ჩემს პატიოსან სახელს. მძებმა ყურადღება მიაქციეს ჩემი ზურგის უჩვეულო სიფართოვეს, აგრეთვე იმას, რომ თივას მუდამ ხელუხლებლად ვტოვებდი და ფხიზლად დამიწყეს თვალყურის დევნება. ერთხელ ჩვეულებრივად დაკეტეს სახლი, თითქოს აბანოში მიდიოდნენ, თვითონ კი გააკეთეს პატარა ჭუჭრუტანა და იქიდან მეთვალყურეობა დამიწყეს. დაინახეს თუ არა, როგორ ვეცი კუთხეში დალაგებულ კერძებს, თავისი ზარალი დაივიწყეს და ვირის ღორმუცელობით გაკვირვებულებმა ხმამაღალი ხარხარი ატეხეს. დაუძახეს ერთს, მეორეს და ბოლოს მონების მთელი გროვა შეკრიბეს, რათა გართობილიყვნენ უაზრო ტვირთშიდავი პირუტყვის არნახული ღორმუცელობით. ყველამ ისეთი ხარხარი დაიწყო, რომ ახლო მიმავალი ბატონის ყურამდე მიაღწია.

16. ბატონმა გამოიკითხა, თუ რაზე იცინოდნენ შინაყმები. გაიგო თუ არა, რაშია იყო საქმე, იმავე ხერელიდან თვითონაც შემოიხედა და დიდად ისიამოვნა: ბევრი სიცილისაგან შიგნეულობა ეტკინა. რომ უფრო ახლოს დავენახე, კარი გააღო და ოთახში შემოვიდა. ზოგიერთი ნიშნებით მომეჩვენა, რომ ბედმა უფრო გამიღიმა, ვიდრე წინათ, გარშემო მყოფთა მხიარული განწყობილება ნდობას მინერგავდა, სრულებითაც არ დავიბენი და მშვიდად განვაგრძობდი ჭამას მანამ, სანამ ასეთი უჩვეულო სანახაობით გამხიარულებულმა ბატონმა თავის სახლში ჩემი შეყვანის განკარგულება არ გასცა. საკუთარი ხელითაც კი შემეყვანა სასადილოში და უბრძანა ჩემთვის ცხელი ხელუხლები კერძები მოეტანათ. თუმცა საკმაოდ ნასაუზმევი გახლდით, მაგრამ მსურდა მისი ყურადღება და სიყვარული დამემსახურებინა, ხარბად დავეტაკე მოტანილ საჭმელს. მაშინ დაიწყეს მოფიქრება, კიდევ რა მოეტანათ, რას უფრო იშვიათად ჭამს ვირიო და, გამოსაცდელად, თუ რამდენად მოშინაურებული და გამგონე ვიყავი, სანელებლით შეკაზმული ხორცეული, პილპილმოყრილი ფრინველისა და საუცხოოდ დამზადებული თევზი შემომთავაზეს. მთელ დარბაზში ხარხარი გაისმა. ბოლოს ერთმა ხუმარამ დაიძახა:

- მოართვით თანამესუფრეს რაიმე სასმელი!

მასპინძელმა მხარი დაუჭირა:

- არც ისეთი სულელური ხუმრობაა ეს, შე თაღლითო, ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენმა სტუმარმა ერთი თასი თაფლიანი ღვინის შესმაზე უარი არ თქვას. ეი, ბიჭო, - განაგრძო მან, - კარგად გამორეცხე ეს ოქროს თასი, აავსე ტკბილი ღვინით და ჩემს სტუმარს მოართვი; ამასთანავე გადაეცი, რომ მე უკვე შევსვი მისი სადღეგრძელო.

თანამესუფრეთა მოლოდინმა უკიდურესობამდე მიაღწია. მე სრულიად არ შეშინებია, მშვიდად და მხიარულად კი მოვამრგვალე ენის მსგავსად ქვედა ტუჩი და ვეებერთელა თასი ერთი გადაკვრით დავცალე. ატყდა ყიჟინა და ყველამ ერთხმად ჯანმრთელობა მისურვა.

17. ბატონი დიდად კმაყოფილი დარჩა. დაუძახა თავის მონებს, რომლებმაც მე მიყიდეს და ოთხმაგი ფასი გადაიხადა; ჩემზე განსაკუთრებული მზრუნველობა მონობისაგან განთავისუფლებულ, თავის საყვარელ, საკმაოდ მდიდარ კაცს მიანდო. იგი ნოყიერი და ადამიანური საზრდოთი მკვებავდა. ბატონის გულის მოსაგებადა და გასართობად გულმოდგინედ მასწავლიდა სხვადასხვა თამაშობას, რასაც ბატონი ალტაცებაში მოჰყავდა. უპირველეს ყოვლისა, მასწავლა ნიდაყვზე დაყრდნობით მაგიდასთან ჯდომა, შემდეგ ჭიდაობა, უკანა ფეხებზე დგომით ცეკვაც კი და, ბოლოს, რაც ყველაფერზე უფრო საკვირველი იყო, კითხვებზე თავის დაქნევით პასუხის მიცემა. დასტურის შემთხვევაში თავს წინისაკენ ვხრიდი და წინააღმდეგ შემთხვევაში კი - უკან. თუ მწყუროდა, მერიქიფეს ვუყურებდი, ხან ერთი თვალისა და ხან მეორეს ჩაკვრით თასს მოვითხოვდი. რა თქმა უნდა, ამის დასწავლა ჩემთვის ძნელი როდი იყო, კიდევაც რომ არავის ეჩვენებინა, მაგრამ ადამიანური ჩვევები რომ უმასწავლებლოდ შემეთვისებინა, მეშინოდა ჩემი მოქმედების მეტი ნაწილი ავის მომასწავებლად არ ჩაეთვალათ, როგორც რაღაც საოცრება, ვინმეს ნაკუწ-ნაკუწ არ დავეჩეხე და ნოყიერი ნადავლის სახით ქორებისათვის არ გადავეგდე. ჩემი სახელი შორს გავარდა, ისე რომ ჩემმა საკვირველმა ნიჭმა პატრონს სახელი და დიდება შესძინა.

- აი, - ამბობდნენ მასზე, - ესაა ისეთი ვირის პატრონი, რომელიც მასთან ერთად პურსაც ჭამს, ჭიდაობს, ცეკვავს, ისეთი ვირის, რომელსაც ადამიანის ენა ესმის და რომელიც თავის გრძნობებს ნიშნებით გამოხატავს.

18. უპირველეს ყოვლისა, ახლა მაინც უნდა გაუწყოთ, რაც თავიდანვე უნდა მეთქვა, თუ ვინ იყო ჩემი პატრონი და სადაური ჩამომავლობისა. მას თიასეს ეძახდნენ. ჩემი სამშობლო მთელი აქაიის პროვინციის სატახტო ქალაქი კორინთო^[162] არისო, - ამბობდა იგი. წარმოშობისა და ღირსების შესაფერისად თანამდებობიდან თანამდებობაზე გადადიოდა და ბოლოს მაგისტროსად დაენიშნათ ხუთწლიან თანამდებობაზე. ასეთი ბრწყინვალე თანამდებობის ღირსეულად მიღებისათვის თავისი გულუხვობის გამოსაჩენად გლადიატორთა სამდღიანი ბრძოლა უნდა მოეწყო. დიდებისა და სახელის განთქმის სურვილით პირველხარისხოვან ცხოველთა და ცნობილ გლადიატორთა სასყიდლად თესალიაში წავიდა. ყველა თავისი გემოვნების მიხედვით აირჩია, იყიდა და უკან გაბრუნებას აპირებდა. მას არ უსარგებლია მდიდრული ეტლებით, საკუთარი ოთხთვალა ეტლებიც კი არ ისურვა, რომელიც ბარგის ბოლოში ნაწილობრივ ღია და ნაწილობრივ დახურული მიჰყავდათ, არ ისურვა არც თესალიელი ცხენებითა და არც გალური ბედაურებით მგზავრობა, რომელთა ჯიში ძვირად ფასობს; შემამკო მე ოქროს ბალთებით, ფერადი ჩულით, ალისფერი საოფლით, მოვერცხილილი ალვრით, მოქარგული მოსართავით და მოწვრიალე ეჭვნებით; შემაჯდა ზურგზე და კმაყოფილებით ამბობდა, ყველაზე

მეტ სიამოვნებას ის გარემოება მგვრის, რომ შემძლია მისი ტარებაც და მასთან ერთად პურის ჭამაცო.

19. გადავიარეთ ზღვა და ხმელი და კორინთოში ჩავედით, აუარებელმა ხალხმა იწყო თავის მოყრა, არა იმდენად თიასეს პატივისცემით, როგორც მეგონა, რამდენადაც ჩემი ნახვის სურვილით, რადგან იმ ადგილებამდის ჩემზე ისეთი ქება-დიდება გავრცელებულიყო, რომ ზედამხედველის დიდი შემოსავლის წყაროდ ვიქცევი. როცა შეამჩნევდა, დიდძალ ხალხს განსაკუთრებული აღფრთოვანებით სურდა ჩემი ოინების ნახვა, იმ წუთშივე კარს ჩაკეტავდა, მათ ფასით სათითაოდ უშვებდა შიგ და ყოველდღიურად საკმაოდ დიდ თანხას აგროვებდა.

ერთხელ შეკრებილ ხალხში ვინმე მაღალი წოდების მდიდარი ქალი აღმოჩნდა. მანაც სხვასავით გადაიხადა სანახავი ფული, დატკბა ჩემი ყოველგვარი ეშმაკობით, გაოცებიდან თანდათანობით არაჩვეულებრივ სქესობრივ აღტყინებაზე გადავიდა და ვერსად ხედავდა თავისი გიჟური სენის განმკურნავ საშუალებას, გარდა ჩემი ხვევნისა მსგავსად ვირული პასიფაესი^[163]. დიდი ჯილდო გადაიხადა და დაითანხმა ჩემი მცველი, რომ მისთვის ნება მიეცა ერთი ღამე ჩემთან გაეტარებინა. ჩემი მცველისთვის სულ ერთი იყო, თუ რა სიამოვნებას მიიღებდა ქალი ჩემგან, მხოლოდ ფულს დახარბდა და დათანხმდა.

20. ვისადილეთ. პატრონის სასადილოდან ჩემს ბინაში გადავედით, სადაც ჩემი დიდი ხნის მომლოდინე ქალი დაგვხვდა. დიადო ღმერთებო! რა მშვენიერი და საუცხოო იყო სამზადისი! ოთხი საჭურისი ჩვენი სარეცელისათვის იატაკზე მრავალ პატარა რბილი ბუმბულით გატენილ ბალიშს აწყობდა, ტიროსის ძოწეულით და ოქროთი შემკულ საბანს. საგულდაგულოდ შლიდნენ, მასზე ყრიდნენ მრავალ პატარა ყურთბალიშს, რისი ამოდებაც ქალბატონებს ლოყის და კეფის ქვეშ უყვართ ხოლმე. საჭურისებს არ სურდათ დიდხანს იქ ყოფნით ქალბატონისათვის ხელი შეეშალათ, საწოლი ოთახის კარი გაიკეტეს და გავიდნენ. შიგნით კი მოელვარე სანთლების კაშკაშა სინათლე ღამის სიბნელეს ფანტავდა.

21. ქალმა ყველაფერი გაიძრო, გაიხსნა თვით ზორტი, რომელიც მშვენიერ ძუძუებს იჭერდა, სინათლისაკენ მიბრუნდა და თუთიის მომცრო ქილიდან ნელსაცხებლით სხეულის დაზელვა დაიწყო. შემდეგ მეც იქიდანვე ეს ნელსაცხებელი ყველა ადგილას უხვად წამისვა, თვით ცხვირის ნესტოებიც კი დამიზილა. ამის შემდეგ მაგრად მაკოცა, არა იმგვარად, საროსკიპოში ანგარებიანი ქალი კრიჟანგ სტუმარს რომ კოცნის ხოლმე, არამედ წმინდა გულით, თან ტკბილად მელაპარაკებოდა:

- მიყვარხარ, მინდიხარ, შენ ერთი ხარ ჩემთვის ძვირფასი, უშენოდ სიცოცხლე არ შემძლია, - და სხვა, რითაც ქალები თავის გრძნობას გამოთქვამენ და სხვებში ვნებას აღძრავენ ხოლმე. შემდეგ ლაგამში ხელი ჩამკიდა და თავისუფლად წამომაწვინა, რასაც უკვე შეჩვეული ვიყავი. დიდი სიამოვნებით დავმორჩილდი. არ ვფიქრობდი, რომ მომიხდებოდა რაიმე ძნელი და უჩვეულო საქმის შესრულება, მით უმეტეს ამდენი თავდაჭერილობის შემდეგ ასეთ მშვენიერ და სიყვარულს მოწყურებულ ქალთან. ამასთანავე ჩემ მიერ ბლომად შესმული შესანიშნავი ღვინო თავში ამივარდა და ცეცხლიანმა მალამომაც ავხორცობის სურვილი აღმიძრა.

22. მაგრამ ძალიან მეშინოდა იმისა, თუ როგორ შევძლებდი ასეთი დიდი და უხეში ფეხებით ნაზ ქალბატონზე შედგომას, როგორ შევიძლებდი ჩემი ფლოქვებით ჩამეხუტებინა ისეთი თოვლივით თეთრი და ფაქიზი სხეული,

რომელიც თითქოს რძისა და თაფლისაგან იყო შექმნილი, როგორ დავკოცნიდი სურნელვანი ცვარით ავარდისფერებულ პატარა ტუჩებს ჩემი ვეებერთელა ჩიჩვირითა და ქვასავით უხეში კბილებით, დაბოლოს როგორ შეუძლია ქალს, რომელსაც ავხორცობით თუნდაც ძვალ-რბილი ეწვოდეს, ამ ზომის სასქესო ორგანოს მიღება? ვაი მე! ეტყობა, კეთილშობილი ქალბატონის დასახიჩრებისათვის დასაგლეჯად ნადირებს მიმიგდებენ და, ამგვარად, ჩემი პატრონის ზეიმის მონაწილე შევიქნები. ამასობაში ქალი მოფერებით სახელებს მიწოდებდა, განუწყვეტლივ მკოცნიდა, ნაზად მექედურტულებოდა, თვალებით მყლაპავდა და ამგვარი შემახილით ამთავრებდა:

- ხელში მყავხარ, ჩემო მტრედიკო, ჩემო ბელურა, - და ამ სიტყვებზე საქმით მიმტკიცებდა, თუ რამდენად უსაფუძვლო იყო ჩემი მსჯელობა და უაზრო ჩემი შიში. იგი მჭიდროდ მომეხუტა და მთლიანად, უმეტესკლებოდ მიმიღო. როცა იგი შემებრალებოდა, ოდნავ უკან დავიხევდი, მაშინ ის ვნებით აღზნებული თვით მომიახლოვდებოდა, ზურგზე ხელებს შემომხვევდა და უფრო მჭიდროდ გადამენასკვებოდა ხოლმე, ასე რომ, ჰერკულესს გეფიცებით, მეჩვენებოდა თითქოს რაღაცა მაკლდა მისი ვნების დასაკმაყოფილებლად, და ჩემთვის გასაგები შეიქნა, რომ ტყუილად არ ყოფილა მინოტავრის დედა^[164] პირუტყვზე შეყვარებული. ამგვარად, მთელი ღამე უძილოდ, შრომაში გავატარეთ. განთიადისას ქალმა დილის სინათლეს თავი აარიდა და წავიდა. მაგრამ მეორე ღამისთვის ჩემს მცველს იმავე ფასში მოურიგდა.

23. ჩემს პატრონს ნაწილობრივ კარგი გამორჩენისა და ნაწილობრივ თავისი ბატონისათვის ახალი სანახაობის მომზადების სურვილით ქალის ავხორცული მისწრაფების საწინააღმდეგო არა ჰქონდა რა. დაუყოვნებლივ დაუხატა მან ბატონს მთელი ჩვენი სიყვარულის სურათი; ბატონმა უხვად დააჯილდოვა განთავისუფლებული მონა და მე სახალხო წარმოდგენისათვის მაზადებდა. მაგრამ, რადგან ჩემს მეუღლეს თავისი ღირსებანი იქ მონაწილეობის მიღების უფლებას არ აძლევდა და სხვისი მონახვა კი არასგზით არ შეიძლებოდა, გამონახეს ერთი საცოდავი ზოროტმოქმედი ქალი, რომელსაც მხეცებისაგან შეჰქმა ჰქონდა მისჯილი და მთელი ხალხის თვალწინ, თეატრში, ჩემთან უნდა შეუღლებულიყო. გავიგე, რომ მისი დანაშაული შემდეგში მდგომარეობდა: მას ჰყავდა ქმარი, რომლის მამაც თურმე სამოგზაუროდ მიდიოდა, თავისი ცოლი, ამ ყმაწვილის დედა, ორსულად დარჩა. ცოლს უბრძანა, თუკი მას ქალი შეეძინებოდა, ეს ნაყოფი მოესპო. როცა ქალს ქმრის არყოფნის დროს გოგო დაებადა, ბუნების მიერ მონიჭებული დედობრივი გრძნობით და სიბრალულობით ამოდრავებულმა, ქმრის ბრძანებას ყური არ ათხოვა და ბავშვი გასაზრდელად მეზობლებს მისცა. როცა ქმარი დაბრუნდა, მან უთხრა, ბავშვი უკვე მოკლულიაო. ქალი უკვე გასათხოვარი შეიქნა; დედამ იცოდა, რომ მის ქმარს, რომელმაც არაფერი იცოდა, არ შეეძლო, მათი წარმოშობის შესაფერისი მზითვეი მიეცა. დედამ სხვა ვერაფერი იღონა და თავისი საიდუმლოება ვაჟიშვილს გაუმჟღავნა. თანაც ეშინოდა, ვაითუ შემთხვევით ახალგაზრდული ცეცხლით აღსავსე ყმაწვილს, რომელმაც თავის დის შესახებ არაფერი იცოდა, საკუთარი დის მიმართ ვნება აღძვროდა. ყმაწვილმა, როგორც სამაგალითო პატივისმცემელმა შვილმა, წმინდად მოიხადა დედის წინაშე მორჩილების ვალიცა და დისადმი მძის მოვალეობაც. ერთი სიტყვითაც არ გასცა ოჯახის საიდუმლოება, და თითქოს სხვისადმი ჩვეულებრივი გულკეთილობით ყოფილიყო გამსჭვალული, მოიხადა დისადმი აუცილებელი მოვალეობა, მიიღო თავის ჭერქვეშ და თავის მფარველობაში,

როგორც მეზობლის უბედური ობოლი. მალე ერთ თავის მახლობელ და საყვარელ მეგობარს მიათხოვა, საკუთარი ქონებიდან მზითევიც უბოძა.

24. მაგრამ სრული ღვთისმომშობით გაკეთებული ეს მშვენიერი და საუცხოო საქმე არ დაიძალა ბედის ბოროტი თვალისაგან, რომლის შეგულიანებითაც ყმაწვილის სახლში ველური შფოთი შემოიპარა. ცოტა ხანში მისი ცოლმა, სწორედ იმ დედაკაცმა, რომელსაც ახლა მხეცების მიერ შექმა ჰქონდა მისჯილი, გოგონას, როგორც ვითომ თავის მოქიშპესა და ქმრის ხასას, ექვიანობა დაუწყო, შემდეგ შეიძულა და ბოლოს მის წინააღმდეგ მზაკვრობა განიზრახა.

მან ასეთი ბოროტება მოიფიქრა: მოჰპარა ქმარს ბეჭედი, გავიდა ქალაქგარეთ, გაგზავნა თავისი ერთგული მონა, რომელიც მზად იყო თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ყველაფერი ცუდი ჩაედინა, რათა მას ეცნობებინა ახალგაზრდა ქალისათვის, თითქოს ძმა თავის მამულში წავიდა და მოუხმობდეს, თან დაუმატა, რაც შეიძლება მალე მარტო მისულიყო. წამოსვლა რომ არაფერს დაებრკოლებინა, სიტყვების დასამტკიცებლად ქმრისაგან მოპარული ბეჭედი გადასცა. ძმის ბრძანების აღმსრულებელმა ქალმა, - მხოლოდ მან იცოდა, რომ ეს სახელი შეეძლო ეწოდებინა მისთვის, იცნო მისი ნიშანი, რომელიც უჩვენეს და ბრძანების თანახმად გზას მარტო გაუდგა. მაგრამ ტყუილის მახეში გაბმული ცბიერების ქსელში გაიხლართა; იქ, ამ პატივცემულმა, ექვიანი სიშმაგით შეპყრობილმა მეუღლემ, მული გააშიშვლა და მხეცურად გამოლტა. შემდეგ, როცა ახალგაზრდა ქალმა ღრიალით აუხსნა, თუ რაში იყო საქმე, ძმის სახელს განუწყვეტლივ იმეორებდა, აღშფოთებით უარყო მეძაობის ბრალდება და არწმუნებდა, რომ ყველაფერი ეს ცილისწამება იყო, რძალმა მისი არც ერთი სიტყვა არ დაიჯერა, ყველაფერი მოჩმახულად ჩათვალა, ხელი სტაცა მუგუზხალს, შეარჭო იგი უბედურს თემოებს შუა და საცოდავმა ტანჯვით დალია სული.

25. გარდაცვლილის ძმამ და ქმარმა მაუწყებლებისაგან გაიგეს საშინელი სიკვდილის ამბავი. მოირბინეს, ქვითინით დაიტირეს ახალგაზრდა ქალის სხეული და მიწას მიაბარეს. ყმაწვილმა ვერ შეძლო დის ასეთი საცოდავი და დაუმსახურებელი სიკვდილის გადატანა. ერთიანად მოიცვა იგი მწუხარებამ, ნაღველის ჩაქცევით ავად გახდა, სასტიკი ციებ-ცხელება დაემართა, ისე რომ თვით მას სჭირდებოდა მკურნალი და დახმარება. მეუღლე, რომელმაც უკვე დიდი ხანია კანონის ძალით ამ სახელის წოდების უფლება დაკარგა, მოურიგდა ერთ ვერაგობით ცნობილ მკურნალს, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომებში მრავალგზის გამარჯვების დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ისე რომ თავის მსხვერპლთა დიდი სიის შედგენა შეეძლო. ქალმა ერთბაშად მიაჩეჩა ორმოცდაათი ათასი სესტერცი, რათა მისთვის რომელიმე მსწრაფლმოქმედი შხამი მიეყიდა. ამგვარად თავისი ქმრის სიკვდილს თვითონ ყიდულობდა. მოთათბირებულნი სხვის დასანახავად, თითქოს გულის მოსაბრუნებლად და ნაღველის დასაამებლად იმ ცნობილ სასმელს ამზადებდნენ, რომელსაც სწავლულები „წმინდას“ უწოდებენ, მაგრამ მის მაგიერ ისეთი მიაჩეჩეს, რომ წმინდად შეიძლება მხოლოდ პროზერპინას ჩათვალა იგი. ოჯახის წევრებმა, ზოგიერთმა მეგობრებმა და ახლობლებმა უკვე თავი მოიყარეს. ექიმმა გულმოდგინედ შეაზავა წამალი და თასი ავადმყოფს მიაწოდა.

26. მაგრამ ამ ცბიერმა ქალმა თავისი ბოროტმოქმედების მოწმისგან განთავისუფლება და დაპირებული თანხის თავისთვის დატოვება მოინდომა. დაინახა თუ არა გაწვდილი თასი, ექიმს უთხრა:

- პატივცემულო ექიმო, მანამდე ვერ მივცემ ჩემს ძვირფას ქმარს ამ სასმელს, სანამ საკმაო რაოდენობით თვითონ არ მოსვამ. რა ვიცი, შესაძლებელია შიგ რაიმე საწამლავი ერიოს? ასეთ ჭკვიანსა და სწავლულ ქმარს არ შეურაცხყოფს ის გარემოება, რომ მე, როგორც მოყვარული ცოლი, მეუღლის გადარჩენისათვის აუცილებელ სიფრთხილეს მივმართავ. - ამ სასტიკი ქალის ასეთი უნამუსობით უეცრად შეძრწუნებული ექიმი დაიბნა, დროის სიმცირის გამო თავის მოქმედებისათვის მოფიქრების შესაძლებლობა დაკარგა, ეშინოდა მცირეოდენ თრთოლვას ან მერყეობას დამსწრეებში ეჭვი არ გამოეწვია და თასიდან სითხის საკმაო რაოდენობა მოსვა. ყმაწვილი დარწმუნდა, რომ საშიში არაფერი იყო და მისთვის მოტანილი სასმელი დალია. ექიმმა დაინახა თუ არა, როგორ შეტრიალდა საქმე, ცდილობდა, რაც შეიძლება მალე წასულიყო შინ, რათა დალეული შხამის საწინააღმდეგო წამლის მიღება მოესწრო, მაგრამ ვერაგი დედაკაცი მას არ იშორებდა და ეუბნებოდა:

- სანამ ჩვენ ამ წამლის განმკურნავ მოქმედებას არ დავინახავთ, მანამდე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ.

როცა ექიმმა მას ვედრებითა და თხოვნით თავი მოაბეზრა, ძალაუნებურად გაუშვა. ამასობაში მიმალული სიკვდილი მთელ შიგნეულობას წვავდა და სულ ღრმად, გულისაკენ მიიწევდა; სრულიად დაავადმყოფებულმა, უკვე ღრმა ძილმორეულმა სახლამდე ძლივს მიაღწია. ძლივს მოასწრო ცოლისთვის ყველაფრის თქმა. დაავალა მას, ამ ორმაგი სიკვდილისათვის დაპირებული თანხა მაინც აეღო და კეთილმა ექიმმა მწარე ტანჯვით სული დალია.

27. მეტ ხანს არც ყმაწვილს უცოცხლია; ისიც გარდაიცვალა. ცოლმა იგი ყალბი და ფარისევლური ცრემლით გააცილა. დასაფლავების შემდეგ ექიმის ცოლმა რამდენიმე დღე მიცვალებულთა წესების შესრულებისათვის შეიცადა, ბოლოს მივიდა და ორმაგი მკვლელობისათვის გასამრჯელო მოითხოვა. მაგრამ იმ დედაკაცმა თავის ხასიათს არ უღალატა, პატიოსნების ყველა წესი გათელა და მხოლოდ მისი აჩრდილი შეინარჩუნა. დიდად ალერსიანად პასუხობდა, დიდსა და გულუხვ დაპირებებს აძლევდა, არწმუნებდა, დაუყოვნებლივ გადავიხდი დაპირებულ თანხასო, თან დაუმატა, რომ სურდა ამ სასმელის კიდევ მცირე რაოდენობა მიეღო, რათა დაწყებული საქმე დაემთავრებინა. რაღა ბევრი გავაგრძელო? ექიმის ცოლი ცბიერების მახეში გაება და მალე დათანხმდა. მას სურდა მდიდარი და წარჩინებული ქალის გული მოეგო. სასწრაფოდ გაემგზავრა შინისაკენ და მალე ჩააბარა ქალს შხამით სავსე მთელი კოლოფი. დედაკაცმა მიიღო თუ არა ასეთი ძლიერი საშუალება, განიზრახა სისხლიანი ხელები უფრო ფართო ბოროტმოქმედებისათვის გაეშალა.

28. ახლაზან გარდაცვლილი ქმრისაგან პატარა ქალი დარჩა. იგი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ კანონების თანახმად ქმრის ქონების ნაწილი ბავშვზე უნდა გადასულიყო, მისი წილი მემკვიდრეობის მითვისებისათვის შვილის სიკვდილიც გადაწყვიტა. იცოდა, შვილების სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობა დედებზე გადადიოდა. იმდენადვე ღირსეულმა მშობელმა, რამდენადაც ღირსეულმა მეუღლემ, გააწყო საუზმე, დაპატიჟა ექიმის ცოლი და ეს უკანასკნელი თავის ქალიშვილთან ერთად საწამლავით დაღუპა. ბავშვს, რომელსაც უფრო სუსტი სუნთქვა, ნაზი და გაუმაგრებელი შიგნეულობა ჰქონდა, მომკვდინებელმა შხამმა სწრაფად მოუღო ბოლო. მაგრამ იგრძნო თუ არა ექიმის ცოლმა, რომ მის ფილტვებში რგოლებად ვრცელდებოდა საბედისწერო სასმელის მტანჯველი მოქმედება, მაშინვე მიხვდა, რაშია იყო

საქმე, მით უმეტეს, რომ ხშირმა სუნთქვამ ცხადზე უცხადესად დაამტკიცა ეჭვი. მან მაშინვე ქალაქის მმართველის სახლს მიაშურა. ალიაქოთზე მოცვენილი ხალხის თანდასწრებით პირობას იძლეოდა, რომ საშინელ ბოროტმოქმედს ამხელდა და თავის სიტყვებს ფიცით ამტკიცებდა. ამის გამო იგი მაშინვე შეუშვეს თვით ქალაქის მმართველთან და მანაც ყურადღებით მოუსმინა ქალს. მოასწრო თუ არა მუხანათი დედაკაცის ყველა სისასტიკის დაწვრილებით მოყოლა, უცებ თვალებში დაუბნელდა, ნახევრად ღია ბაგეები მოკუმა, კბილებმა ხანგრძლივი ღრჭიალი გამოსცა და თვით ქალაქის მმართველის ფეხებთან უსულოდ დაეცა. ეს კაცი ბევრის მნახელი იყო და არ შეეძლო, თუნდაც მცირე ხნით დაეყოვნებინა, არ დაესაჯა ამდენი ბოროტმოქმედების ჩამდენი შხამიანი ექიდნა. მაშინვე დაიჭირა მისი მხეველები, აწამა და ისე გამოტეხა. ქალს მხეცებისათვის შესაქმელად მიგდება მიუსაჯა არა იმიტომ, რომ ეს სასჯელი საკმაო იყო, არამედ იმიტომ, რომ მისი ბოროტმოქმედების სხვა უფრო შესაფერი სასჯელის გამოგონება ვერ შეძლო.

29. იძულებული ვიყავი ასეთ ქალს კანონიერი ქორწინებით საჯაროდ შევუღლებოდი. ამიტომაც დღესასწაულის დაწყებას დიდი შიშით მოველოდი. არაერთხელ მინატრია სიკვდილი, რათა სამარცხვინოდ, მთელი ხალხის წინაშე, ასეთი ბოროტმოქმედი ქალის შეხებით არ შევბღალულიყავი. მაგრამ ადამიანის ხელებსა და თითებს მოკლებულს ჩემი მრგვალი ფლოქვებით არ შემეძლო მახვილი მეშიშვლა. უბედურების მორევში პატარა იმედი მაინც მინათებდა. მაშინ კვლავ გაზაფხული იწყებოდა, ყველაფერი ფერადი კვირტებით იკაზმებოდა, კორდი ალისფერ ტანსაცმელს იცვამდა, ღეროები მალე ეკლებით დაფარულ ქერქს ამოხეთქავდნენ, კეთილსურნელებას გაავრცელებდნენ, გამოჩნდებოდა ვარდები, რომელთაც შეეძლოთ კვლავ წინანდელ ლუციუსად ვექციე.

აი, დადგა თამაშობების გახსნის დღეც; მე დიდი ზეიმით წამიყვანეს, ტაშის ცემით შემხვდა ხალხი და ცირკამდე მიგვყვა. პროგრამის პირველი ნაწილის დამთავრებამდე, რომელშიაც ფერხული შედიოდა, გალავანთან გამაჩერეს და ზედ შესასვლელთან ამოსულ მწვანე ბალახს მადიანად ვგლეჯდი, თან ღია კარში ცნობისმოყვარეობით ხშირად ვიყურებოდი, საამო სანახაობით ვტკებოდი.

ახალგაზრდობის პირველი ეშხით გაბრწყინებული, საუკეთესო ტანსაცმლით მორთული, მშვენიერი შესახედაობის ვაჟები და ქალები რხევით მიმოდიოდნენ და ბერძნულ ცეკვა პირიკას ასრულებდნენ; ხან მშვენიერი ფერხულით ერთმანეთზე გადაწულნი სრულ წრეს ჰკრავდნენ, ხან დაკლაკნილი რკალებივით ერთდებოდნენ, ოთხკუთხედად შეგროვდებოდნენ; წყება-წყებად სხვადასხვა მხარეს იფანტებოდნენ; მაგრამ, აი, საყვირის ხმა გაისმა და დამთავრდა ამ რთული შეერთებისა და განცალკევების შეხამება; ისინი სხვადასხვა მხრით გაიფანტნენ. მთავარი ფარდა აიწია, თეჯირები დაიკცა და სცენა გამოჩნდა.

30. სცენაზე მხატვრის მაღალი ხელოვნებით აღმართული იყო ხის მთა, იმ იდის მთის^[165] მსგავსად, გრძნეულმა ჰომეროსმა რომ უმღერა; იგი დაფარული იყო ცოცხალი მწვანე ხეებით. მთის მწვერვალიდან აღმშენებლის ხელით გაკეთებული წყარო კალთებზე რუებად მომდინარეობდა. რამდენიმე თხა იქვე ბალახს წიწკნიდა. ფრიგიულ ყაიდაზე ზედა ტუნიკში გამოწყობილ ყრმას აზიური, ნაოჭებიანი წამოსასხამი მოეხურა, თავზე ოქროს მიტრა ედგა და ფრიგიელი მწყემსის, პარისის მსგავსად, ფარას თვალყურს ადევნებდა.

გამოვიდა მშვენიერი ყრმა, რომელსაც მხოლოდ ეფების^[166] სამეფო მანტია ჰქონდა მოსხმული და სხვა ტანსაცმელი არ ეცვა, თვალისმომჭრელი ოქროსფერი თმა ჰქონდა და კულულებს შორის ორი წყვილი პატარა ფრთა ესხა; ხელში რომ კვერთხი ეჭირა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ეს მერკური იყო. იგი ცეკვით მიუახლოვდა მას, ვინც პარისს^[167] გამოხატავდა, და მარჯვენა ხელით ოქროს ვაშლი მიაწოდა, თან ანიშნა იუპიტერის სურვილი, მოხდენილად შემობრუნდა და თვალთაგან მიეფარა. მის შემდეგ გამოვიდა ქალღმერთ იუნონას მსგავსი, კეთილშობილი შესახედაობის ქალწული, თავზე ბრწყინვალე ჯილა ედგა, ხელში სამეფო კვერთხი ეჭირა. სასწრაფოდ გამოჩნდა მეორეც, რომელიც მინერვად შეიძლება ჩაგეთვალოთ; თავზე ზეთისხილის გვირგვინით შემკული ბრწყინვალე ჩაჩქანი ეხურა, ფარი მოჰქონდა და შუბს აქნევდა. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც ის ქალღმერთი ომში.

31. მათ შემდეგ შემოვიდა სხვა; ბრწყინვალე სილამაზის იერით ამჟღავნებდა, რომ იგი ვენერა იყო, ქალწულობის დროის ვენერა. ის დაუფარავი და გაშიშვლებული სხეულის სრულყოფილ მშვენებას გვიჩვენებდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აბრეშუმის მსუბუქ ქსოვილს, რომელიც ქალობის მომაჯადოებელ ნიშანს უფარავდა; ამ პატარა ქსოვილსაც კი ქარი სიყვარულით ეალერსებოდა, ხან ასწევდა და ორად გაყოფილ ნორჩ ყვავილს გამოუჩენდა, ხან ძლიერად დაუბერავდა, მაგრამ მიაკრავდა ქსოვილს და საამური ნაკვთები გარკვევით გამოიხატებოდა; თვით ქალღმერთის ფერი სხვადასხვანაირი იყო: სხეული ისეთი თეთრი ჰქონდა, თითქოს ზეციდან ჩამოდიოდა, და წამოსასხამი ისეთი ლაჟვარდისფერი, თითქოს ზღვაში ბრუნდებოდა. ყოველი ქალღმერთის გამომსახველ ქალწულს მხლებლები ახლდნენ: იუნონას კასტორი და პოლუქსი^[168], რომელთაც თავზე კვერცხის მსგავსი, ზევით ვარსკვლავით შემკული ჩაჩქანი ეხურათ (მაგრამ ეს ტყუპებიც ახალგაზრდა მსახიობები იყვნენ). მათ მიუძღოდათ ქალწული, რომელიც ფლეიტაზე იონიური ყაიდის სხვადასხვა მელოდიას უკრავდა. ქალღმერთი მწყემსს მოწიწებითა და ჩუმად მიუახლოვდა და კეთილშობილური მიმოხვრით გააგებინა, თუ იგი მას მშვენიერებისათვის ჯილდოს მიანიჭებდა, მწყემსი მთელი აზიის მფლობელი გახდებოდა, მას კი, რომელიც საომარმა მორთულობამ მინერვად აქცია, ომის მოყვარული ქალღმერთის საჭურველთმზიდველი ორი ყრმა, შიში და სისასტიკე, ან და, რომლებიც შიშველი მახვილებით იმუქრებოდნენ. მათ მოჰყვებოდა ყმაწვილი კაცი, იგი ფლეიტაზე საომარ ჰანგებს უკრავდა და დაბალი ხმის ბუტბუტში შერეული მაღალი ჰანგების სტვენა მკვირცხლი ცეკვის სურვილს აღვიძებდა, მოუსვენრად თავს აქნევდა, მრისხანედ იყურებოდა და უტიფარი, მოურიდებელი მიმოხვრით უჩვენა პარისს, რომ თუკი ლამაზების შეჯიბრებაში გაამარჯვებინებდა, მწყემსი მისი დახმარებით გმირი და სახელგანთქმული მეომარი შეიქნებოდა.

32. მაგრამ, აი, ვენერა, რომელსაც ხალხი ადფრთოვანებული შეძახილით შეხვდა, ჩვილი ბავშვებით გარშემორტყმული და ტკბილად მომღიმარი მომხიბვლელად შუაგულ სცენაზე მოხდენილად შეჩერდა: იფიქრებდი, რომ მსუქან-მსუქანი ფუნთუშა და თეთრყირმიზა ბიჭუნები ეს არის ზეციდან ან ზღვიდან მოფრინდნენო: ფრთებით, ისრებითა და მთელი გარეგნობით ისინი სწორედ კუპიდონებს ჰგვანდნენ; ხელში ისე ეჭირათ ანთებული ჩირაღდნები, თითქოს საქორწინო ნადიმზე მიმავალ თავის ქალბატონს გზას უნათებენო; იქვე ჩამწკრივდნენ თვალწარმტაცი უბიწო ქალწულები, აქ - უწარწარესი გრაციები, იქ - ულამაზესი ჰორები^[169], ისინი ყვავილებსა და გვირგვინებს ისროდნენ.

თავისი ქალღმერთის დასატკბობად მშვენიერი ფერხული გააბეს და ქალბატონის საამებლად პირველ გაზაფხულს სალამს უძღვნიდნენ. მრავალწლიანი ფლეიტები ნაზად უსტვენდნენ ლიდიურ სიმღერებს. მაყურებელთა გულები მათ ტკბილად აძგერეს. მაგრამ, აი, შეუდარებლად უტკბესმა ვენერამ ნელა დაიწყო მოძრაობა, ფლეიტის ნაზ ჰანგებს მოხდენილი მიმოხვრით იმეორებდა, თვალებს ხან მინაბავდა და ხან ვნებიანად გაახელდა, ისე რომ ხანდახან მხოლოდ თვალეები განაგრძობდნენ ცეკვას. როგორც კი მოსამართლის წინ წარსდგა, როგორც ჩანს, ხელების მოძრაობით ჰპირდებოდა, თუკი პარისი თავის მოქიშპეებთან მას უპირატესობას მიანიჭებდა, მაშინ იგი ცოლად ვენერასავით ლამაზ ქალს მიიღებდა. ფრიგიელმა ჰაბუკმა, ხელში რომ ვაშლი ეჭირა, გამარჯვების ნიშნად იგი ქალღმერთს გადასცა.

33. რაღა გაკვირვებთ თქვე გამოტვინებულებო, სასამართლოს მეხრიკეებო, ტოგაში გამოწყობილო ძერებო, ახლა რომ ყოველ მოსამართლეს, ქრთამით მოსყიდულს, განაჩენი გამოაქვს, როცა ქვეყნის დასაბამიდანვე ადამიანებსა და ღმერთებს შორის აღძრულ საქმეში მოხდა მიკერძოება და დიდი იუპიტერის მითითებით ამორჩეულმა შუამავალმა, სოფელელმა კაცმა, სიამოვნებით მოხიბლულმა მწყემსმა^[170], პირმოთნე განაჩენი გამოიტანა და მთელი თავისი მოდგმა დასაღუპავად გასწირა? ჰერკულესს გეფიცებით, მერმეც ასევე ხდებოდა: აქაელმა სარდლებმა ის განთქმული განაჩენი გამოიტანეს და ბრძენსა და განსწავლულ პალამედეს^[171] ღალატი დასწამეს; ან მოვიგონოთ, როდესაც ბრძოლებში სახელმოხვეჭილ უდიდეს აიაქსს ჩვეულებრივი ადამიანი ულისე ამჯობინეს. რაღას იტყვით იმ სახელგანთქმულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილია კანონიერების მოყვარე, ფრთხილი და ყოველგვარი ცოდნის ფუძემდებელი ათენელების მიერ? განა ღვთაებრივი სიბრძნის უხუცესს^[172], რომელსაც თვით დელფოს ღმერთმა მოკვდავთა შორის ბრძენი უწოდა, სამაგელი ბრბოს ცილისწამებითა და შურით ბრალი არ დასდეს, როგორც ახალგაზრდობის გამრყენელს, როცა სინამდვილეში მათ აღვირახსნილობისაგან აკავებდა? განა იგი შხამიანი ბალახის წვენიტ არ დაიღუპა და არ დატოვა წარუშლელი სამარცხვინო ლაქა თავის თანამოქალაქეებზე, რომელთა შორის საუკეთესო ფილოსოფოსები ახლა მის წმინდა მოძღვრებას ეზიარნენ, თავის მისწრაფებაში უმაღლესი ნეტარებისადმი მხოლოდ და მხოლოდ მის სახელს იფიცებენ? მაგრამ ვინმემ ჩემი გულისწყრომისათვის რომ არ მისაყვედუროს და არ იფიქროს, აი, სწორედ ესღა გვაკლდა, ვირული მსჯელობა მოვისმინოთო, დავუბრუნდები მოთხრობის იმ ადგილს, სადაც შეეჩერდი.

34. პარისის სამსჯავროს დამთავრების შემდეგ, იუნონა და მინერვა მათი ათვალწუნებისათვის ხელების ქნევით გულისწყრომას გამოხატავდნენ და დანადვლიანებულნი, განრისხებულნი სცენიდან გავიდნენ. აღტაცებული ვენერა თავის სიხარულს მთელ ფერხულთან ცეკვაში გამოხატავდა. მაშინ მთის მწვერვალის რომელიღაც ფარული მილიდან ზაფრანაშერეულმა ღვინის წყარომ ძირს ფრქვევა დაიწყო, ფართოდ გაშლილი მამოვარი თხები კეთილსურნელოვანი წვიმით დაასველა და მანამ ასხურა, სანამ მათი მატყლი, ბუნებრივად მუქი, ბევრად უფრო ლამაზი, მოყვითალო-ოქროსფერი არ გახადა. როცა მთელი თეატრი საამო სურნელებით აივსო, ხის მთა მიწაში ჩაინთქა.

აი, ქუჩაში გამოვარდა ერთი ჯარისკაცი და ქალაქის საპყრობილისაკენ გაემართა, რათა მთელი ხალხის სახელით მოეთხოვა იმ ქალის მოყვანა, რომელიც მრავალი ბოროტმოქმედებისათვის მხეცების შესაჭმელად იყო

განწირული და ჩემთან შესაუღლებლად დანიშნული. გულმოდგინედ დაიწყეს მზადება ჩვენი საქორწინო სარეცელისა, რომელიც ბრწყინავდა, როგორც ინდოეთის კუ და ფაფუკი ბუმბულების გროვით, მიმზიდველი აბრეშუმის საბნით აფერადებული იყო. მე არა მარტო ყველას თვალწინ სქესობრივი შეუღლების სირცხვილი მწვავდა, არა მარტო ამ შებღალული და ბოროტმოქმედი ქალის შეხება მეზიზღებოდა, არამედ სიკვდილისაც ძლიერ მეშინოდა: ვაითუ, ჩვენი ალერსის დროს ერთი იმ მხეცთაგანი გამოეშვათ, რომელთა შესაჭმელადაც განწირული იყო ქალი. ვფიქრობდი, ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინო, მხეცი ბუნებრივად იმდენად აზრიანი, ისე დაგეშილი, ან ჭამის დროს ისე თავშეკავებული ყოფილიყო, რომ ჩემს გვერდით მწოლიარე დედაკაცი დაეფლითა და მე არ შემხებოდა, რადგან მსჯავრდაუდებელი და უდანაშაულო ვიყავი.

35. იმდენად მოსალოდნელი სირცხვილი არ მაწუხებდა, რამდენადაც ჩემი სიცოცხლის შენარჩუნებაზე ზრუნვა. ამასობაში ჩემი მცველი სარეცელის სათანადო გაწყობით გაერთო. მსახურთა დანარჩენი ნაწილი სანადიროდ მზადებას შეუდგა, ნაწილი კი მიმზიდველ სანახაობას სჭკრეტდა. ჩემი გეგმის შესრულებისათვის სრული თავისუფლება მომენიჭა. არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ ჩემისთანა მოშინაურებულ ვირს ყარაულობა დაჭირდებოდა. ფრთხილად გავიპარე მახლობელი კარისაკენ და მივაღწიე თუ არა მას, რაც ძალა და ღონე მქონდა მოვუსვი. ექვსი მილი გავირბინე და მივაღწიე კენხრეს, რომელიც კორინთოს ერთ-ერთ საუკეთესო ახალშენად ითვლება და ეგეოსისა და სარონის ზღვის პირას ძევს. მისი ნავსადგური გემთათვის ერთ-ერთი მყუდრო თავშესაფარია და ყოველთვის ხალხითაა სავსე. მაგრამ მე ხალხს გავეურბოდი. ნაპირზე, წყლის ახლოს, განმარტოებული ადგილი ამოვირჩიე და დაღლილი სხეულით დასასვენებლად რბილ ქვიშაზე გავიშხლართე. მზის ეტლმა უკვე სადარაჯოზე უკანასკნელი ბოძი შემორკალა დღის იპოდრომზე, და საღამოს მყუდროებამ მშვიდი ძილი მომგვარა.

წიგნი მეთერთმეტე

1. ღამის პირველი დარაჯობის დრო იქნებოდა, რომ მოულოდნელად კანკალით გამოვიღვიძე და სწორედ ზღვის ტალღებიდან ამომავალი სავსე და არაჩვეულებრივად მბრწყინავი მთვარე დავინახე. რადგან მე უნებლიეთ ღრმა ღამის მუნჯდუმალებას ვიყავი ზიარებული და ვიცოდი, ზეციური ქალღმერთის უხენაესი მფლობელობა განსაკუთრებით შორს ვრცელდებოდა და მთელ სამყაროს მისი განგება მართავდა, რომ ღვთაებრივი მნათობის სასწაულებრივი ბრძანება არა მარტო შინაურ და გარეულ ცხოველებს ამოძრავებდა, არამედ უსულო საგნებსაც კი, რომ ყოველი სხეული, მიწაზე, ზეცაში და ზღვაზე მის მატებასთან ერთად იზრდებოდა, ხოლო დაკლებასთან ერთად პატარავდებოდა, ყველაფერი ეს ვიცოდი და ვვარაუდობდი, რომ ამდენი ტანჯვით დაკმაყოფილებული ჩემი ბედი თუნდაც დაგვიანებული ხსნის იმედს მაძლევდა, - გადავწყვიტე ვედრებით მიმემართა იქ მყოფი წმინდა ქალღმერთის მეფური სახისათვის. სიზარმაცე სასწრაფოდ მოვიცილე, მხიარულად ფეხზე წამოვიჭერი, განწმენდის სურვილით იქვე შვიდჯერ ჩავყავი თავი ზღვაში, რადგან ეს რიცხვი ჯერ კიდევ ღვთაებრივმა პითაგორამ რელიგიური წესებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისად ცნო, შემდეგ აღვაპყრე ძლევაძმოსილი ქალღმერთისაკენ ცრემლით დანამული სახე და ასე დავიწყე:

2. - ზეციური მგლობელი, - ხარ შენ ცერერა, ხორბლეულის სათნო დედა, რკოთი ძველებური მხეცური კვება რომ გააუქმე და ადამიანებს უფრო საამო საჭმელი უჩვენე, ახლა რომ ელევსინის მიწა-წყალზე ბინადრობ, ხარ ზეციური ვენერა, რომელმაც ამურის დაბადებით დასაბამიდან ორი სხვადასხვა სქესი შეაერთე, ადამიანის მოდგმის გაგრძელება სამარადისოდ უზრუნველყავი და რომელსაც ახლა ზღვისპირა წმინდა პაფოსში^[173] თაყვანს გცემენ, თუ შენ ხარ ფებეს და^[174], მშობიარობის დროს რომ საშველად მოდიხარ, ამდენი ხალხის აღმზრდელი და ეფესოს დიდებულ საკურთხეველში ხარ ღამის ყეფით პატივცემული, ან პროზერპინა თავზარდამცემი, შენი სამსახოვნებით რომ მოჩვენებათა თავდასხმას ამშვიდებ, ქვესკნელზე ბატონობ, სხვადასხვა ტევრში დახეტილობ და ბევრგან თაყვანცემული ხარ, ოო, პროზერპინა, შენი ქალური ბრწყინვალეობით რომ ყოველ სახლს აშუქებ, მხიარულ ნათესებს ნამიანი სხივებით ასაზრდოებ და უმზეობის დროს საკუთარ უიმედო სინათლეს გვინაწილებ, - რაც არ უნდა გერქვას შენ, როგორი წესებით და სახითაც არ უნდა იყოს საჭირო შენი პატივისცემა, ახლა, უკიდურეს გაჭირვებაში მხსნელად მომეველინე, მერყევი ბედი განმიმტკიცე, მაკმარე მკაცრი უბედურებანი, მომეცი მშვიდობა და მოსვენება; მეყო ტანჯვანი, მეყო ხეტიალი! ოთხფეხი ცხოველის ველური სახე განმაშორე, დამაბრუნე ჩემს მახლობლებთან, მაქციე ლუციუსად! თუკი ჩემ მიერ შეურაცხყოფილი რომელიმე ღვთაება შეუწყნარებელი სიმკაცრით მდევნის, სიკვდილი მაინც მეღირსოს, თუ სიცოცხლე არ მიწერია.

3. ამგვარი მოთქმაშერეული ლოცვის შემდეგ ხელახლა წინანდელ ადგილზე დავეშვი და ჩემი მოქანცული სული ძილმა შეიპყრო. თვალის მოხუჭვაც კი ვერ მოვასწარი, რომ უცებ ზღვის შუაგულიდან ამალა და ღვთაებრივი სახე, რომელსაც შეეძლო თვით ზეცის მკვიდრთა შორის მოკრძალება შთაენერგა. შემდეგ ჩემს თვალებს წარმოუდგა მორევიდან თანდათანობით მისი გასხივოსნებული სახე. ვეცდები გადმოგცეთ ეს გამოცხადება, თუკი ადამიანის სიტყვიერი სიღარიბე თხრობის შესაძლებლობას მომცემს, ან თუ თვით ღვთაება გარდმომივლენს ენაწყლიანი მქვერმეტყველების უხვ ნიჭს.

უწინარეს ყოვლისა, ღვთაებრივ კისერს უკან თავისუფლად და მსუბუქად ეყარა კულულებად დაწყობილი ხშირი, გრძელი თმა. ქოჩორს უმშვენებდა ყოველგვარი ჭრელი ყვავილების გვირგვინი. ამასთანავე სწორედ შუაზე, შუბლს ზევით, სხივებს აფრქვევდა მრგვალი ფირფიტა, როგორც სარკე ან, უკეთ, მთვარის ქალღმერთის უტყუარი ნიშანი. მარჯვნივ და მარცხნივ წრეს აგვირგვინებდა მაღლა აწვდილი გველები და პურის თავთავები, ყველაზე მაღლა წამოწეული^[175]... მრავალფეროვანი თხელი ბისონით, რომელიც ხან თეთრად ლივლივებდა, ხან ზაფრანისფრად მოჩანდა, ხან ალისფერი ვარდივით ბრწყინავდა. მაგრამ ყველაზე მეტად გამაკვირვა შავმა წამოსასხამმა, რომელიც შავი ბრწყინვალეობით გამოირჩეოდა. სხეულზე შემოხვეული მარჯვენა თეძოდან მარცხენა მხარზე და იქიდან ზურგზე ისე გადადიოდა, როგორც რომაული ტოგა, უკან გადმოკიდებული იყო ხშირ ნაკეცებად და ბოლოებზე ფოჩები ლამაზად ჰქონდა შემოვლებული.

4. ნაპირებზე ამოქსოვილი ჰქონდა მოკაშკაშე ვარსკვლავები, შუაში სავსე მთვარე ალისებურ ბრწყინვალეობას აფრქვევდა. იქ, სადაც ეს საუცხოო წამოსასხამი ფართო ტალღებად ეფინებოდა, ამოქარგული იყო იმ ყვავილებისა და ნაყოფების ერთიანი ყვავილწული, როგორიც კი არსებობს ამ ქვეყნად. ხელში მას ეჭირა ერთიმეორისაგან განსხვავებული საგნები. მარჯვენა ხელში

ექირა სპილენძის საჩხარუნო, რომლის მრგვალად მოხრილი, ვიწრო ძირი შუაზე პატარა ჯოხებით იყო გადაჭდობილი და სამჯერ შერხევის შემდეგ გულშემზარავ ხმას გამოსცემდა. მარცხენა ხელზე ეკიდა პატარა ნავის მსგავსი ოქროს თასი, რის ტარზეც, წალმიდან, უზომოდ გაბერილ კისრიან ასპიტს ჰქონდა თავი წამოწეული. კეთილსურნელოვან ფეხებზე ეცვა გამარჯვების პალმის ფოთლებისაგან დაწნული ფლოსტები. ასეთი სახით, ასეთი მორთულობით, ბედნიერი არაბეთის სურნელებით მსუნთქავმა ღვთაებრივი წინასწარმეტყველება მადირსა:

5. - აი, ლუციუს, შენს წინაშე ვარ შენი ვედრებით აღელვებული, ბუნების ნივთთა დასაბამი, ყველა სტიქიონთა ქალბატონი, მარადიულობის წინამორბედი, ღვთაებათა შორის უმაღლესი, გარდაცვლილთა სულების მფლობელი, ზეცის მკვიდრთა შორის უპირველესი, ყველა ღმერთთა და ქალღმერთების ერთსახეობა, რომლის ხელქვეითაა ლაჟვარდოვანი ცის თაღი, ზღვის განმკურნავი ქროლვა, ქვესკნელის სავალალო დუმილი. ჩემი ერთარსება მრავალგვარი სახეობით, სხვადასხვა მორთულობით და სხვადასხვა სახელითაა სამყაროს მიერ პატივდებული, იქ, ფრიგიელები, კაცობრიობის პირმშონი, პესინუნტის ღვთაებათა დედას მიწოდებენ, აქ, ატიკის მკვიდრნი - კეკროპიულ მინერვას, იქ, ზღვისპირა კვიპროსელები - პაფოსის ვენერას, კრეტელი მშვილდოსანნი - დიქტინის დიანას, სამ ენაზე მოლაპარაკე სიცილიელები - სტიქსის პროზერპინას, ელევსინელები - უძველეს ქალღმერთ ცერერას, ზოგნი - იუნონას, სხვები - ბელონას, ჰეკატეს, სხვებიც - რამნუსიას^[176], მაგრამ ეთიოპელები, რომელთაც აღმომავალი მზის პირველი სხივები სხვებზე ადრე უნათებს, და ძველი ცოდნით მდიდარი არიელები და ეგვიპტელები, რომელნიც სათანადოდ პატივს მცემენ, მიწოდებენ ჩემს ნამდვილ სახელს - მფარველ ისიდას. მე, სათნო და მსწრაფლმშველელი, შენს გაჭირვებას თანაგრძნობით გამოვცეხადე. შეწყვიტე ტირილი და ჩივილი, უკუაგდე მწუხარება, ჩემი განგებით შენთვის ხსნის დღე იწყება. ყურადღებით მოისმინე დარიგება. დღე, ამ ღამისგან რომ დაიბადება, ოდითგანვე ჩემდამია მომღვნილი. ზამთრის ცუდი ამინდები მთავრდება, მშფოთვარე ტალღები წყნარდება, ზღვა ცურვისათვის ხელმისაწვდომი ხდება და ჩემი ქურუმები ჩემთვის წყალში უშვებენ ჯერ კიდევ დაუსველებელ ნავს, როგორც ზღვაოსნობის სიახლეს. ამ წმინდა წეს-ჩვეულებას მშვიდად და სათნოებით ელოდე.

6. იცოდე, რომ ჩემი დარიგების თანახმად მთავარ ქურუმს საზეიმო სვლის დროს მარჯვენა ხელში, რომლითაც მას სისტრი უჭირავს, ვარდების გვირგვინი ექნება. აუჩქარებლად მისწი-მოსწიე ხალხი, პროცესიას მხნედ შეუერთდი, ჩემი ნებართვის თანახმად სულ ახლოს ფრთხილად მიდი ქურუმთან, თითქოს შენ მისი ხელზე კოცნა გწადდეს, მოწყვიტე ვარდები და იმავე წუთში ეს ჩემგან დიდი ხნის შეძლებული საძაგელი პირუტყვის ტყავი მოიშორე. ნურაფრისი გეშინია: ამ დარიგების შესრულება იოლია. ახლა, შენ რომ გესაუბრები, სხვაგანაც ვიმყოფები, ჩემ ქურუმთან, და ძილში ვაფრთხილებ, რაც უნდა მოხდეს და როგორ უნდა მოიქცეს. ჩემი ბრძანების თანახმად ბრბო მიიწ-მოიწევა და გზას დაგიცლის, შენი საძაგელი შესახედაობა არავის არ შეაძრწუნებს მხიარული, სადღესასწაულო სვლისა და საზეიმო სანახაობების დროს და შენი მოსალოდნელი გარდაქმნა არავის ეჭვსა და შურს არ აღუძრავს. მაგრამ კარგად დაიხსომე, სამუდამოდ გულში შეინახე: მთელ დანარჩენ სიცოცხლეს, უკანასკნელ ამოკვნესამდე, მე შემომწირავ. სამართლიანობა მოითხოვს, რომ მას, ვისი მოწყალებაც ადამიანებთან დაგაბრუნებს, მთელი შენი

სიცოცხლე ეკუთვნოდეს. ჩემი მფარველობით ბედნიერად და სახელოვნად იცხოვრებ. როცა ცხოვრების გზას დაასრულებ და საიქიოს წახვალ, იქაც კი, იმ მიწის ქვეშ, სიბნელის გამფანტველ აქერონტს, სტიქსის საიდუმლოებათა მეფეს, თვით ელისეს მინდვრებში^[178] მცხოვრებს დამინახავ და შენს მწყალობელს ხშირად თაყვანს მცემ ხოლმე. თუკი სამაგალითო მოთმინებით, წესების შესრულებითა და მტკიცე უბიწოებით ჩვენი ღვთაებრიობის გულს მოიგებ, იცოდე, მხოლოდ ჩემს ხელშია განსაზღვრული ვადის შემდეგ შენი სიცოცხლის გახანგრძლივება.

7. უძლეველმა ღვთაებამ თავისი გასახარელი წინასწარმეტყველება დაასრულა და გაქრა. ძილთან ერთად ყოველგვარი შიში მომშორდა და სიხარულისაგან ოფლში გაწუწული ფეხზე წამოვიჭერი. უძლეველი ქალღმერთის ასე ცხადად ხილვის გამო გახარებული ზღვაში ჩავყურყუმელავდი და, რათა მისი მაღალი მითითებანი არ დამვიწყებოდა, მეხსიერებაში თანმიმდევრობით აღვადგინე ყველა დარიგება. მალე ღამის ბურუსი გაიფანტა, ოქროს მზე აღმოებრწყინდა, წმინდა დღესასწაულისათვის შეკრებილი ერი გამოჩნდა და ყველა ქუჩა ხალხით აივსო. მე ხომ მიხაროდა და, გარდა ამისა, გარდა ჩემი შინაგანი სიხარულისა, მეგონა, რომ გარშემო ყველაფერი განსაკუთრებით ხარობდა. ყოველგვარი ცხოველი, ყველა სახლი, თვით ნათელი მზეც, სიხარულით სავსედ მეჩვენებოდა. გუშინდელი სიცივის შემდეგ წყნარი, მზიანი ამინდი დადგა, გაზაფხულის სითბოთი მოხიბლულმა მოჭიკჭიკე ჩიტებმა ტკბილი გალობა მორთეს, ადიდებდნენ ვარსკვლავთა დედას, წელიწადის დროთა მშობელს. თვით ხეებიც კი, როგორც ნაყოფიანი ჯიშისა, რომლებიც უხვ მოსავალს იძლევიან, ისე უნაყოფონიც, მარტო ჩრდილს რომ იძლევიან, სამხრეთის სუნთქვის გამო მწვანე ფოთლებით იმოსებოდნენ, ტოტებს ნელა არხევდნენ და წყნარად შრილებდნენ. დიდ ღელავათა ხმაური მიწყნარდა, ვეებერთელა ტალღები ჩადგა, ზღვა მშვიდად ესალბუნებოდა ნაპირებს, შავი ღრუბლები გაიფანტა, აკამკამდა მოწმენდილი, ნათელი და ლაჟვარდოვანი ცა.

8. აი, გამოჩნდნენ დიდებული პროცესიის პირველი მონაწილენი, ყოველი მათგანი თავისი გემოვნებისა და არჩევანის მიხედვით იყო ჩაცმული. ერთი, სარტყელშემოკრული, მხედარს გამოხატავდა; მეორე, შემოკეცილი წამოსასხამით, ფლოსტებით და შუბით, მონადირეს წარმოადგენდა; მესამეს - ოქროთი მოვარაყებული ფეხსაცმელი და აბრეშუმის კაბა ეცვა, იგი ძვირფასეულობით იყო შემკული, თმა ლაბაზად ჰქონდა დავარცხნილი და ნარნარი სიარულით ქალს ჰბამავდა. შემდეგ გამოვიდა ვიღაც აბჯრით, ჩაჩქანით, ფარითა და მახვილით შეიარაღებული, თითქოს გლადიატორთა ბრძოლიდან ახალი მოსული ყოფილიყოს. იყო ისეთიც, რომელიც მოწეულ სამოსელში იყო გამოწყობილი, ხელთ ლიქტორის კონები ეპყრა და თანამდებობის პირის როლს ასრულებდა, და ისეთიც, რომელიც განიერი წამოსასხამით, ფეხსაცმელით, კვერთხითა და თხის წვერით ფილოსოფოსს ჰბამავდა; ერთში წებოწასმული ჯოხებითა და ძუის მიხედვით ფრინველებზე მონადირეს იცნობდით, მეორეში კი, ანკესის მიხედვით - მეთევზეს. იქვე დახურული ტახტრევანით, როგორც პატივცემული მანდილოსანი, მოშინაურებული ძუ დათვი მოჰყავდათ; მოქსოვილი ქუდით და ზაფრანისფერი ფრიგიული ტანსაცმლით მორთულ მაიმუნს ოქროს თასი ჰქონდა გამოწვდილი და მწყემსს განიმედეს გამოსახავდა; დაჩაჩანაკებული მოხუცის გვერდით,

მიწებებულფრთებიანი ვირიც მოდიოდა: ერთი ბელეროფონტს ჰგავდა, მეორე – პეგასს და ორივე სიცილს იწვევდა.

9. იმ დროს, როცა ეს სასაცილო ნიღბოსნები ხალხს ართობდნენ და ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ, მხსნელი ქალღმერთის განსაკუთრებული პროცესიაც დაიძრა. მხეველები სუფთა წამოსასხამებით ბრწყინავდნენ, სხვადასხვაგვარი სამკაულით თვალებს ახარებდნენ და გაზაფხულის გვირგვინებით იყვნენ მორთულნი. ზოგნი იმ გზას, რომელზედაც წმინდა პროცესია მიდიოდა, თავიანთი კალთებიდან ამოღებული ყვავილებით ჰფენდნენ, სხვებს – ზურგს უკან ბრწყინვალე სარკეები ეკიდათ, რათა წინ მიმავალ ქალღმერთს მის უკან მთელი უწმინდესი მსვლელობის დანახვა შეძლებოდა. ზოგიერთებს ხელში სპილოს ძვლის სავარცხლები ეჭირათ, ხელებს იმგვარად ამოძრავებდნენ და თითებს იმგვარად ხრიდნენ, თითქოს ქალბატონს თმას უვარცხნიდნენ და უწყობდნენ. სხვები კი საუცხოო ბალზამითა და კეთილსურნელოვანი სითხით ქუჩებს რწყავდნენ. გარდა ამისა, ორივე სქესის დიდძალი ხალხი ფარნებით, ჩირაღდნებით, სანთლებითა და ხელოვნური სინათლის ყოველგვარი წყაროებით ზეციურ მნათობთა დასაბამს ადიდებდა. საღამურები და ფლეიტები უტკბეს მელოდიებს სტვენდნენ, მომჯადოებელ მუსიკას ქმნიდნენ. მათ მოსდევდათ რჩეულ ახალგაზრდათაგან შემდგარი, შესახედავად საამო გუნდი, რომელთაც თოვლივით თეთრი ხალათები და საამური ბრწყინვალე ტანსაცმელი ეცვათ. ისინი მღეროდნენ ტკბილ სიმღერას, რომლის სიტყვები და მელოდია კამენათა წყალობით დახელოვნებულმა პოეტმა შექმნა, საგალობელი უფრო მნიშვნელოვანი საღმერთმსახურო ჰიმნების დაწყებაზე მიუთითებდა. მიდიოდნენ დიდი სარაპისისადმი^[179] მიმღვნილი მესტიკრენიც; მათ მარჯვენა ყურისაკენ მიმართული თავისი საკრავები ირიბად ეჭირათ და რამდენჯერმე ასრულებდნენ ღვთაების ტაძარში შემოღებულ საგალობელს. მათ მოჰყვებოდა მრავალი მსახური, რომლებიც იუწყებოდნენ წმინდა პროცესიისათვის გზის დაცლას საქიროთ.

10. იქვე მიდიოდნენ ღვთიურ საიდუმლოებათ ზიარებულნი, ყოველგვარი ასაკისა და მდგომარეობის, მბრწყინავი სელის ტანსაცმელში მორთული ქალები და კაცები. ქალებს ლამაზად დავარცხნილ თმაზე გამჭვირვალე თავსაფრები ეხურათ, კაცებს მთლიანად გადახოტილი თავები უბრწყინავდათ; დიდი რელიგიის მიწიერი მნათობნი, სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს სისტრების ჭდარუნითაც კი გულშემზარავ ხმებს გამოსცემდნენ. ბოლოს გამოჩნდნენ საიდუმლოებათა უმაღლესი მსახურები; მათი მკერდით სელის თეთრ ქამარშემორტყმული ტანსაცმელი ქუსლებამდე ეცემოდა. ყოვლისშემძლე ღვთაებათა საპატიო ნიშნები მიჰქონდათ. პირველს ხელში ეჭირა ანთებული, მოკაშკაშე ლამპარი. იგი სრულებით არ ჰგავდა იმ ჩვენ ლამპრებს, რომელთაც სუფრაზე სადამოობით უკიდებენ ხოლმე. ის ოქროს ნავი იყო, შუაში ნახვრეტით, საიდანაც ამოდიოდა ძალიან ფართო ალის ენა. მეორეც პირველივით იყო ჩაცმული და ორივე ხელით თითო „დახმარებად“ წოდებული საკურთხეველი მოჰქონდა, რომელთაც ეს სახელი უმაღლესი ქალღმერთის დამხმარე განგებამ მისცა. მას მიჰყვებოდა მესამე, რომელსაც ოქროსაგან მოხდენილად გაკეთებული ფოთლებიანი პალმა მოჰქონდა, და აგრეთვე მერკურის კვერთხი. მეოთხე მარცხენა ხელისგულგამოწვდილი სამართლიანობის განსახიერებას გამოხატავდა. იგი ბუნებრივად სუსტია, არც ეშმაკობითა და არც მოხერხებულობით არის დაჯილდოებული, ამიტომაც მარჯვენა ხელზე უფრო შექმლო განესახიერებინა სამართლიანობა. მასვე

მოჰქონდა ძუძუსავით მრგვალი ოქროს ჭურჭელი, რომლიდანაც რძეს ასხურებდა. მეხუთეს დაფნისტოტებიანი ოქროს სანიავებელი^[180] ეჭირა, სხვას კიდეც ამფორა^[181].

11. მალე გამოჩნდა პროცესია ღმერთების, რომელთაც ადამიანური ფეხებით სიარული ენებებინათ. აი, შიშის მომგვრელი, ზეცისა და ქვესკნელის შუამავალი ანუბისი; მას ჰქონდა ხან ბნელი და ხან ნათელი სახე, მაღლა აწეული მაღლის დრუნჩი. მარცხენა ხელში კვერთხი ეჭირა, და მარჯვენათი მწვანე პალმის ტოტს არხევდა. უკან ყოვლისმშობელი ქალღმერთის ნაყოფიერების სიმბოლო, ყალყზე შემდგარი ძროხა მოჰყავდა მხარზე გადებული ერთ ღმერთმსახურთაგანს და ნეტარი ტვირთის ქვეშ მსუბუქად და ლამაზად მოაბიჯებდა. მეორეს დახურული სკივრი მოჰქონდა, რომელშიც დიდი მოძღვრების დაურღვეველი იდუმალეზა იყო მოთავსებული. მესამეს თავისი ბედნიერი კალთით - ზეციური ღვთაების პატივცემული გამოსახულება; იგი არ ჰგავდა არც შინაურ ცხოველს, არც ფრინველს, არც მხეცს, არც ადამიანს, არამედ ისე მოხერხებულად იყო მოწყობილი, რომ თვით უცნაურობით მხილველთ მოწიწებას აღუძრავდა და ღრმა ღუმილით მაღალი რწმენის გამოუთქმელ შინაარსს შეიცავდა. წმინდა ოქროსაგან შემდეგნაირად იყო გაკეთებული: ეს იყო ხელოვნურად გამოხვეწილი მრგვალფსკერიანი, გარედან ეგვიპტური მხატვრობით შემკული ლარნაკი, ხერელი მაინცდამაინც მაღლა არ ჰქონდა და იქიდან გრძელი ცხირი გამოდიოდა; მეორე მხარეს ძალიან მოხრილი ფართო ტარი. ამ ტარზე შემოკვანძული და აღმართული იყო ჭრელი გველი, რომელსაც გაებერა ზევით აწეული ქაცვდაფარული კისერი.

12. ყოვლად მოწყალე ქალღმერთის მიერ დაპირებული ბედნიერი საათი დადგა. მოახლოვდა ჩემი მხსნელი ქურუმი, რომელსაც ღვთაებრივი წინასწარმეტყველების თანახმად ქალღმერთისათვის მარჯვენით მოჰქონდა სესტრი და ჩემთვის - გვირგვინი, ჰერკულესს გეფიცებით, ჩემს მიერ დამსახურებული გვირგვინი. ამდენ ტანჯვათა გადატანისა და ამდენი ხიფათის გამოცდის შემდეგ დიდი ღვთაების სურვილით მკაცრ ბედთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვდიოდი. მიუხედავად იმისა, რომ დიდმა სიხარულმა აღმიტაცა, მაინც არ ავჩქარებულვარ, რადგან მეშინოდა, ოთხფეხი ცხოველის გამოჩენას ღვთისმსახურების წესიერება არ დაერღვია; თავმდაბლად, მშვიდად, ადამიანის სიარულს მივბამე, ღვთის ნებით გზას მითმობდნენ და ხალხში გვერდულად თანდათან გზა გავიკვლიე.

13. ქურუმი კი, როგორც სინამდვილეში ვხედავდი, გაფითრებული იყო და უკვირდა, თუ ყველაფერი ისე როგორ ხდებოდა, როგორც მას ჰქონდა დავალებული. მაშინვე შეჩერდა, გამოწია მარჯვენა ხელი და ჩემს პირთან გვირგვინი მოიტანა. მე ავკანკალდი, გული ძლიერად ამიძგერდა, დაწული ვარდებით გაბრწყინებულ გვირგვინს ხარბად ვსტაცე პირი, და რადგან დაპირების აღსრულებას ვესწრაფებოდი, შევჭამე. ღვთაებრივმა წინასწარმეტყველებამ არ მომატყუა - მომშორდა ცხოველის საზიზღარი ნიღაბი. უპირველეს ყოვლისა, მაგარი, ჭუჭყიანი მატყლი გაქრა, შემდეგ უხეში ტყავი დარბილდა, უზარმაზარი მუცელი დაპატარავდა, ფეხის გულეზზე ფლოქვები ცალკეულ თითებად დაიყო, ხელებმა ფეხების სახე დაკარგა და თავისი მაღალი დანიშნულებისამებრ ზევით აიწია, გრძელი კისერი დამოკლდა, ხახა და თავი დამიმრგვალდა, ვეებერთელა ყურებმა წინანდელი ზომა მიიღო, ქვასავით კბილები დამიპატარავდა, როგორც ადამიანს, და კუდი, რომელიც ყველაზე მეტად მტანჯავდა, უკვალოდ გაქრა! ხალხი გაკვირდა, ღვთისმმოსავემა

ადამიანებმა თავიანთი სცეს უზენაეს ღვთაებას მისი ძალის ამდენად ცხადად ხილვის გამო; საოცარ სიზმრად ეჩვენებოდათ ყველაფერი და ჩემი ასეთი უეცარი გარდაქმნის დანახვაზე საერთო შემახილით ერთსულოვნად აღაპყრეს ზეცისაკენ ხელები, და ადიდებდნენ ქალღმერთის დიდებულ მოწყალებას.

14. მე კი დიდი საოცრების გამო გავშეშდი, გაუნძრევლად და ჩუმად ვიდექი, გული ამევსო მოულოდნელი და დიდი სიხარულით, არ ვიცოდი, როგორ დამეწყო და წარმომეტქვა ჩემთვის უჩვეულო ბგერები, როგორ უფრო მოსახერხებელი იქნებოდა დაბრუნებული ლაპარაკის უნარით სარგებლობა, რა სიტყვებითა და გამოთქმებით გადამეხადა მადლობა ქალღმერთისათვის მისი ქველმოქმედების გამო. ქურუმმა, რომელმაც, როგორც ჩანს, თავიდანვე განგებით იცოდა ჩემი უბედურებანი, თუმცა დიდმა სასწაულმა ისიც გააკვირვა, მაგრამ მაინც ბრძანება გასცა, რათა უპირველეს ყოვლისა სხეულის დასაფარავად ჩემთვის სელის ტანსაცმელი მოეტანათ, რადგან მომცილდა თუ არა ბოროტი ვირული გარსი, ისევე ისე შიშველი ვიდექი. რამდენადაც შემეძლო, თეძოებში მოვიკუნტე და გადაჭდობილი ხელებით შეძლებისდაგვარად ბუნებრივი საფარველით ვმაღავდი სიშიშველეს.

ერთმა ღმერთმსახურთაგანმა მაშინვე გაიძრო ტუნიკი, საჩქაროდ გადამაცვია. ქურუმი ალერსიანად მიყურებდა და, ჰერკულესს გეფიცებით, ღვთაებრივი საოცრებით გამსჭვალულმა ასე დაიწყო:

15. - აი, ლუციუს, ამდენ ყოველგვარ ტანჯვათა შემდეგ, შენს თავზე დატეხილ ამდენ უბედურებათა და რისხვის შემდეგ, დიდი ქარიშხალის გადატანის შემდეგ, მშვიდ თავშესაფარს, შენი მოსვენების მყუდრო ნავსადგურს, წმინდანთა მოწყალების საკურთხეველს მიაღწიე. არამად ჩაგიარა შენმა შთამომავლობამაც, მდგომარეობამაც და თვით სწავლულობამაც, რომელიც შენ გახასიათებდა, ვინაიდან ახალგაზრდულმა ვნებიანობამ სიამოვნების მონად გაგხადა და უადგილო ცნობისმოყვარეობისათვის საბედისწერო ჯილდო მოგიზღო. მაგრამ ბრმა ბედმა, რომელიც უარეს-უარესი ხიფათებით გტანჯავდა, დღევანდელ ნეტარებამდე მოგიყვანა. დაე, წავიდეს იგი და იმძვინვაროს, თავისი სისასტიკისათვის მას სხვა მსხვერპლის მონახვა დასჭირდება. მათთვის, ვინც თავისი სიცოცხლე ჩვენი უზენაესი ქალღმერთის სამსახურს შესწირა, დამლუპველი შემთხვევა აღარ მოხდება. რა ისარგებლა სასტიკმა ბედმა, როცა შენ ავაზაკებისა და მხეცების ხელში ჩაგაგდო, მონად გაგხადა, სასტიკ გზებზე ყოველი მიმართულებით და ყოველდღიურად სიკვდილის მოლოდინში გატარებდა? აი, სხვა თვალხილულმა ბედმა თავისი კალთა გადაგაფარა, რომლის ბრწყინვალე ნათელი სხვა ღმერთებსაც კი გზას უნათებს. დაე, შენს სახეზე ამ სახეიმი ტანსაცმლის შესაფერი სიხარული აღიბეჭდოს! გახარებული შემოუერთდი მხსნელი ქალღმერთის პროცესიას, რომელიც ამჟამად კვლავ გზას განაგრძობს! დაე, დაინახონ უღმერთოებმა, დაე, შეიგნონ თავისი გზაკვალის აღრევა: აი, განვლილ უბედურებათაგან განთავისუფლებული, მაღალი ისიდის განგებით გახარებული, ბედზე გამარჯვებული ლუციუსი! მაგრამ საიმედოდ და კარგად რომ დაიცვა თავი, წმინდა მეომართა რიგებში ჩაეწერე (რისთვისაც შენ დიდი ხანი არაა, რაც მოწოდებული ხარ), ამიერიდან შენი თავი ჩვენს მომსახურებას შემოსწირე და ნებაყოფლობითი ქვეშევრდომობის უღელი დაიდგი. დაიწყებ თუ არა ქალღმერთის მომსახურებას, საკმარისად დატკბები შენი თავისუფლების დიდი ნაყოფით.

16. ასე მიწინასწარმეტყველა დარბაისელმა ქურუმმა, სულს ძლივს ითქვამდა და დადუმდა. მე უკვე შევუერთდი წმინდა რიგებს, ღვთაებრივ

პროცესიას გავყევი. ყოველი მოქალაქისათვის ცნობილი გავხდი, საერთო ყურადღების საგნად ვიქეცი. ჩემზე ერთმანეთს უთითებდნენ, თავს აქნევდნენ და მთელი ხალხი ლაპარაკობდა: აი, ის, ვისაც ყოვლისშემძლე ქალღმერთის უზენაესმა ღვთაებრიობამ დღეს ადამიანის სახე დაუბრუნა, ჰერკულესს გეფიცებით, ბედნიერი და სამგზის ნეტარია იგი, უთუოდ განვლილი ცხოვრების შეუბილწაობითა და რწმენით ისეთი მშვენიერი ზეციური მფარველობა დაიმსახურა, რომ თითქმის თავის მეორედ დაბადებისთანავე კურთხეულთა შორის ჩაირიცხა.

გაკვირვებული ხალხის მხიარულ შემახილში, ნელის სიარულით, ზღვის ნაპირის სწორედ იმ ადგილს მივუახლოვდით, სადაც ამას წინათ ვირის სახით ვიწეკი. იქ ხარისხების მიხედვით დააწყეს წმინდანთა გამოსახულებანი. უზენაესმა ქურუმმა უწმინდესი ბაგით წმინდა ლოცვები წარმოთქვა, ჩირაღდანი აანთო, კვერცხითა და გოგირდით დაუწყო წმედა ყოველმხრივ ეგვიპტურ ყაიდაზე აჭრელებულ, მოხდენილად გაკეთებულ საკვირველ სურათებიან ნავს და გაწმენდილი ქალღმერთის მიუძღვნა. ამ ბედნიერ ნავზე აფრიალდა ოქროს ასოებით მოქარგული ბრწყინვალე იალქანი, რომელზედაც ახალი ცურვის წარმატებით დაწყების სურვილი იყო გამოთქმული. ანმად აღმართული იყო საამო სანახავი გაბრწყინებული მრგვალი ნაძვი. ბატის ყელივით მოხრილი ხომალდის ბოლო ოქროს ფურცლებით იყო დაფარული, და ნავის ტანი მთლიანად სუფთად გათლილი ნათელი თუიის გაკრიალებული ხისაგან იყო გაკეთებული. როგორც ზიარებული, ისე უზიარებელი ხალხი ერთიმეორეს ასწრებდა კეთილსურნელოვანი ბალახებიანი კალათებისა და სხვა მსგავსი შესაწირავების მიტანას; წყალზე რძის შეჭამანდი მოასხურეს. როცა ნავი გულუხვი ძღვნითა და შეწირული მსხვერპლებით აივსო, ღუზასთან საბელი გადაჭრეს, ნავი თანამგზავრ ნელ ნიავს მიაღწევს და ზღვაში გაუშვეს. როცა იგი მანძილმა ჩვენ თვალთაგან თითქმის მიაფარა, მზიდავებმა ისევ წმინდა ნივთები აიღეს, რომლებიც თან მოიტანეს, ხელახლა სათანადო პროცესია შეადგინეს და ჩქარი ნაბიჯით ყველანი ტაძრისაკენ გაბრუნდნენ.

17. როცა ტაძართან მივედით, უზენაესი ქურუმი, ისინიც, ვისაც წმინდა გამოსახულებანი ჰქონდათ და აგრეთვე ვინც ადრევე წმინდა საიდუმლოებას იყო ზიარებული, ქალღმერთის საკურთხეველში შევიდნენ და გამოსახულებანი, რომლებიც ცოცხალი გეგონებოდათ, ხარისხებისდა მიხედვით დააწყვეს. ერთი მათგანი, რომელსაც ყველანი მწერალს ემახდნენ, კარის პირდაპირ დადგა, მოიწვია პასტოფორების^[182] კრება - ასე იწოდებოდა ეს ბრწყინვალე კოლეგია - ავიდა ამაღლებულ ადგილზე და წიგნში უზენაესი მმართველის კეთილდღეობაზე, პატივცემული სენატის, რომელ მხედართა, მთელი რომაელი ხალხის ხომალდებსა და მეხომალდეებზე და მთელი სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე ჩაწერილი ლოცვების კითხვა დაიწყო. კითხვა ბერძნული წესის მიხედვით დაამთავრა შემახილით^[183]... დამსწრეთა შემახილის მიხედვით ეს სიტყვები ყველაფრის კარგად შესრულებას ნიშნავდა. სიხარულით აღვსილ ხალხს ხელში შეფოთლილი წმინდა ხეების ტოტები და გვირგვინები ეჭირა. კვარცხლბეკზე მდგომი ქალღმერთის ვერცხლის ქანდაკების ტერფები დაკოცნეს და შინისაკენ გაემართნენ. მე კი ვერ გადავწყვიტე, თუნდაც ერთი ნაბიჯით მოვშორებულიყავი იმ ადგილს და ქალღმერთის გამოსახულებას. მის თვალმოუშორებლად განვლილ უბედურებებს ვიგონებდი.

18. ამასობაში მფრინავი ხმა არ აყოვნებდა და თავის ფრთებს არ ასვენებდა. ჩემს სამშობლოში მაშინვე ლაპარაკი დაიწყეს ღვთაებრივი განგების

ჩემდამი შეუდარებელ მოწყალებაზე და შესანიშნავ ბედზე. ბოლოს მეგობრებმა, მონებმა და ყველამ, ვინც კი ჩემთან ნათესაურად იყო დაკავშირებული, განიქარვეს დარდი, რომელშიც ჩემი სიკვდილის ყალბმა ცნობამ ჩააგდო. ისინი და მოულოდნელი სიხარულით აღვსილნი სხვადასხვა საჩუქრით ჩემთან მოემშურებოდნენ, რათა ქვესკნელიდან მზის სინათლეზე დაბრუნებული დავენახე. მე მათი ნახვის იმედი უკვე დაკარგული მქონდა და ძლიერ გავიხარე, მათ ღირსეულ ძღვენს სიამოვნებით ვღებულობდი, ისე რომ ჩემმა ახლობლებმა წინდახედულად უხვად მომამარაგეს ყველაფრით, რაც აუცილებელია გაუჭირვებელი არსებობისათვის.

19. მათთან ლაპარაკით გული ვიჯერე, თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე ვუამბე განვლილ უბედურებაზე, ახლანდელ სიხარულზე და მთელი ჩემი მადლიერი ყურადღება კვლავ ქალღმერთს მივაპყარი; ტაძრის გალავანში დროებით საცხოვრებლად სახლი დავიქირავე, ჯერ კიდევ დაბალი რიგის ღმერთმსახურებას ვესწრებოდი და დიდი ღვთაების დაუღალავ თავყანისმცემელ ქურუმებს არ ვშორდებოდი. ერთი ღამე და ერთი სიზმარიც კი არ გამივლიდა ისე, რომ ქალღმერთი არ მეხილა და მისგან რჩევა-დარიგება არ მიმეღო; ხშირი ბრძანებით მარწმუნებდა ვზიარებოდი მის საიდუმლოებას, რომლისათვისაც დიდი ხანია დანიშნული ვიყავი, თუმცა ამის შესრულების დიდი სურვილი მწვავდა, მაგრამ წმინდა თრთოლვა მაკავებდა, რადგან ძალიან ძნელ საქმედ ვთვლიდი ღმერთმსახურის წოდება მიმეღო და თავშეკავების აღთქმა მიმეცა, რომელიც ყოველგვარი შემთხვევით სავსე ცხოვრებაში ადვილი შესასრულებელი როდია. ვფიქრობდი ყველაფერ ამას, და თუმცა მოუთმენლად მსურდა კურთხევა მიმეღო, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილების შესრულებას მაინც ყოველდღე ვაყოვნებდი.

20. ერთხელ, ღამით მეზმანა, თითქოს ჩემთან უზენაესი ქურუმი მოვიდა და კალთით რაღაც მომიტანა. შეკითხვაზე, თუ რა არის ეს და საიდან-მეთქი, მიპასუხა, რომ ეს ჩემი ხვედრი იყო თესალიიდან და, აგრეთვე, ჩემი მონა კანდიდე მიბრუნდებოდა. გამოვიღვიძე. დიდხანს ვფიქრობდი, რადგან ძალიან კარგად მახსოვდა, რომ არასოდეს არ მყოლია მონა სახელად კანდიდე, მაგრამ მაინც მეგონა, რომ გამოგზავნილი ხვედრი რაიმე სარგოს ნიშნავდა. მოუსვენარი და გაკვირვებული, თუ საიდან უნდა მომსვლოდა რაიმე მოსაკითხი, დილით ტაძრის გაღებას ვუცდიდი. როცა თოვლივით თეთრი ფარდები ორივე მხარეს გადაიწია, ქალღმერთის პატივცემულ გამოსახულებას ჰიმნით მივესალმეთ. ქურუმმა ღმერთმსახურება შეასრულა, რიგრიგობით ჩამოიარა ყველა სამსხვერპლო, წარმოთქვა საზეიმო ლოცვანი, ამოიღო იდუმალი წყაროდან წყალი და თავიდან აპკურა; ღმერთმსახურებმა ყველაფერი წესების მიხედვით შესარულეს, მისეალმნენ აღმომავალ მზეს და გამოაცხადეს, დღის პირველი საათიაო. ჯერ კიდევ ფოტიდას მაცდურ მახეში გაბმამდე ჰიპატაში დატოვებულ მსახურებს ჩემი თავგადასავალი გაეგოთ და უეცრად მოვიდნენ, ცხენიც კი მოიყვანეს თან, რომელიც მრავალგზის გადასულიყო ხელიდან ხელში და ბოლოს იმ ნიშნის მიხედვით მოენახათ, რომელიც მას ზურგზე ჰქონდა. ჩემი სიზმრის გრძნეულმა ჩვენებამ მით უფრო გამაკვირვა, რომ გარდა სიზმარში ნაწინასწარმეტყველები სახირო დაპირებისა, „მონა კანდიდე“ დაბრუნებულ თეთრ ცხენს ნიშნავდა.

21. ამ შემთხვევის შემდეგ კიდევ უფრო გულმოდგინედ შევუდექი რელიგიურ მოვალეობათა აღსრულებას, რადგან აწყმომი ქველმოქმედებით ჩემი მომავლის იმედი ძლიერდებოდა. დღითი დღე მეზრდებოდა სურვილი

კურთხევა მიმდღო და უზენაეს ქურუმს თხოვნით თავს ვაბეზრებდი, რათა ბოლოს და ბოლოს წმინდა ღამის იდუმალებას ვზიარებოდი. იგი, თავისი სიღარბასლითა და რელიგიური წესების მტკიცე დაცვით ცნობილი, ისე მშვიდად და ალერსიანად უვლიდა გვერდს ჩემ დაჟინებას, როგორც მამებს აქვთ ხოლმე ჩვეულება თავიანთი ბავშვების უდროო სურვილის შეჩერებისა. მეუბნებოდა, რომ დღევ კი, როცა დანიშნული პიროვნების შეწირვა შესაძლებელი იქნება, ღვთაებრივი მითითებით უნდა იქნეს ნაჩვენებო, ქურუმიც კი, რომელმაც საიდუმლოება უნდა შეასრულოს, იმავე განგების მიერ აირჩევა და ზიარებისათვის აუცილებელი ხარჯებიც ამგვარადვე წესდებაო. ამისდა მიხედვით იგი ფიქრობდა, რომ უნდა მოვრიდებოდი სიხარბესა და ჭირვეულობას, მოთმინებით აღვჭურვილიყავი და თავი ამერიდებინა ორივე უკიდურესობისათვის: თუ დამიძახებდნენ, არ დამეყოვნებინა, ხოლო დაუძახებლად-არ ავჩქარებულობიყავი. ძნელი მოსამეზნიც იყო ქურუმთა შორის ისეთი ადამიანი, დასალუპავად იმდენად თავზე ხელაღებული, რომელიც გაბედავდა ქალღმერთის განსაკუთრებული ბრძანების გარეშე, ასეთი უტიფარი, მკრეხელური მოქმედება ჩაედინა და თავი სასიკვდილოდ გაეწირა. რადგან ქვესკნელის გასაღებისა და ხსნის თავდებობაც ქალღმერთის ხელშია, ეს ჩვეულება ნებაყოფლობითი სიკვდილისა და სამაგალითო ხსნის შესადარისადაა დაწესებული, ქალღმერთს ჩვეულებადა აქვს თავის ერთგულნი აირჩიოს მათ შორის, რომელთაც უკვე ცხოვრების მიმდინარეობა დაასრულეს და უკანასკნელი ამოსუნთქვის საზღვარს მიაღწიეს; მათ უკვე შეუძლიათ მტკიცედ დაიცვან საიდუმლოებათა იდუმალება და ღვთაების ნებით შეწირულთ, როგორც ხელმეორედ დაბადებულებს, კვლავ ხსნისაკენ გზის დაწყების საშუალება ეძლევათ. ისე რომ, ზეციური ნიშნებისათვის უნდა მეცადა, თუმცა უზენაესი ღვთაების ცხადი და უმაღლესი მითითებით სანეტარო სამსახურისათვის უკვე მოწოდებული და დანიშნული ვიყავი. ამიტომაც ტაძრის დანარჩენ მსახურებთან ერთად აკრძალული და უწმინდური საჭმელებისაგან თავს ვიკავებდი, რათა მით უფრო მალე ეზიარებოდი უწმინდესი სარწმუნოების ფარულ საიდუმლოებებს.

22. ასეთი იყო ქურუმის სიტყვები და ჩემი მორჩილება მოუთმენლობით კი არ ირღვეოდა, არამედ სანაქებო სიჭუმით, ყოველდღიური გულითადი სამსახურით წმინდანს თაყვანს ვსცემდი. ყოვლისშემძლე ქალღმერთის მხსნელმა სათნოებამ უქმად არ მალოდინა: არ დამტანჯა საქმის დიდი ხნით გადადებით, ერთ ზნელ ღამეში ნათლად მიბრძანა და ცხადად გამომიმჟღავნა, რომ ჩემი დიდი ხნის ნანატრი დღე დგებოდა, რომელიც უდიდეს აღთქმასთან დამაკავშირებდა, და მაუწყა, თუ რა თანხა დამიჯდებოდა ზიარება; მაუწყა ისიც, რომ წმინდა სახეებთან ჩემს შესაერთებლად ვარსკვლავთა მეოხებით არჩეული იყო თვით მითრა, მისი უზენაესი ქურუმი, რომელსაც ჩემთან აკავშირებს მნათობთა რაღაც ღვთაებრივი ნათესაობაო.

უზენაესი ქალღმერთის ასეთი და მსგავსი საამო სიტყვებით გახარებულს უკვე თვალი აღარ მომიხუჭავს, განთიადის პირველი შუქის შემოსვლისთანავე ქურუმის სენაკისაკენ გავემზურე; სწორედ ზღურბლთან შევხვდი (სახლიდან გამოდიოდა), მივესალმე და გავყევი. უკვე ვაპირებდი ადრინდელზე უფრო დაჟინებით მომეთხოვა მისთვის, როგორც მოვალისათვის, კურთხევა, მაგრამ თვით მან ჩემი დანახვისთანავე მომამახა:

- ოჰ, ჩემო ლუციუს, ბედნიერი და ნეტარი ხარ, რადგან ზეცის მფლობელმა ასეთი წყალობის ღირსი გაგხადა! რად დგახარ უქმად, თვით შენ

რაღად აყოვნებ? აი, დგება შენთვის დიდი ხნის ნანატრი დღე, საკუთარი ხელით გაზიარებ მრავალსახიანი ქალღმერთის მომსახურების უწმინდეს იდუმალეზას.

კეთილმა მოხუცმა თავისი მარჯვენა მხარზე დამადო და მაშინვე დიდი შენობის კარიბჭისაკენ წამიყვანა; იქ კარის გაღების საზეიმო წესები და დილის ღმერთმსახურება შეასრულა. საკურთხევის წიაღიდან გაუგებარი ასოებით დაწერილი წიგნები გამოიტანა; წიგნის ნიშნები ხან სხვადასხვა ცხოველის გამოხატულებით^[184] წმინდა ტექსტს შემოკლებული სიტყვებით გადმოსცემდა, ხან რგოლივით დახვეული, სხვადასხვა ნასკვთა და გადაწული ხაზით^[185] მოუსვენარ ცნობისმოყვარეობას კითხვის იდუმალ აზრს უმჟღავნებდა. აქედან წამიკითხა მან იმ მოვალეობათა შესახებ, რომელიც ეკისრებოდა მას, ვინც საიდუმლოებას უნდა ზიარებოდა.

23. მაშინვე ფულის დაუნანებლად ნაწილობრივ მე და ნაწილობრივ ჩემმა მახლობლებმა ვიყიდეთ ყველაფერი, რაც წესებისათვის საჭირო იყო. ბოლოს ქურუმმა გამოაცხადა, დანიშნული ჟამი დადგაო და წმინდა მეომრებით გარშემორტყმული მახლობელ აბანოში წამიყვანა; იქ ჩვეულებრივი განბანის შემდეგ ღმერთების მოწყალებას მოუწოდა, განსაწმენდელად წყალი მასხურა და ისევ ტაძარში მიმიყვანა. როცა დღის ორმა მესამედმა დრომ განვლო, მან ქალღმერთის ქანდაკების კვარცხლობკთან დამაყენა, ყურში ჩამჩურჩულა რამდენიმე რჩევა-დარიგება, რომელთა კეთილშობილი მნიშვნელობის სიტყვებით გამოთქმა არ შეიძლება, ყველა მოწმის თანდასწრებით მიიჩნია თავი შემეცავებინა გაუმადლობისაგან, ათი დღის განმავლობაში არავითარი ხორცეული არ მეჭამა და ღვინოს არ მივკარებოდი. ეს დარიგება მტკიცედ შევასრულე. ამასობაში ზიარების დღევ დადგა, მზე დასავლეთით გადაიხარა და მიწაზე საღამო მოიყვანა. ყოველი მხრიდან მოვიდნენ ზიარებულნი და ძველი ჩვეულებისამებრ ვისაც რა შეეძლო საჩუქრად მომიტანა. ქურუმმა დაითხოვა ყველა ის, ვინც საიდუმლოებას ზიარებული არ იყო, უხეში ტილოს წამოსასხამით შემოსა და წმინდათაწმინდაში შემიყვანა.

გულმოდგინე მკითხველო, შესაძლოა ძალიან მოინდომო გაგება, თუ რა ითქვა იქ. გეტყოდი, თქმა ნებადართული რომ იყოს, გაიგებდი, მოსმენა ნებადართული რომ იყოს. ერთგვარი საფრთხე ემუქრება ასეთი ახირებული ცნობისმოყვარეობის მთხრობელსაც და მსმენელსაც. მაგრამ, თუკი საცნაურობის მართლმორწმუნე წყურვილით ხარ შეპყრობილი, მეტად აღარ დაგდლი. ამგვარად, მისმინე და მერწმუნე, ვინაიდან ეს ჭეშმარიტებაა, რომ სიკვდილის საზღვარს მივალწიე, პროზერპინას ზღურბლს გადავაბიჯე, ყველა სტიქიონის გამოვლით უკანვე დავბრუნდი, შუალამისას ბრწყინვალე მზე ვიხილე, ქვესკნელისა და ზეციურ ღმერთებს წარვუდექი, მათ ახლოს თავყვანი ვეცი. აი, გაიმზე, შენ კი, თუმცა მომისმინე, მაგრამ მაინც წინანდებურად გაურკვეველი უნდა დარჩე.

გადმოგცემთ მხოლოდ იმ ერთადერთს, რაც უზიარებელ მსმენელებს შემიძლია წმინდა საიდუმლოების დაურღვევლად გავუმჟღავნო.

24. გათენდა. ღმერთმსახურების დამთავრების შემდეგ გზას გავუდექი თორმეტ წმინდა სამოსელში მორთული; თუმცა ეს წმინდა ჩვევებს ეკუთვნის, მაგრამ ამაზე იოლად შემიძლია ვილაპარაკო, რადგან იმ დროს ეს აუარებელ ხალხს შეეძლო დაენახა. ბრძანებას დავემორჩილე, შუა ტაძარში ქალღმერთის ქანდაკების პირდაპირ, ხის ამალგებულ ადგილზე ავედი და ყურადღებას ვიქცევდი, მართალია, ბისონის, მაგრამ ყვავილებით მოხატული სამოსელით. მხრებიდან ზურგზე გადმოკიდებული ძვირფასი წამოსასხამი თვით

ტერფეფებამდე მწვდებოდა. საიდანაც არ უნდა შეგეხედათ, ყოველმხრივ მორთული ვიყავი ცხოველთა სხვადასხვაფერი გამოსახულებით: იქ იყო ინდოეთის ურჩხულებიც და სხვა სამყაროს მიერ ფრთოსანი ფრინველების მსგავსად შექმნილი ჰიპერბოლური ფასკუნჯებიც. ამ სამოსელს ზიარებულნი ოლიმპიურს უწოდებდნენ. მარჯვენა ხელში ანთებული კაშკაშა ჩირადდანი მეჭირა, თავი შემკული მქონდა თვალისმომჭრელი, მშვენიერი პალმის ფოთლების შესანიშნავი გვირგვინით, რომლის დაბოლოებანი სხივებივით იშლებოდა. მზესავით ვიყავი მორთული და ქანდაკების მსგავსად მოთავსებული; ფარდები მოულოდნელად გადაიხსნა და წარვდექი ხალხის წინაშე. შემდეგ ზეიმით ვიდღესასწაულე ჩემი სულიერი დაბადების დღე და რჩეული ღვინოებით შესანიშნავი სუფრა გავშალე. ასე გრძელდებოდა სამი დღე. მესამე დღეს, ასეთი ზეიმის შემდეგ, წმინდა ნადიმიც დამთავრდა და ჩემი ზიარებაც დაგვირგვინდა. იქ დავყავი რამდენიმე დღე, წმინდა გამოსახულების ჭკრეტით გამოუთქმელი ნეტარებით ვტკბებოდი და ასეთი დაუფასებელი მოწყალებისათვის მადლობის გრძნობით ვიყავი გამსჭვალული. ბოლოს ქალღმერთის მითითებით ჩემი შესაწირავი წვლილი შევიტანე, რა თქმა უნდა, არა მისი საკადრისი, მაგრამ ჩემი ხელმოკლეობის მიხედვით. ასე დავვიანებით დავიწყე შინისაკენ გასამგზავრებლად მზადება. ძლივს შევეძელი მწველი სურვილის ბორკილები დამეხსნა. დავემხე ქალღმერთის გამოსახულების წინაშე და მის ფეხებს ჩავეკონე, ცრემლად ვიდვრებოდი, ხშირი ოხვრითა და სიტყვების ყლაპვით ასე შევღაღადე:

25. - ოჰ, ადამიანთა მოდგმის უწმინდესო მფარველო, მოკვდავთა მუდმივო მცველო, უბედურს რომ გასაჭირში ნაზ დედად ევლინები, არც დღე, არც ერთი ღამე, არც მოკლე წუთი, შენი ქველმოქმედების გარეშე არ მიდის: ზღვაში თუ ხმელეთზე ადამიანებს მფარველობ, ცხოვრების ქარტეხილში უწვდი მათ მხსნელ მარჯვენას, რომლითაც ბედისწერის გამოუცნობ კვანძებს უხსნი; ბედის რისხვას ანელებ, ვარსკვლავების ავისმომასწავებელ მოძრაობას იმორჩილებ. შენ გადიდებენ ზეციური ღმერთები, თავყანს გცემენ ქვესკნელის ღმერთებიც, მსოფლიოს აბრუნებ, მზეს ანთებ, წუთისოფელს განაგებ, ჯოჯოხეთს თრგუნავ. შენს მოწოდებას ეხმაურებიან ვარსკვლავები, შენ ხარ წლის დროთა მორიგეობის წყარო, ზეცის მკვიდრთა სიხარული, სტიქიონთა ქალბატონი. შენი ნიშნებით ცეცხლი ღვივდება, ღრუბლები ჯგუფდებიან, ნათესი ამოდის, ჯეჯილი იზრდება. ზეცაში მონავარდე ფრინველებს, მთებში მყოფ მხეცებს, მიწაზე მხოხავ გველებს და ოკეანეებში მცურავ ვეშაპებს შენი ძლიერებისა ემინათ. შენი შესაფერისი ხოტბისათვის გონებით ღატაკს, სამადლობელო მსხვერპლისათვის ქონებით ღარიბს არა მაქვს სიტყვიერი სისავსე, რათა გამოვთქვა, თუ შენი სიდიადე რას მაგრძნობინებს, ამისათვის არ იკმარებდა ათასი ბაგე და მჭევრმეტყველებით მოუღლე ენათა დაუსრულებელი წყება! ერთადერთი, რაც ღატაკ მორწმუნეს შეუძლია გააკეთოს, მას მეც მოვიმოქმედებ: შენს ზეციურ სახეს და უწმინდეს ღვთაებრიობას ჩემს გულში უკუნითი უკუნიამდე ღრმად ჩავიმარხავ და შევინახავ.

ამგვარად, შევღაღადე მაღალ ქალღმერთს, ყელზე შემოვებხვიე ქურუმ მითრას, რომელიც მეორე მამად მექცა, ვკოცნიდი და პატიებას ვთხოვდი, რომ მისი ასეთი ქველმოქმედებისათვის შესაფერისი სამაგიეროს გადახდა არ შემეძლო.

26. დიდხანს ვუხდიდი მას მადლობას, ბოლოს მოვშორდი და სასწრაფოდ გავემგზავრე, რათა ასე დიდი ხნის მიტოვებული მამაპაპისეული სახლი მენახა; მაგრამ იქ მხოლოდ რამდენიმე დღე დავყავი, რადგან დიადი ქალღმერთის შთაგონებით უეცრად ავიკარი ბარგი, ჩავჯექი გემში და რომისაკენ გავემურე. ზურგქარის მეოხებით, ავგუსტეს ნავსადგურს^[186] სწრაფად და მშვიდობიანად მივაღწიე, გადავჯექი ეტლში და სალამოს, დეკემბრის იდეების^[187] დასასრულს, სახელგანთქმულ უწმინდეს ქალაქში ჩავედი. იქ ჩემს მთავარ საქმეს უზენაესი ქალღმერთის ისიდა დედოფლის ყოველდღიური ვედრება შეადგენდა, რომელიც იქ მისი ტაძრის ადგილმდებარეობის გამო მინდვრის ქალღმერთის სახელწოდებით ფრიად პატივცემული იყო; მე ვიყავი მისი ერთგული თაყვანისმცემელი, აღნიშნულ ტაძარში თუმცა უცხოელი, მაგრამ მოძღვრებით შინაური.

აი, მზემ თავისი მოძრაობის წრე შეასრულა. წელიწადი მთავრდებოდა, რომ კეთილისმყოფელი ღვთაების ფხიზელმა მზრუნველობამ ჩემი მყუდროება ისევ დაარღვია, კვლავ მომაგონა ზიარება და საიდუმლოებანი. ძალიან გამიკვირდა: რა მოხდა? რას მიწინასწარმეტყველებდა ქალღმერთის სიტყვები? და როგორ არ გავოცებულიყავი! მე ხომ დიდი ხანია თავს ზიარებულად ვთვლიდი.

27. სანამ ამ რელიგიურ დაეჭვებას ნაწილობრივ ჩემი გონებით ვსჯიდი და ნაწილობრივ ღმერთმსახურთათვის მიმდოდა მიმენდო ამის გამოკვლევა, სრულიად მოულოდნელად ახალი ამბავი გავიგე: რომ მე მხოლოდ ქალღმერთის საიდუმლოებას ვეზიარე, მაგრამ დიდი ღმერთისა და ღმერთთა უზენაესი მშობლის, უძლეველი ოსირისის წესებს არასდროს ზიარებული არ ვყოფილვარ. თუმცა ამ ღვთაებათა არსი და მათი წესები ერთიმეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული და თითქმის ერთნაირია, მაგრამ ზიარებაში დიდი განსხვავებაა. ამისდა მიხედვით გავიგე, რომ უდიდესი ღმერთის მსახურიც უნდა გავმხდარიყავი. საქმე მალე გამოირკვა. ერთ უახლოეს ღამეს მესიზმრა, თითქოს ჩემთან ქურუმის ტანსაცმელში გამოწყობილი ვიღაც კაცი მოვიდა, ხელით თირსი^[188], სურო და კიდევ რაღაც მოჰქონდა, რომლის დასახელების უფლება არა მაქვს; ყველაფერი ეს მან ჩემი სკივრების წინ დააწყო, დაჯდა ჩემს სკამზე და მითხრა, რათა ყველაფრით უხვი, წმინდა სუფრა მომემზადებინა. თითქოს იმიტომ, რომ მე იგი უკეთესად დამხსომებოდა, ერთი განსაკუთრებული თვისებით განირჩეოდა, სახელდობრ: მარცხენა ქუსლი რამდენადმე მოქცეული ჰქონდა, ისე რომ სიარულის დროს ოდნავ კოჭლობდა. ღვთის სურვილის ასე ნათლად გამომჟღავნებამ ყოველგვარი გაურკვევლობის ბურუსი გაფანტა, მაშინვე ქალღმერთის მომსახურების შემდეგ ყოველ ქურუმს დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდი - მიმდოდა გამეგო, ისე დადიოდა თუ არა რომელიმე მათგანი, როგორც მესიზმრა; მოლოდინი გამიმართლდა. მალე შევამჩნიე ერთი პასტოფორი, რომელიც არა მარტო სიარულით, არამედ მთელი მოყვანილობითა და გარეგნობით სწორედ სიზმრად ნახულს ჰგავდა; როგორც შემდეგ გავიგე, მას აზინიუს^[189] მარცელეს ეძახდნენ, რაც აგრეთვე ჩემს გარდაქმნებს გადაკვრით აღნიშნავდა. დაუყოვნებლივ მივედი მასთან; ჩემმა ლაპარაკმა იგი არ გააკვირვა, რადგან ისიც ადრევე იყო გაფრთხილებული და იცოდა, რომ როცა. იგი დიდი ღმერთის^[190]... ქანდაკებაზე გვირგვინებს აწყობდა, ყოველი ადამიანის ბედის წარმომთქმელს მის ზაგეთაგან გაუგონია, რომ მასთან გაიგზავნებოდა ერთი მეტად ღარიბი მადავრელი კაცი, რომელიც მაშინვე საიდუმლოებისათვის უნდა ეზიარებინა, რადგან მისი განგებით ნაზიარები

თავისი ღვაწლით იქნებოდა სადიდები და მზიარებელიც დიდ ჯილდოს მიიღებდა.

28. წმინდა ზიარებისათვის დანიშნულს უსახსრობის გამო არ შემეძლო საქმეს შევდგომოდი. მემკვიდრეობის მცირეოდენი ნარჩენები მოგზაურობაში შემომეხარჯა და სატახტო ქალაქში საცხოვრებლად საჭირო ხარჯები ბევრად აღემატებოდა ჩემს წინანდელ ხარჯებს, როცა პროვინციაში ვცხოვრობდი. ასე რომ დიდი სიღარიბე ხელ-ფეხს მიკრავდა და ღვთაებრივი იძულება კი უფრო და უფრო მაჩქარებდა; ერთი ანდაზისა არ იყოს, „წყალსა და ცეცხლს შუა“ მოვექეცი. ღვთაება უფრო და უფრო ხშირად მაქეზებდა. მე ვწუხდი. ბოლოს შთაგონება ბრძანებით შეიცვალა. გავყიდე ჩემი ღარიბული ტანსაცმელი და, როგორც იქნა, მცირე საჭირო თანხა შევაგროვე. ამაზე განსაკუთრებული რჩევა მომეცა: ნუთუ შენ, - იყო თქმული ჩემ მიმართ. - თუნდაც ერთ წუთს დაინანებდი შენს ტანისამოსს, თუკი ეს მომავალი სიამოვნებისათვის იქნებოდა საჭირო? ახლა კი ასეთ ცერემონიათა კარზე მოსულს შენ იმ გაღარიბების გეშინია, რომელიც სანანებლად არ დაგრჩება?

ამგვარად, ყველაფერი მზად იყო, ათი დღე კვლავ ვიმარხულე, მოვიპარე თავი და უზენაესი ღვთაების ღამის თევაზე დამიშვეს. მთელი ჩემი არსებით ამ მონათესავე სარწმუნოების წმინდა წესებს ვასრულებდი. იგი ჩემს მდგომარეობაში არათუ დიდად მანუგეშებდა, როგორც უცხოელს, არამედ არსებობის საშუალებაც მომეცა. ყველაფერი ის, რაც მე ვექილობით, ლათინურ ენაზე საქმეთა წარმოებისათვის, მცირე შემოსავალს მამლევდა, შეიძლება განხილული იქნეს, როგორც შედეგი კეთილისმყოფელი გამარჯვებისა.

29. და, აი, არ გასულა რამდენიმე დღე, რომ კვლავ მივიღე ზეციდან ბრძანება ვზიარებულიყავი, რამაც დიდად გამაკვირვა., დიდი ზრუნვით შეწუხებული და აღშფოთებული ღრმად ჩავფიქრდი: საით მივყავარ ზეცის მკვიდრთა ამ ახალსა და გაუგონარ განზრახვას? რა დაგვრჩა კიდევ შეუსრულებელი, როცა ორჯერ ვზიარე-მეთქი? შესაძლოა მან, ან სხვა ქურუმებმა, რაიმე საჭიროებისამებრ არ გააკეთეს ან დააკლეს და, ჰერკულესს გეფიცებით, უკვე მათ პატიოსნებაში ეჭვი შემეპარა. კეთილმა მოჩვენებამ ღამის წინასწარმეტყველებით ამ არეული აზრებიდან გამომიყვანა, რომელმაც კინაღამ გამაგოჟა.

- არაფერი გაქვს საშიში, - იყო თქმული ჩემ მიმართ, - მრავალჯერ ზიარების გამო და ნურც ფიქრობ, რომ წარსულში რაიმე გამოგრჩენოდე. ღმერთების ეს შეუწყვეტელი მოწყალება შენდამი უნდა გახარებდეს და უფრო უნდა ამაყოფილებდეს, რადგან სამჯერ დაგენიშნა ის, რასაც სხვები ერთჯერ ძლივს ეღირსებიან. ზიარების რიცხვის მიხედვით მომავალი ნეტარებისადმი რწმენით აღივსე. ბოლოს და ბოლოს, შენი მომავალი ზიარება აუცილებლობითაა გამოწვეული. მხოლოდ იცოდე, ქალღმერთის სამოსელი, რომელიც შენ პროვინციაში გეცვა, იგი იქ, ტაძარში, დარჩა და რომში ვერ შეძლებ, თუ საჭირო იქნება, საზეიმო ღმერთმსახურებაში მონაწილეობის მიღებას, ამ უნეტარესი შესამოსელით ვერც სხეულს დაიფარავ, ამიტომაც სიხარულით შეუდექი დიდი ღმერთების ბრძანებით ნეტარებისა და ხსნისათვის ახალ ზიარებას.

30. შემდგომ ამისა ღვთაებრივმა მოჩვენებამ დიდი დამაჯერებლობით ჩამომითვალა ყველაფერი, რისი გაკეთებაც აუცილებელი იყო. საქმე აღარ გავაჭიანურე, მაშინვე ვაცნობე ჩემს ქურუმს ყველაფერი, თავი შევიკავე ხორცეულის ჭამისაგან, მუდმივ კანონად დაწესებულ ათ დღეს ნებაყოფლობით და გულმოდგინედ ვიმარხულე, სამზადისის დროს არ დავზოგე თანხა,

კურთხევისათვის ვემზადებოდი და უფრო კეთილსინდისიერი გატაცებით ვიხელმძღვანელებ, ვიდრე მოთხოვნილებათა მიხედვით. ჰერკულესს გეფიცებით, ჯაფისა და ხარჯის გაწევა არც მინანია; ღმერთების უხვი განგებით სასამართლოში ჩემი გამოსვლებისათვის გასამრჯელო მომემატა. ბოლოს რამდენიმე დღეში, ღმერთმა ღმერთთა შორის, შემძლემ ყოვლისშემძლეთა შორის, უზენაესმა უზენაესთა შორის, უმაღლესმა უმაღლესთა შორის, უდიდესმა უდიდესთა შორის, მფლობელმა ოსირისმა, სხვისი სახის მიუღებლად თავისი ნამდვილი ღვთაებრივი სახით გამოცხადების ღირსი გამხადა. მან მითხრა, შენი მშვენიერი საქმე სასამართლოში უშიშრად განაგრძეო. ნუ შეუშინდები მტრების ჭორებს, რომელთაც შენი შრომისმოყვარეობა და ხელობა შურთო. მე რომ სხვა ზიარებულებში შეურევლად შემძლებოდა მისი სამსახური, თავის პასტოფორების კოლეგიაში ამირჩია და ერთ-ერთ ხუთწლიან დეკურიონადაც კი დამნიშნა. ისევ გადავიპარსე თავი და კვლავ შევედი ამ უძველეს, ჯერ კიდევ სულას დროს^[191] დაარსებულ კოლეგიუმში. ახლა არაფრით არ ვიფარავ ჩემს მელოტ თავს, დავდივარ და ყველა შემხვედრს მხიარულად შევყურებ სახეში.

კომენტარები

1. ეფირიის ყელი - კორინთოს ყელი.
2. კვირიტების მშობლიური ენა - ლათინური ენა.
3. „ჭრელი სტოა“ ანუ Stoa poikile - არქიტექტურული ნაგებობა ათენში. მისი კედლები მოხატულია პოლიგნოტეს მიერ (ძვ. წ. V საუკ.)
4. ანტიხთონები anti, chton - საპირისპირო ქვეყნის მცხოვრებლები, მოპირდაპირე ნახევარსფეროს მცხოვრებლები.
5. ენდიმიონი - მთვარის ქალღმერთის სატროფო.
6. ულიქსე (Ulixes) - ცნობილი ბერძენი გმირის, ოდისეუსის, ლათინური სახელია.
7. პლუტარქე - ბერძენი მწერალი (დაახლ. 46-120 წწ.), ავტორი „პარალელური ბიოგრაფიებისა“.
8. ატრიუმი - რომაული სახლის მთავარი ნაწილია.
9. პაროსი - კუნძულია ეგეოსის ზღვაში (საბერძნეთში).
10. დიანა - რომაელების ქალღმერთი; უდრის ბერძნების არტემიდას (ნადირობისა და უმანკოების ქალღმერთს).
11. გრაციები - სილამაზისა და მხიარულების ქალღმერთები.
12. კინამონი - მცენარეა, რომლისგანაც ამზადებენ სურნელოვან ზეთს.
13. ვულკანი - რომაელების ღმერთი, ცეცხლისა და მქედლობის ღვთაება; უდრის ბერძენთა ჰეფესტოსს; ითვლებოდა ვენერას (აფროდიტეს) მეუღლედ.
14. ლიბერი ანუ ბახუსი.
15. ავერნის ტბა იტალიაში; ძველი რომაელების რწმენით ამ ტბის მახლობლად გადიოდა საიქიოში მიმავალი გზა.
16. სიბილა - მოხეტიალე გრძნეული ქალი.
17. ევბეა - კუნძული საბერძნეთში.
18. ულისესებურ მგზავრობას ე. ი. ოდისეუსის მსგავს მგზავრობას (ოდისემა ხომ ტროადის ომის დამთავრების შემდეგ 10 წელზე მეტი იხეტიალა, სანამ სამშობლოს მიაღწევდა).
19. თუია - კვიპაროსის ჯიშის ხეა.
20. ლარისა - ქალაქი თესალიაში (ჩრდილო საბერძნეთში).
21. ნუმი (numnus) ფულის ერთეულია, უდრის მეოთხედ დინარს.
22. ჰარპიები - ბოროტი ფრთოსანი ურჩხულები, როგორც ჩვენს ზღაპრებში ფასკუნჯები.
23. ლინკეესი - არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე, განთქმული თავისი კარგი მხედველობით.
24. არგუსი - ასთვალა დევი, რომელიც იუნონამ (ჰერამ) ყარაულად დაუყენა იოს (იუპიტერის სატროფოს), ძროხად გადაქცეულს.
25. კვირიტები ე. ი. მოქალაქენი; ასე ეწოდებოდათ სრულუფლებიან რომაელ მოქალაქეებს.
26. დელფელი ღმერთი, ე. ი. აპოლონი, რომლის ტაძარში (ქალაქ დელფოში) იჯდა ყოვლის გამომცნობი პითია.
27. პიპლელი მომღერალი - ასე ეწოდებოდა ორფეუსს, რომელიც წარმოშობით იყო თრაკიის პიპლიდან.
28. მემფისი - ქალაქია ეგვიპტეში; მემფისის საიდუმლოებანი - ეგვიპტელი ღმერთების თაყვანისცემასთან დაკავშირებული რელიგიური მისტიკები.
29. ფაროსი (Faros ან Pharos) - პატარა კუნძულია ეგვიპტეში, ალექსანდრიასთან.

30. ლეთე - დავიწყებისა და სიკვდილის ღვთაებაა.
31. სტიქსი - მდინარეა, რომელიც ჰყოფს ამ ქვეყანას საიქიო სამყაროსაგან.
32. გერიონი - სამტანიანი დევი, რომელსაც ჰერკულესმა (ე. ი. ჰერაკლემ) ხარები მოსტაცა.
33. ავრორა (Aurora) - ცისკარი, განთიადი.
34. ლიქტორები - რომელიც მოხელეები, რომლებიც თან ახლდნენ ხოლმე მაღალი თანამდებობის პირებს.
35. ტრიბუნალი - შემალღებელი ადგილი, სადაც ისხდნენ თანამდებობის პირები.
36. პროსცენიუმი - შემალღებელი ბაქანი, სადაც მსახიობები თამაშობდნენ.
37. ორხესტრა - ბერძნულ თეატრში ადგილი პროსცენიუმსა და ამფითეატრს შუა, სადაც თავსდებოდა გუნდი.
38. მესამე დარაჯობის დრო - დაახლოებით შუაღამე.
39. ზეთისხილის ტოტი თხოვნისა და მუდარის სიმბოლო იყო; რისამე სათხოვნელად მოსული მოციქული ზეთისხილის ტოტს აქნევდა ხოლმე.
40. პროზერპინა (ბერძნული მითოლოგიით - პერსეფონე) - საიქიოს ღვთაების, პლუტონის, მეუღლე. ბერძნების პლუტონს შეესატყვისება რომაელების მითოლოგიაში ორკე ((Orcus).
41. პატრონთა, ე. ი. მფარველთა.
42. აიაქსი - აიაქს ტელამონის ძე, ტროადის გმირი, რომელიც გაცოფებულ დეირა პირუტყვებს, ეგონა მტრებს ვჟლეტო.
43. გერიონი - იხ. შენიშვნა 32.
44. ცერბერი (კერბერი) - სამთავიანი ძაღლი, რომელიც საიქიო სამყაროს დარაჯობდა. ჰერაკლემ გაიმარჯვა ცერბერზე.
45. გრაციები - იხ. შენიშვნა 11.
46. გამარჯვების ღვთაება (Eventus) - »კარგი დაბოლოების ღვთაება“.
47. ბერძნები წყალ-ღვინოს სვამდნენ (ერთი წილი ღვინო და 2 წილი წყალი).
48. ლაპითები - თესალიის ველური ტომი, ცნობილი თავისი მხეცური მიდრეკილებით, ვაჟკაცობითა და მეომარი სულით.
49. ლამაქე - ბერძნულად ნიშნავს „უძლეველს“.
50. ალკიმე (alkimos) - ნიშნავს „მამაცს“.
51. პლატეა - ქალაქი ბეოტიაში (შუა საბერძნეთში).
52. დემოქარე - ბერძნულად ნიშნავს „ხალხის მასიამოვნებელს“.
53. ევბულე - ბერძნულად ნიშნავს „კარგ მრჩეველს“.
54. თრასილეონ - ბერძნულად ნიშნავს „ლომევით გამბედავს“.
55. პლატეა - იხ. შენიშვნა 51.
56. მარსი - რომაელთა ღმერთი; ომის ღვთაება.
57. სალიები (მხტუნავეები), მარსის ქურუმები. ისინი მარსის პატივსაცემად დანიშნულ დღეობებზე მართავდნენ როკვასა და ცეკვას, რის შემდეგაც ეძლეოდნენ დაუბოლოვებელ ღვინოს, განთქმულს თავისი უხვი პურმარილით. „სალიების ნადიმი“ - ბრწყინვალე საზეიმო ნადიმი.
58. ატისი - წარმოშობით სირიული ღვთაება, შემდეგ ხანებში დასავლეთში გავრცელებული. ის იყო კიბელეს სატრფო; თვით მან შეიყვარა მდინარე სანგარიოსის ასული. კიბელეს მიერ ცოფ-ქმნილმა, მან თავი დაისაჩუქრისა.
59. პროტესილაე - თესალიის ფილაკეს მეფე, ტროადის ომის მონაწილე. მან პირველმა შედგა ფეხი ტროადის მიწაზე და პირველივე მოკვდა. ომში

წასვლისას მან შინ დასტოვა თავისი ახალშერთული ცოლი ლაოდამია, რომელთანაც მხოლოდ ერთი დღე გაატარა.

60. პაფოსი, კნიდოსი და კითერა - ეს საბერძნეთის ის ადგილებია, სადაც აფროდიტეს განთქმული ტაძრები მდებარეობდა.

61. მწყემსი - იგულისხმება ტროის მეფის პრიამეს ძე პარისი, რომელმაც აფროდიტეს (ვენერას) მიანიჭა სილამაზის უპირატესობა.

62. ფრთოსანი ვაჟი - იგულისხმება ამური ანუ კუპიდონი, სიყვარულის ღმერთი, ვენერას ვაჟი.

63. ნერევსის ქალიშვილები, ანუ ნერეიდები, ზღვის ნიმფები. მოხუც ნერევსის ასულები.

64. პორტუნე - რომაული ღვთაება, ნავსადგურების მფარველი.

65. სალაცია - აბოზოქრებული ზღვის ღვთაება.

66. პალემონი - მითიური არსება, ინოს ვაჟი, რომელიც დედასთან ერთად ზღვაში გადაეშვა, ხოლო დელფინებმა იგი ნაპირზე გამოიტანეს.

67. ტრიტონები - ზღვის პატარა ღვთაებები, ნახევრად ადამიანები, ნახევრად ღვთაებები და ნახევრად-თევზები.

68. ოკეანე - უდიდესი მდინარე, რომელიც გარს ერტყმოდა მთელ დედამიწას.

69. მილეტის ღვთაებას, ე. ი. აპოლონს.

70. სირინოზები - ზღაპრული ქალწულები, რომელნიც კუნძულზე ცხოვრობდნენ დასავლეთის ზღვაში და მათი სიმღერით მოხიბლულ მგზავრებს სიცოცხლეს უსპობდნენ.

71. ზეფირი - დასავლეთის ქარი; მისი დამახასიათებელია თბილი ნიავი.

72. პითიას მისანი - დელფოში არსებული აპოლონის ტაძარი და იქაური სამისნო.

73. პანი - ტყისა და ჭალის ღმერთია; მას სახავდნენ თხის რქებით, წვერით, ჩლიქებით და კუდით; პანი ითვლებოდა მწყემსთა და მონადირეთა მფარველ ღვთაებად.

74. ნიმფები - ბუნების სხვადასხვა მოვლენის განმასახიერებელი ქალღმერთები; ბერძნების წარმოდგენით, არსებობდნენ ზღვის, მთის ნიმფა და სხვა ნიმფები.

75. ჰორები - წელიწადის დროთა ქალღმერთები, რომლებსაც წესრიგი შეჰქონდათ ბუნებაში.

76. მუზები - ოლიმპოს მცხოვრები და აპოლონის ხელქვეითი ქალები, რომლებიც ითვლებოდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველებად. სულ იყო ცხრა მუზა.

77. გრაციები - იხ. შენიშვნა 11.

78. აქ იგულისხმება მარსი, ვენერას სატრფო და საყვარელი.

79. ამ კალათებში იყო მოთავსებული წმინდა ნივთები, რომელთაც საიდუმლოდ აჩვენებდნენ ხოლმე იმათ, ვინც ელევსინის მისტერიებს უნდა ზიარებულიყო.

80. აქ მოხსენებულია ეპიზოდი პროზერპინას (პერსეფონეს) მოტაცებისა საიქიოს ღმერთის პლუტონის მიერ. ეს მოტაცება, გადმოცემით, მოხდა სიცილიაში. მოხსენებულია აგრეთვე მისი, პროზერპინას დაბრუნება დედასთან, ცერერასთან (დემეტრესთან). ყველა ეს წარმოდგენდა საგანს ელევსინის მისტერიებისა. ელევსინი პატარა ქალაქი და მდებარეობს ათენის დასავლეთით, ოცი კილომეტრის მოშორებით.

81. ცერერა (დემეტრე) გულისხმობს აფროდიტეს, რომელიც არის ზევსის ასული. თვითონ დემეტრე კი არის ზევსის და.

82. კუნძულ სამოსზე იყო იუნონას (ჰერას) განთქმული ტაძარი.

83. კართაგენი - ნავსადგური ჩრდილო აფრიკაში.
84. ინაქე - მდინარე ჩრდილო საბერძნეთში, ეპირში.
85. არგოსი - ქალაქი სამხრეთ საბერძნეთში, პელოპონესში, იქ იყო ჰერას მთავარი ტაძარი.
86. ძიგია ბერძნულად (აღმოსავლეთში) „ქორწინების მოწყობას“ ნიშნავს. ჰერას მეტსახელია. ლუცინა ლათინურად (დასავლეთში) „მშობიარეთა მფარველს“ ნიშნავს; იუნონას (ე. ი. ჰერას) მეტსახელია.
87. ვენერა (აფროდიტე) არის იუნონას (ჰერას) ვაჟის ვულკანის (პეფესტოს) ცოლი.
88. მერკური (ბერძნ. ჰერმესი) არის ღმერთების მაცნე და შიკრიკი და, ამდენად, მას ძლიერი ხმა აქვს. იგი ზევსისა და მაიას შვილია. დაიბადა არკადიაში, კილენეს მთაზე.
89. მურტიის ველზე (რომში) იყო მერკურის ტაძარი.
90. ჩვეულება აქ ნახმარია „სატრფიალო კავშირის“ მნიშვნელობით.
91. ორკე - საიქიოს ღმერთი (ბერძნ. პლუტონი).
92. შეუღლებას უკანონოს ეძახის იმიტომ, რომ ფსიქეა მხევალი იყო, ხოლო ამური - თავისუფალი. ასეთი შეუფერებელი ცოლქმრის შვილი უკანონოდ ითვლებოდა.
93. ლერწმისას აკეთებდნენ სალამურს, რომელსაც აპულეუსი ეძახის „უტკბილესი მუსიკის მშობელს“. 94. მეორე... მეორე Secundi.. Secundum ლათინურ ენაში secundus ნიშნავს 1) მეორეს და 2) კარგს, ხელისშემწყობს. ასე რომ ეგ წინადადება, იქნება უკეთესი იყოს, რომ ვთარგმნოთ ასე: „მეორე ხიფათთან დაკავშირებულმა, კარგი ბრძანების შესრულებამ“.
95. სტიქსი - მდინარე საიქიოს საზღვარზე.
96. კოკიტი - მდინარე საიქიოში.
97. ფრიგიელი მერიქიფე - ეს არის ფრიგიელი ჭაბუკი განიმედე, ზევსის სატრფო და მერიქიფე, რომელიც ზევსის არწივმა მოიტაცა და ზევსს მიჰგვარა ოლიმპოს მთაზე. განიმედეს ზევსმა უკვდავება მიანიჭა.
98. ლაკედემონი, აქაია - ადგილები სამხრეთ საბერძნეთში.
99. ტენარი - კონცხი სამხრეთ საბერძნეთში, პელოპონესში; იქ იყო საიქიოს შესასვლელი, ე. ი. დიტის ხვრელი.
100. დიტე - საიქიოს ღვთაება (ბერძნ. პლუტონი).
101. ქარონი - მენავე, რომელსაც გადაჰყავს მკვდართა სულები საიქიოს. ბერძენთა რწმენით, ქარონი მდინარეზე (სტიქსზე) გადაყვანაში ფულს ართმევდა მიცვალებულებს. ამიტომ საჭირო იყო მიცვალებულისათვის ფულის ჩატანება.
102. ძალღი - ცერბერი (კერბერი).
103. ამბროსია - ძველი ბერძნული გაგებით ნიშნავს ღმერთების საჭმელს, ხოლო გვიან საუკუნეებში (მაგალითად, აპულეუსის დროს) ამ სიტყვით აღინიშნებოდა უკვდავების მომნიჭებელი სასმელი.
104. ე. ი. განიმედე.
105. ლიბერი (ლათინური) უდრის ბახუსს.
106. პანისკე კნინობითი ფორმია სიტყვისა პანი (ტყისა და ჭალის ღვთაება); პანი, როგორც მწყემსების მფარველი, სალამურს უკრავს. სატირებიც პანის მსგავსი არსებანი არიან.
107. დირკე - თებეს მეფის ლიკოსის მეუღლე. გადმოცემით დირკე და ლიკოსი ძალიან ავიწროვებდნენ ტყვედ ჩავარდნილ ანტიოპეს, რომელიც იყო ზეტეს და

ამფიონის დედა. შვილებმა შური იძიეს დედის მწვალებლებზე: ლიკოსი მოკლეს, ხოლო დირკე ხარის რქებზე მიაბეს და ისე დაფლითეს.

108. ფრიქსე - თესალიის მეფის ათამანტის ვაჟი, რომელიც ოქროს ვერძით კოლხეთში ჩამოფრინდა.

109. არიონი - ბერძენი პოეტი მე-7 საუკუნისა, საგმირო დითირამბის შემომღები. იგი, ზღვაში გადავარდნილი, დელფინმა შეისვა ზურგზე და ისე გამოიტანა ნაპირას.

110. ევროპა - ფოინიქსის ასული, სატროფო ზევსისა, რომელმაც ლამაზი ხარის სახე მიიღო, რქებზე შეისვა ევროპა და ისე გაიტაცა იგი.

111. პეგასი - ზღაპრული ფრთოსანი რაში, მერანი.

112. ფორტუნა - ბედნიერების ღვთაება.

113. თერონი - ბერძნული სიტყვისაგან ther, რაც „მხეცს“ ნიშნავს.

114. პროკურატორები - რომაელი მოხელეები, სახელმწიფო გადასახადებს ჰკრეფდნენ.

115. ზაკინთო - კუნძული საბერძნეთში, იონიის ზღვაში.

116. აქციუმი - კონცხი შუა საბერძნეთის დასავლეთ ნაპირას.

117. ვექსილარიები - ვეტერანები, ჯარში ნამსახური 16-20 წლის განმავლობაში.

118. ტალანტი - ფულის ერთეული საბერძნეთში. უდრიდა 6000 დრაჰმას ანუ დაახლოებით 1500 ოქროს მანეთს.

119. სალიური ნადიმი - იხ. შენიშვნა 57.

120. ბაქტრია - სპარსეთის ერთ-ერთი სატრაპია (ახლანდელი ავღანეთი); ბაქტრიის აქლემები ორკუზიანები იყვნენ, ხოლო არაბული აქლემები - ცალკუზიანები.

121. აქ დედანში ტექსტი დამახინჯებულია.

122. აქ ხელნაწერში ტექსტი გაფუჭებულია.

123. ბელეროფონტი - მითიური გმირი, რომელმაც ფრთოსანი რაშის (პეგასი) შემწეობით დაამარცხა სამთავიანი დევი.

124. ალთეა - მელეაგრეს დედა. იხ. მომდევნო შენიშვნა.

125. მელეაგრე - არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე; კურეტებთან ბრძოლაში მან მოკლა თავისი დედის (ალთეას) ძმები, რის გამოც ალთეამ ცეცხლში მუგუზალი ჩააგდო, რომლისგანაც მოკვდა მელეაგრე.

126. სახელი თრასილე მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „thrasys“, რაც „გაბედულს“ ნიშნავს.

127. კინამონი - იხ. შენიშვნა 12.

128. ნაადრევი ქორწინება ეწოდება ქვრივი ქალის ხელმეორედ გათხოვებას პირველი ქმრის გარდაცვალების წლისთავის შესრულებამდე.

129. ღამის პირველი დარაჯობა ხვდებოდა ღამის 6-9 საათს: მეორე დარაჯობა 9-12 ს., ხოლო მესამე შუადამეზე.

130. შურისმგებლები, ე. ი ფურიები.

131. ღამის მესამე დარაჯობა ხვდებოდა შუადამეს.

132. ცეცხლოვანი ქიმერა - სამთავიანი დევი, რომელიც პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. ქიმერა დაამარცხა ბელეროფონტმა. ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი ასე ახასიათებს ქიმერას: „ომიროს ვიდრემდე მბერველობაი ცეცხლებრივი თქუა პატრიკულისა თხისა სამად ზღაპრეულისა მხეცისათვის: რამეთუ წინათ იყო ლომი, ხოლო ბოლოთ ვეშაპ, და საშუალ ვაც“, ესე იგი: ცეცხლებრივი ქიმერა („პატრიკული თხა“) სამსახიანი იყო: წინ ლომის სახე ჰქონდა, შუაში თხისა, ხოლო ბოლო ვეშაპისას უგავდა.

133. კაპადოკია - ქვეყანა მცირე აზიაში. კაპადოკიელი მონები განთქმული იყვნენ თავისი ღონით და ამტანობით, ამიტომაც არის აქ ნათქვამი ეს ვირი „კაპადოკიელია და საკმაოდ ღონიერიც“.
134. კორნელის კანონი - ერთ-ერთი რომაული კანონი, რომლითაც აკრძალული იყო თავისუფალი მოქალაქის მოტაცება და გაყიდვა.
135. საბადიოსი - აზიური (ფრიგიული) ღვთაება, დიონისეს მონათესავე. აკად. ნ. მარი ამ სახელს უკავშირებს სომხურ სიტყვას „ასტვად“ (ღმერთი).
136. ბელონა - კაპადოკიური ღვთაება.
137. აქ იგულისხმება ბერძენთა ღმერთის კრონოსის მეუღლე რეა, რომელსაც აიგივებენ აზიურ ღვთაებასთან კიბელესთან. მას ეწოდება იდელი (ფრიგიის მთის „იდა“-ს სახელისაგან), ისევე როგორც კიბელესაც იდელი ეწოდება.
138. ადონისი - კვიპროსის მეფის ძე, ვენერას სატრფო იყო.
139. ქალწული ფურირემად შეცვლილი - იგულისხმება ტროადის ომის ეპიზოდებიდან მსხვერპლად შეწირვა იფიგენიასი, რომელიც სწორედ იმ დროს, როდესაც ქურუმმა დანა აღმართა მსხვერპლის დასაკლავად, შეცვლილ იქმნა ფურ-ირმით, და ამრიგად, მსხვერპლად შეწირული აღმოჩნდა ირემი, ხოლო იფიგენია ცოცხალი გადარჩა.
140. ეს ნოველა აპულეუსის რომანიდან ისესხა ბოკაჩიომ და შეიტანა თავის „დეკამერონში“ (მე-7 დღის მეორე ნოველა: „დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, ნეაპოლში ერთმა ღარიბმა კაცმა ცოლად შეირთო ერთი ლამაზი და სანდომიანი ახალგაზრდა ქალი, პერონელა...“ - ქართული თარგმანი თ. სახოკიასი, ტ. II, გვ. 170).
141. ტულიანუმი - სატუსაღო რომში.
142. უცხოელებს, უცხოელ ელჩებს სახელმწიფო ხარჯზე ინახავდნენ.
143. შუბლს დაუდაღვდნენ ხოლმე იმ მონებს, რომლებსაც რაიმე ბოროტმოქმედება ჰქონდათ ჩადენილი.
144. იგულისხმება ჰომეროსი.
145. იგულისხმება ოდისეუსი, ჰომეროსის პოემების გმირი.
146. უფრო სწორი იქნებოდა „ფილეტერი“, რაც ბერძნულად ნიშნავს „ჰეტერების მოყვარულს“.
147. დეკურიონი - ადგილობრივი სენატის წევრი.
148. არეტე - ბერძნულად ნიშნავს „სიკეთეს“.
149. მიმექსი - ბერძნულად ნიშნავს „ჭიანჭველას“.
150. ეს ნოველები, რომლებიც მოთხრობილია 24-28 თავებში, შეტანილი აქვს ბოკაჩიოს თავის „დეკამერონში“ (მეხუთე დღის მეათე ნოველა; ქართული გამოცემის 1 ტ., გვ. 487-494; თბ. 1960).
151. მზე შედის თხის რქის ზოდიაქოში ზამთარში.
152. დეკურიონი - იხ. შენიშვნა 149.
153. Soccus არის მსახიობის ფეხსაცმელი კომედიაში, ხოლო Cothurnus - ტრაგედიაში.
154. კურია ეწოდებოდა იმ შენობას, სადაც იმართებოდა სენატის სხდომები.
155. ატიკა ანუ ათენის სახელმწიფო.
156. მარსის სამსჯავრო წარმოადგენს ბერძნული არეოპაგის რომაულ შესატყვის ცნებას. „არეოპაგი“ ანუ არესის ბორცვი; არესი ბერძენთა ომის ღმერთია, რასაც შეეფარდება რომაელების მარსი.

157. არ აცდა ბორბალი - აქ იგულისხმება წამება ურმის თვლით, რაც მიღებული იყო ბერძნებში: კაცს გაჩაჩხული ფეხებით მიაბამდნენ ურმის თვლის ფერსოს და ეს იწვევდა კუნთების დაჭიმვას.
158. ბოძკინტზე კიდურებს უჭიმავდნენ წამების მიზნით.
159. მანდრაგორა (*Mandragora officinalis*) - მისი ძირებისაგან მზადდებოდა წვენი, რომელიც, ღვინოსთან შერეული, იხმარებოდა როგორც ძილისმომგვრელი და ტკივილების გამაყუჩებელი საშუალება.
160. ეტეოკლე და პოლინიკე - ოიდიპოს მეფის ვაჟები, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ სამეფო ტახტისათვის. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ ორივენი.
161. ფინევსი - თრაკიის მეფე, რომელმაც დედინაცვლის მოთხოვნით თავისი ვაჟები (პირველი ცოლისაგან) დააბრმავა. მის დასასჯელად ღმერთებმა იგი დააბრმავეს და მიუჩინეს მას ჰარპიები, რომლებიც ფინევსს საჭმელს სტაცებდნენ. სხვა გადმოცემით ღმერთებმა იმიტომ დასაჯეს ფინევსი, რომ მან ფრიქსეს ასწავლა გზა კოლხეთისაკენ.
162. კორინთო - ქალაქი კორინთოს ყელში, შუა და სამხრეთ საბერძნეთს შუა. ითვლებოდა აქაიის მხარის დედაქალაქად.
163. პასიფაე - მზის ასული; იგი ვენერას ეზიზღებოდა და ჩაუნერგა მას ხარის ტრფობა, ამ ტრფობის შედეგად პასიფაემ შვა მინოტავრი. მეორე გადმოცემით, პოსეიდონი (ზღვის ღმერთი) გაურისხდა კრეტის მეფეს მინოსს და მის ცოლს პასიფაეს შეაყვარა ხარი, ამ სიყვარულის შედეგად გაჩნდა მინოტავრი (ხარ-კაცი).
164. მინოტავრის დედა - ესე იგი პასიფაე.
165. იდის მთა - მთა მცირე აზიაში, ტროადის სამეფოს მიწა-წყალზე.
166. ეფები - ასე ეწოდებოდა 18-20 წლის ასაკის ათენელ ჭაბუკს. ეფებები მესაზღვრეთა სამსახურს ასრულებდნენ.
167. აქ და ქვემოთ გადმოცემულია ის ეპიზოდი ბერძნული მითოლოგიიდან, რომელსაც „განხეთქილების ვაშლის“ ეპიზოდი ეწოდება. ოქროს ვაშლი უნდა რგებოდა ქალღმერთთა შორის ულამაზესს და ამ ვაშლისათვის დაობდნენ იუნონა (ჰერა), მინერვა (ათენა) და ვენერა (აფროდიტე). მსაჯულად მათ აირჩიეს მწყემსი პარისი, ტროადის მეფის პრიამეს ვაჟი, რომელმაც პირველობა ვენერას მიაკუთვნა.
168. კასტორი და პოლუქსი - ტყუპი ძმები, ლედას ვაჟები.
169. ჰორები - წელიწადის დროთა ქალღმერთები.
170. იგულისხმება პარისი, რომლის მიერ ჩადენილმა საქმემ (ჯერ მსჯავრის გამოტანამ ოქროს ვაშლის გამო და შემდეგ ელენეს მოტაცებამ) დაღუპა მთელი თავისი მოდგმა (ტროელებისა).
171. პალამედე - ტროადის ომის გმირი. მას ღალატი დასწამეს და იგი ხალხმა ჩაქოლა.
172. სიბრძნის უხუცესი - იგულისხმება სოკრატე.
173. პაფოსი - ქალაქი კუნძულ კვიპროსზე.
174. ფებეს და - აპოლონის და არტემიდა. მისი კულტის მთავარი ადგილი იყო ქალაქი ეფესო.
175. ხელნაწერში ამ ადგილას რამდენიმე სიტყვა გამოტოვებულია.
176. რამნუსია - ასე ეწოდებოდა სამართლიანი შურისგების ღვთაებას, ნემსიდას; მისი მთავარი სალოცავი იყო სოფელ რამნუსში.
177. აქერონტი - მდინარე საიქიოში; გადატანითი მნიშვნელობით - თვით საიქიო.

178. ელისის მინდვრები ანუ ნეტართა კუნძულები. აქ ბინადრობენ იმ მიცვალებულთა სულები, რომლებიც მართალი ცხოვრებით ცხოვრობდნენ.
179. სარაპისი - ეგვიპტური ღვთაება. მას აიგივებენ ზევსთან, პლუტონთან, ასკლეპიოსთან, ოზირისთან.
180. ოქროს სანიავებელი - ნაყოფიერების სიმბოლო.
181. ამფორა - ორყურა ჭურჭლის ერთ-ერთი სახე.
182. პასტოფორები - ეგვიპტელი ქურუმები, რომლებსაც პროცესიების დროს ღმერთების გამოსახულებანი მიჰქონდათ.
183. აქ ტექსტი გაფუჭებულია.
184. სხვადასხვა ცხოველების გამოსახულებით - იგულისხმება იეროგლიფური დამწერლობა.
185. იგულისხმება შემოკლებული, მალემწერლური დამწერლობა.
186. ავგუსტეს ნავსადგური – ნავსადგური ოსტია მდინარე ტიბრის შესართავთან.
187. დეკემბრის იდეები - დეკემბრის შუა რიცხვები (12 დეკემბერი).
188. თირსი (Thyrus) - სუროთი და ვაზის ფოთლებით მართული კვერთხი, რომლის ბოლოს ამშვენებდა ფიჭვის გირჩი. ეს არის დიონისეს ემბლემა.
189. აზინიუს - ლათინური asinus ნიშნავს „ვირს“.
190. აქ ხელნაწერში რამდენიმე სიტყვა გამოტოვებულია.
191. სულას დროს - ესე იგი ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისში.



სხვა ელექტრონული წიგნებისათვის გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს გვერდს:
www.iBooks.ge